# შინაარსი
# ამერიკული ლიტერატურა


ადრეული ამერიკული და კოლონიური ხანა 1776 წლამდე — 3

დემოკრატიის სათავეები რევოლუციური მწერლობა. 1776-1820 — 16

რომანტიზმი 1820-1860 ესსეისტები და პოეტები — 31

რომანტიზმის ხანა 1820-1860: მხატვრული ლიტერატურა — 43

რეალიზმის დასაწყისი 1860-1914 — 56

მოდერნიზმი და ექსპერიმენტები: 1914-1945 — 71

ამერიკული პოეზია 1945 წლიდან: ანტი-ტრადიცია — 92

ამერიკული პროზა 1945 წლიდან რეალიზმი და ექსპერიმენტები — 109

ლექსიკონი — 129

ინდექსი — 133



გამომცემელი:
ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო

სარედაქციო კოლეგია

ავტორი:
ქეთრინ ვან სპენქერენი

მთავარი რედაქტორები:
ჰოვარდ ცინკოტა, ჯორჯ კლაკი

რედაქტორის თანაშემწეები:
ქესილინ კაგი, მაიკლ ჯ. ბანდლერი

მხატვარი:
თადეუს ა. მიკსინსკი, უმცროსი

ფოტო:
ელენ ჯ. სიემი

მთარგმნელები:
მანანა დუმბაძე და ზაზა გაჩეჩილაძე



უფლება: © 1994 ქ[illegible]



ავტორის შესახებ:
ქეთრინ ვან სპენქერენი ტამპის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროფესორია, კითხულობს ლექციებს ამერიკულ ლიტერატურაში, ქალთა ლიტერატურასა და პოეტურ ხელოვნებაში. გამოქვეყნებული აქვს [illegible]: [illegible] (1988) და ჯონ გარდნერი: კრიტიკული თვალსაზრისები (1982). დოქტორი ვან სპენქერენი ამერიკული ლიტერატურის კურსს კითხულობდა [illegible], ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. 1993 წლიდან იგი წარმომადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ამერიკული ლიტერატურის [illegible] ინსტიტუტის [illegible].

ქვემოთ ჩამოთვლილი მასალების გამოქვეყნება არ შეიძლება საავტორო უფლებათა მფლობელის ნებართვის გარეშე:

ეზრა პაუნდის ლექსი „მეტროს სადგურზე" – გვ. (75). საავტორო უფლება – © 1926 ეზრა პაუნდი, თარგმნილი და გამოქვეყნებული „ნიუ დაირექშენის" საგამომცემლო კორპორაციის ნებართვით თარგმნება და გამოიცემა ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში, კანადის გარდა „მეტროს სადგურზე" – ეზრა პაუნდის „რჩეული ლექსებიდან", იბეჭდება შპს „ფეიბერ და ფეიბერის" ნებართვით.

რობერტ ფროსტის ლექსი „თოვლიან საღამოს ტყის პირას შეჩერება" (გვ.77) კრებულიდან „რობერტ ფროსტის პოეზია", გამოცემული ედგარდ კონერი ლათემის მიერ. საავტორო უფლება © 1923, © 1969 – „ჰენრი ჰოლტი და კომპანია", © 1951 წლიდან – რობერტ ფროსტი, გადაბეჭდილი და თარგმნილი ჰენრი ჰოლტის და კომპანიის ნებართვით ბრიტანეთის თანამეგობრობაში კანადის გამოკლებით. „თოვლიან საღამოს ტყის პირას შეჩერება", „რობერტ ფროსტის პოეზია", გამოცემული ედგარდ კონერი ლათემის მიერ, დაბეჭდა ჯონათან კეიპმა. ნებართვა გასცა შპს „რენდომ ჰაუსმა" – დიდი ბრიტანეთი.

უოლეს სტივენსის ლექსი „ათ საათზე იმედგაცრუება" (გვ.77-78). უოლეს სტივენსის რჩეული ლექსებიდან. საავტორო უფლება ეკუთვნის უოლეს სტივენსს © 1923 წლამდე. განახლებულია © 1951 წელს მისსავე მიერ. იბეჭდება ალფრედ ა. კნოფის გამომცემლობის ნებართვით ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში. თარგმანისა და გამოცემის უფლებას იძლევა შპს „ლორენს პოლინჯერსი". უოლეს სტივენსი.

უილიამ კარლოს უილიამსის ლექსები „წითელი ურიკა"(გვ.78) და „ახალგაზრდა დიასახლისი" (გვ.66) კრებულიდან „რჩეული ლექსები". 1909-1039 წ. © საავტორო უფლება 1938 წლიდან ეკუთვნის „ნიუ დაირექშენის" საგამომცემლო კორპორაციას.

ლენგსტონ ჰიუზი. ლექსი „ზანგი მდინარეებს უმღერის" (გვ.81) კრებულიდან ლენგსტონ ჰიუზის "რჩეული ლექსები". საავტორო უფლება 1926 წლიდან – ალფრედ ა. კნოფის კორპორაციას და განახლებული 1954 წელს ლენგსტონ ჰიუზის მიერ. იბეჭდება ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში გამომცემლობის ნებართვით. ასევე. ჰაროლდობერის და კომპანიის ნებართვით. საავტორო უფლება 1994 წლიდან ეკუთვნის ლენგსტონ ჰიუზის მემკვიდრეებს.

რენდოლ ჯარელის ლექსი „მეტყევიამფრქვევის სიკვდილი" (გვ.94) ჯარელის „რჩეული ლექსებიდან". © 1945 რენდოლ ჯარელი, © 1990 წლიდან მერი ფონ შრადერ ჯარელისა. იბეჭდება ფარარ სტრაუსისა და ჟიროს მიერ ნიუ-იორკის „როდა უიერის სააგენტოს" ნებართვით.

ამ კრებულში მოთავსებული ზოგი ილუსტრაციაც აგრეთვე სარგებლობს საავტორო უფლებებით. წიგნში ეს უშუალოდ ილუსტრაციებზეა აღნიშნული. მათი გადაბეჭდვა არ შეიძლება საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე.

# თავი 1

## ადრეული ამერიკული და კოლონიური ხანა 1776 წლამდე

ამერიკული ლიტერატურა ინდიელი ტომების კულტურის წიაღში აღმოცენებული ლეგენდების, ზღაპრების და ლირიკის (ძირითადად სიმღერები) ზეპირი გადმოცემებიდან იღებს დასაბამს. ხუთასზე მეტი სხვადასხვა ენისა და კულტურის ტომიდან, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის მიწაზე დახვდა ევროპელებს, არც ერთს არ გააჩნდა დამწერლობა და ამან განაპირობა ის, რომ ამერიკული ეროვნული ზეპირსიტყვიერება, კულტურა ერთობ მრავალფეროვანი და მრავალპლასტიანია. მაგალითად, ნავახოს ტომის სანადირო ამბები თავისი ხასიათით ძირეულად განსხვავდება მიწათმოქმედ პუებლოს ტომის, აკომას ამბებისაგან. ასევე, ჩრდილოეთის ტბების მოსახლე ოჯიბუას ტომის ლეგენდები სრულიად განსხვავებულია უდაბნოს ბინადარი ჰოპის ტომის ლეგენდებისაგან.

ინდიელთა ტომებმა თავის შთამომავლობას სათუთად შემოუნახეს წინაპართა ტრადიციები, კერპები, სათაყვანებელი ცხოველების, მცენარეების ხატები, თავიანთი გმირები. მმართველობის ფორმის ცვლამ დემოკრატიიდან უხუცესთა საბჭოსა თუ თეოკრატიისაკენ, – კვალი ინდიელთა კულტურის გენეზისსაც დაამჩნია. ეს ცვლილებები ზეპირმეტყველებასაც დაეტყო.

მიუხედავად ამ ცვლილებისა, მაინც შესაძლებელია ამერიკული ლიტერატურის პირველი ნიმუშების, ისევე, როგორც ყველა სხვა მოვლენის, სისტემატიზაცია. ინდიელთა ზეპირსიტყვიერება ბუნებისადმი თაყვანისცემის აშკარა გამოხატულებაა. ბუნება აღიქმება, როგორც ფიზიკური და სულიერი მშობელი დედა. იგი ცოცხალია, ბუნებრივი ძალებით აღჭურვილი: მთავარი მოქმედი გმირები შეიძლება იყვნენ ცხოველები, მცენარეები; ხშირად – ტოტემები, რომლებიც ტომთან, თემთან ან ცალკე ადამიანთან არის გაიგივებული. გვიანი ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის რალფ უოლდო ემერსონის ტრანსცენდენტური „ზე-სული" ინდიელთა წმინდანის ტიპური მაგალითია. „ზე-სული" მართავს ცხოვრებას და მისი არსია.

მექსიკური ტომები თაყვანს სცემდნენ ქუეთზოლქოუთლს, ტოლტეკებისა და აცტეკების ღმერთს, და მათ შესახებ ზღაპრებსა და ლეგენდებს საყოველთაოდ ავრცელებდნენ. და მაინც, არ არსებობს ვრცელი რელიგიური ცოდლი ერთი რომელიმე უზენაეს ძალაზე. „ძველი სამყაროს" წმინდანთა ცხოვრებაზე შექმნილი ლეგენდების უმრავლესობა ინდიელ წინასწარმეტყველთა მოღვაწეობისა და მოგზაურობების ნაყოფია. გარდა წმინდანებისა, ლეგენდებს თხზავდნენ სახალხო გმირებზეც. მაგალითად, ასეთი იყო ოჯიბუას ტომის მანაბოზო და კოიოტი ნავახოს ტომიდან. ტომის რჩეულებს სხვადასხვა ლეგენდებში განსხვავებულ პატივს მიაგებენ და სხვაგვარ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ. მაგალითად, თუ ერთ ლეგენდაში მთავარი პერსონაჟი კეთილშობილებას, სიმამაცეს განასახიერებს, ხშირად იგივე გმირი სხვა ლეგენდაში სულელის და ეგოისტის სიმბოლოა. ამერიკულ ლიტერატურაში ამ პერსონაჟებს „თრიქსთერები" (თაღლითები) შეარქვეს.

შვეიცარიელი ფსიქოლოგი კარლ იუნგი „თრიქსთერულ" ისტორიებს იმთავითვე უარყოფით შეფასებას აძლევდა და მათ ადამიანის ფსიქიკის ყველაზე დაბალ და ამორალურ გამოვლინებად მიიჩნევდა. იუნგისაგან განსხვავებით კი, თანამედროვე მკვლევარები, მათ შორის ამერიკელებიც, მიიჩნევენ, რომ ოდისევსი, პრომეთეოსი, ბერძნული მითოლოგიის სხვა პერსონაჟებიც იგივე „თრიქსთერები" არიან.

ამერიკულ-ინდიურ ლიტერატურაში დასტურდება ზეპირმეტყველების ნებისმიერი ჟანრი: ლირიკა, საგალობელი, მითი, ზღაპარი, ანეკდოტი, შელოცვები, ანდაზა, ოდა და ლეგენდა, მოგზაურობა, ჰიმნი, ქებათა-ქება, ზიარების და, რა თქმა უნდა, „თრიქსთერული" მოთხრობა. მათგან ზოგი აუწერელი პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად, სხვადასხვა ტომთა სხვადასხვაგვარად ნაამბობი ერთი ლეგენდა გვაუწყებს, რომ მსოფლიოს ბებერი კუ განაგებს. ჩეიენის ტომის ლეგენდის მიხედვით, შემოქმედი მაჰეო, ოთხი ცდის უშედე-

ბას იძლევა, რომ ქვეყანა ზღვის გამგებელს გამოუგლიჯოს ხელიდან. იგი წყლის ჩიტს ჩააყვინთინებს, ფსკერიდან მიწის ამოსატანად. ფრინველები ზეცას აიჭრებიან და შურდულივით ჩაეშვებიან წყალში, მაგრამ ამაოდ, ვერც თოლიას, ვერც ჩრდილოეთის გაგარას და ვერც გარეულ იხვს ფსკერიდან მიწა ვერ ამოაქვთ. მხოლოდ პაწია მელოტამ, რომელმაც ფრენაც კი არ იცის წესიერად, ფსკერიდან სავსე ნისკარტით მიწა ამოიტანა. მხოლოდ ერთი ქმნილების, რჩეული ბებია კუს ხვედრია, ქვეყნიერების მიწა თავის ჯავშანზე ზიდოს. მიწა, რომლის ჯავშანზე ტარების უნარი დიდმა მაპერომ მიანიჭა. ამერიკას ხომ ინდიელების ენაზე „კუს კუნძული" ჰქვია.

სიმღერები და ლექსები, ისევე როგორც გადმოცემები, მოთხრობები, ხშირად სახოტბო, მსუბუქსა და იუმორისტულ ჟანრში გადაინაცვლებენ ხოლმე. ხშირია იავნანები, საომარი ჰიმნები, ოდები, სასიყვარულო სიმღერები, სიმღერები სავანგებოდ თამაშობებისათვის, გართობები, გუნდური სიმღერები, მედიტაციები და საცეკვაო რიტუალები. სიმღერებში ტექსტიც და მელოდიაც ხშირად რამდენჯერმე მეორდება. ზიარების სიმღერებში ზოგჯერ მკაფიო, რეალურ, ზედმიწევნით სადაგ სახეებს ამოვიცნობთ, ისევე როგორც იაპონურ ჰაიკუში ან აღმოსავლეთის გავლენით დაწერილ იმაჟისტურ პოეზიაში. აი ასეთია ჩიპევას სიმღერა:

გაგარაა მეთქი, გავიფიქრე
თურმე ჩემი შეყვარებულის
ნიჩბმა შემომაშხეფა.

ზიარების სიმღერები უმეტესწილად მოკლე, თავისებური ფორმით გამოირჩევიან. სიზმრებისა და ხილვათა ლექსები ხშირად სრულიად მოულოდნელად ნადირობის, სიყვარულის, მკურნალობის თემატიკას უკავშირდება. ისინი ზოგჯერ ძალზე ინტიმური არიან:

მე
სიმღერა ვარ
მე აქ დავდივარ.

ინდიელთა ტომების ზეპირი შემოქმედება და მისი მიმართება ზოგადი საყოველთაო ამერიკული ლიტერატურისადმი ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი და ჯერაც შეუსწავლელი სფეროა ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში და მთელ ამერიკულ მეცნიერებაში. ინდიელთა კულტურის წვლილი ამერიკულ ლიტერატურაში ბევრად უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე ეს დღემდე დადგენილი. ინდიელთა ენიდან გადმოსულმა სიტყვებმა: „კანოე", „ტაბაკო", „პოტეიტო", „მოკასინი", „მუსი", „პერსიმონ", „რაქუნ", „ტომაჰავკი" და „ტოტემი" გაამდიდრეს ისედაც სიტყვაუხვი ინგლისური ენა. ხოლო ის ამერიკული ეროვნული ლიტერატურა, რომელზეც ამ წიგნის 8 თავშია საუბარი, ინდიელთა კულტურის შედევრებითაცაა ნაზავი.

## დალაშქვრისა და ათვისების ლიტერატურა

მსოფლიო ისტორიის ჩარხი ოდნავ სხვაგვარად რომ დატრიალებულიყო, შესაძლოა ამერიკის შეერთებული შტატები დღეს ესპანეთის, საფრანგეთის ან ოკეანის გაღმა რომელიმე ძლიერი იმპერიის ნაწილი ყოფილიყო და მის მოსახლეობასაც ესპანურად ესაუბრა და მექსიკასთან ერთად ერთი ერი შეექმნა. არც ის იყო გამორიცხული, რომ ამერიკელებს ფრანგულად ელაპარაკათ და ფრანკოფონის კვებეკს და მონრეალს შეერთებოდნენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ამერიკის პირველი აღმომჩენები არც ესპანელები იყვნენ, არც ინგლისელები და არც ფრანგები. პირველი ევროპული ნაწერი ამერიკის მატერიკზე შესრულებულია სკანდინავთა ენაზე. XI საუკუნის პირველი ნახევრის ძველი ნორვეგიული ვინლენდის საგა მოგვითხრობს, რა ხიფათიანი და ფათერაკიანი იყო ლეიფ ერიკსონის და სხვა მოხეტიალე ჩრდილოელების მოგზაურობა ამერიკის ჩრდილო-დასავლეთის რომელიღაც სანაპიროზე – იგულისხმება ალბათ კანადა – ნოვა სკოტია. და ეს იყო დაახლოებით 400 წლით ადრე, ვიდრე ევროპა „ახალ სამყაროს" აღმოაჩენდა.

ამერიკის პირველი მნიშვნელოვანი და საქვეყნოდ აღიარებული კონტაქტი დანარჩენ სამყაროსთან მაინც დიდი იტალიელი მოგზაურის და მკვლევარის ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციიდან დაიწყო. ექსპედიციას ესპანელი მონარქები ფერდინანდი და იზაბელა მფარველობდნენ. კოლუმბის „ეპისტოლე" (1499) გამოწვლილვით ასახავს მოგზაურობის სიმძიმეს: ადამიანთა შიშსა და ძრწოლას აბობოქრებული სტიქიის, ურჩხულებისა და მოჩვენებების წინაშე, იმ შემაძრწუნებელ განცდას, რომ ერთ საბედისწერო დღეს გემი

ქვეყნის დასალიერს მიადგებოდა და ყველანი უსასრულობაში დაინთქმებოდნენ. ქარცვაცლილი მეზღვაურების შეთქმულებების შესახებ, იმაზე, თუ რა გონებამახვილურად შეადგინა თავისი „კაპიტნის ჟურნალი", ისე, რომ ვერავინ ამჩნევდარიყო, რა მანძილზე იყვნენ მეზღვაურები უკვე ზღვაში შესულები, რომ პირველი ხმელეთი თვალსაწიერზე რომ გამოჩნდა, ამერიკის მიწა იყო.

ამერიკელი ინდიელებისა და ევროპელების პირველ ურთიერთობათა ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის ასალგაზრდა მღვდელი ბართოლომე დე ლას კასასი. მისი სახელი კუბის დაპყრობას უკავშირდება. კასასმა გაშიფრა კოლუმბის დღიური და მოგვიანებით დაწერა ინდიელთა ცხოვრების ვრცელი და მრავლისმეტყველი ისტორია, სადაც აშკარად ამხელდა ესპანელების მიერ ინდიელთა დამონების ფაქტებს.

ინგლისური კოლონიზაციის პირველი მცდელობანი სტიქიურ უბედურებებს უკავშირდება. პირველი კოლონია 1585 წელს დაარსდა როანოუკში, ჩრდილო კაროლინას სანაპიროს ტერიტორიაზე. კოლონისტთა მთელი შემადგენლობა უკვალოდ გაქრა. დღემდე მოღწეულია ლეგენდები კროატანის ტომის ცისფერთვალა ინდიელების შესახებ, რომლებიც თითქოს ამ ტერიტორიაზე სახლობდნენ. მეორე კოლონია შედარებით ვამძლე გამოდგა: ჯეიმსთაუნი დაარსდა 1607 წელს. ამ კოლონიამ სასწაულებრივად გაუძლო შიმშილს, სიხასტიკეს, მოუთოკავ ქაოსს და განუკითხაობას. უცნაურია, მაგრამ ამ პერიოდის ლიტერატურაში ამერიკა აღწერილია, როგორც აყვავებული, მდიდარი, ახდენილი ოცნებებისა და ჯერაც გაუგონარი წარმატებების ქვეყანა. კოლონიზატორების ამგვარი შეფასებები და შთაბეჭდილებები მთელ მსოფლიოს მოედო. როანოუკის დალაშქრის და კვლევის დეტალები გულდასმით აქვს ჩაწერილი თომას ჰარიოტს თავის წიგნში „მოკლე და მართალი ამბავი ახლად აღმოჩენილი ქვეყნის ვირჯინიის შესახებ" (1588). ჰარიოტის წიგნი უმალ ითარგმნა ლათინურად, ფრანგულად და გერმანულად; ტექსტი და სურათები გრავიურით იყო შესრულებული და 200 წლის მანძილზე რამდენჯერმე ხელახლა გამოიცა.

ჯეიმსთაუნის კოლონიის მატიანეს ავტორი კაპიტანი ჯონ სმითი გახლდათ. ჯონ სმითის ჩანაწერები ფორმითა და შინაარსით რადიკალურად განსხვავდებოდა ჰარიოტის კეთილსინდისიერი მეცნიერული გამოკვლევისაგან. სმითი თავად გამოუსწორებელი რომანტიკოსი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მოგზაურობის ყოველი დღე მხატვრული გამონაგონით გაამდიდრა. სწორედ მის კალამს ეკუთვნის ერთობ თავშესაქცევი ამბავი ინდიელთა ტომის ბელადის ქალიშვილ პოკაჰონტზე. ბელეტრისტიკის მოყვარულები მის მონათხრობს თუ სინამდვილეს, მთავარი მაინც ისაა, რომ იგი ამერიკის ისტორიის ლეგენდად იქცა. ლეგენდა კი მოგვითხრობს: ინდიელთა ტომის ბელადის პოვატანის უსაყვარლესმა ქალიშვილმა პოკაჰონტამ ინდიელების მიერ დატყვევებული კაპიტანი სმითი სიკვდილს გადაარჩინა. მოგვიანებით ინგლისელებმა დაიყოლიეს პოჰატანი, მათთვის მძევლად გაეტანებინათ პოკაჰონტა. გოგონას სათნოებამ, სილამაზემ და თანდაყოლილმა კეთილშობილებამ მოხიბლა ინგლისელი ჯენტლმენი: 1614 წელს ქალი ბრიტანელი ჯონ როლფის მეუღლე გახდა. ამ ქორწინებამ ინგლისელ კოლონიზატორთა და ინდიელთა რვაწლიან მშვიდობიან თანაარსებობას ჩაუყარა საფუძველი; ეს სამაგალითო გახდა მეზობელ კოლონისტთათვის, რომლებიც გაუთავებელ ომს აწარმოებდნენ ადგილობრივ ინდიელებთან.

მე-17 საუკუნეში მეკობრეებმა, თავგადასავალთა მაძიებლებმა და დამპყრობლებმა პერმანენტული კოლონიზაციის ახალი ტალღა წამოიწყეს. მათ თან ჩამოჰყავდათ ცოლ-შვილი, ჩამოჰქონდათ სოფლის მეურნეობის იარაღები და სხვა ტექნიკური საშუალებები. დაპყრობის ლიტერატურის ადრეულ ნიმუშებს წარმოადგენდა ახალჩამოსულების სამგზავრო დღიურები, პირადი წერილები, კაპიტნის ჟურნალები და ფინანსური ანგარიშგებები, ექსპედიციების უზრუნველმყოფთათვის – მერკანტილური ინგლისის, ჰოლანდიის, ევროპის საბირჟო კომპანიების და ბოლოს, ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების მიმართ წარდგენილი ანგარიშები. დროთა ვითარებაში ეს კერძო წერილები უკვე დაფუძნებული კოლონიების ოფიციალურმა ანგარიშებმა შეცვალა.

ისტორიული პროცესები ისე განვითარდა, რომ ჩრდილო ამერიკის კოლონიებში სწორედ ინგლისმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება, ამიტომ შეერთებული შტატების ყველაზე



მხატვარი ჯ. ლ. ჯ. ფერისი აღწერს ამერიკელთა პირველ მოსახლეებს და ადგილობრივი ამერიკელების მოსავლის დღესასწაულს

გავრცელებული და ანთოლოგიურად წარმოდგენილი ლიტერატურა ინგლისურენოვანი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამერიკის ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურა არსებითად მხოლოდ XX საუკუნეში განვითარდა და ვინაიდან მას შემდეგ ცხოვრება ამერიკაში კიდევ უფრო და უფრო მრავალკულტურიანი ხდებოდა, ლიტერატურისა და სოციოლოგიის მკვლევარები მის შერეულ ეთნიკურ მემკვიდრეობაში სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს აწყდებოდნენ.

მართალია, ამერიკული ლიტერატურის ისტორია ძირითადად ინგლისურ პირველწყაროებს ეყრდნობა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ლიტერატურის მდიდარი კოსმოპოლიტური ფესვებიც.

## კოლონიური ხანა ახალ ინგლისში

შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე განათლებული კოლონისტები პურიტანები იყვნენ. 1630-1690 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო რეგიონში, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, ახალ ინგლისში, თითქმის იმდენივე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული აღირიცხებოდა, რამდენიც პურიტანთა დედასამშობლოში. ყოვლად მიუღებელია მოსაზრება, თითქოს მხოლოდ არისტოკრატები იყვნენ განათლებულნი და მწიგნობარნი, ისინი თითქოს სასახლეში ისხდნენ და სულაც არ აპირებდნენ სიცოცხლის შეწირვას ველური ტერიტორიების ათვისების სიფათიანი საქმისათვის. თავგანწირული და სავსებით ბედის იქით-მქცეული პურიტანი იმდენად ძლიერი იყო. პურიტანებს კარგი განათლება ჰქონდათ და სჭირდებოდათ კიდეც ღვთის ნების აღსასრულებლად, რადგანაც დაპყრობილ, ათვისებულ ახალ ინგლისში თავიანთ კოლონიებს აარსებდნენ. პურიტანთა განმარტებით, კარგი წიგნი ოჯახში ღვთის სიხარულისა და სითბოს დამამკვიდრებელია; ის აღვიძებს მარად ახსენებს სულის საცდუნებელი ძალების არსებობას, იმ ხიფათის, რასაც უქადის მის სულს მიწიერი ცხოვრება. მისი შემოქმედებითი სტილი და მანერა საოცრად ნაირფეროვანი და მრავალწახნაგოვანი იყო. ურთულესი მეტაფიზიკური პოეზიის გვერდით შეხვდებოდით ჟანრისას, დაბალი ლიტერატურული დონის ჟურნალს და, ამავე დროს, უმკაცრესი პურიტანიზმით დაწერილ რელიგიურ ისტორიას. მიუხედავად ჟანრობრივი თუ სტილური მრავალფეროვნებისა, არ იცვლებოდა დაკანონებული თემები. ცხოვრება აღიქმებოდა გამოცდად: ვინც გამოცდას ვერ გაუძლებდა, მას ჯოჯოხეთი ელოდა, გამარჯვებულისათვის კი სამოთხის კარია ღია. ეს ქვეყანა ღვთიური და სატანური ძალების ბრძოლის ველი იყო. სატანა – კაცობრიობის დაუძინებელი მტერი, დედამიწაზე მანკიერებათა მთესველი იყო. ჭეშმარიტი პურიტანების ერთი ნაწილი სრულიად სერიოზულად ელოდა იესოს მობრუნებას მიწაზე, რათა უზნეობისათვის ბოლო მოეღო და დაემ-

ყარებინა მშვიდობისა და კეთილდღეობის ათასწლეული.

მეცნიერებმა ადრევე შენიშნეს პურიტანიზმსა და კაპიტალიზმს შორის მონათესაობა: ორივე ემყარება პატივმოყვარეობას, დაუღალავ შრომას და წარმატებისადმი უსაზღვრო ლტოლვას. გასაგებია, რომ ცალკეულ პურიტანებს მაინც არ შეეძლოთ მკაცრი თეოლოგიური კანონების პირობებში განესაზღვრათ „გადარჩნენ" თუ არა, და გაეხსნათ თუ არა გზა სამოთხისაკენ. პურიტანები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ამქვეყნიური წარმატება ამქვეყნიური რჩეულობის დამადასტურებელი ნიშანი არის. სიმდიდრე და საზოგადოებრივი მდგომარეობა არა მარტო მათი ხსნის სრულყოფას ნიშნავს, არამედ სულიერი განწმენდის, სიჯანსაღის, სიმშვიდისა და ნეტარი ამქვეყნიური ცხოვრების გარანტიაც იყო.

მეტიც, ძალაუფლებისა და მართვის კონცეფცია ერთობ ამხნევებდა ადამიანს და წარმატებისთვის ბრძოლის სურვილს უღვივებდა. პურიტანები ნებისმიერ საგანს, მოვლენას, საქციელს ღრმად რელიგიური სიმბოლიკით ტვირთავდნენ და ამგვარად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ; მათი ღრმა რწმენით, ცალკეული ადამიანის წარმატება და ზრუნვა თავისი თემის კეთილდღეობისათვის, – ღმერთის მსახურების და მისი ნების აღსრულების ტოლფასი იყო. ისინი არ განასხვავებდნენ საერო და რელიგიურ სფეროებს: სამყაროს არსებობა უზენაესის ნების გამოხატულებაა – დოგმა, რომელიც შემდეგ ტრანსცენდენტალიზმში განვითარდა მცირედი ცვლილებით. ამა თუ იმ მოვლენის გადმოცემისას, ამ მოვლენისათვის უფრო ღრმა სულიერი დატვირთვა რომ მიენიჭებინათ, პურიტანი ავტორები ჩვეულებრივ ბიბლიურ ტექსტებს მოიხმობდნენ ხოლმე, თავისა და მუხლის ზუსტი მითითებით, ისტორია მათთვის სიმბოლური რელიგიური პანორამა გახლდათ, სადაც პურიტანები ტრიუმფით მიუძღვოდნენ თავის ხალხს ახალ სამყაროში, ანუ ღმერთის სასუფეველში დედამიწაზე.

ახალ ინგლისში დასახლებული პირველი პურიტანი კოლონისტები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ თავიანთ რეფორმატორულ იდეებს ქრისტიანობაში. „პილიგრიმებად" წოდებულნი, ისინი მორწმუნეთა პატარა ჯგუფს წარმოადგენდნენ; 1608 წელს, რეპრესიებამდე ინგლისიდან გადასახლდნენ ჰოლანდიაში, რომელიც მაშინაც კი რელიგიური ტოლერანტობით გამოირჩეოდა.

სხვა პურიტანთა მსგავსად, „პილიგრიმებიც" ბიბლიის თავისებურ ინტერპრეტაციას მიმართავდნენ, ისინი კითხულობდნენ და ამუშავებდნენ ახალი აღთქმის პავლე მოციქულის ეპისტოლეთაგან ერთ-ერთის, „მეორე კორინთელთა მიმართ" ტექსტს: „განვედი მათგან და განცალკევდი, თქვა უფალმა". რადგან ინგლისური ეკლესიის შიგნიდან განწმენდის იმედი არ ჰქონდათ, „სეპარატისტებმა" იატაკქვეშა ეკლესიების „ლიგა" შექმნეს, რომელიც ერთგულებას ეფიცებოდა ჯგუფს და არა მონარქს.

როგორც ხელმწიფის ურჩნი, შეჩვენებული ერეტიკოსები და ექსტრემისტები რეპრესიებისა და დევნის საგნად გადაიქცნენ და სწორედ ამან განაპირობა მათი გადმოსვლა „ახალ სამყაროში".

## უილიამ ბრედფორდი (1590-1657)

პირველივე სეპარატისტებმა, რომლებმაც ფეხი დადგეს ამერიკის მიწაზე, თავიანთი ერთ-ერთი უპირველესი კოლონიის, მასაჩუსეთსის ყურის, პლიმუთის გუბერნატორად უილიამ ბრედფორდი აირჩიეს – ღრმად მორწმუნე, თვითნასწავლი პიროვნება, რომელმაც რამდენიმე ენა შეისწავლა, მათ შორის ებრაულიც, რათა ღვთის სიტყვა მისი მშობლიური ენის სრულქმნილებით შეეგრძნო. უილიამ ბრედფორდს ყველა მონაცემი ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი კოლონიის იდეალური მემატიანე გამხდარიყო. მან გამოიარა ჰოლანდიიდან პლიმუთამდე საქვეყნოდ ცნობილ „მეიფლაუერზე" ნაოსნობის ფათერაკიანი დღეები, იყო პლიმუთის გუბერნატორი და ჰქონდა უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება. მისი „პლიმუთის პლანტაციის ისტორია" (1651) კოლონიის ტერიტორიის პირველ დასახლებათა სრული მატიანეა. ამერიკის მისეული ხედვა ერმა მადლიერებით აღიქვა.

> ახალი გადალახული ჰქონდათ თვალუწვდენელი ოკეანე და უბედურებების ზღვა... ნაპირზე კი – არავინაა შემხვედრი, არც მეგობარი, არც სასტუმრო, ქარისგან ალეწილი სახე რომ დაიამო და წყალი შეაპკურო, ოკეანეზე ნაოსნობით გვემული სხე-

ული რომ დაასვენო. არც სოფლებია, არც ქალაქები, ვის გინდა რომ შველა თხოვო – უბირ ბარბაროსებს, მკერდში რომ გაგირჭობენ ისარს? ყველაფერ სიკეთესთან ერთად ზამთარი იდგა. ის, ვინც უწყის, რა ზამთრები იცის ამ მხარეს, მიხვდება, როგორი მძიმე და მწარე უნდა ყოფილიყო ის პირველი ზამთარიც, ქარიშხლებისა და დაწყევლილი ყინვების ხანა. ასეთი მიწა დახვდა ოკეანეგადმოსვრილ მეზღვაურებს. ნაპირი – უშველებელი მიწა დაბურული ტყეებითა და ჯაგნარით, ირგვლივ ყოველივე პირქუში და მიუსაფარი იყო.

ამასთან ერთად, ბრედფორდმა ჩაიწერა ინგლისის „ახალ სამყაროში" კოლონისტების თვითმმართველობის დროს მიღებული პირველი დოკუმენტი – „მეიფლაუერის შეთანხმება". ის დაიწერა პურიტანების ნაოსნობის დროს და საუკუნე ნახევრის შემდეგ მიღებული თავისუფლების დეკლარაციის წინამორბედადაც მოგვევლინა.

პურიტანები გმობდნენ ყოფა-ცხოვრების ისეთ მიწიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ცეკვა და ბანქოს თამაში. ყოველივე ამას ისინი ურწმუნო არისტოკრატთა უზნეობად მიიჩნევდნენ. მათთვის საძრახისი იყო „მსუბუქი" წიგნების წერა და კითხვაც. პურიტანი სწავლულები თავიანთ მოზღვავებულ ენერგიას უფრო ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ხარჯავდნენ: პოეზია, თეოლოგიური ტრაქტატები, ისტორია, ქადაგებანი. მათი პირადი დღიურების და მედიტაციების ჩანაწერები მიგვანიშნებენ ამ თვითკრიტიკული, ძლიერი ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროზე.

## ანა ბრედსტრითი (1612-1672)

ამერიკელის მიერ დაწერილი პირველი დასტამბული პოეტური კრებულის ავტორი ქალი გახლდათ – ანა ბრედსტრითი. არ არის გასაკვირი, რომ წიგნი ინგლისში დაიბეჭდა. ადრეულ კოლონიურ ხანაში ამერიკა ბეჭდვითი გამოცემებით არ იყო განებივრებული. ანა ბრედსტრითი დაიბადა და გაიზარდა ინგლისში. იგი საგრაფოს გუბერნატორის ქალიშვილი გახლდათ. 19 წლის ასაკში თავის ქმარ-შვილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. მისი მეუღლე ბოლოს მასაჩუსეთსის ყურის კოლონიის გუბერნატორი გახდა (ეს ადგილი შემდეგ დიდ ქალაქ ბოსტონად იქცა). ანა ბრედსტრითს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსები რელიგიურ თემაზე, ასევე ზოგად მოვლენებზე, ბუნებაზე. თანამედროვე მკითხველს კი მისი გონებამახვილური, ყოფითი ხასიათის ლექსები ურჩევნია, რომელსაც მეუღლესა და შვილებს უძღვნიდა. ინგლისური მეტაფიზიკური პოეზიით შთაგონებული პოეტი ქალი წერს ლექსების კრებულს „მეათე მუზა შემოიჭრა ამერიკაში", რომელსაც აშკარად ატყვია ედმუნდ სპენსერის, ფილიპ სიდნეის და ზოგიერთი სხვა ინგლისელი პოეტის გავლენა. ბრედსტრითის პოეზიაში ჭარბობს ხატოვანი ან გავრცობილი მეტაფორები. ლექსს, „ჩემს ძვირფასს და სათაყვანებელ მეუღლეს" (1678) არც აღმოსავლური გამომხატველობა აკლია, არც სიყვარულის ამაღლებული თემა, არც პარალელიზმები, რომლებიც ასე მოდაში იყო იმ ხანის ევროპულ პოეზიაში და მაინც ყოველივე ეს რელიგიური სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და მასვე ემსახურებოდა:

თუ ოდეს ორი ყოფილა ერთი, ეს ჩვენ ვიყავით,
თუ ოდეს ქმარი ჰყვარებია ცოლს, ეს შენ იყავი.
თუ ოდეს მდედრი ბედნიერი ყოფილა მამრში
მე ვიყავი ის დედოფალი, მე შემეჯიბრეთ!
ქვეყნიერების ოქროს ვანაცვლებ მე შენს სიყვარულს,
აღმოსავლეთის ბზინვარება თვალს ვერ მიბრმავებს,
მინთია შენი ტრფობის ალი, ასე ძლიერი
ადიდებული მდინარეც რომ ვერას დააკლებს.
ეგ შენი ტრფობა ძალას მმატებს, სიცოცხლით მავსებს.
ხარ საჩუქარი ღვთისმიერი, შენზე ვლოცულობ,
ჩვენ რომ გვაცოცხლებს სიყვარული, ჩვენთან არს, ღმერთო!
ჩვენთან იქნება უკვდავებაც სიკვდილის შემდეგ.

## ედუარდ ტეილორი (1644-1729)

ანა ბრედსტრითის და ახალ ინგლისში მოღვაწე პირველი პოეტების მსგავსად, გამოჩენილი პოეტი და პასტორი ედუარდ ტეილორი ინგ-

ლისში დაიბადა. მამამისი ფერმერი იოშენი იყო, ეს ნიშნავდა, რომ იგი მიწის ნაკვეთის ფლობდა. თავად ტეილორი მასწავლებელი გახლდათ. 1668 წელს იგი გაემგზავრა ახალ ინგლისში და იქ დასახლდა. სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. როგორც ყველა ჰარვარდელმა მღვდელმა, კარგად შეისწავლა ლათინური, ებრაული და ბერძნული. ღრმად მორწმუნე და საქმისათვის თავდადებული, იგი ნაყოფიერად ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას ახალმოსახლეთა კომუნებში. ცხოვრების უმეტესი ნაწილი ფრონტიერის ქალაქ ვესტფილდში გაატარა და იქაური ეკლესიის მოძღვარი იყო. დაბურული, უღრანი ტყეებით გარშემორტყმული ვესტფილდი მასაჩუსეტსის ყურედან 160 კილომეტრით იყო დაშორებული.

ამ რეგიონში ტეილორი ყველაზე განსწავლული პიროვნება იყო და, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, მთელი თავისი ცოდნა და განათლება საზოგადო საქმეებს მოახმარა, როგორც მეცნიერმა, მოძღვარმა, მწერალმა და დასტაქარმა.

ამ თავმდაბალ, ღვთისმოსავ და უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანს სიცოცხლეში არც ერთი თავისი ლექსი არ გამოუქვეყნებია. ფართო საზოგადოებამ ისინი მხოლოდ 1930 წელს გაიცნო. ის დღე, როცა მისმა პოეზიამ დღის სინათლე იხილა, ტეილორისთვის, ალბათ, ღვთის საჩუქარი იქნებოდა. ჩვენ, თანამედროვე მკითხველები კი არანაკლებ მადლიერნი უნდა ვიყოთ, რომ ღმერთმა მე-17 საუკუნის პოეზიის ამ უმშვენიერეს ნიმუშებს გვაზიარა. ედუარდ ტეილორმა ამერიკელებს მემკვიდრეობად სხვადასხვა სტილისა და ჟანრის ლექსები დაუტოვა: სამგლოვიარო ელეგიები, ლირიკა, შუასაუკუნეების „დებატები“ და 500 გვერდიანი „ქრისტიანობის მოწამეობის ისტორია“ (მარტვილთა ცხოვრების ისტორიები). თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებს ტეილორის უმნიშვნელოვანეს ნამუშევრად მედიტაციების მოკლე კონსპექტური სერიები მიაჩნიათ.

## მაიკლ უიგლსუორთი (1631-1705)

მაიკლ უიგლსუორთი, ედუარდ ტეილორის მსგავსად, წარმომავლობით ინგლისელი იყო. დამთავრებული ჰქონდა ჰარვარდის უნივერსიტეტი და პურიტანელი მოძღვარი გახლდათ. ახალ ინგლისში იგი რიგით მესამე პოეტად მოიხსენიებოდა, ყველაზე ცნობილი მისი ნაწარმოებია „განკითხვის დღე“ (1662). ამ ლექსის ავტორი ჭეშმარიტი პურიტანელია. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი სასტიკად გაწელილია, ხშირად უზომოდ გადატვირთული კალვინისტური დოგმების აგიტაციით, იგი იმდროინდელი ახალი ინგლისის ეგრეთ წოდებულ ბესტსელერად ითვლებოდა და ასახავდა ღვთისგან შერისხული ადამიანის შემაძრწუნებელ პორტრეტს.

პოეზიისა ამ ლექსს არაფერი აცხია და მაინც ყველას პირზე ეკერა. ბავშვები სიამოვნებით და ომახიანად კითხულობდნენ ზეიმებზე, უფროსები შემთხვევას არ უშვებდნენ, ხელსაყრელ ვითარებაში ტექსტიდან ციტატა რომ მოემარჯვებინათ. მოკლედ, მთელი შეგნებული ამერიკა ერთიანად ამ რელიგიური ტერორის მისტიკური ძალით სუნთქავდა. უნდა ითქვას, რომ სწორედ „განკითხვის დღემ“ შეასრულა ამერიკულ ლიტერატურაში ამ ნაპერწკლის როლი, რომელმაც შემდეგ საშინელებათა მოთხრობების საოცრად პოპულარული ჟანრი გააღვივა და ჯონ კალვინი შვა. ლექსში აღწერილი უსასტიკესი და უმწარესი სასჯელები ბევრად არ განსხვავდება ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერ ასოში“ აღწერილი ცოდვილი მოძღვარი არტურ დიმსდეილის შემზარავი ჭრილობისაგან, ანდა ჰერმან მელვილის ბედისგან დაწყევლილი კაპიტან აქაბის ხვედრისაგან, აქაბისა, რომელსაც ახალი ინგლისის ფაუსტს ეძახიან და ვინც მიუწვდომელის წვდომის საბედისწერო ჟინით ატანილმა, ამერიკული ჰუმანიზმის გზა დასაძირად გასწირა „მობი-დიკში“ („მობი-დიკი“, მეორე დიდი ამერიკელის, XX საუკუნის გამოჩენილი მწერლის უილიამ ფოლკნერის უსაყვარლესი ნაწარმოები იყო. თვით ფოლკნერმა თავისი ჩახლართული, ურთულესი ნაწარმოებებით გვაგრძნობინა, რომ პროტესტანტული ამერიკის ბნელ, მეტაფიზიკურ სულებს ძალა არ დაუკარგავს). თითქმის მთელი კოლონისტური ლიტერატურა, ახალი ინგლისის ადრეული პოეზია მისი დედასამშობლოს, ევროპის, მიღწევათა გადამღერებაა, თუმცა რელიგიური ფანატიზმი, ბიბლიით უზომო გატაცება, ახალი გარემო და უცხო პირობები ახალი ინგლისის მწერლობას გარკვეულ დამოუკიდებლობას სძენდა. მთელი მსოფლიოსაგან ოკეანით იზოლირებული ახალი სამყაროს მწერლები ტრანსპორტისა და

ელექტროკომუნიკაციების ჩასახვის პერიოდში ცხოვრობდნენ. შედეგი კი ის იყო, რომ ისინი ყავლგასულ ევროპულ ლიტერატურას ბაძავდნენ. მაგალითად, თავისი დროის შესანიშნავი ამერიკელი პოეტი ედუარდ ტეილორი მეტაფიზიკურ პოეზიას წერდა მაშინ, როცა ინგლისში ეს მიმდინარეობა დიდი ხნის გასული იყო მოდიდან. ზემოთქმულის მიუხედავად, კოლონიურ იზოლაციაში, დრო და დრო ტეილორის შემოქმედებაშიც და სხვა ავტორთა ნაშრომებშიც მაინც გამოერეოდა ორიგინალობითა და მხატვრული ღირებულების თვალში საცემი ერთი-ორი მარგალიტი.

კოლონიის მწერლები, ცოტა არ იყოს, უვიცებად ჩანდნენ ისეთი ბუმბერაზი ავტორიტეტების გვერდით, როგორიც, მაგალითად, ინგლისელი ბენ ჯონსონი იყო. ზოგი მწერალი კატეგორიულად არ ცნობდა განსხვავებული რელიგიური მრწამსის ინგლისელ პოეტებს, ამიტომ კიდევ უფრო იზღუდავდა თავს და მისი თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა ის მრავალი უმშვენიერესი მხატვრული ნიმუში, რომელიც ინგლისურ ენაზე იქმნებოდა. მეტიც, ბევრი კოლონისტი ქვეყანაში წიგნების ნაკლებობის გამო საერთოდ ჩამორჩა მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ და სოციალურ პროცესებს.

წესის, რწმენის და ცხოვრების ერთადერთი გზამკვლევი ინგლისურ ენაზე თარგმნილი ავტორიზებული ბიბლია იყო, რომელიც ინგლისში გამოსვლისთანავე მოძველებულად აღიარეს, მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ ბიბლიის ასაკმა შეასრულა; იგი რომანულ ეკლესიაზე გაცილებით ხანდაზმული იყო და ამდენად, პურიტანების თვალში გაცილებით მეტი ავტორიტეტი ჰქონდა.

ახალი ინგლისის პურიტანები ძველ აღთქმაში ნაამბობ რწმენისათვის დევნილ ებრაელთა ლეგენდას საკუთარ მოღვაწეობას უსადაგებდნენ, მიიჩნევდნენ რა, რომ ებრაელთა მსგავსად ისინიც რწმენისთვის იდევნებოდნენ, ისინიც ხომ მხოლოდ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებდნენ, იყვნენ რჩეულნი, ვისაც ღმერთმა ახალი იერუსალიმის – სამოთხის აშენება დააკისრა დედამიწაზე.

პურიტანები ბევრ საერთოს პოულობდნენ ძველი აღთქმის ებრაელთა თავგადასავალთან: მოსემ ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა. ღმერთის ნებით და ძალით, წითელი ზღვა შუაზე გაიყო და უფალმა ებრაელებს გაქცევის საშუალება მისცა, შემდეგ წმინდა კანონების წიგნიც დაუწერა ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ. პურიტანელი მღვდლებიც მიიჩნევდნენ, რომ ისინიც მოსეს მსგავსად თავის ერს მწყემსავდნენ, როცა სულიერად დაკნინებული ინგლისიდან მათ ოკეანის გაღმა, ახალი ინგლისისაკენ მიუძღოდნენ. ღმერთის სასწაულმოქმედების წყალობით მათაც გადალახეს მძვინვარე ოკეანე და ღვთისავე ნებით ახალი კანონები და მმართველობის ახალი ნორმები მიიღეს.

კოლონიურ სამყაროს ყოველთვის ახასიათებდა არქაულობა და ამ მხრივ არც ახალი ინგლისი იყო გამონაკლისი. ახალი ინგლისის პურიტანები არქაულები იყვნენ მოწოდებით, მრწამსით და გარემოების გამოც.

## სამუელ სიუელი (1652-1730)

ღრმად რელიგიურ, ბიბლიის ციტატებით გადატვირთულ პოეზიასთან შედარებით, ბევრად უფრო ადვილი საკითხავი იყო ისტორიული და საერო ხასიათის ჩანაწერები, რომლებიც რეალურ ყოფას და ცხოვრებისეულ წვრილმანებს ასახავდნენ. მაგალითად 1790 წლით დათარიღებული გუბერნატორ ჯონ უინთროფის „ჟურნალი“ ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს ადრეული მასაჩუსეტსის ყურის კოლონიის ყოფაცხოვრებისა და პურიტანთა პოლიტიკური მრწამსის შესახებ.

სემუელ სიუელის დღიური, რომელიც 1674-1729 წლებს მოიცავს, მეტად მიმზიდველი და სასალისო, ცხოვრებისეული ლიტერატურული წყაროა. ბიოგრაფიით იგი ბევრად არ განსხვავდებოდა თავისი წინამორბედი კოლონისტი მწერლებისაგან, ბრედფორდისა და ტეილორის მსგავსად, იგიც ინგლისში დაიბადა. ადრეულ ასაკში იყო, როცა მისი ოჯახი ახალ ინგლისში დასახლდა და მოგვიანებით ბოსტონის პროვინციაში. მანაც ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა, მუშაობდა ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და სასულიერო თანამდებობებზე.

სიუელი ისეთ დროს დაიბადა, როცა ქვეყანაში გარდამტეხი ძვრები მიმდინარეობდა, მკაცრი პურიტანული ცხოვრების წესი ცოცხალი, მიწიერი იანკის ბოგინობით შეიცვალა. ამ ძვრებთან დაკავშირებული პრობლემები მან მთელი სიგრძე-სიგანით შეიგრძნო. მისი დიური,

რომელსაც ხშირად სემუელ პეპის ამავე პერიოდის ინგლისურ დღიურებს ადარებენ, ზედმიწევნით ზუსტად აღწერს გარდაქმნის ხანას.

სიუელიც, პეპის მსგავსად, თავის დღიურში პუნქტუალურად ასახავს თავის პატიოსან და ღვთის სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას. აღუნიშნავს არ ტოვებს არც ერთ წვრილმანს. თუნდაც ისეთს, როგორიცაა საყვარელი ქალისათვის ნაყიდ ტკბილეულზე დახარჯული თანხა. დღიურში ასევე დეტალურადაა მოთხრობილი შეყვარებულთან ურთიერთობაზე, ამ უკანასკნელის არისტოკრატიული ფუფუნებით ცხოვრებისადმი მიდრეკილების გამო, რაც პარიკების ცვლასა და ეტლით სეირნობაში გამოიხატებოდა.

## ᲛᲔᲠᲘ ᲠᲝᲣᲚᲔᲜᲓᲡᲝᲜᲘ (1635-1678)

მერი როულენდსონი გახლდათ პირველი პროვინციელი ქალი, პასტორის ცოლი, რომელმაც მხატვრული სრულყოფილებით მოგვითხრო, თუ რა გადახდა ინდიელებთან ორკვირიანი ტყვეობისას, 1676 წელს; ეს იყო ინდიელთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის ხანა. ამ წიგნმა უდავოდ გააღვივა ანტიპათია ინდიელთა ტომებისადმი და გამოიწვია შურისძიების ახალი ტალღა. დაახლოებით ასეთივე სიძულვილი ინდიელებისადმი განაპირობა თავის დროზე ჯონ უილიამსის „გამოსყიდულმა ტყვემ" (1707). ამ ნაწარმოებში შემზარავი სიზუსტითაა ასახული უილიამსის ცხოვრების ის ორი წელი, რომელიც მან ჯერ ფრანგების და შემდეგ ინდიელების ტყვეობაში გაატარა, ინდიელთა ჟლეტის შეწყვეტიდან ცოტა ხნის შემდეგ. მწერალ ქალთა თხზულებანი ძირითადად პირადულ, საოჯახო ჩანაწერებს წარმოადგენდნენ. ეს ჩანაწერები ავტორისაგან დიდ ცოდნასა და განათლებას არ მოითხოვდნენ, მაგრამ არც გამოუსადეგარი იყვნენ, ვინაიდან ქალთა მწერლობაში ყოველთვის იდო ყოფითი რეალიზმის და სადი, პრაქტიკული აზროვნების მარცვალი. იგივე ითქმის თუნდაც სარა ქემბლ ნაითის „დღიურზე" (დაიბეჭდა გარდაცვალების შემდეგ, 1825 წელს), სადაც მოთხრობილია მწერალი ქალის უზომოდ გაბედულ, მარტოდმარტო მოგზაურობაზე ბოსტონიდან ნიუ-იორკამდე და იქიდან კვლავ ბოსტონამდე. ეს ნაწარმოები სავსებით თავისუფალია ბაროკოს სტილის კაზმულობისაგან და პურიტანული გაწელილი დიდაქტიზმისაგან.

## ᲙᲝᲢᲝᲜ ᲛᲔᲘᲖᲔᲠᲘ (1663-1728)

კოტონ მეიზერის გარეშე წარმოუდგენელია ახალი ინგლისის კოლონიური ლიტერატურა. დიდი დოგმატიკოსი კოტონ მეიზერი, მეიზერების ოთხი თაობის დინასტიის მესამე ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ მასაჩუსეთსის კოლონიიდან. დაწერილი აქვს 500-ზე მეტი წიგნი და პამფლეტი. „მაგნალია ქრისტი ამერიკანა" (ახალი ინგლისის ეკლესიასტური ისტორია) (1702), მისი ყველაზე პრეტენზიული წიგნი, ახალი ინგლისის ისტორიის ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს და ცოცხალ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს შეიცავს. ეს სქელტანიანი თხზულება მოგვითხრობს წმინდა პურიტანელი მამების, მისიონერების მოღვაწეობაზე ახალ ინგლისში „აღთქმული ქვეყნის" დასაარსებლად. ნაწარმოები ისეა აგებული, რომ „წმინდანები" თვითონ ყვებიან თავიანთი ცხოვრების ამბავს. ამიტომ ავტორი თავისი მეტყველებითი სტილის პომპეზურობის მიზეზს თვითონვე ხსნის: „მე ვწერ ქრისტიანული რელიგიის სასწაულმოქმედებაზე, ევროპული მარწუხებიდან თავდახსნისა და ამერიკის სანაპიროებზე დასხდომის შესახებ".

## ᲠᲝᲯᲔᲠ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (1603-1683)

მიუხედავად პურიტანთა თავგამოდებული ძალისხმევისა და აქტიური მცდელობისა, წინ აღსდგომოდნენ ტოლერანტობის მოახლოებულ ტალღას, მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის რელიგიურ დოგმატიზმს საფუძველი მაინც შეერყა. ხუცესი როჯერ უილიამსი, რომ იტყვიან, საკუთარი რელიგიური მრწამსის მსხვერპლი გახდა. წარმოშობით ინგლისელი იყო, უბრალო მკერავის შვილი. 1636 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, გუბერნატორის მიერ საიდუმლო გაფრთხილების შემდეგ, მან დატოვა მასაჩუსეთსი და იძულებული გახდა ინდიელთა ტომისათვის შეეფარებინა თავი. 1636 წელს უილიამსმა დააარსა ახალი კოლონია როდ აილენდი, სადაც სიამოვნებით ღებულობდნენ სხვადასხვა რჯულისა და რელიგიის ადამიანებს.

განათლება როჯერ უილიამსმა კემბრიჯის უნივერსიტეტში (ინგლისი) მიიღო. მთელი ცხოვრება თანაუგრძნობდა მშრომელ ხალხს და პატივს სცემდა განსხვავებულ აზრს. მისი შეხედულებები დროს უსწრებდნენ. როჯერ უილიამსი იმპერიალიზმის ყველაზე ადრეული

კრიტიკოსი გახლდათ. იგი ქადაგებდა, რომ ევროპელ მეფეს ამერიკის მიწების სასაჩუქრო ქარტიით გაცემის არავითარი უფლება არ გააჩნდა, ვინაიდან ეს მიწა, უპირველეს ყოვლისა, მის მკვიდრ მოსახლეობას, ინდიელებს ეკუთვნოდა. ამასთან, უილიამსი მოითხოვდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან. ამერიკაში ეს პრინციპი უცვლელად დღესაც მოქმედებს. უილიამსი აცხადებდა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, დასაჯონ ადამიანი განსხვავებული რწმენისათვის. ამ გამოსვლით იგი ძირს უთხრიდა ახალ ინგლისში მძვინვარე მკაცრ თეოკრატიას. თანასწორობისა და დემოკრატიის მოტრფიალე როჯერ უილიამსი დიდი სიმპათიით იყო განმსჭვალული ინდიელებისადმი. მისი ნაყოფიერი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ინდიელთა ტომების ენათა პირველი ფრაზეოლოგიური კრებული „ამერიკის ენების გასაღები" (1643). ამ წიგნს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ იგი პირველ ეთნოგრაფიულ ღირსშესანიშნაობასაც წარმოადგენს. აქ დეტალურადაა ნაამბობი ყოველივე, რაც ნახა და გაიგონა უილიამ როჯერსმა ინდიელ ტომებთან ცხოვრებისას. თითოეული თავი ცალკე საკითხს ეძღვნება, მაგალითად, ჭამის რიტუალს, სამზარეულოს, ინდიელთა სიტყვები და ფრაზები გადმოცემულია განმარტებების, ანეკდოტებისა და დასკვნითი ლექსის დართვით. აი, მაგალითად, პირველი თავი ასე მთავრდება:

„თუ ველური და თვინიერი
ორთავ ბუნების ერთ ნაშიერნი,
ეყოთ კეთილი, თავაზიანი
არ მოუტანიათ მოყვასს
ზიანი".



კოტონ მეიზერი

თავში, რომელშიც ინდიელთა გასართობი რიტუალებისთვის დამახასიათებელი ფრაზები და სიტყვებია განმარტებული, უილიამსი წერს: „უცნაურია, მაგრამ ჭეშმარიტებაა, ამ ბარბაროსთა გართობები ბევრად უფრო თავისუფალი და სასალისოა, ვიდრე მათი, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანებს უძახიან".

როჯერ უილიამსის ბიოგრაფია უნიკალური და სამაგალითოა. ინგლისში მოგზაურობისას, მაშინ, როდესაც იქ სასტიკი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, უილიამსმა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით მოახერხა ახალი ინგლისიდან დიდძალი შეშის პარტიების მიწოდება ლონდონის გაჭირვებული უბნებისათვის, რომელთაც ნახშირით მომარაგება შეუწყვიტეს. უილიამსი თავის ტრაქტატებს რელიგიურ შემწყნარებლობაზე მარტო განსხვავებული ქრისტიანული სექტებისათვის კი არ წერდა, არამედ არაქრისტიანებისთვისაც. „ღმერთის ნებასურვილი იყო მიენიჭებინა ადამიანისათვის უფლება, სადაც უნდა იქ ილოცოს, ამ რწმენას ემსახუროს, რომელიც თვითონ სურს. წარმართულის, იუდეურის, თურქულის და ეს უფლება ღმერთმა ყველა ერს მიანიჭა" – წერდა იგი თავის ცნობილ ტრაქტატში „აზროვნების დევნის სისხლიანი დოქტრინა" (1644). სათნო და კეთილშობილ ინდიელთა მრავალფეროვან კულტურასთან ზიარებამ როჯერ უილიამსის შემოქმედებას, ცხადია, მეტი სიბრძნე და გამომსახველობა შესძინა.

ინდიელთა ტომების ქრისტიანებად მოქცევის ორი ხერხი არსებობდა. მაგალითად, ჯონ ელიოტმა ბიბლია თარგმნა ნარაგანსეთზე. ზოგი ინდიელი ღებულობდა ქრისტიანობას, ამერიკული

კრეოლური ეკლესია დღესაც განასახიერებს ქრისტიანობასა და ინდიელთა ტრადიციული რწმენის ნაზავს.

ტოლერანტობის და რწმენის თავისუფლების ნაპერწკალი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით გაღვივდა ამერიკის კოლონიებში, არსებითად როდ აილენდში და პენსილვანიაში, ანუ კვაკერთა სამშობლოში აინთო. ჰუმანური და ტოლერანტი კვაკერები, ანუ „მეგობრები", როგორც მათ ეძახდნენ, მიიჩნევდნენ, რომ თითოეული პიროვნების შინაგანი თავისუფლება უმაღლესი მორალისა და სოციალური წესრიგის გარანტია. ფუნდამენტალისტი კვაკერები ჭეშმარიტ სიყვარულს და ძმობას ქადაგებდნენ, ყველაზე დემოკრატიულ იდეებს, რითაც აშკარა ოპოზიციაში ედგნენ დოგმატურ რელიგიურ იდეოლოგიას. მას შემდეგ, რაც გამოძევებულ იქნენ მკაცრი პურიტანული მასაჩუსეტსიდან, იმისათვის, რომ მათი გავლენა და მიმდევრობა სალემში უფრო და უფრო იზრდებოდა, კვაკერებმა უილიამ პენის მეთაურობით 1681 წელს ძლიერი კოლონია ჩამოაყალიბეს პენსილვანიაში.

## ჯონ ვულმენი (1720-1772)

კვაკერთა ნაშრომებიდან ყველაზე აღიარებული გახლდათ ჯონ ვულმენის კრებული „ჟურნალი" (1774), სადაც საოცარი გულახდილობითაა გადმოცემული ავტორის შინაგანი ცხოვრება. ამ ნაწარმოებმა ვულმენს საყოველთაო მიმდევრობა მოუტანა. იმისათვის, რომ უკეთ შეესწავლა ინდიელთა ადათ-წესები, მან მიატოვა თავისი მყუდრო ბინა ქალაქში და ინდიელთა მომთაბარე ტომს შეუერთდა. მათი ცხოვრების წესისა და მისწრაფებათა თანაზიარი გახდა. „მე მინდოდა მათი ცხოვრება შემესწავლა, მათი სულის მოძრაობა შემეგრძნო" – ასე მარტივად გამოხატავს ვულმენი თავის განზრახვას. სამართლიანობის პატივისმცემელი მწერალი, ცხადია, არ ერიდებოდა სოციალური უსამართლობის კრიტიკასაც: „მე კარგად ვიცოდი, რომ ბევრი თეთრკანიანი რომით ვაჭრობს ინდიელებთან, რაც მიუტევებელ ბოროტებად მიმაჩნია".



ჯონათან ედვარდსი

ჯონ ვულმენის სახელს უკავშირდება ამერიკულ ლიტერატურაში პირველი ანტიმონათმფლობელური ნაწარმოებების დაბადების ფაქტიც. ამ თემას მან ორი ესსე მიუძღვნა: „ზოგიერთი მოსაზრება ზანგთა მონობის თაობაზე" – 1754 წელს და მეორე ესსე იგივე სათაურით, 1762 წელს. მოწოდებით ხელოვანი, იგი ხელისუფლებისა და სამართლის კანონთა „მაღალი მორჩილებით" აფიქსირებდა ყოველივეს, რაც უსამართლობად მიაჩნდა და ამგვარად მთელი საუკუნით გაუსწრო ჰენრი თოროს ასევე აღიარებულ ესსეს, როგორიცაა „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა" (1849).

## ჯონათან ედვარდსი (1703-1758)

ჯონათან ედვარდსი, ჯონ ვულმენის სრული ანტიპოდია. იგი კვაკერთა ასპარეზზე გამოსვლამდე 17 წლით ადრე დაიბადა. ვულმენს ღრმა, აკადემიური განათლება არ მიუღია. ედვარდსი კი ყველაზე განსწავლული მოღვაწე გახლდათ. ვულმენი თავის შინაგანი ხმის კარნახით მოქმედებდა. ედვარდსი – სულისკვეთებას, კანონს და ავტორიტეტებს ემორჩილებოდა. ორივენი ნიჭიერი, გამოცდილი მწერლები იყვნენ, მაგრამ სრულიად სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობას ემსახურებოდნენ და ერთმანეთის ოპოზიციურ მხარეებს წარმოადგენდნენ.

ედუარდსი მთელი თავისი არსებითა და მიწოდებით დრომოჭმული პურიტანული მრწამსის ტყვეობაში იყო და თავგამოდებით იცავდა მკაცრ, პირქუშ კალვინიზმს ლიბერალიზმის ნებისმიერი გამოვლინებისაგან. ცნობილი ქადაგება-მუქარა „ცოდვილნი განრისხებული ღმერთის ხელში“ (1741) ედუარდსის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშადაა აღიარებული.

> „ღმერთს რომ შენთვის ხელი გაეშვა, უმალ უძირო ყურეში ჩაძირული აღმოჩნდებოდი და ჩამწრიპალი, ისე, რომ ცოდვებსაც კი ვერ მოინანიებდი. ღმერთს ჯოჯოხეთის ორმოზე უკავიხარ ისე, როგორც ცეცხლის ალზე უჭირავთ ხოლმე ობობა, ან სხვა რაიმე უგვანო მწერი და ქვეწარმავალი... [see note]

ედუარდსის ეს ქადაგება საოცარ ზემოქმედებას ახდენდა. ხანდახან მთელი მრევლი ისტერიულ ექსტაზშივარდებოდა, შიშით ძრწოდა, გოდებდა და ცრემლად იღვრებოდა. დროთა განმავლობაში, სწორედ ამგვარმა სიმკაცრემ და დაუნდობლობამ, შიშის ჩანერგვამ დაუკარგა მრევლი კალვინისტებს, რომელთაც ასე თავგამოდებით იცავდა ჯონათან ედუარდსი. მისი დოგმატური, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქადაგებანი ველარ ესადაგებოდა მე-18 საუკუნის თავისუფალ, მატერიალურ კეთილდღეობას დაწაფებულ კოლონისტთა სულიერ ვნებებს. ედუარდსის შემდეგ ქვეყნის იდეოლოგიაში ლაღი, ლიბერალური და ტოლერანტული ტენდენციები იკრებს ძალას.

## სამხრეთისა და ცენტრალური კოლონიების ლიტერატურა

წინარევოლუციური სამხრეთული ლიტერატურა არისტოკრატული და ელიტარული იყო: იგი უშუალოდ გამოხატავდა სამხრეთის პლანტატორთა სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს. პირველი ინგლისელი ემიგრანტები სამხრეთისკენ ილტვოდნენ სწორედ ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების და არა იქ გავრცელებული თავისუფალი რელიგიური შეხედულებების გამო. თვით სამხრეთელთა უმრავლესობა ღარიბი ფერმერები ან უბრალო ხელოსნები იყვნენ და, მონებთან შედარებით, ოდნავ უკეთ თუ ცხოვრობდნენ. განათლებული სამხრეთელები კი „ძველი სამყაროს“ არისტოკრატიის კლასიკურ იდეალს განასახიერებდნენ და ამ ხატის შექმნაში უმთავრეს როლს, რა თქმა უნდა, მათი პლანტაციები და მონათმფლობელობის ინსტიტუტი ასრულებდა. ეს ინსტიტუტი მდიდარ სამხრეთელებს საერთოდ ათავისუფლებდა ფიზიკური შრომისგან, ნებივრობის უსაზღვრო საშუალებებს სთავაზობდა და არისტოკრატიული ცხოვრების „ამერიკულ ოცნებას“ სამხრეთის მიწაზე რეალურს ხდიდა. პურიტანთა ქადაგებებს შრომისმოყვარეობის, განათლების და პატიოსნების თემაზე აქ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. სამაგიეროდ, ერთობ მოდაში იყო ცხენზე ჯირითი და ნადირობა. ეკლესია სამხრეთში ელიტალური ფენის ინტერესთა დაცვის ცენტრს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანთა სულის თავშესაფარს, განსჯისა და განწმენდის ნავსაყუდელს.

### უილიამ ბერდი (1674-1744)

იმ პერიოდის სამხრეთული კულტურა ძირითადად ჯენტლმენის ხატის შექმნას ემსახურებოდა, – აღორძინების ხანის დაღებითი გმირი, იგი ფერმაშიც ისეთივე მარჯვე და შორსმჭვრეტელია, როგორც მეცნიერებაში. კლასიკურ ბერძნულსაც კარგად ფლობს და ყოვლისშემძლე ფეოდალისა და დიდი მთავრის (ლორდის) სახელსაც ღირსეულად ატარებს. იგი სრულყოფილების სიმბოლოა.

თავის ცნობილ წერილში, რომელიც 1726 წლით არის დათარიღებული, უილიამ ბერდი ინგლისელ მეგობარს, ლორდ ჩარლზ ბოილს ასე აღუწერს თავის ბრწყინვალე ცხოვრებას ვესტოვერის პლანტაციაში:

> „გარდა იმისა, რომ სუფთა ჰაერს ვსუნთქავთ, ჩვენ, პლანტაციის მფლობელები ბევრი სხვა უპირატესობებითაც ვსარგებლობთ, თანაც უსასყიდლოდ. მე დიდი ოჯახის პატრონი ვარ, ჩემი სახლის კარი მუდამ ღიაა სტუმრისათვის, არაფრის ყიდვა არ მჭირდება, ნახევარი კრონი ხანდახან წლობით დამაქვს ჯიბით. პატრიარქის მსგავსად, მყავს დიდი მრევლი, მწყემსი და ფარა, მონები. ჩემი ხალხი დაუღალავად

შრომობს და ვაჭრობს ყველგან. ასე რომ, ვარ სრულიად დამოუკიდებელი, არავინ არის ჩემი განმგებელი, უფლის გარდა".

ამ წერილის მიხედვით და საერთოდ ცხოვრების წესით, უილიამ ბერდი სამხრეთელი კოლონიზატორის ტიპური წარმომადგენელი გახლდათ. მემკვიდრეობით მიღებული 1.040 ჰექტარი პლანტაცია მან 7.160 ჰექტარამდე გაზარდა. იყო გამჭრიახი ვაჭარი, ფინანსისტი და პლანტატორი. მისი ბიბლიოთეკა, რომელიც 3.600-ზე მეტი დასახელების წიგნისაგან შედგებოდა, სამხრეთში ყველაზე მდიდარ ბიბლიოთეკად ითვლებოდა. დაიბადა ჭეშმარიტ ინტელიგენტად და ასევე აღიზარდა. მამამისმა, მდიდარმა და გავლენიანმა პლანტატორმა იგი განათლების მისაღებად ევროპაში გააგზავნა (ინგლისი, ჰოლანდია). იგი სასურველი სტუმარი გახლდათ საფრანგეთის სამეფო კარზე, დიდი სიმპათიები დაიმსახურა კეთილშობილ თავად-აზნაურთა წრეში და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახდა. მალე იმ დროის გამოჩენილ ინგლისელ მწერლებს დაუმეგობრდა, კერძოდ უილიამ უიჩერლის და უილიამ კონგრივს. მისი ლონდონური დღიური ძირფესვიანად განსხვავდება ახალი ინგლისის პურიტანთა ჩანაწერებისაგან: საზეიმო წვეულებანი, პომპეზური დროსტარება, გაჩახჩახებული დარბაზები, თვალწარმტაცი ქალბატონები და, შიგადაშიგ – მედიტაციები, ფიქრები სულიერებაზე.

უილიამ ბერდს სახელი მისმა ცხოვრებისეულმა მემუარულმა თხზულებამ „გამყოფი ხაზის ისტორია" მოუტანა. ეს არის 1729 წლის დღიური, მაშინ ბერდმა რამდენიმე კვირის განმავლობაში 960 კილომეტრი გაიარა, რათა ორ კოლონიას, ვირჯინიასა და ჩრდილო კაროლინას შორის საზღვარი შეესწავლა. უკიდეგანო, აუთვისებელმა სივრცეებმა, ინდიელებმა, ნახევრად გაველურებულმა თეთრკანიანებმა, მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების საუფლომ, მკაცრმა, პირქუშმა გარემომ, წარუშლელი კვალი დააჩინა ცივილიზებული ყმაწვილის სულს, რომელმაც განცდილი მძაფრი შთაბეჭდილებანი ამერიკულ და, კერძოდ კი, სამხრეთულ წიგნში გადმოსცა. ბერდი დაუნდობლად აქილიკებს პირველ ვირჯინიელ კოლონისტებს: „ასი კაციდან, თითქმის ასივე თაღლითია, ოჯახში არც ერთი არ შეიშვება". შემდეგ ჯეიმსთაუნელებს ამასხარავებს: „როგორც ჭეშმარიტ ინგლისელებს შეჰფერით, მათ 50 ფუნტად ეკლესია ააგეს, გვერდით კი – ტავერნა, რომელიც 500 ფუნტი დაჯდა". ბირდის შემოქმედება ფასეულია აგრეთვე იმითაც, რომ იგი უტყუარად გადმოგვცემს სამხრეთელთა ხასიათს, სწორად შენიშნავს მათ გამძაფრებულ სწრაფვას ყოველივე მატერიალურისადმი: მიწის, ინდიელთა, მცენარეთა, ცხოველთა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

## რობერტ ბევერლი (1673-1722)

მეორე მდიდარი პლანტატორი – მწერალი რობერტ ბევერლი გახლდათ. მის კალამს ეკუთვნის ჩანაწერების კრებული „ვირჯინიის აწმყო და წარსული" (1705-1722). ამ წიგნში იგი ძალზე დახვეწილი სტილითა და ნაზი სიყვარულით მოგვითხრობს ვირჯინიის ისტორიაზე. ბერდის მსგავსად, ბევერლიც აღტაცებული იყო ინდიელთა ღირსებებით და დასცინოდა ევროპაში გაგონილ იმ უცნაურ ცრურწმენას ვირჯინიაზე, თითქოს ყველა თეთრკანიანი, რომელიც ამ მიწაზე ფეხს დაადგამს, უმალ გაშავდებათ. ბევერლი ხოტბას ასხამდა სამხრეთელთა სტუმართმოყვარეობას; სამხრეთელები დღესაც ამაყობენ ამ გამორჩეული თვისებით.

იუმორი და სატირა – ლიტერატურა, სადაც გამასხარავებული და გამათრახებულია მანკიერება, სიბრიყვე, სიტლანქე, ძალზე პოპულარული იყო კოლონიურ სამხრეთში. თავგაბეზრებულ ახალმოსახლეთა ერთმა ჯგუფმა ტრაქტატში „ჯორჯიის კოლონიის ისტორიის ქრონიკები" (1741) სასტიკი პასკვილი შეთხზა ჯორჯიის ქველმოქმედ დამაარსებელზე გენერალ ჯეიმს ოგლთორფზე. ისინი უღრმეს მადლობას მოახსენებდნენ მამა-მარჩენალს იმისთვის, რომ სიღარიბისგან სულამოხდილებსა და შრომისგან ქანცდაწყვეტილებს „უღრმესი მადლიერების გრძნობა ეუფლებათ დამცირების გამო" და „შიში პატივმოყვარეობის ყოველი გამოვლინებისადმი".

პოპულარული პოემა „თამბაქოს ფაქტორი" სატირული პამფლეტია მერილენდის კოლონიაზე, სადაც ავტორს, ინგლისელ ებენეზერ კუკს ხელი მოეცარა თამბაქოს ბიზნესში. კუკმა კოლონიის ცხოვრება ნატიფი, დახვეწილი ინგლისური იუმორით გადმოსცა და კოლონისტებს თაღლითობასა და მექრთამეობაში

დახლო ბრალი. პოემის ფინალში გამწარებული ვაჭარი წყევლა-კრულვით ისხენიებს კოლონიასა და მის შემქმნელებს: „ღმერთმა დასწყევლოს ეს უნაყოფო მიწა, სადაც კაცს ღირსება არ აწუხებს და ქალს პატიოსანი სახელი".

შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლონიური სამხრეთის კულტურაში აშკარად შეინიშნება საერთაშორისო ლიტერატურული ტრადიციები. ინგლისური ლიტერატურის გავლენის მიუხედავად, სამხრეთელებმა ახალი სამყაროს მასივილიგონივრული, ზედმიწევნითი წარმოსახვის წყალობით, ნაწილობრივ მაინც მოიპოვეს თვითმყოფადობა.

### ოლაუდა ექუიანო (გუსტავუს ვასა) (1745-1797)

ისეთი თვალსაჩინო შავკანიანი მწერლები, როგორიც ოლაუდა ექუიანო და იუპიტერ ჰემონი იყვნენ, სწორედ კოლონიურ პერიოდში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. ექუიანო, ერთ-ერთი პირველი შავკანიანი მწერალი, წარმოშობით დასავლეთ აფრიკელი ნიგერიელი ზანგი იყო. მის კალამს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოები „საინტერესო ამბავი აფრიკელი ოლაუდა ექუიანოს ან გუსტავუს ვასას ცხოვრებიდან" (1789). ამ წიგნში ექუიანო დეტალურად აღწერს თავის დედასამშობლოს, მისი ტყვედყოფნის საშინელებებს და მონობას ვესტინდოეთში. ეს წიგნი ნარატიული ჟანრის ადრეული მაგალითია. ექუიანო, რომელიც ქრისტიანად მოინათლა, გულსაკლავად გადმოსცემს ქრისტიანების ყოვლად არაქრისტიანულ დამოკიდებულებას მის მიმართ. ეს პირველი სასოწარკვეთილი ამოძახილი, საუკუნეების განმავლობაში რეფრენივით გასდევდა აფრო-ამერიკელი მწერლების შემოქმედებას

### იუპიტერ ჰემონი (1720-1800)

ისიც შავკანიანი მონა იყო ლონგ აილენდიდან. ნიუ-იორკში მას იცნობენ სასულიერო ხასიათის ლექსებით და ასევე „მიმართვით ნიუ-იორკის შტატის ზანგთა მიმართ" (1787), რომელშიც დაჟინებით მოითხოვს მონათა შვილების გათავისუფლებას მემკვიდრეობით მინიჭებული მონობიდან. მისი პოემა „საღამოს ფიქრი" ზანგი მამაკაცის ხელით დაწერილი პირველი დაბეჭდილი ლიტერატურული ნაწარმოები იყო.

# თავი 2

## დემოკრატიის სათავეები რევოლუციური მწერლობა (1776-1820)

ამერიკის სისხლიანი რევოლუცია ბრიტანელი დამპყრობლების წინააღმდეგ (1775-1783) იყო პირველი თანამედროვე ომი კოლონიური ჩაგვრის მოსასპობად. ამერიკის რევოლუციის ტრიუმფული გამარჯვება ბევრისთვის ღვთის ნების აღსრულებას მოასწავებდა და იმასაც მიანიშნებდა, რომ ამერიკა და მისი ერი, ღმერთისგან ხელდასხმულნი, მოწოდებულები იყვნენ დიდი საქმეებისთვის. სამხედრო წარმატებამ ეროვნული სულისკვეთება კიდევ უფრო გააღვივა. ამან თავის მხრივ მყარი საფუძველი შეუქმნა დიდი ამერიკული ლიტერატურის აღმოცენებას. ცნობილი პოლიტიკური და დოკუმენტური ნაშრომების გარდა იქმნებოდა მხატვრული ლიტერატურის არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიმუშები.

ამერიკულ მწერლობას ინგლისში მკაცრად აკრიტიკებდნენ. ამერიკელები უკვე მტკივნეულად განიცდიდნენ ინგლისური ლიტერატურის ზეგავლენას და მისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ეროვნული ლიტერატურის შექმნა ერის კულტურული არსებობის აზრად და მიზნად გადაიქცა.

1816 წელს ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის რედაქტორი წერდა: „სხვაზე დამოკიდებული ერი ღირსებაყრილი და დაქვეითების გზაზე შემდგარი ერია. მუდამ სხვისი კარნახით ცხოვრება მიუტევებელი დანაშაულია, რაც ერში საყოველთაო სიზარმაცესა და გონებრივ დასნეულებას უწყობს ხელს".

კულტურული რევოლუცია სხვაა, სამხედრო – სხვა. კულტურული რევოლუციის შედეგის დანახვას დრო სჭირდება. იგი ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების თანაზიარობაში იბადება და ვითარდება. რევოლუცია ადამიანის სულიერი მდგომარეობის სარკეა. 50 წელი დასჭირდა ამერიკას, სრული კულტურუ-

ლი დამოუკიდებლობისათვის საკმარისი გამოცდილება რომ დაეგროვებინა და მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ამერიკის კლასიკოსების პირველი თაობა: ვაშინგტონ ირვინგი, ჯეიმს ფენიმორ კუპერი, რალფ უოლდოუ ემერსონი, ჰენრი დევიდ თორო, ჰერმან მელვილი, ნათანიელ ჰოთორნი, ედგარ ალან პო, უოლტ უიტმენი და ემილი დიკინსონი. ამერიკის ლიტერატურის დამოუკიდებლობას ხელს უშლიდა და აფერხებდა ისიც, რომ მას, ჯერ კიდევ ინგლისურ მწერლობასთან აიგივებდნენ. ჯერ საგრძნობი იყო ინგლისური და კლასიკური ლიტერატურის გავლენა ახალგაზრდა ამერიკულ ეროვნულ ლიტერატურაზე, და ბოლოს, ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში მეტად ძნელდებოდა წიგნის გამოცემა.

რევოლუციონერი მწერლები, მიუხედავად განუზომელი პატრიოტიზმისა, თვითშემეცნებასა და თვითგამორკვევას საჭიროებდნენ. მათი ცნობიერების ფესვები ეროვნული ნიადაგისგან საკმაოდ შორს იყო. რევოლუციური თაობის კოლონისტი მწერლები წარმოშობით ინგლისელები იყვნენ, ინგლისის მოქალაქეებად დაბადებულნი და აღზრდილნი. ამიტომ, ქვეცნობიერად, ცხოვრების წესით, ქცევებითა და ჩაცმულობითაც კი ისინი ტიპური ინგლისელები გახლდნენ. მათი მშობლებიც ინგლისელები იყვნენ, მეგობრებიც. ამას ზედ ისიც ემატებოდა, რომ ამერიკული ლიტერატურა მხატვრული ღირებულებით ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩებოდა ინგლისურს ან მის ამერიკულ გადამღერებას წარმოადგენდა. თვით ინგლისში, მათი ნახევარსაუკუნოვანი აღიარების შემდეგაც, ამერიკელი მწერლები ინგლისელი ნეოკლასიკოსი მწერლების ჯოზეფ ედისონის, რიჩარდ სტილის, ჯონათან სვიფტის, ალექსანდრ პოუპის, ოლივერ გოლდსმითის და სემუელ ჯონსონის უდიდეს გავლენას განიცდიდნენ.

ამას ისიც ემატებოდა, რომ ახალი ნაციის ჩამოყალიბების პროცესში ნიჭიერი და განათლებული შემოქმედნი ძირითადად პოლიტიკურ, სამართლებრივ და დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ. ამ სფეროებში უფრო რეალური იყო აღიარების, პატივისა და მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭა. მხატვრული შემოქმედებით ფულს ვერ იშოვიდი. ის პირველი ამერიკელი მწერლები, რომელნიც ინგლისური ლიტერატურის წიაღს გაექცნენ, ფაქტობრივად, თანამედროვე გამომცემლების გარეშე დარჩნენ, მათ მკითხველთა ფართო აუდიტორიაც დაკარგეს და ვერც საავტორო უფლებებით სარგებლობდნენ. საგამომცემლო პრივილეგიები – წიგნის გავრცელება და რეკლამა ჩანასახის სტადიაში იყო.

1825 წლამდე ამერიკელ მწერალთა უმრავლესობა საკუთარი ხარჯებით გამოსცემდა წიგნებს. საკუთარი წიგნის ხელშეწყობისგან დამოუკიდებლად გამოცემა მხოლოდ შეძლებულ მწერლებს ხელეწიფებოდათ, ისეთებს, როგორიც იყვნენ ვაშინგტონ ირვინგი, ნიუიორკელ ნიკერბოკერთა დასი და კონექტიკუტელ პოეტთა ჯგუფი, რომელთაც „ჰარტფორდელ მახვილგონიერებს" ეძახდნენ.

ჩარლზ ბროკდენ ბრაუნი იმ ეპოქის მწერალთა ტიპური წარმომადგენელი გახლდათ. მას კალამს რამდენიმე საინტერესო, გოთურ სტილში დაწერილი რომანი ეკუთვნის. ბრაუნმა, ამერიკელ მწერალთაგან პირველმა, სცადა შემოსავლის წყაროდ მწერლობა გაეხადა, თუმცა ისედაც ხანმოკლე ცხოვრება უკიდურეს სიღარიბეში გალია.

მკითხველი აუდიტორიის სიმცირე ამერიკელი მწერლების მეორე პრობლემა იყო. განსწავლულ საზოგადოებას თვალი მაინც გამოჩენილი ევროპელი ავტორებისკენ გაურბოდა, რადგან, ქვეცნობიერად, სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი ძველი მმართველების კულტურისადმი თაყვანისცემა – და, თუ იმდროინდელი ამერიკულ სალიტერატურო მემკვიდრეობას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ არცთუ უსაფუძვლოდ. შესაბამისად, მკითხველის გულგრილობაც ამუხრუჭებდა ამერიკული ეროვნული ლიტერატურის განვითარების პროცესებს. დროთა ვითარებაში ჟურნალისტიკაში ჰონორარის პრაქტიკა დაინერგა. შემოქმედთათვის ეს დიდი შეღავათი იყო, მაგრამ მკითხველის გულს სერიოზული, გონების დასაძაბი, ექსპერიმენტული ნაშრომებით ვერ მოიგებდი. მას მსუბუქი, სახალისო მოკლე მოთხრობა ან ესსე ერჩია.

საავტორო უფლებების და, საერთოდ, ბეჭდვის კანონების უქონლობამ ლიტერატურულ ცხოვრებაში უძრაობა გამოიწვია. ამერიკელი გამომცემლები, რომლებიც ნადირობდნენ მომგებიან, ფაქტობრივად უფასო ინგლისურ ბესტსელ[illegible], არ [illegible]-სათვის [illegible] ამერიკელი მწერლების პოპუ-

ლარიზაციისათვის, არც ფულის გადაყრა სურდათ: იცოდნენ, რომ მათი წიგნების გამოცემა დიდ მოგებას ვერ მოიტანდა. უცხოური წიგნის არაკანონიერ გადმობეჭდვასა და გავრცელებაზე თვალის დახუჭვა კოლონიებისათვის გაწეულ შეღავათს ნიშნავდა და ერთობ ხელსაყრელი იყო ისეთი ამწყობისათვის, როგორიც, მაგალითად, ბენჯამენ ფრანკლინი იყო. იგი ხელმეორედ ბეჭდავდა მთელ კლასიკას და დიდ თანამედროვე ავტორებს, რათა განათლება შეეტანა ამერიკაში.

ფრანკლინის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ამგვარი „მეკობრეობის“ მრავალი შემთხვევა დოკუმენტურად მტკიცდება. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი გამომცემლის მათიუს კერის ლონდონში აგენტი ჰყავდა დაქირავებული (ეგრეთ წოდებული ლიტერატურული ჯაშუში), რათა ამ უკანასკნელს ჯერაც აუკინძავი მასალა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამონაბეჭდები – ერთი თვის განმავლობაში ხომალდით გადმოეგზავნა ამერიკაში. კერის თანამშრომლები ნავსადგურშივე ხვდებოდნენ ამ ტვირთს, სტამბებში გადაჰქონდათ, სადაც მუშებს სადღეღამისო განრიგით ამუშავებდნენ და ასე ნაწილ-ნაწილ ბეჭდავდნენ „საყაჩაღო“ წიგნებს. ამგვარი „მეკობრული“ მეთოდით მოპოვებული ლიტერატურა ხშირად მეორე დღესვე ჩნდებოდა დახლებზე და ზოგჯერ ამა თუ იმ წიგნის დიდ ბრიტანეთში გამოცემასაც კი ემთხვეოდა.

ვინაიდან წიგნების იმპორტი კანონიერი გზით უფრო ძვირი ჯდებოდა ვიდრე „მეკობრეობით“, ნაყაჩაღარი წიგნები უკეთ ვრცელდებოდა, ხოლო საავტორო უფლებები კი განუკითხავად ირღვეოდა არა მარტო ამერიკელი მწერლებისათვის, არამედ თვით ისეთი გამოჩენილი ინგლისელი ავტორებისთვის, როგორიც ვალტერ სკოტი და ჩარლზ დიკენსი იყვნენ. ამერიკელ ავტორებთან შედარებით, მათ ის უპირატესობა მაინც ჰქონდათ, რომ, ჯერ ერთი, დიდი ხნის აღიარებულნი და სახელმოხვეჭილნი იყვნენ და, მეორე ის, რომ საკუთარ სამშობლოში პატიოსნად უხდიდნენ ჰონორარებს. ამერიკელი მწერლები, თუნდაც ფენიმორ კუპერი, არამცთუ ჰონორარის გარეშე რჩებოდნენ, არამედ ხშირად საკუთარ ნაწარმოებთა მეკობრული გამოცემის თვითმხილველნი და მოწმეებიც კი ხდებოდნენ. კუპერის პირველი გახმაურებული წიგნი „ჯაშუში“ (1821) ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე ოთხმა სხვადასხვა გამომცემლობამ გაიტაცა.



ნოე ვებსტერი

© [illegible]

საავტორო უფლებები, რომელიც 1790 წელს დაკანონდა, თავისი შინაარსით საკმაოდ არასრულყოფილი და ნაციონალისტური იყო. იგი ლექსიკოგრაფმა ნოე ვებსტერმა შეადგინა, მოგვიანებით მანვე შეადგინა ამერიკული განმარტებითი ლექსიკონიც. ეს კანონი „მეკობრეობას“ არ კრძალავდა, მაგრამ იცავდა ამერიკელი მწერლების საავტორო უფლებებს. ინგლისელებს შეეძლოთ თვითონ მიეხედათ საკუთარი ნაწარმოებებისათვის. კანონი აშკარად არ ვარგოდა, მაგრამ არავინ ცდილა მის შესწორებას. იგი მალზე მომგებიანი იყო ამერიკელი გამომცემლებისათვის. „მეკობრეობამ“ დიდად დააზარალა რევოლუციური ამერიკული ლიტერატურის პირველი თაობა, მეორე თაობამ კი, მისგან განსხვავებით, რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც ნაკლებად ღირებული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ასე რომ, „მეკობრეობის“ აღ-

მაელობამ 1815 წელს ამერიკული ეროვნული ლიტერატურის დაქვეითება გამოიწვია. და მაინც, როგორც ხდება ხოლმე, ზოგი ჭირი მარგებელია: „შეკობრეობით“ მოპოვებული უცხოური წიგნებით ამერიკა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნათლდებოდა: ეცნობოდა კლასიკას, თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას და, ბოლოს, საკუთარი ეროვნული ლიტერატურის იმ წარმომადგენლებს, რომელნიც 1825 წლიდან გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე.

## ამერიკული განმანათლებლობა

მე-18 საუკუნის ამერიკული განმანათლებლობის მძლავრ ნაკადს ახასიათებდა ნაციონალიზმი და არა ტრადიციები, მოვლენისადმი მეცნიერული მიდგომა და არა ბრმა დოგმატიზმი, მონარქის ნაცვლად ის წარმომადგენლობით მთავრობას ელტვოდა. განმანათლებლები, ფილოსოფოსებიც და მწერლებიც, ამკვიდრებდნენ სამართლის იდეალს, თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას, როგორც ადამიანის ბუნებრივ უფლებას.

### ბენჯამენ ფრანკლინი (1706-1790)

ბენჯამენ ფრანკლინს შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა ამერიკის „წერილების პირველი დიდოსტატი“ უწოდა. ფრანკლინი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით თავად განასახიერებდა ჰუმანური ნაციონალიზმის იდეალს. პრაქტიკოსი და იმავე დროს გამოუსწორებელი იდეალისტი, გულმოდგინე, მშრომელი და უსომოდ წარმატებული, ასეთი იყო ბენჯამენ ფრანკლინი და ყოველივე ეს, უფრო ზუსტად კი, – მისი ცხოვრების ადრეული წლები მშვენივრად არის გადმოცემული „ავტობიოგრაფიაში“. მწერალი, მბეჭდავი, გამომცემელი, მეცნიერი, ფილანტროპი, დიპლომატი, იგი ამერიკაში თავისი დროის ყველაზე აღიარებული და დაფასებული პიროვნება გახლდათ. პირველი „საკუთარი ბედის თვითმჭედელი“ ამერიკელი, ღარიბი დემოკრატი, რომელიც არისტოკრატიის ხანაში დაიბადა და თავისი ცხოვრების წესით სხვას ლიბერალიზაციისაკენ მოუწოდებდა.

ფრანკლინი ემიგრანტთა მეორე თაობას განეკუთვნებოდა. მისი მესანთლე მამა 1683 წელს ჩამოვიდა ინგლისიდან ბოსტონში (მასაჩუსეტსი). ფრანკლინის ცხოვრება და მოღვაწეობა იმის აშკარა გამოხატულებაა, თუ რაოდენ დიდი იყო ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედის გატაცება განმანათლებლობით. თვითნასწავლი ფრანკლინი საფუძვლიანად გაეცნო ჯონ ლოკის, ლორდ შაფთსბერის, ჯოზეფ ედისონის და სხვა განმანათლებელთა ფილოსოფიას. თავად ფრანკლინმა მათგან მიზანსწრაფვა და, საჭიროებისას, ტრადიციებისაგან განდგომა ისწავლა, კერძოდ კი, დრომოჭმული პურიტანული ტრადიციებისაგან, რომლებიც ხელს უშლიდნენ მისი იდეალების განხორციელებას. ახალგაზრდობაშივე შეისწავლა უცხო ენები, ბევრს კითხულობდა, იწაფებოდა პუბლიცისტიკაში. ბოსტონშიც, ფილადელფიაშიც და პენსილვანიაშიც ფრანკლინი განსწავლულობით ტოლს არ უდებდა თვით არისტოკრატიასაც. ხასიათის ერთი, მეტად მნიშვნელოვანი თვისება კი პურიტანული ჰქონდა: დაუღალავი და ძალზე გულმოდგინე შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე, საკუთარი საქმიანობის კრიტიკული განსჯის უნარი და დაუცხრომელი ლტოლვა სულიერი და გონებრივი ზრდისაკენ, წინსვლისაკენ, სრულყოფისაკენ. სწორედ ამ თვისებებმა, ამ სულისკვეთებამ მოუხვეჭა მას სიმდიდრე, უდიდესი პატივი და აღიარება. ფრანკლინისათვის უცხო იყო შური, იგი ეხმარებოდა უბრალო ადამიანებს, ასწავლიდა, როგორ მიეღწიათ წარმატებებისათვის, გატაცებით უზიარებდა თავის გამოცდილებას და ბოლოს მათ დასახმარებლად ჟანრიც კი შემოიტანა ამერიკულ ლიტერატურაში – თვითმასწავლებელი წიგნი.

ფრანკლინმა თავისი „უბირი რიჩარდის ალმანახის“ ბეჭდვა 1732 წელს დაიწყო და 1757-ში დაასრულა. ამ წიგნმა მას სიმდიდრე და საქვეყნო აღიარება მოუტანა. „უბირი რიჩარდის“ ყოველწლიურ გამოცემებში უხვად მოიპოვებოდა სასარგებლო რჩევები, გამამხნევებელი მოწოდებები და ფაქტობრივი ინფორმაცია. კოლორიტული პერსონაჟები მამა აბრაამი და უბირი რიჩარდი მახვილგონივრულად და მისაწვდომად მკითხველს ცხოვრების სიბრძნეს ასწავლიდნენ და აზიარებდნენ. „ალმანახის“ ერთ-ერთ მონაკვეთში, რომელიც „გზა სიმდიდრისკენ“ ეწოდება, მამა აბრაამი, „ერთი პატიოსანი თეთრკულულებიანი მოხუცი“, საბოლოოდ უბირი რიჩარდის სიტყვებს იმეორებს – „წავიდა ტვინისჭყლეტის დრო“ და

თავად დასძენს: „ღმერთი ეხმარება მას, ვინც საკუთარ თავს თვითონ ეხმარება"; „ვინც იძინებს ადრე, დილას ადრე დგება, – ჯანმრთელობა, ჭკუა, ფული მას ექნება". უბირი რიჩარდი ფსიქოლოგია (შრომა ვალებს იხდის, სასოწარკვეთილება – იღებს), იგი დაუღალავი შრომის მარადიული მესოტბეა (მონდომება იღბლის დედაა), ნუ იზარმაცებ – გვირჩევს რიჩარდი – „დღევანდელი" ერთი გერჩიოს „ხვალინდელ" ორს. თავისი ეგრეთ წოდებული თეორიის განსამარტავად, რიჩარდი ხშირად იშველიებს ანეკდოტებს – მცირე უთავბოლობას შეიძლება დიდი დანაკარგი მოჰყვეს: ლურსმნის უქონლობამ კაცს ნალი დააკარგვინა, ნალის უქონლობამ – ცხენი, ცხენისამ – მხედარი, რამეთუ მას მდევარი წამოეწია და ნაკუწ-ნაკუწ აჩეხა, ყველაფერი კი ნალის ლურსმნის უქონლობიდან დაიწყო. ფრანკლინი თითოეულ იგავს ძალდაუტანებლად უსადაგებდა მორალს: „ერთმა უზნეობამ ორი ბავშვი აღზარდა"; „პატარა გაჟონვამ დიდი გემი ჩაძირა"; „ბრიყვნი სუფრას შლიან, ბრძენნი ნადიმობენ".

ბენჯამენ ფრანკლინის „ავტობიოგრაფია" თვითმასწავლებელი წიგნის საუკეთესო ნიმუშია. ფრანკლინმა იგი საკუთარ ვაჟიშვილებს მიუძღვნა ჭკუის სასწავლად. „ავტობიოგრაფიაში" მწერლის ცხოვრების ადრეული პერიოდია აღწერილი. ამ წიგნის ყველაზე საგულისხმო ნაწილად საკუთარი თავის სრულქმნის სქემაა აღიარებული. ფრანკლინი 13 ძირითად სიბრძნეს აღიარებს: თავშეკავება, დუმილი, წესრიგი, გადაწყვეტილების მიღების უნარი, გულწრფელობა, ქველმოქმედება, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა, სისუფთავე, სიდინჯე, პატიოსნება და მოკრძალება. ყოველ მათგანს მან თავისი მაქსიმა მიუსადაგა. ასე მაგალითად, თავშეკავების მაქსიმა ასე ჟღერს: „საჭმელს გამოთაყვანებამდე ნუ მიაძღები, სასმელს გონს ნუ დააკარგვინებ, ენად ნუ გაიკრიფები". პრაგმატისტმა მეცნიერმა ბენჯამენ ფრანკლინმა სრულყოფილების ტესტი გამოიგონა და ეს ტესტი პირველად საკუთარ თავზე გამოსცადა.

დახვეწილი ჩვევების გამოსამუშავებლად ფრანკლინმა კალენდარული მეთოდით დაგეგმილი რჩევების წიგნი შეადგინა. ყოველ ცნებაზე თითო კვირა მუშაობდა, ხოლო უარყოფით მოვლენებს შავი ლაქით აღნიშნავდა. ასე რომ, სრულყოფილების თეორიით ფრანკლინმა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იწინასწარმეტყველა ფსიქოლოგიაში ბიჰევიორიზმის იდეის დაბადება. ნოტაციის სისტემატური მეთოდით ფრანკლინი დიდად ეხმარება ქცევის მოდიფიკაციის თანამედროვე კონცეფციებს. თვითდახვეწის პროექტში ბენჯამენ ფრანკლინი შესაშური ოსტატობით უთავსებს ერთმანეთს სრულყოფილებისადმი სწრაფვის განმანათლებლურ იდეალს და პურიტანულ მუდმივ თვითკრიტიკას.

ფრანკლინი ადრევე მიხვდა, რომ საკუთარი იდეების გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის საუკეთესო საშუალება მაინც მწერლობა იყო. ამიტომ განსაკუთრებით გულმოდგინედ მხატვრულ სტილზე მუშაობდა. სტილი მისი შრომის იარაღი იყო. „განათლებულად წერე, უბრალოდ ილაპარაკე" – ასეთი იყო მისი რჩევა. თავად მეცნიერი, იგი სავსებით ეთანხმებოდა სამეფო (სამეცნიერო) საზოგადოებაში 1667 წელს მოწონებულ გადაწყვეტილებას ესაუბრათ ჩვეულებრივ, ყველასათვის გასაგებ ენაზე: „მარტივი თხრობითი წინადადებები, ნათელი აზრი, მკაფიო ფრაზა, ეროვნულობა – მათემატიკური ლოგიკურობითა და სიზუსტით მიგვიყვანს დახვეწილ, იდეალურ სისადავემდე".

უხვად მოხვეჭილი ქონებისა და აღიარების მიუხედავად, ბენჯამენ ფრანკლინს არასდროს უღალატია დემოკრატიული იდეებისთვის. 1787 წელს იგი ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებდა კონვენციაში, რომლის თანახმად შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. მოღვაწეობის ბოლო პერიოდში დაუღალავად ქადაგებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო-სახალხო ზოგადი განათლების დანერგვის აუცილებლობას, გახლდათ ანტიმონათმფლობელური ასოციაციის პრეზიდენტი.

## ჰექტორ სენ ჯონ დე კრევკერი (1735-1813)

განმანათლებლობის პერიოდის მეორე თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწე იყო ჰექტორ სენ ჯონ დე კრევკერი. თავისი „ფერმერის წერილებით" (1782) კრევკერმა ბევრ ევროპელს აუხილა თვალი იმაზე, რომ მშვიდობა, ღირსება და სიმდიდრე ამერიკაში რეალური და ხელმისაწვდომი ცნებები იყო. იგი არც ფერმერი იყო და არც ამერიკელი. იგი გახლდათ ფრანგი



არისტოკრატი, რომელიც რევოლუციამდე ნიუ-იორკის გარეუბანში პლანტაციას ფლობდა; კრევკერი თავის 12 წერილში უზომო ხოტბას ასხამდა კოლონიური ამერიკის მზარდ ინდუსტრიას, ამერიკელების შრომისმოყვარეობას, ტოლერანტობას და აგრარული სამოთხის, ანუ ამერიკის წარმტაც სურათს ხატავდა. „აგრარული სამოთხის“ იდეა მოგვიანებით წარმატებით აიტაცეს თომას ჯეფერსონმა, რალფ უოლდო ემერსონმა, მოგვიანებით კი ბევრმა სხვა მწერლებმა.

კრევკერი ევროპელთაგან ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც ამერიკის და ამერიკული ხასიათის თვალსაჩინო და საგულისხმო ხატი შექმნა. იმისათვის, რომ აეხსნა ამერიკისადმი მისადაგებული ტერმინის – „გამოსადნობი ქურის“ – არსი, კრევკერი თავის ერთ ყველაზე ცნობილ წერილში ასეთ რიტორიკულ შეკითხვას სვამდა:

> „მაინც ვინ არის ეს ამერიკელი, სრულიად ახალი ჯიშის ადამიანი? იგი ან ევროპელია, ან ევროპიდანაა გადმოსახლებული. კაცს, რომელსაც ამდენი სხვადასხვა ეროვნების სისხლი აქვს ერთმანეთში აღრეული, სხვაგან ვერსად შეხვდები. მე შემიძლია დაგისახელოთ ოჯახი, სადაც ბაბუა ინგლისელია, ცოლი – ჰოლანდიელი, ვაჟიშვილის ცოლი – ფრანგი, მათ ოთხი ვაჟი ჰყავთ და ოთხივეს ცოლად სხვადასხვა ეროვნების ქალი ჰყავს. ამერიკა ერთ დიდ გამოსადნობ ქურას მოგაგონებს, სადაც სხვადასხვა ეროვნებათა ცალკეული წარმომადგენლებისაგან ახალი ჯიშის ადამიანი იწრთობა. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაყოფი ერთ დღეს მსოფლიოში უდიდეს ძვრებს გამოიწვევს“.

## პოლიტიკური პამფლეტი:
### თომას პეინი (1737-1809)

რევოლუციური სულისკვეთება ლიტერატურაში ყველაზე ეფექტურად პამფლეტების მეშვეობით გამოიხატა. დღემდე პამფლეტი პოლიტიკური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად ითვლება. რევოლუციის დროს ამერიკაში 2.000-ზე მეტი პამფლეტი დაიბეჭდა. პამფლეტები ბრძოლის ჟინით აღანთებდნენ რევოლუციონერ პატრიოტებს და შიშის ზარს სცემდნენ ლოიალურად განწყობილებს. პამფლეტების სცენარის მიხედვით ვითარდებოდა პოლიტიკური დრამა და პამფლეტივე იყო ამ დრამის მთავარი მოქმედი პირი. ამერიკელი ჯარისკაცები პამფლეტებს ხმამაღლა უკითხავდნენ თანამებრძოლებს ბანაკებში, ინგლისელები კი მათ კოცონზე წვავდნენ.

თომას პეინის პამფლეტი „საღი აზრის“ ასი ათასი ეგზემპლარი გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ თვეში გაიყიდა. დღემდე დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. „ამერიკის სატკივარი სხვა მასშტაბებით იზომება, იგი მთელი კაცობრიობის სატკივარია“, წერდა პეინი და ამგვარად ამერიკის უნიკალურობის იდეას ამკვიდრებდა. ეს იდეა დღესაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ბევრ ამერიკელს; მისი დედააზრი კი ეს გახლავთ: ამერიკა დემოკრატიის დიდი ექსპერიმენტის უპირველესი აკვანია, მისი საზღვრები ღიაა ყველა ეროვნების ემიგრანტისათვის; ამიტომაც ცხადია, რომ ამერიკის ბედი მთელი კაცობრიობის ბედისწერაა და მისი მომავალი.

დემოკრატიის გზაზე დამდგარი სახელმწიფოს მიზანი ამომრჩევლების პოლიტიკური დონის მომზადება, მათთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება და, რაც მთავარია, ქვეყანაში საყოველთაო განათლების მიღების უზრუნველყოფა იყო. ამ საქმეს იმ დროის ბევრმა ამერიკელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შესწირა თავისი შემოქმედების საუკეთესო წლები. ქვეყანაში კულტურული ფონის შეცვლასა და მიმდინარე პროცესებით დაინტერესების ამაღლებაზე იმ პერიოდში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ასტრონომიული ციფრი მეტყველებს. რევოლუციის დროს ამერიკაში უფრო მეტ გაზეთს კითხულობდნენ, ვიდრე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში ერთად. ემიგრაციისთვის სადა, საგაზეთო სტილი სავსებით მისაღები იყო. ახალმოსახლეთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორი ენით იწერებოდა ლიტერატურა. იგი ყველა ემიგრანტისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ბევრისთვის ინგლისური ენა არა მშობლიური, არამედ მეორე ენა გახლდათ. თომას ჯეფერსონის „თავისუფლების დეკლარაციის“ ორიგინალი ზედმიწევნით სადა და ლოგიკურია და, მიუხედავად ამისა, რედაქტორებმა იგი სტილისტურად კიდევ უფრო გაამარტივეს. „ფედერალისტთა წერილები“,

რომლებიც ძირითადად კონსტიტუციის დასაცავად იქმნებოდა, ასევე უაღრესად სადა, გასაგები და ლოგიკურად დასაბუთებული მიმართვები იყო, დემოკრატიულ ეპოქაში დებატებისა და ფართო არჩევანის საშუალებას რომ იძლეოდა.

## ნეოკლასიციზმი: ეპოსი, პაროდიული ეპოსი და სატირა

სამწუხაროდ, რევოლუციის დროინდელი მხატვრული ლიტერატურა, პოლიტიკურისაგან განსხვავებით, არცთუ ისე მნიშვნელოვანი და მაღალმხატვრული აღმოჩნდა. ამერიკელი პოეტები, ნებსით თუ უნებლიეთ, პომპეზური ნეოკლასიციზმის გავლენას ვერ გაექცნენ. გადამწყვეტი როლი ეპიკურობამ შეასრულა. პატრიოტი ამერიკელი ლიტერატორები მიიჩნევდნენ, რომ ამერიკულმა რევოლუციამ სავსებით დაიმსახურა ეპიკურ ჟანრში წარმოსახვა. ვრცელი, დრამატიზმით აღსავსე, მაღალმხატვრული ეპიკური პოემის შექმნა, ლეგენდარული პიროვნებების საგმირო საქმეთა ხოტბა – რევოლუციური ამერიკელი მწერლობის უმთავრესი მიზანი იყო. მრავალმა სცადა ბედი ეპიკური ტილოს შექმნაში, მაგრამ ამაოდ. მაგალითად საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ტიმოთი დუაითი (Timothy Dwight) – 1752-1817, „ჰარტფორდელ მახვილგონიერთა" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც ბოლოს იელის უნივერსიტეტის პრეზიდენტი გახდა. მისი ეპიკური ნაწარმოები „ქანაანის დაპყრობა" (1785) ბიბლიურ სიუჟეტზე აგებული ეპოსია, სადაც აღწერილია მოსეს ბრძოლა აღთქმულ ქვეყანაში დასაბრუნებლად. დუაითი გენერალ ვაშინგტონს, ამერიკის



თომას პეინი

პორტრეტი.
კონგრესის ბიბლიოთეკიდან

არმიის მხედართმთავარსა და შემდგომ შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს, თავის ალეგორიაში მოსესთან აიგივებს და პოემაში, ერთობ მოულოდნელად, იყენებს ჰომეროსის ცნობილი მთარგმნელის ალექსანდრ პოუპის მძიმე სტროფს. დუაითის ეპოსი მოსაწყენი და პრეტენზიული გამოვიდა. ინგლისელმა კრიტიკოსებმა იგი მიწასთან გაასწორეს. თვით დუაითის მეგობრებმაც კი, მაგალითად, ჯონ ტრამბულმა (1750-1831), ვერაფრით გაამხნევეს თანამოკალმე. პირიქით, ამბობდნენ, რომ დუაითის ეპოსის მელოდრამატულ ბატალურ სცენებში იმდენი ქუხილი, ელვა და გრიალი გაისმოდა, რომ ტრამბულმა მეგობარს ურჩია, მაგ ეპოსთან ერთად მკითხველს ეგებ მეხამრიდებიც შესთავაზოო.

მას შემდეგ, რაც ეპოსმა ვერ მიაღწია მიზანს, ამერიკულ ლიტერატურაში წინა პლანზე სატირული პოეზია აღმოჩნდა. პაროდიულ-ეპიკური ჟანრი ამერიკელ პოეტებს საშუალებას აძლევდა ესაუბრათ საყოველთაო ეროვნულ სატკივარზე საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების ფარგლებში, და არ ჩამორჩენოდნენ ჰომეროსისა და ვერგილიუსისაგან ნაპარავი, ხმარებისაგან უკვე კარგად გაცვეთილი, გადამღერებულ-გადაღეჭილი, ურაპატრიოტული სენტიმენტალური და შინაარსდაკარგული ეპითეტების ქაოსში. თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისელ მწერლებს ეს გზა უკვე გავლილი და უკუგდებულიც ჰქონდათ.

პაროდიული ეპოსის ჟანრის ისეთ შედევრში, როგორიცაა ჯონ ტრამბულის „მაკ ფინგალი" (1776-1782), სტილიზებული ემოციები, გაცვეთილი ფრაზებით ჟონგლიორობა და მათი პერიფ-

რაზები სატირის უმაღლესი იარაღია. პოემა სწორედ ბურლესკურ ჟანრს განეკუთვნება, სადაც გამასხარავებულია რევოლუციის პათეტიკური ორატორია. ამ ნაწარმოებში და, განსაკუთრებით კი იმ პასაჟებში, სადაც ავტორი დაუნდობლად დასცინის ტორიების მომხრე მაკ ფინგალს, აშკარად იგრძნობა ინგლისელი პოეტის, სემუელ ბატლერის „ჰუდიბრასის" გავლენა. ჯონ ტრამბულის პოეტურ სტრიქონს, სატირულის გარდა, აფორისტული ელემენტიც დაჰკრავს. ასე მაგალითად, იგი წერს:

„ვინც კანონს პატივს სცემს,
იგი ბაწარსაც აიცდენს".

ნაწყვეტი საუკუნის განმავლობაში „მაკ ფინგალი" თითქმის ოცდაათჯერ გამოიცა და უდიდესი აღიარება მოიპოვა არა მარტო ამერიკაში, არამედ ინგლისშიც. სატირა ყველაზე ახლობელი და მისაღები ჟანრი აღმოჩნდა რევოლუციური აუდიტორიისათვის. იგი იმთავითვე სოციალური ყოფისა და პოლიტიკური პროცესების შემფასებლად მოევლინა ქვეყანას, სოციალური და პოლიტიკური საკითხები კი იმხანად უაღრესად აქტუალურად აღიქმებოდნენ. პირველი ამერიკული კომედია, რომელიც 1787 წელს დაიდგა, გახლდათ როიალ ტაილერის (Royall Tyler) 1757-1826 – „კონტრასტი". სათაურიდან ჩანს, რომ პიესა ორის დაპირისპირებაზეა აგებული. იგი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულების პიროვნების, ამერიკელი პოლკოვნიკი მენლისა და ტიპური ინგლისელი ლიმფლის კურიოზულ დაპირისპირებაზეა აგებული. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორიდან ლიმფლი იმთავითვე გასამასხარავებლადაა განწირული. პიესაში, ტაილერს პირველად ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში, შემოჰყავს ტიპური იანკი – ჯონათანი.

ამ პერიოდის ცნობილი სატირული ნაწარმოებია აგრეთვე ჰიუ ჰენრი ბრექენრიჯის (Hugh Henry Brackenridge) რომანი „თანამედროვე რაინდობა". ეს რომანი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1792 წლიდან 1815 წლამდე. იგი უფრო პასკვილია, ვიდრე სატირა იმ ხანის ზოგიერთ მიმდინარე პროცესებზე. ბრექენრიჯი (1748-1816) დაიბადა შოტლანდიაში, აღიზარდა ამერიკის ფრონტიერზე. თავისი სქელტანიანი, სათავგადასავლო რომანი გენიალური „დონ კიხოტის" ქარგაზე ააგო და ხატოვნად მოგვითხრო კაპიტან ფარაგოს და მისი სულელი, ხეპრე, მაგრამ გულამაჩუყებლად კეთილი და ერთგული მსახურის, თიგ ო'რეგანის ფათერაკებზე.

## ამერიკის რევოლუციის პოეტი

### ფილიპ ფრენო (1752-1832)

პოეტთაგან ფილიპ ფრენო პირველი იყო, ვინც შეისისხლხორცა ევროპული რომანტიზმის საუკეთესო ნიშანთვისებანი და თავი დააღწია „ჰართფორდელ მახვილგონიერთაგან" მომდინარე მიბაძველობისა და აკადემიურობის დამთრგუნველ სენს. ფრენოს, მისი ცხოვრების მთელ მანძილზე, არც აღიარება დაჰკლებია და არც მარცხი, ორივეს მიზეზი კი მისი უზომო დემოკრატიზმი და თანდაყოლილი, მოუთოკავი სიფიცხე იყო.

„ჰართფორდელი მახვილგონიერნი" – უდავოდ დიდი პატრიოტები, ინტელექტუალურ-არისტოკრატული კლასის კულტურულ კონსერვატიზმს ქადაგებდნენ. ფრენომ კი სწორედ ძველი ტორიების დრომოჭმული შეხედულების და მათი გადმონაშთების წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ჰართფორდის არისტოკრატთა და პირწავარდნილ ინტრიგანთა ფრაქციაში შექმნილი ლიტერატურა მონარქიისა და ჩინოსნების სამლიქვნელოდაა გაჩენილი. ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას ფრენოს მისი ღრმა ცოდნა და საუკეთესო განათლება აძლევდა. ამ მხრივ იგი არაფრით ჩამორჩებოდა ჰართფორდელებს. ზედმიწევნით იცნობდა კლასიკურ ლიტერატურას და სხვებზე კარგად ჰქონდა გათავისებული ლიბერალური და დემოკრატიული იდეების ჭეშმარიტი არსი.

ჰუგენოტების (რადიკალი ფრანგი პროტესტანტები) პრინციპებზე აღზრდილი, იგი რიგითი ჯარისკაცი იყო რევოლუციის ბარიკადებზე. 1780 წელს ინგლისელებმა შეიპყრეს და გარდაცვალებამდე პატიმრობაში ჰყავდათ ჯერ ერთ და მერე მეორე ინგლისურ გემზე. მშობლებმა ფრენოს ციხიდან დახსნა ვერ მოასწრეს. მის პოემაში „ბრიტანული ხომალდი – ციხე" სასტიკი ბრალდებაა წაყენებული ბრიტანელთა მიმართ, რომელთაც განუზრახავთ „მსოფლიო სისხლში განბანონ". ამ და სხვა რევოლუციურმა ნაწარმოებებმა, როგორიცაა „ამერიკული თავისუფლება", „პოლიტიკური ლიტა-

ნია", „შუაღამის განსჯანი", „ოტო სპრინგსი" და „გეორგ მესამის მონოლოგი", ფრენოს ამერიკული რევოლუციის პოეტის სახელი მოუხვეჭა.

ფილიპ ფრენოს სახელს უკავშირდება ამერიკაში არაერთი დემოკრატიული გაზეთის გამოცემა. 1791 წელს, თომას ჯეფერსონის დახმარებით, მან გამოსცა ანტიფედერალისტური „ნეიშენალ გაზეტი" და უმალ ყველაზე ძლევამოსილი და მებრძოლი გაზეთის რედაქტორად მოევლინა ქვეყანას – უილიამ კალენ ბრაიანტის, უილიამ ლოიდ გარისონისა და მენკენის ღირსეულ შთამომავლად.

პოეტისა და რედაქტორის, ფილიპ ფრენოს გაზეთის წამყვანი თემა დემოკრატია და მისი პოპულარიზაცია იყო, თუმცა იგი საშუალო მკითხველის მოთხოვნილებებსაც ითვალისწინებდა. მაგალითად, ლექსში „თამბაქოს ფენომენი", იგი სამხრეთის ეკონომიკაში ამ მცენარის გადამწყვეტ როლზე საუბრობს. ხოლო ლექსი „ერთი ბოთლი რომი" ეძღვნება ვესტ ინდიის ალკოჰოლურ სასმელსა და ადრეული ამერიკის ვაჭრობის უმთავრეს სტრატეგიულ პროდუქტს, რომელიც ამავე დროს ახალი სამყაროს ექსპორტის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. უბრალო, რიგითი ამერიკელების ცხოვრებაა აღწერილი ლექსში „პეტერას ლოცვანი", ასევე, ექიმბაშებსა და ევანგელისტებზე დაწერილ არაერთ ლექსში.

როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი, ლიტერატურაში ფრენო არსებითად სადა, ყოველდღიურ სალაპარაკო სტილს ამკვიდრებდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მას არც ნეოკლასიკური, ამაღლებული ლირიკის წერა უჭირდა. მაგალითად, ლექსი „ველური სკა" (1786) ისეთი მძაფრი გამომსახველობითაა დაწერილი, მკითხველი რეალურად შეიგრძნობს ამერიკის ბუჩქნარის გამაბრუებელ სურნელსა და არომატს. არც ერთ ამერიკელ პოეტს არ მიუღწევია „ამერიკული რენესანსის" სანამდე (1820-იანი წლები) იმ მწვერვალებისათვის, რომელსაც ფრენომ რენესანსის პოეტებზე 40 წლით ადრე მიაღწია.

შემდგომი პერიოდის ამერიკული ლიტერატურის განვითარებას ნიადაგი, რა თქმა უნდა, უფრო ადრეულმა მწერლობამ მოუმზადა. ნაციონალიზმი მძლავრობდა ყველა სფეროში და განსაკუთრებით ლიტერატურაში. ამან ხელი შეუწყო ისეთი მოვლენების დაბადებას, რომლითაც საკუთრივ „ამერიკული" ერქვა, მაგალითად, ნოე ვებსტერმა (1758-1843) ამერიკული განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა, ასევე – მართლწერისა და კითხვის სახელმძღვანელოები ამერიკის სკოლებისათვის. დღემდე მისი მართლწერის სახელმძღვანელოს 100 მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული. ვებსტერის ლექსიკონი დღესაც ლექსიკონის ჩინებულ ნიმუშად არის მიჩნეული. იგივე შეიძლება ითქვას იედიდა მორზეს „ამერიკის გეოგრაფიაზე", იგი ერთგვარი ატლასია, რომელიც ამავე დროს ამერიკის ვრცელი ტერიტორიის შესახებ მეტად საჭირო და საინტერესო ცნობებს გვაწვდის. არამხატვრული ლიტერატურიდან ძალზე მნიშვნელოვანი იყო ფრონტიერსმენებისა და დამლაშქრელთა დღიურები და ჟურნალები. ასე მაგალითად, მერივეზერ ლუისმა (1774-1809) და ზებულონ პაიკმა (1779-1813) ჩაიწერეს ლუიზიანას ტერიტორიაზე ჩატარებული ექსპედიციის ანგარიში. ლუიზიანას მაშინ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ერთი ვრცელი ნაწილი ერქვა, ხოლო 1803 წელს კი თომას ჯეფერსონმა იგი ნაპოლეონისაგან შეისყიდა.

## მხატვრული ლიტერატურა

ამერიკული მხატვრული ლიტერატურის პირველი კორიფეები, რომელნიც აღიარეს მთელ მსოფლიოში, იყვნენ ჩარლზ ბროკდენ ბრაუნი, ვაშინგტონ ირვინგი და ჯეიმს ფენიმორ კუპერი. ისინი წერდნენ ამერიკის ყოფაზე, მის ისტორიაზე, მომავალზე, ცვლილებებსა და წმინდა ამერიკულ სხველაზე. ეს მწერლები ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში მუშაობდნენ. გამუდმებით ეძიებდნენ და ამკვიდრებდნენ ახალ ფორმებსა და სტილს, ახალ გზებს, სურდათ ცხოვრება ლიტერატურის საშუალებით აესახათ, ხოლო ლიტერატურა, ყველაფერთან ერთად, საკუთარი ცხოვრების საშუალებად ექციათ. სწორედ მათი წყალობით გაეცნო თავად უკიდეგანო ამერიკა და ოკეანის გაღმა სამყარო დიდ ამერიკულ ლიტერატურას.

### ჩარლზ ბროკდენ ბრაუნი (1771-1810)

ზემოთ ხსენებული პირველი პროფესიონალი ამერიკელი მწერალი ჩარლზ ბროკდენ ბრაუნი ინგლისელი მწერლების მისის რედკლიფისა და უილიამ გოდვინის გავლენას განიცდიდა

(რედკლიფს სახელი საშინელებათა ჟანრის გოთიკურმა რომანებმა მოუხვეჭა, რომანისტი და სოციალური რეფორმატორი უილიამ გოდვინი „ფრანკენშტეინის“ ავტორის, მერი შელის მამა გახლდათ, შელი მისი მეუღლის – ინგლისელი პოეტის პერსი ბიში შელის გვარია).

სიდუხჭირემ და სიღატაკემ ბრაუნს ორ წელიწადში ოთხი ვრცელი რომანი დააწერინა: „ვილანდი“ (1798), „არტურ მერვინი“ (1799), „ორმონდი“ (1799) და „ედგარ ჰანთლი“ (1799). ამ პერიოდიდან ბრაუნმა ამერიკულ ლიტერატურაში გოთიკა დაამკვიდრა და მალე იგი საკმაოდ პოპულარული სტილი გახდა სხვა ამერიკელი მწერლებისთვისაც, ვინაიდან გოთიკა ველური ეგზოტიკის, აუხსნელი საიდუმლოებების, მისტიკისა და ფსიქოლოგიური ვნებების მხატვრულად წარმოსახვის საუკეთესო საშუალებებს იძლეოდა. შიშის ძრწოლისა და უკიდურესი დაძაბულობის მისაღწევად სწორედ ძველი, ჟამთა სვლისაგან დანგრეული სასახლეები ან ციხესიმაგრეები გამოდგებოდა, დასახლებული სულებითა და აჩრდილებით. ირგვლივ მისტერიული, საიდუმლო ატმოსფეროს ბურუსი იდგა, სასახლის ინტერიერი, რაღაც სიმბოლური ნივთებით, შუქჩრდილებისა და სისხლის გამყინავი ბგერებით, მკითხველს მართლაც შიშის ზარს სცემდა. და ყოველივე ამის ფონზე გამოიკვეთებოდა მარტოსული, სულიერად ძლიერი ქალწული, რომელიც თავისი გამჭრიახობისა და სიმხნევის წყალობით აუცილებლად იმარჯვებდა. ასეთი ჟანრის საუკეთესო რომანების ძირითად ელემენტებს, ჩვეულებრივ, საიდუმლო, აუხსნელი მოვლენების სიუხვე, მძაფრი ემოციები და მისტიკური მინიშნებანი წარმოადგენდნენ. შემდეგ, ყოველივე ამის ფონზე, იწყებოდა ადამიანის სულის ხვეულებში წვდომა და გმირის ამაღლება ყველაზე უკიდურესი დაძაბულობის ჟამს. ლიტერატურათმცოდნეების აზრით, ბრაუნის ამგვარი გატაცება გოთიკით გამოწვეული იყო მისი უკმაყოფილებითა და სკეპტიკური განწყობით ახალი ნაციის მიერ დამკვიდრებული სოციალური უთანასწორობის მიმართ.

ბრაუნის შემოქმედების წყაროს წმინდა ამერიკული ყოფა-ცხოვრება წარმოადგენდა. კაცი-იდეა, მრავალი სამეცნიერო თეორიის ავტორი, მხატვრულ ლიტერატურაში პერსონალური თეორიის შემქმნელი და მარად უმაღლესი ლიტერატურული სტანდარტების მქადაგებელი. და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა კრიტიკამ ბრაუნი არ აღიარა, მისმა ნაწარმოებებმა მაინც ღრმა კვალი დატოვეს. დღეს მას ედგარ ალან პოს, ჰერმან მელვილის და ნათანიელ ჰოთორნის წინამორბედად მიიჩნევენ. ბრაუნმა ქვეცნობიერიდან ამოატივტივა ის გარდაუვალი სინამდვილე, რომ ზედაპირულმა ოპტიმისტურმა განმანათლებლობამ თავისი დრო მოჭამა და ისტორიას უნდა ჩაბარებოდა.

## ვაშინგტონ ირვინგი (1789-1859)

ვაშინგტონ ირვინგი შეძლებული ნიუ-იორკელი ვაჭრის მეთერთმეტე და ნაბოლარა ვაჟი იყო. შემდგომ – ამერიკის ელჩი და დიპლომატი ევროპაში, ზუსტად ისე, როგორც ბენჯამენ ფრანკლინი და ნათანიელ ჰოთორნი. გამორჩეული ნიჭი რომ არა, იგი არასდროს გახდებოდა პროფესიონალი მწერალი, არც მატერიალური მდგომარეობა აიძულებდა ლუკმა-პური წერით ეშოვნა. სწორედაც რომ უსაზღვრო ნიჭიერებამ და დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ აიღებინა კალამი ხელში. მეგობრების ხელშეწყობით, მან ინგლისსა და ამერიკაში, საავტორო და საჰონორარო უფლებების დაცვით, გამოსცა „ჯეფრი კრეიონის ესკიზების წიგნი“ (1819-1820). ჯეფრი კრეიონი ვაშინგტონ ირვინგის ფსევდონიმია. ამ წიგნში შესულია ვაშინგტონ ირვინგის ორი ყველაზე ცნობილი მოთხრობა, „რიპ ვან უინკლი“ და „მთვლემარე მღვიმე“. სიტყვა „ესკიზი“ უდავოდ ვაშინგტონ ირვინგის ჩვეულ დახვეწილ, ნატიფ და, ერთი შეხედვით, თავისუფალ სტილზე მიუთითებს, „კრეიონი“ კი მის კოლორიტულობაზე, მდიდარ, ფაქიზ ტონებსა და ემოციურ ეფექტებზე ამახვილებს ყურადღებას. „ესკიზების წიგნში“ ვაშინგტონ ირვინგი ნიუ-იორკის ჩრდილოეთით მდებარე მდინარე ჰუდსონის განაპირა ქოსქილის მთებს ჯადოსნური ქვეყნის სიმბოლიკას ანიჭებს.

მადლიერმა ამერიკელმა მკითხველმა გულთან ახლოს მიიტანა ირვინგისეული ქოსქილის „ისტორია“ და ეჭვიც არ შეუტანია იმაში, რომ ირვინგმა ეს ლეგენდა გერმანული წყაროებიდან გადმოაკეთა. ირვინგმა ამერიკას შესძინა ის, რაც მას წყაროს წყალივით სჭირდებოდა ადრეულ მატერიალისტურ პერიოდში – ახალი მიწისადმი ოდნავ იდეალისტური, რომანტიკული დამოკიდებულება.

ირვინგმა ყველაზე უკეთ მოახერხა სული შთაებერა ამ მიწისთვის, სახელი დაერქმია, მისი ხატი და მისი სადიდებელი ლეგენდები შექმნა.

ამბავი „რიპ ვან უინკლისა", რომელსაც ოცი წელი ეძინა და გამოღვიძებულს ამერიკის კოლონიები გათავისუფლებული და დამოუკიდებელი დახვდა, ამერიკის ფოლკლორის მარგალიტად იქცა. იგი პიესად გადაკეთდა და სცენაზე დაიდგა, ეროვნული ლეგენდის ტოლფასი გახდა და ზეპირი საგანძურის მსგავსად, ტრადიციულად თაობიდან თაობას გადაეცა.

ირვინგმა ამერიკელებს საკუთარი ისტორია აღმოუჩინა და ყოველმხრივ შეეცადა ახლადშობილი ერის გულში ისტორიის შეგრძნების საპერწკალი აენთო. ირვინგის მთელი შემოქმედება თავგანწირული მუშაობაა ახლადშექმნილი ერის ისტორიის გასაცოცხლებლად, მისთვის ლაღი ცხოვრებისა და ოცნების ნიჭის მიმადლებისათვის. იგი ყოველთვის ირჩევდა ამერიკული ისტორიის ყველაზე დრამატულ ეპიზოდებს: ახალი სამყაროს აღმოჩენას, ამერიკის პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული გმირის დაბადებას, ველური დასავლეთის დალაშქვრას. მისი ყველაზე ადრეული ნაწარმოებია გამოგონილი პერსონაჟის, ვინმე დეადრიხ ნიკერბოკერის მიერ ნაამბობი ლაღი, სატირული „ნიუ-იორკის ისტორია" ჰოლანდიელთა დინასტიის ხანაში (ნიკერბოკერი ირვინგის ერთ-ერთი მეგობრის და იმ პერიოდის „ნიკერბოკერის სკოლის" მწერალთა ჯგუფის სახელს უკავშირდება).

## ჯეიმს ფენიმორ კუპერი (1789-1851)

ჯეიმს ფენიმორ კუპერი ვაშინგტონ ირვინგის მსგავსად, მშობლიურ ერს საკუთარი წარსულის მიმართ მოკრძალებასა და დაფასებას უნერგავდა, უღვივებდა საკუთარი ფესვებისა და იმ ქვეყნის სიყვარულს, რომელსაც დედამიწაზე კონკრეტული ადგილი უკავია და კონკრეტული სახელი ჰქვია. კუპერის შემოქმედებაში დაიბადა მითი დიდი ქვეყნის (ამერიკის) ოქროს ხანაზე და გაისმა წუხილი გარდასულ დღეთა დიდების დაკარგვის გამო. მაშინ, როცა ირვინგი და სხვა ადრეული ან შემდგომი პერიოდის ამერიკელი მწერლები თავიანთი ლეგენდების წყაროდ ევროპულ მითოლოგიას მიმართავდნენ, კუპერმა აღმოაჩინა ამერიკის ერთი მთავარი ცხოველმყოფელი მითი: იგი ისევე უსასრულო და უკიდეგანოა, როგორც ხელთუქმნელი ველური სამყარო. ამერიკის ისტორია ნაბიჯია მარადისობაში. ინგლისის ისტორიის შემოჭრა ამერიკაში სამოთხეში შემოდგომის დადგომას უფრო ჰგავს და ბუნების ციკლური კანონებიც თითქოს ამ ბაღის დასანგრევადაა მოგონილი. ველური სამყარო მირაჟივით გაქრა „პიონერთა" თვალსაწიერიდან. კუპერის ტრაგიზმიც სწორედ იმაშია, რომ იგი სამყაროს ნგრევის თვითმხილველია, იმ ედემის ბაღის აღსასრულისა, რომელმაც თავის დროზე მთელი მსოფლიოს მოქალაქენი მოიზიდა და შეისისხლხორცა.

პირადი გამოცდილება ხელს უწყობდა კუპერს მთელი თავის სიდიადით აღეწერა ველური სამყარო. ზღვა მისი მშობლიური სტიქია იყო, კარგად ერკვეოდა სხვადასხვა კულტურის თემთა კონფლიქტებში. იგი დაიბადა და აღიზარდა კვაკერთა ოჯახში. მამამისმა ცენტრალური ნიუ-იორკის შტატში, ოტსეგოს ტბის პირას ქალაქი დააარსა, რომელსაც შემდგომ კუპერსტაუნი უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ კუპერსტაუნი შედარებით მშვიდობიანი რეგიონი იყო, ერთხელ თურმე აქაც მომხდარა ინდიელთა ხოცვა-ჟლეტა. ახალგაზრდა კუპერი, პრინციპში, ფეოდალურ გარემოში გაიზარდა, მამამისი, მოსამართლე კუპერი მიწათმფლობელი და ბუნებით ლიდერი გახლდათ. კუპერი ბავშვობაში ფრონტიერსმენებსაც ხვდებოდა და ინდიელებსაც. მოგვიანებით კი მის სამფლობელოში თეთრკანიანი მომთაბარე დამპყრობლები შემოიჭრნენ და დასახლდნენ.

კუპერის რომანების მთავარი გმირი ნათი ბამპო კუპერისეული ჯენტლმენი ფრონტირსმენის ტიპური სახეა – ჯეფერსონისეული „ბუნებით არისტოკრატი". 1823 წელს დაწერილ რომან „პიონერებში" კუპერი პირველად გამოაჩენს ნათი ბამპოს. იგი ამერიკული ლიტერატურის პირველი ფრონტირსმენია და წინამორბედია იმ ურიცხვი კოვბოებისა და ბუნების შვილების, რომლებითაც ასე უხვადაა დასახლებული ამერიკული მხატვრული ლიტერატურა. ბამპოს სახე რომანში იდეალიზებულია, იგი ერთადერთია და განუმეორებელი, სტოიკოსი ინდივიდუალისტი და ბევრად უფრო კეთილშობილი იმ საზოგადოებაზე, რომლის დაცვასაც ცდილობს. ღარიბი და მარტოსული, გულსუფთა და თავმდაბალი, იგი ეთიკურ ფასეულობათა ერთგვარი კრიტე-

რომში და ჰერმან მელვილის ბილი ბადისა და მარკ ტვენის ჰეკლბერი ფინის წინამორბედი.

ნათი ბამპოს პროტოტიპი ერთ-ერთი ამერიკელი პიონერი დანიელ ბუნი გახლდათ. კუპერის მსგავსად, იგიც კვაკერი იყო. ნათი ბამპო მშვიდობის მოსურნე ადამიანი იყო, ინდიელთა ტომის შვილობილი. ბუნიც და ბამპოც თავისუფლებას და ველურ ბუნებას აღმერთებდნენ. ისინი, მოწყვეტილი ლაშქრობებისაგან თავდასაღწევად, მუდამ დასავლეთისკენ მიიწევდნენ, რათა დამპყრობლებს უნებლიეთ მეგზურობას უწევდნენ აუთვისებელ უკიდეგანო სივრცეებში. ნათიც და ბუნიც სიცოცხლეშივე ლეგენდებად იქცნენ. ნათი თავისი პროტოტიპის მსგავსად, სუფთა, ამაღლებული და უმწიკვლო სულის ტიპაჟია. იგი შუასაუკუნეების რომანის ქრისტიან რაინდს ჰგავს, მაგრამ ამერიკულ გაუვალ ტყეებისა და კლდეების წიაღში აქვს გადგმული ფესვები. ნათი ბამპოს ცხოვრება შემკვრელი, შემაკავშირებელი რგოლია იმ საქვეყნოდ ცნობილი ხუთი რომანისა, რომელიც „ტყავის წინდის ამბებადაა" ცნობილი. ეს პენტალოგია ვრცელი პროზაული ეპოსია ინდიელთა ტომებისა და ახალმოსახლეთა საერთო სახლის – ჩრდილო ამერიკის კონტინენტისა, იქ წარმოებული დიდი ომებისა, დასავლეთისაკენ მიგრაციისა; დასავლეთისა, რომელიც არის პერსონაჟთა მოქმედების არეალი და ფონი. რომანებში განუმეორებელი სიცხოველითაა გადმოცემული ამერიკის ფრონტიერის ისტორია 1740 წლიდან 1804 წლამდე.

კუპერის რომანებში ცხოველადაა აღწერილი პიონერთა დინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ – ვრცელი ტბების ნაპირებისკენ და კიდევ უფრო შორს, კლდოვანი ქედებისაკენ, სადაც თავდება ტბები და იწყება უკიდეგანო პრერია. კუპერი გვაცნობს ინდიელთა ცხოვრებას, პირველ თეთრკანიანებს (ეგრეთ წოდებულ სქვატერებს), ჯარისკაცებს, ვაჭრებს და ფრონტირსმენებს. მოგვითხრობს ღარიბი, უბრალო ოჯახების შექმნასა და დასახლებაზე და, ბოლოს, საშუალო ფენისა და მსხვილი მოსახლეობის (მოსამართლეები, ქალები, ბანკირები) ფრონტიერზე ჩამოსახლებაზე. ახალ მოსახლეთა ყოველი მომდევნო ტალღა სდევნიდა წინამორბედს, ისე იქით, დასავლეთისკენ აძევებდა. თეთრკანიანები სახლდებოდნენ ინდიელთა მიწებზე. ცივილიზებული საშუალო ფენა, რომელიც ამ ტერიტორიებზე აშენებდა სასამართლო დარბაზებს, სკოლებს, ეკლესიებს, ბანკებს, აიძულებდა ინდივიდუალისტ ფრონტირსმენებს, რომელნიც თავის მხრივ, იძულებულნი იყვნენ თავს დასხმოდნენ დასავლეთში გადახვეწილ ინდიელთა ტომებს და კვლავ აყრიდათ ისინი საკუთარი მიწიდან. კუპერი ხატავს დასახლებათა გაუთავებელ ტალღურ მოძრაობას და, ამ პროცესიდან გამომდინარე, გარკვეულ მიღწევებთან ერთად მის დანაკარგებზეც მიუთითებს.

კუპერის რომანებში მძაფრად დგას პიროვნებისა და საზოგადოების, ველური სამყაროსა და ცივილიზაციის, ინტუიციისა და ორგანიზებულ რელიგიას შორის არსებული შეუსაბამობის ურთულესი პრობლემა. კუპერისათვის ბუნება, უბიწო სამყარო და ინდიელი, ძირითადად დადებითი მოვლენებია, ისინი უმაღლეს კეთილშობილებასთან არიან გაიგივებული. ხოლო ცივილიზაცია მხოლოდ განსწავლულ, კულტურულ პერსონაჟებთან ასოცირდე-



ჯეიმს ფენიმორ კუპერი

ფოტო
[illegible]

ბა. ველურსა და კულტურულს შორის მოქცეული პერსონაჟები არასანდონი, უზომოდ ძუნწები და ხარბები არიან. ღარიბ თეთრკანიან ახალმოსახლეებს, რომელთაც არ გააჩნდათ ელემენტარული ცოდნა და განათლება, არ აღელვებდათ არც გარე სამყარო და არც მისი კულტურა. ისევე, როგორც რადიარდ კიპლინგი, ე.მ. ფორსტერი, ჰერმან მელვილი და ბუნების უდიდეს მხატვართა და აფრიკის სხვადასხვა კულტურათა მცოდნე სხვა დიდი შემოქმედნი, კუპერიც განსხვავებულ კულტურათა რელატივიზმის მქადაგებელია. მას სწამდა, რომ რომელიმე ცალკეული კულტურა ვერ მოახშობდა ერის საერთო კულტურის დასკვწისა და გასაღისების პროცესს.

კუპერისათვის მისაღები მხოლოდ ამერიკული რეალობა იყო, ინგლისისთვის – არა. ინგლისი ამერიკულ სახლს ევროპელის თვალით აღიქვამდა. ამიტომაც ევროპული ლეგენდების გაამერიკელებას ცდილობდა. კუპერი უფრო ღრმად ჩაწვდა ამერიკის ისტორიას და უფრო უკეთ განჭვრიტა მისი მომავალი. მან წარმოსახა ახალი ყაიდის საზოგადოება, უკიდურესად ამერიკული ტიპაჟები, ხასიათები და თემები. მან პირველმა ააჟღერა ამერიკულ ლიტერატურაში უსამართლობასთან მარადიული ბრძოლისა და სასოწარკვეთის ტრაგიკული მოტივი.

## ქალები და უმცირესობანი

აღსანიშნავია, რომ კოლონიურმა პერიოდმა ამერიკაში არაერთი თვალსაჩინო მწერალი ქალი წარმოაჩინა, მაშინ, როცა რევოლუციურ ეპოქაში ურიცხვი ჟურნალ-გაზეთების, ლიტერატურული სკოლებისა და გაერთიანებების ხანაში, ქალთა და უმცირესობათა შემოქმედება იშვიათად მოვლენა გახდა. კოლონისტმა ქალებმა, ისეთებმა, როგორიც იყვნენ ანა ბრედსტრიტი, ანა ჰაჩისონი, ენ კოტონი და სარა ქემბელ ნაითი, მორალური და ფიზიკური დაუცველობის ამ მძიმე პერიოდში მოასწრეს ქვეყნის სოციალურ და ლიტერატურულ პროცესებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინათ. 1620 წელს „მაისის ყვავილით" ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადმოსახლებული 18 ქალიდან ერთ წელიწადში მხოლოდ ოთხი გადარჩა. ბუნებრივია, მაშინ, როცა ყოველი ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე ადამიანი ქვეყანაში აღრიცხული იყო, ნიჭის ნებისმიერ გამოვლინებას უფრო ფართო გასაქანი ეძლეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალ რესპუბლიკაში კულტურული ორგანიზაციები მომრავლდნენ და ოფიციალურად ჩამოყალიბდნენ, ქალების და უმცირესობებისათვის ადგილი აღარ აღმოჩნდა.


ფილის უითლი

### ფილის უითლი (1753-1784)

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ამ პერიოდის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, აფრიკული წარმოშობის პირველი ამერიკელი პოეტი ქალი ფილის უითლი გახლავთ, რომელმაც მთელი ცხოვრება მონობაში გაატარა. 8 წლის უითლი აფრიკიდან ჩამოიყვანეს ბოსტონში (მასაჩუსეტსი), სადაც იგი თავისი ცოლისთვის მონად შეისყიდა ერთმა ღვთისნიერმა მდიდარმა მკერავმა ჯონ უითლიმ. ბატონმა მალე შენიშნა მონა გოგონას გამჭრიახობა, დაჯეწილობა და თავის ქალიშვილს, მერი უითლის, დაავალა ფილისისათვის წერა-კითხვა ესწავლებინა.

უითლის პოეზიის თემატიკა რელიგიურია, სტილით კი იგი ფილიპ ფრენოს ბაძავს, ანუ უფრო ნეოკლასიცისტურია. მისი პოეტური ქმნილებებიდან აღსანიშნავია ლექსი „ს.მ-ს., ახალგაზრდა აფრიკელ მხატვარს, მისი ნამუშევრების ხილვისას", რომელიც მეორე შავკანიან შემოქმედის ნიჭით გამხნევების სურვილითაა შთაგონებული და, ასევე, მცირე ზომის ლექსი – „ოდეს აფრიკიდან ამერიკაში ჩამომიყვანეს". ამ ლექსში ფილის უითლი ღრმადმორწმუნე, ქრისტიანად მოქცეულ და ქრისტეს რჯულის ერთგულ დამცველად გვევლინება. ეს ლექსი ერთნაირად აოცებს თანამედროვე თეთრკანიან და აფრო-ამერიკელ კრიტიკოსებს. პირველნი თვლიან, რომ ფილის უითლის ლექსი თავისი შინაარსით ზედმეტად შემრიგებლურია, მეორეთა გაოცებას კი იწვევს ის, რომ ლექსში არ ჟღერს მონობის არც კრიტიკა და არც პროტესტი. ერთი რამ უეჭველია – ეს ლექსი გულიდან ამონასხეთქი გულწრფელი აღსარებაა. პოეტი მაღლდება თეთრ რასიზმზე და სულიერ თანასწორუფლებიანობას ქადაგებს. ფილის უითლი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, ვინც პოეზიაში ეს თემა წამოჭრა.

მე მოწყალებამ ჩამომიყვანა ჩემი პეგანიდან,
მოწყალებამ გამინათა გონება და მამცნო,
რომ არის ღმერთი, ერთი, არის ხსნა,
მონანიებას არც ველოდი და არც ვიცოდი,
იყო თუ არა.
ვიღაც ჩვენს შავ კანს ზიზღით შესცქერის და
იტყვის:
„ეშმაკის ფერიაო, სატანისეულიო".
გაიგეთ ძმანო, ქრისტიანნო, კაენივით შავი
ზანგნიც
შეიძლება განიწმინდნონ და ანგელოზის
შეისხან ფრთები.

## სხვა მწერალი ქალები

ზემოჩამოთვლილების გარდა, ფემინისტმა მკვლევარებმა რევოლუციური ერის არაერთი სხვა ნიჭიერი მწერალი აღადგინეს მკვდრეთით და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოამზეურეს. სუზანა როუსონი – **Susanna Rowson** (1762-1824) ამერიკის ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი რომანისტი იყო. მისი შვიდი რომანიდან ერთი – „შარლოტის ტაძარი" (1791) ნამდვილი ბესტსელერი გახდა. როუსონი თავის რომანებში ფემინისტურ და აბოლიციონისტურ თემებს აჟითარებდა, განსაკუთრებული სიმძაფრით იყო განწყობილი ინდიელების მიმართ.

დიდი ხნით მივიწყებული რომანისტი ქალებიდან ასევე აღსანიშნავია ჰანა ფოსტერი **Hannah Foster** (1758-1840) და მისი საუკეთესო რომანი „კოკეტი" (1797), სადაც ავტორი ძალზე გულამაჩუყებლად მოგვითხრობს, თუ როგორ დაღუპა ახალგაზრდა ქალი უმანკოებასა და ცდუნებას შორის ორთაბრძოლამ. იგი შეაცდინა და შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვა ქალების გულქვა მხასურმა; დაფესმძიმებულს, სასოწარკვეთილსა და ყველასაგან გაწირულს მას მარტოობაში ამოხდება სული.

ჯუდით სერჯენთ მარეი (1751-1820) **Judith Sargent Murray.** ეს ქალბატონი მამაკაცის სახელით და გვარით აქვეყნებდა თავის რომანებს, რათა მკითხველთა და მკვლევართა მეტი ყურადღება მიემყრო. მერსი ოტის უორენი **Mercy Otis Warren** (1728-1814) გახლდათ პოეტი, ისტორიკოსი, დრამატურგი, სატირიკოსი და გულანთებული რევოლუციონერი. რევოლუციის პატრიოტები ხშირად იკრიბებოდნენ მის სახლში. თავის ბანალურ-სენტიმენტალურ პიესებში მერსი ოტის უორენი ძირითადად ინგლისელთა წინააღმდეგ ილაშქრებდა და ამერიკის რევოლუციის რადიკალურ პროცესებს ასახავდა.

მერსი ოტის უორენისა და აბიგაილ ადამსის შორის (**Abigail Adams**) მიმოწერა და ეპისტოლური ჟანრის სხვა ნიმუშები იმ პერიოდის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს წარმოადგენენ. 1776 წელს აბიგაილ ადამსი თავისი მეუღლის ჯონ ადამსისადმი (ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტი) მიწერილ წერილში მეუღლეს დაბეჯითებით სთხოვს ამერიკის მომავალ კონსტიტუციაში ქალთა დამოუკიდებლობის მუხლის შეტანას.

# თავი 3

## რომანტიზმი 1820-1860 ესსეისტები და პოეტები

რომანტიზმის ტალღა, რომელიც გერმანიიდან დაიძრა, სწრაფად გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში და, საერთოდ, მთელს ევროპაში. მან მხოლოდ 1820 წელს მიაღწია ამერიკის სანაპიროს, ანუ ინგლისური პოეზიის კორიფეების უილიამ უორდსუორთისა და სემუელ ტეილორ კოლრიჯის „ლირიკული ბალადებიდან" თითქმის 20 წლის თავზე. ამერიკაშიც, ისევე, როგორც ინგლისში, სამყაროს ახალმა და სალმა ხედვამ შემოქმედებითი, ინტელექტუალური წრეები გამოაფხიზლა. და მაინც, განსხვავება ამ ორი ქვეყნის რომანტიზმს შორის ძალზე თვალსაჩინო იყო. რომანტიზმი ამერიკაში ეროვნული ექსპანსიისა და უნიკალური ამერიკული ხასიათის აღმოჩენისა და გააზრების მწვავე პერიოდს დაემთხვა. ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებამ, მოზღვავებულმა იდეალიზმმა და რომანტიკის წყურვილმა „ამერიკული რენესანსის" შედევრები შვა.

რომანტიკული იდეებით გაიჟღინთა მთელი ამერიკული ხელოვნება. რომანტიკა გახდა შთაგონების წყარო, ბუნების სულიერი და ეთიკური არსის განმსაზღვრელი, მისი ჰარმონიულობის მეტაფორა. მათ აღიარეს ხელოვნების პრიმატი მეცნიერებასთან მიმართებით. რომანტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ხელოვნების ძალა ჭეშმარიტების გამოხატვაშია, რომ წარმოსახვის ხელოვნება აყალიბებს პიროვნებას და საზოგადოებას. თავის ესსეში „პოეტი" (1844) ამერიკის ყველაზე გავლენიანი პოეტი რალფ უოლდოუ ემერსონი ამბობს:

> „ადამიანის სულს სიმართლის ჭვრეტა და მისი გამოთქმა სწყურია. სიყვარულში, ხელოვნებაში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ყოველდღიურ შრომაში, თამაშში ადამიანი დღენიადაგ საკუთარი ტკივილების ამოკვნესებას სწავლობს. ადამიანი ხომ საკუთარი „მეს" მხოლოდ ნახევარია, მეორე ნახევარი ისაა, რისი გამოხატვაც მას ძალუძს."

საკუთარი „მეს" განვითარება და დახვეწა მთავარი თემად იქცა, საკუთარი „მეს" შეცნობის მეთოდი – უპირველეს მეთოდად. რომანტიზმის თეორიის მიხედვით, თუ „მე" და ბუნება ჰარმონიაშია, მაშინ თვით შემეცნების ზღვარი ეგოიზმით როდი თავდება, პირიქით, იგი ჭეშმარიტებაში გადააბიჯებს. თუ ერთი ადამიანის „მე" მთელი კაცობრიობის სწორფერია, მაშინ ყოველი ადამიანი მორალურად ვალდებულია სოციალურ უკუღმართობათა გარდაქმნებისა და ადამიანთა ტანჯვის შესამსუბუქებლად იღვაწოს. საკუთარი თავის წვდომის იდეამ, რაც წინა თაობების განმარტებით პირწმინდა ეგოიზმს ნიშნავდა, სრულიად ახალი და სასიხარულო არსი შეიძინა. ლექსიკაში გაჩნდა დადებითი მნიშვნელობის არაერთი რთული სიტყვა, ისეთი, როგორიცაა მაგალითად: „თვითრეალიზაცია", „თვითგამოხატვა", „თვითშეგნება", „თვითკმაყოფილება", „თვითდაჯერებულობა", ა.შ.

როგორც უნიკალურმა მოვლენამ, სუბიექტურმა „მე"-მ მნიშვნელობა შეიძინა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. უკიდურესად ეფექტური მხატვრული ხერხებისა და საშუალებების გამოგონება შექმნა საჭირო მძაფრი და ღრმა ფსიქოლოგიური ემოციების გასაღვივებლად. ამაღლებული – მშვენიერების დიდებული სახება (მაგალითად, ხედი მთის მწვერვალიდან) ბადებს მოწიწების, თაყვანისცემის, სივრცის და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ძალების შეგრძნებას.

ამერიკელი პოეტებისა და ესსეისტების უმეტესობისათვის რომანტიზმი ყველაზე ახლობელი და მისაღები მიმდინარეობა აღმოჩნდა. ამერიკის თვალუწვდენელი ქედები, უკიდეგანო უდაბნოები და ტროპიკები „ამაღლებულის" ტოლფასი ცნებები გახდნენ. რომანტიზმი ასევე ბრწყინვალედ შეერწყა ამერიკული დემოკრატიის პრინციპებს: ინდივიდუალიზმს და რიგითი ადამიანის წარმოჩენის იდეას, პიროვნებაში ოცნებისა და წარმოსახვის ნიჭის, მისი ესთეტური და ეთიკური ფასეულობისადმი სწრაფვის შემჩნევას და გაღვივებას. ახალი ინგლისის ტრანსცენდენტალისტი მწერლები, რალფ უოლდოუ ემერსონი, ჰენრი დევიდ თორო და მათი მიმდევრები, რომანტიკული მოძრაო-

ბისათვის მახასიათებელი ლაღი ოპტიმისტური სულისკვეთებით იყვნენ ანთებულნი. ღრმად კი გვჯერა, რომ ასეთი ანალიზი რომანტიზმისათვის ჭეშმარიტად ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა.

## ტრანსცენდენტალისტები

ტრანსცენდენტალისტური მოძრაობა მე-18 საუკუნის რაციონალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული და მე-19 საუკუნის საერთო ჰუმანური პრინციპების მძლავრ მანიფესტაციას წარმოადგენდა. ამ მოძრაობის არსი ემყარებოდა იმ ფუნდამენტურ რწმენას, რომ სამყარო და ღმერთი ერთია, ადამიანის სულიც სამყაროა, თავად სამყაროს მიკროკოსმოსი. თვითდაჯერებულობის და ინდივიდუალიზმის ცნებებიც სწორედ ინდივიდისა და სამყაროს (ღვთაების) სწორფრობის კონცეფციიდან მომდინარეობს.

ტრანსცენდენტალიზმი ამერიკაში წარმოიშვა ბოსტონიდან დაახლოებით 32 კილომეტრზე მდებარე პატარა სოფელ კონკორდში. კონკორდი მასაჩუსეტსის ყურის კოლონიის პირველი დასახლება იყო მატერიკის სიღრმეში, ოკეანიდან მოშორებული და ველური ტყეებით გარშემორტყმული. მიუხედავად ასეთი იზოლაციისა, იგი საკმაოდ ახლოს გახლდათ იმისთვის, რომ საქმეების დროს ბოსტონის კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმულიყო, ესარგებლა მისი უნივერსიტეტით, ბიბლიოთეკით, და, ამავე დროს, საკმაოდ შორს იყო ქალაქიდან და იქ შედარებით მშვიდად ცხოვრობდა. კონკორდი ამერიკული რევოლუციის პირველი ბრძოლის ველიც გახლდათ და რალფ უოლდო ემერსონი თავის ცნობილ ლექსში „კონკორდის ჰიმნი" სწორედ ამ ბრძოლას გულისხმობს. აი, ის უკვდავი სტროფი, რომელსაც დღესაც ამერიკელი ბავშვის მშვენივრად იცნობენ:


რალფ უოლდო ემერსონი

ფოტო-პორტრეტი. სმითსონის ინსტიტუტის ნაციონალური გალერეა

„აქ უხეშ ხიდზე,
თაღივით რომ ედგა ნიაღვარს,
აპრილის ნიავს დროშა ცამდე
აეფრიალა,
მას წინ მებრძოლი ფერმერები
იდგნენ მედგრად,
შეძრა სამყარო – აქ ესროდნენ
რიცა იარაღს".

კონკორდი პირველი ამერიკული პროვინციის მწერლების კოლონია იყო და ამავე ის პირველი და ერთადერთი ნავთსაყუდელი, სადაც ამერიკის მატერიალიზმის საპირისპიროდ სულიერი და კულტურული ატმოსფერო სუფევდა. ეს იყო ამაღლებული საუბრებისა და უბრალო, მოკრძალებული ყოფის იდეალური ბუდე (ორივეს – ემერსონისაც და ჰენრი დევიდ თოროსაც ბოსტნეული მოჰყავდათ). ემერსონი, რომელიც კონკორდში 1834 წელს დასახლდა და თოროც პირველი კონკორდელები იყვნენ, თუმცა ამ პატარა ქალაქის საზღვრებში მათ არც ნოველისტი ნათანიელ ჰოთორნი ჩამოუვარდებოდა, არც ფემინისტი მწერალი მარგარეტ ფულერი, არც წერა-კითხვის გამავრცელებელი ბრონსონ ოლკოტი (ნოველისტი ლუიზა მეი ოლკოტის მამა) და არც პოეტი უილიამ ელერი ჩენინგი. ტრანსცენდენტალისტთა კლუბი 1836 წელს შეიქმნა და მასში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ემერსონი, თორო, ფულერი, ჩენინგი, ბრონსონ ოლკოტი, ორესტეს ბრონსონი (მღვდელმთავარი), თეოდორ პარკერი (აბოლიციონისტი და მღვდელი) და სხვა.

ტრანსცენდენტალისტებმა დააარსეს კვარტალური ჟურნალი „The Deal" (გარიგება), რომელმაც ოთხი წელი იარსება.

მისი გამოცემა მარგარეტ ფულერმა დაიწყო, შემდეგ გააგრძელა ემერსონმა. რეფორმები და მისთვის ბრძოლის ჟინი ზუსტად ისევე აღანთებდა ტრანსცენდენტალისტებს, როგორც ლიტერატურა. ისინი აშკარად თანაუგრძნობდნენ აბოლიციონისტებს. ზოგი მათგანი იყო კიდეც აბოლიციონისტი, ზოგიც თავდავიწყებით შრომობდა ეგრეთ წოდებულ ექსპერიმენტულ-უტოპიურ თემებში, მაგალითად ისეთში, როგორიც იყო „ბრუქ ფარმი" (აღწერილია ჰოთორნის „ბლაითდეილის რომანში").

ევროპული კლუბებისა და ლიტერატურული სკოლებისაგან განსხვავებით, ტრანსცენდენტალისტებს არასდროს გამოუციათ მანიფესტი. ისინი ქადაგებდნენ ცალკეული პიროვნების უნიკალურობას, ყოველი ინდივიდის უნარისა და შესაძლებლობათა განუმეორებლობას. ამერიკელი ტრანსცენდენტალისტი რომანტიკოსები წინა პლანზე რადიკალურ ინდივიდუალიზმს აყენებდნენ და გაათმაგებით იცავდნენ ამ კონცეფციას. ამერიკელი მწერლები ხშირად საკუთარ თავს განდევნილებთან, საზოგადოებრივი ნორმებისაგან გადახრილ და საზოგადოებას მოწყვეტილ აუტსაიდერებთან აიგივებდნენ. ამერიკის ლიტერატურული გმირი – მაგალითად, ჰერმან მელვილის კაპიტანი აქაბი, ან მარკ ტვენის ჰეკლბერი ფინი, ან ედგარ ალან პოს არტურ გორდონ პიმი ამერიკული რომანტიზმის ტიპური პირმშონი არიან, ვისთვისაც მეტაფიზიკური თვითშემეცნების სურვილის წინაშე უძლურია რისკის გაწევის შიში და თვით ბედისწერაც კი. ამერიკელი რომანტიკოსებისთვის მნიშვნელოვანი არაფერი მიუღწეველი არაფერი მიურთმევია. აღიარებული ლიტერატურული და სოციალური დოგმები მხოლოდ ავნებდნენ მათ შემოქმედებას, თორემ სიკეთეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ ტიტანური შრომისა და უსაზღვრო ჟინის ფასად შეიძლებოდა თვითმყოფადი და აუთენტიკური ლიტერატურული ფორმის, შინაარსისა და სელწერის მიღწევა, თანაც ყოველივე ამის თავის მობმა. დღევანდელი გადასახედიდან, იმ არაერთი მხატვრული შედევრის გათვალისწინებით, სავსებით აშკარაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომამდე (1861-65) ჯერ კიდევ სამი ათეული წლით ადრე, ამერიკულმა მხატვრულმა შემოქმედებამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

## რალფ უოლდო ემერსონი (1803-1882)

რალფ უოლდო ემერსონი თავისი ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო და ამ ეპოქის დამაგვირგვინებელი მოღვაწე გახლდათ. იგი მწერლის მოღვაწეობასა და მისსავე რელიგიური ფანატიზმით აღიქვამდა, თუმცა თანამედროვენი ქრისტიანობისაგან განდგომას საყვედურობდნენ. ემერსონს, ამასთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება გააჩნდა. მან ოპონენტებს მოსწრებულად განუცხადა: „იმისათვის, რომ კარგი მოძღვარი დავმდგარიყავი, ეკლესიის დატოვება დამჭირდა". მიმართვამ, რომელიც მან 1838 წელს „ალმა მატერას", ჰარვარდის სასულიერო სასწავლებლის, სახელზე დაწერა, 30 წლით ყელი აღუკვეთა ჰარვარდიდან. მიმართვაში ემერსონი ეკლესიას ბრალს სდებდა, რომ მან ღმერთი საერთოდ დაივიწყა და სულიერების და რწმენის განმტკიცების ნაცვლად დოგმების ურყეობას ქადაგებდა.

ემერსონის ფილოსოფიურ კონცეფციებს ლიტერატურათმცოდნეებმა ურთიერთგამომრიცხავი უწოდეს და არც ტყუოდნენ, ვინაიდან ემერსონი შეგნებულად ერიდებოდა თავს რაიმე მკაცრად ლოგიკური, ინტელექტუალური ფილოსოფიური სქემის შედგენას, რადგან სხვა შემთხვევაში ეს ურყევი რაციონალური სქემა გასაქანს არ მისცემდა ინტუიციასა და მოქნილობას, რასაც დიდ როლს ანიჭებდა. „ჯიუტი შეურყევლობა გონებაშეზღუდულთა იარაღია" – დასძენდა ემერსონი თავის ცნობილ ესსეში „თვითდაჯერებულობა" და ამის საპირისპიროდ, მთელი ცხოვრება ერთგულად იცავდა მოსაზრებას, რომ ამერიკული ინდივიდუალიზმი თავად ამერიკის წიაღშია აღმოცენებული და გარდაუვალი ფენომენია. მისი ფუნდამენტური მოსაზრებანი – ახალი ეროვნული თვალთახედვის, პირადი გამოცდილების, კოსმიური ზე-სულის და ანაზღაურების თეორიის შესახებ მოცემულია მის პირველ პუბლიკაციაში „ბუნება" (1836), სადაც იგი განმარტავს:

> „ჩვენი ეპოქა რეტროსპექტულია. იგი ძეგლს უდგამს წინაპართა ხსოვნას, თხზავს მათ ბიოგრაფიას, მატიანეს, ეთანხმება და არ ეთანხმება მას. ჩვენი წინაპრები ღმერთსა და ბუნებას ერთ სიბრტყეზე ჭვრეტდნენ, ჩვენც მათი თვალებით ვიყურებით. მაშ,

რატომ არ შეიძლება ბოლომდე აღვიქვათ ჩვენი სწორფრობა ბუნებასთან? რატომ უნდა ვეძიოთ პოეზია ტრადიციებში და არა საკუთარ სულებში? რატომ უნდა ვეძიოთ ხმის გზები წინაპართა ისტორიაში და არა რელიგიაში? წელიწადის დრონი, ჩვენი ცხოვრების მოძრაობის და ცვალებადობის საზომია. ბუნება თავისი მაცოცხლებელი შენაკადებით ჩვენს სულსა და სხეულში შემოიჭრა და მთელი თავისი ძლიერებით ჩვენშია განსხეულებული. იგი ჩვენი განუყოფელი ნაწილია, ჩვენ კი მისი. მაშ რატომ შემოვკრებილვართ წინაპართა ნაშთის გარშემო და რაზედ მიგვიპყრია თვალნი მხოლოდ წარსულისაკენ. განა მზე ისევ არ ანათებს? განა მინდვრებში ღაილია მატყლი და ბამბა? გარშემო სულ ახალ-ახალი მიწებია, ახალი ხალხი, ახალი დარდი და ფიქრი. მაშ, ჩვენივე ნაძიღვაწარს ვცეთ პატივი, ჩვენი კანონები ვაღიაროთ და ვილოცოთ".

ემერსონის უსაყვარლესი მწერალი, ფრანგი ესსეისტი მონტენი გახლდათ. იგი აღტაცებაში მოჰყავდა მონტენის გენიალურ აფორისტულ აზროვნებას. ერთხელ, პირად საუბარში, თურმე ბრონსონ ოლკოტს გამოუტყდა, რომ ოცნებობდა ისეთი წიგნი დაეწერა, როგორსაც მონტენი წერდა – „ლაღი, პოეტური, საქმიანი, ჰუმანური, ფილოსოფიური, იუმორისტული, სავსე ანეკდოტებითა და ქუჩის მტვერით". ემერსონი ოლკოტს წერის აბსტრაქტულ მანერას უწუნებდა. მისი განმარტებით, ოლკოტი საკუთარი სტილის მონობაში მოექცა და თვალსა და ხელს შუა გამოეპარა მთავარი: „სინათლის სხივი, ადამიანის ქუდზე რომ დაეცემა ან ბავშვის კოვზის ფსკერზე რომ აირეკლება ხოლმე".

სპირიტუალური აზროვნება და ამავე დროს გამოსატვის უკიდურესად პრაქტიკული, აფორისტული მანერა ემერსონის ფრაზას მომნუსხველობას ანიჭებდა. ერთ-ერთმა კონკორდელმა ტრანსცენდენტალისტმა მისი ქადაგების მოსმენის შემდეგ თქვა, – ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს სამოთხეში საქანელათი შევფრინდიო. აღმოსავლური რელიგიით და განსაკუთრებით ინდუიზმით, კონფუციონიზმითა და ისლამური სუფიზმით უზომო გატაცებამ განაპირობა რალფ უოლდოუ ემერსონის სპირიტუალური ძიებანი რელიგიაში. მისი ერთი ლექსი „ბრაჰმა" ინდუიზმის პრინციპებს ეყრდნობა და მოკვდავთა შეზღუდულ აზროვნებაში კოსმიური წესრიგისა და მარადისობის სხივის შეტანას ცდილობს.

სისხლიან ყასაბს თუ ჰგონია, რომ მოკლა,
ხოლო მოკლულს თუ თავი მართლაც
  მკვდარი ჰქონია,
საბრალოთ, არ იციან, რომ იმ ბილიკზე,
  მე რომ დავდივარ,
წავიელი და კვლავაც უკან დავბრუნდები.

დავიწყებული და შორეული ჩემგან ახლოა,
მზის ნათელი და ჩრდილი განა ერთი
  არ არის?
დავიწყებული ღმერთები მეცხადებიან,
დიდება და სირცხვილი ერთია ჩემთვის.

ვინც გამომტოვა, იმან თვლა არ იცის,
მოფრინავ ჩემსკენ? მე ვგ ფრთები ვარ,
მე ვარ ეჭვი და ისიც მე ვარ, ვინც მარად
  ეჭვობს,
მე ვარ ის ჰიმნი, ბრაჰმა რომ მღერის.

დიდი ღმერთები ჩემს სიყვარულს
  დაუტანჯავს,
ამაო ცდაა, საკრალური შვიდი ვერას
  გაიგებს,
შენ, ტკბილო ძმაო, ღმერთი რომ გიყვარს,
აღმომაჩინე მე და შენს ზეცას ზურგი აქციე.

ეს ლექსი 1857 წელს ჟურნალ „ატლანტიკ მანსლის" პირველ ნომერში დაიბეჭდა და უნდა ითქვას, რომ ერთობ დააბნია მკითხველი, რომელსაც ინდუიზმის უმაღლეს ღვთაებაზე, ბრაჰმაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. არც იმაზე, რომ ბრაჰმა სამყაროს მარადიული და უკვდავი სულია. ემერსონი კი მკითხველს ურჩევდა, თქვენც აღექით და ბრაჰმას ნაცვლად იაჰვე თქვითო.

ბრიტანელი კრიტიკოსი მეთიუ არნოლდი მე-19 საუკუნეში შექმნილი ინგლისურენოვანი ნაწარმოებებიდან ყველაზე დიდ შეფასებას უოდსუორთის ლექსებსა და ემერსონის ესსეებს ანიჭებდა. ემერსონმა უდიდესი გავლენა მოახდინა ამერიკული ლიტერატურის მთელ თაობებსა და ცალკეულ მწერლებზეც, თუნდაც ისეთებზე, როგორიც იყვნენ უოლტ უიტმენი, ემილი დიკინსონი, ედვინ არლინგტონ რობინსონი, უოლეს სტივენსი, ჰარტ კრეინი და რობერტ ფროსტი. რალფ უოლდოუ ემერსო-

ნის გავლენას ვერც ფილოსოფოსები გაექცნენ. ჯონ დიუი, ჯორჯ სანტაიანა, ფრიდრიხ ნიცშე და უილიამ ჯეიმსი დიდად დავალებული არიან ემერსონის შემოქმედებისაგან.

## ჰენრი დევიდ თორო (1817-1862)

ჰენრი დევიდ თორო წარმოშობით ნახევრად ფრანგი იყო და ნახევრად შოტლანდიელი. დაიბადა, აღიზარდა და მთელი ცხოვრება გაატარა კონკორდში. ემერსონის მსგავსად, თოროც ღარიბი ოჯახიდან იყო და მისი ცხოვრების გზამაც ჰარვარდის გავლით ჩაიარა. ცხოვრებაში მცირედითაც კმაყოფილი, სასწაულებრივად ასერსებდა თითქმის უსასრულო არსებობას, მაგრამ ცხოვრების ამ წესის წყალობით სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. არსებითად, იგი თვითონ იყო თავისი ბედისა და კარიერის მჭედელი. ნონკონფორმისტი შემოქმედი მთელი ცხოვრება ცდილობდა საკუთარი მკაცრი პრინციპებისთვის არ ეღალატა. ეს პრინციპები მისი შემოქმედების ქვაკუთხედია.

თოროს შედევრში „უოლდენი, ან ცხოვრება ტყეში" (1854) ასახულია პოეტის ცხოვრება საკუთარი ხელით აშენებულ პატარა ქოხში უოლდენის წყალსაცავთან, ემერსონის მამულებში, სადაც მან ორი წელი, ორი თვე და ორი დღე გაატარა (1845-დან 1847-მდე). ქოხში გატარებული დღეები თორომ თავის რომანში ერთ წლამდე დაიყვანა, რათა ნაწარმოების სტრუქტურა წელიწადის დროთა მონაცვლეობისათვის დაექვემდებარებინა. „უოლდენში" ყველაზე რიგითი, უმნიშვნელო მოვლენები პირველ პლანზეა წამოწეული (მაგალითად ნაწილში „ეკონომიკა", თორო დაწვრილებით აღნუსხავს ქოხის აშენებისთვის გაწეულ



ჰენრი დევიდ თორო

ჰულტონის არქივი

ხარჯებს), ხოლო თანხულების ბოლოს კი ვარსკვლავების თათბირზე საოცარ განსჯა-მედიტაციებს გვთავაზობს.

თორო, რომელსაც ძლიერ უყვარდა სათავგადასავლო ლიტერატურა, მოგზაურის ჩანაწერები და თავად იყო ამ ჟანრის არაერთი ნაწარმოების ავტორი, „უოლდენში" ანტისათავგადასავლო და ანტისამოგზაურო წიგნის ავტორად გვევლინება. ამ რომანში პარადოქსულად გაიხსნა ადამიანის სულიერი სკნელების გამოუცნობი პლასტები, თვითწვდომის ფსიქოლოგიური მიჯნები და ამგვარი იდეურ-მხატვრული სიმაღლისათვის ამერიკულ ლიტერატურაში ბევრს აღარავის მიუღწევია. თოროს ასკეტიზმი, თავმდაბლობა და სტოიციზმი ზნეობრივი ცხოვრების გზამკვლევად და კლასიკურ იდეალად გამოდგება. ამ ვრცელი პოეტური ესსეს პოეტიკაც და ფილოსოფიაც მკითხველს საკუთარი ცხოვრების გააზრების და სწორად შეფასების, აქედან გამომდინარე კი, თვითდაჯერებულობისა და თვითდამკვიდრების საშუალებას აძლევს. ქოხის აშენების პროცესი, რომელიც თორომ „უოლდენში" ასე დეტალურად აღწერა, ადამიანის სულის ჩამოყალიბების სათუთი პროცესის კონკრეტული მეტაფორაა. თავის დღიურში (1852 წლის 30 იანვარი) თორო განმარტავს, რატომ ანიჭებს უპირატესობას ერთ ადგილას მტკიცედ დაფუძნებას: „მოგზაურობას და ცნობილი ადგილების მონახულებას ვერიდები, რადგან ამან აზრისა და გონების სრული გაფანტვა იცის".

კონცენტრაციისა და უკანდასხევის, ასეთი განმარტოვების თოროსეული მეთოდი აზიური მედიტაციის ხერხებს ესმიანება. არც არის გასაკვირი, რადგან

თორო, ისევე, როგორც ემერსონი, ინდუიზმისა და ბუდიზმის გავლენას განიცდიდა. მისი ერთადერთი ქონება ემერსონთან ერთად შეგროვილი ანტიური კლასიკის უნიკალური ბიბლიოთეკა იყო. თოროს ეკლექტიკური მხატვრული სტილი ბერძნული და ლათინური კლასიკის ნათელ კალამბურულ სტილს უახლოვდება და ასევე, გვიანდელი რენესანსის ხანის ინგლისელი მეტაფიზიკურად მოაზროვნე მწერლებისთვის დამახასიათებელი მდიდარი მეტაფორიზმით სახიათდება.

„უოლდენში" ჰენრი დევიდ თოროს შემოქმედებითი ექსპერიმენტი მხოლოდ ტრანსცენდენტალიზმის თეორიის მხატვრული განსხეულებით არ შემოიფარგლება, იგი ითვალისწინებს აგრეთვე მე-19 საუკუნის საერთო ამერიკულ გამოცდილებას, კერძოდ, ფრონტიერზე ცხოვრების თემას. თორო გრძნობდა, რომ სწორედ მას ერგო წილად ამერიკული ენის რეფორმატორობა და ამერიკულ ლიტერატურაში ცნება ხელოვუქმნელის (ველურის) ახლებურად განმარტება. თოროს დღიურში ვპოულობთ 1851 წლის ერთ დაუთარიღებელ ჩანაწერს:

> „მენესტრელების პერიოდიდან ტბის პოეტებამდე, ჩოსერის, სპენსერის, შექსპირის და მილტონის ჩათვლით, ინგლისურ ლიტერატურაში ნაკლებად იგრძნობა სუფთა, ჯანსაღი და ამ გაგებით – შეურყვნელი შენაკადის სურნელი. იგი არსებითად ცივილიზებული და კულტივირებული ლიტერატურაა, ბერძნული და რომაული კულტურის ანარეკლი. ინგლისელისთვის ველური ბუნება გრინვუდია (მწვანე ტყე), ველური კაცი – რობინ ჰუდი. ინგლისურ პოეზიაში ბევრია ბუნების სიყვარულით ანთებული ლექსი, მაგრამ თვით ბუნების ცხოველმყოფელობა იქ არ იგრძნობა. ინგლისური ქრონიკები მოგვითხრობენ, როდის გადაშენდნენ იქაური გარეული ცხოველები და არას გვაუწყებენ მათი პირველყოფილი წინაპრების გადაშენებაზე. ეს ამერიკის სატკივარია".

„უოლდენით" შთაგონებულმა ირლანდიელმა ნაციონალისტმა უილიამ ბატლერ იტსმა „ტბა ინისფრის კუნძულზე" დაწერა, ხოლო თოროს ესსე „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა" – პასიური წინააღმდეგობის თეორია, რომელიც ემყარებოდა ცალკეული ინდივიდის მორალურ მოთხოვნილებას, არ დამორჩილებოდა უსამართლო კანონებს, XX საუკუნეში განდა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში მაჰათმა განდის და შავკანიან ამერიკელთა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლაში მარტინ ლუთერ კინგის შთაგონების წყარო. სხვა ტრანსცენდენტალისტებისაგან განსხვავებით, თორო ჩვენი თანამედროვეობისათვის განსაკუთრებით ღირსსაცნობი და აქტუალურია. იგი ღიდად გათვითცნობიერებული იყო ეკოლოგიურ საკითხებშიც. უნიკალურია, ასევე, დამოუკიდებლობის მისეული ცნება – „შენივე ხელით მოიპოვე დამოუკიდებლობა"; იგი გამოხატავდა უდიდეს სიმპათიებს აბოლიციონისტთა მიმართ, მანვე შექმნა სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და მშვიდობიანი წინააღმდეგობის პოლიტიკური დოქტრინა. მისი ნააზრევი მართლაც სავსებით მისაღები და გასათვალისწინებელია დღესაც, რომ არაფერი ვთქვათ მის უნიკალურ პოეტურ სტილსა და მოვლენათა ღრმა წვდომის ქეშმარიტად ნოვატორულ მეთოდზე.

## უოლტ უიტმენი (1819-1892)

უიტმენი ნიუ-იორკის გარეუბანში, ლონგ აილენდზე დაიბადა. პროფესიით დურგალი იყო, ხალხის წიაღიდან გამოსული. თავისი განუმეორებელი შემოქმედებით ახალი სიტყვა თქვა ლიტერატურაში და ერის დემოკრატიული სულისკვეთება გამოხატა. უიტმენი თვითნასწავლი კაცის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენდა. სკოლას თერთმეტი წლის ასაკში დაანება თავი და მუშაობა დაიწყო. ყოველივე ამის გამო, უიტმენმა ვერ შეძლო მიეღო ის ტრადიციული განათლება, რაც, საბოლოო ჯამში, ამერიკელ ავტორებს ინგლისელების იმიტატორებად აქცევდა ხოლმე. „ბალახის ფოთლები" (1855) უიტმენმა ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე გადაწერა და განაახლა. კრებულში შესულია ამერიკული ლექსის უნიკალურ ნიმუშად აღიარებული „სიმღერა ჩემზე". „ბალახის ფოთლები" ემერსონისა და სხვა ამერიკელი პოეტების ქველმოქმედების წყალობით გამოიცა და ამით უოლტ უიტმენს გზა გაეკაფა ამერიკულ პოეზიაში, თუმცა წიგნმა ავტორს ვერც წარმატება და ვერც პოპულარობა ვერ მოუტანა.

თითქმის ფანტასტიკური ხასიათის ეს წიგნი ბუნების ყველაზე უმნიშვნელო მოვლენასაც კი უმღერის და შთაგონებულია ემერსონის

შემოქმედებით, კერძოდ კი მისი ესსეთი „პოეტი", რომელიც წინასწარმეტყველებდა სიცოცხლით სავსე, გულგახსნილი, ბუნების ნიჭით ცხებული, სრულყოფილი პოეტის დაბადებას, სწორედ ისეთის, როგორიც თავად უოლტ უიტმენი გახლდათ. ნოვატორული ლექსის უფორმო თავისუფალი ზომა და ფორმა, ლექსის დაუფარავი სიტბო, დემოკრატიული სულისკვეთება და უკიდურესად რომანტიკული კრედო – რომ პოეტის სული და ლექსი ერთია, რომ პოეტი ღმერთია, ქმნიდნენ მა-რეულად [illegible] ტრადიციულ შესაძლებლობას ამერიკულ პოეზიაში.

„ბალახის ფოთლები" ამერიკის კონტინენტივით უკიდეგანო, ცხოველმყოფელი და მრავალფეროვანია. იმდროინდელი ამერიკელი კრიტიკოსები [illegible] მწერალთა შემოქმედების კვლევით იყვნენ გართულნი და უიტმენის გენია აღიარებით დარჩათ [illegible] და მიმართების სურვილითაა [illegible] უიტმენის ლექსი „სიმღერა ჩემზე". იგი გაბმული მუსიკალური რიტმის მოგვაგონებს:

„ველარაფერი მაიკებს,
სიმღერი გაყარდევი,
მე ვარ ხანდეარი და მტკვარი
ნემი
სფეროს მოიცავს,
მე ჩემი სხეულის ვარ მიმდევარი".

ლექსში ჩქეფს ცოცხალი სურათები და სხვათა სიმრავლე. უიტმენის ნიჭი არა ჰგავს პოეტურ „ფრთოსან ანგელოზს", მისი „ყვითელგვირგვინა ყანჩა ღამღამობით ქაობში დგას და კიბორჩხალებით ეამშობს". უიტმენი თითქოს თავადაა ანარეკლი იმისა, რასაც ხედავს ან წარმოსახავს. იგი ყოვლისმომცველია. „ყველა ნავსადგური მისი სახლია, რათა თითოეული წვრილმანი შეიგრძნოს, ხელი შეახოს, სიფათს თავი არ აარიდოს."



უოლტ უიტმენი

ფოტო. კონგრესის ბიბლიოთეკა

იგი ბრბოში ტრიალებს, მისი სიხარულითა და ტკივილებით ცხოვრობს, მათი ტოლი ტანჯული ბინადარია. „ჯადოქრობისთვის შერისხული და მშრალ შეშაზე დამწვარი მოხუცი დედა და მისი შვილნი ჯერაც იმ ცეცხლს რომ მისჩერებიან... მე ვარ დაგმილი ქოფაკებით დევნილი მონა, ძაღლის ნაკბენზე სული რომ მეკუმშება. მე ვარ გაქლეტილი, მკერდმსხვრეული მეხანძრე..."

უიტმენმა ამერიკული დემოკრატიის ყველაზე ცხოველმყოფელი მითი შექმნა.

„ალბათ დედამიწაზე არასდროს არავის ჰქონია ისეთი სრული შეგრძნება პოეზიისა, როგორც ამერიკელს. ამერიკის შეერთებული შტატები თავად არის ერთი დიდი პოემა". ამ სიტყვების დამწერმა, უოლტ უიტმენმა, მოურიდებლად გააბათილა აზრი, თითქოს ამერიკა ჯერაც და[illegible], [illegible] ბალღი იყო [illegible], რომ მისი დიდი პოეზია ეღიარებინათ. უიტმენმა შექმნა თავისუფლად მოაზროვნე, უსასრულო, მარადიული ამერიკის ხატი. ამერიკისა, რომელიც კაცობრიობის ყველა ერის [illegible] მიმღებლითა და მშენებლითა ოჯახებით იყო დასახლებული. ბრიტანელმა პოეტმა და ნოველისტმა დ.ჰ. ლოურენსმა უიტმენს „დიდი გზის პოეტი" უწოდა.

უიტმენის სიდიადეზე თავად მისი პოეზია მეტყველებს: ლექსები: „ბრუკლინის ბორანზე", „მარად ირწევა ჩემი აკვანი" და აბრაამ ლინკოლნის ხსოვნისადმი მიძღვნილი სევდიანი ელეგია „როცა ეზოში იები აყვავდებიან", პოეტური ხელოვნების მწვერვალადაა მიჩნეული. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ესსე „დემოკრა-

ტიული სივრცე" (1871), დაწერილი ინდუსტრიალიზმისა და გამდიდრებისადმი თავაწყვეტილი სწრაფვის, „ოქროს ციებცხელების" პერიოდში. ამ ესსეში უიტმენი ამერიკის მძლავრი ინდუსტრიისა და უსაზღვრო სიმდიდრის კრიტიკოსად და ამ ორომტრიალში სულის სიღრმეში ჩაძირული „უსიცოცხლო და თვალუწვდენელი საჰარის" აღმომჩენად გვევლინება. იგი ახალი ტიპის ამერიკული ლიტერატურის მაძიებელია, რომელიც ძირეულად გარდაქმნის ამერიკელ ხალხს („წიგნს ისე არ ჭირდება სრულყოფილება, როგორც მკითხველს"). და მაინც, უიტმენის რწმენა საკუთარ უკვდავებაზე მის ლექსში, „სიმღერა ჩემზე", ძევს, სადაც პოეტური „მე" ამ ლექსის არსიცა და ცენტრალური ფიგურაცაა.

„მე ვუმღერი ჩემს თავს და ვადიდებ
ჩემს თავს,
და რაც მე მაწევს მხრებზე, შენც იგივე
გერგება წილად,
რადგან ყოველი ატომი, ჩემი,
შენც გეკუთვნის".

უიტმენის ხმა ჯერაც ყრუანტელს გვრის თანამედროვე მკითხველს, განსაკუთრებით სულის შემძვრელია მისი განცხადება ბუნების ყველა ქმნილების ერთიანობისა და ცხოველმყოფელობის შესახებ. იგი უდიდესი ნოვატორი იყო. ლექსი იყო მისი ავტობიოგრაფია, რიგითი ამერიკელი — კელტი მესესტრელი და პოეტი, მკითხველი — შემოქმედი და „ექსპერიმენტული", ანუ ორგანული ფორმის აღმომჩენი.

## ბრაჰმინელი პოეტები

ბოსტონელ ბრაჰმინელებს (ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არისტოკრატები), ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი დროის ყველაზე დაფასებულ, ზედმიწევნით განსწავლულ, ლიტერატურულ არბიტრებად და მეტრებად მიიჩნევდნენ. ცხოვრების წესითა და პრინციპებით მწერალთა ეს ჯგუფი უშუალოდ ქადაგებდა ახალი ინგლისის იდეოლოგიით ნაკარნახევ გამდიდრებისა და კეთილდღეობის ზეობის იდეას და განათლების გადამწყვეტ მნიშვნელობას ცხოვრების ყველა სფეროში.

ადრეული პურიტანიზმის ხანაში ბრაჰმინელები უთუოდ სამაგალითო მღვდელთმსახურები იქნებოდნენ. მე-19 საუკუნეში ისინი ჰარვარდის პროფესორები გახდნენ, მოღვაწეობდნენ ელჩებად ევროპის სახელმწიფოებში და სხვადასხვა ევროპული ორგანიზაციების საპატიო წევრები და საპატიო წოდებათა კანდიდატები იყვნენ. მათი უმრავლესობა ან ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, განათლების გასაღრმავებლად, ან საუკეთესოდ იცნობდა ევროპულ კულტურას, ერკვეოდა თანამედროვე ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის მიმდინარე კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში. მაღალი არისტოკრატიის ინტერესთა დამცველი და ამავე დროს ნაწილობრივ დემოკრატიის მომხრე ბრაჰმინები ევროპული ორიენტაციის ელეგანტურ, დახვეწილ და ლოგიკურ მოსაზრებებს ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შესაძლებელი ტრიბუნიდან ქადაგებდნენ 3.000 ლიცეუმის სხდომათა დარბაზებში, ბოსტონის ყველაზე პოპულარული ჟურნალების „ნორს ამერიკან რევიუ" და „ატლანტიკ მანსლის" ფურცლებზე.

ბრაჰმინელი პოეტების შემოქმედებამ მტკიცედ შეადუღა ამერიკული და ევროპული ტრადიციები და საერთო ატლანტიკური გამოცდილებების უწყვეტი გზა. ეს მეცნიერი-პოეტები რიგითი ამერიკელის დახვეწას ამერიკულ ლიტერატურაში ევროპული კანონზომიერების შემოღებით ცდილობდნენ. მათი რუდუნება კი ძალზე კონსერვატორული აღმოჩნდა. ყოველივე ევროპულის ტყვეობაში მოქცეულნი, ისინი არ ცნობდნენ ისეთ ფენომენს, რომელსაც თვითმყოფადი ამერიკული ცნობიერება ერქვა. კეთილგანწყობილნი, მაგრამ კონსერვატორები, ისინი ვერ ხედავდნენ და არც უნდოდათ ისეთი გაბედული ნოვატორების დანახვა, როგორიც იყო თორო, უიტმენი (მის გაცნობაზეც კი უარი თქვეს) და ედგარ ალან პო (ამ უკანასკნელს თვით ემერსონმაც კი „ჯუნგლების კაცი" უწოდა), ისინი ბურჯებად ედგნენ ყოველივე იმას, რასაც „ელიტარული ტრადიცია" ერქვა და რომელთანაც რეალისტების სამ თაობას მოუწია ბრძოლა. ნაწილობრივ მათ „კეთილმოსურნეობასა" და გავლენას უნდა „ვუმადლოდეთ", რომ უიტმენის, მელვილის, თოროს და პოს გენია მხოლოდ 100 წლის წინ იქნა აღიარებული ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## ჰენრი უორდსუორთ ლონგფელოუ (1807-1882)

ბოსტონელი ბრაჰმინების ჯგუფის ყველაზე თვალსაჩინო პოეტები ჰენრი უორდსუორთ ლონგფელოუ, ოლივერ უენდელ ჰოლმსი და ჯეიმს რასელ ლოუელი გახლდნენ. ჰარვარდელი პროფესორი ლონგფელოუ კი თავისი დროის ყველაზე გამოჩენილი პოეტი იყო. მისი შემოქმედების საგანი ბუნებით მისილი, ნეისტორიული და ლეგენდარული წარსული გახლდათ, რომელიც ამერიკული და ინგლისური ტრადიციების გასაყარზე გამოკრთოდა. მის კალამს ეკუთვნის სამი ეპიკური პოემა – ეროვნული სახითი დაწერილი ეროვნული ლეგენდები: „ევანგელინი (1847), „ჰაიავათას სიმღერა" (1855) და „მაილს სტენდიშის ნიშნობა" (1858).

ლონგფელოს მემკვიდრეობას განეკუთვნება აგრეთვე თანამედროვე ევროპულ ენათა შესწავლელი სახელმძღვანელოები და სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები „ოტრ-მერი", რომელიც უცხოურ ლეგენდებს გადმოგვცემს და ვაშინგტონ ირვინგის „ესკიზების წიგნს" მოგვაგონებს. მისი მშვიდი, სენტიმენტური, დიდოსტატის ხელდასხმული ვრცელი პოემები და მოკლე, გულში ჩამწვდომი ლექსები, როგორიცაა „ნიუ-პორტის ებრაელთა სასაფლაო" (1854), „ჩემი დაკარგული ახალგაზრდობა" (1855), „მოქცევა და უკუქცევა" (1880) დღესაც უდიდეს ესთეტურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.



ჰენრი უორდსუორდ ლონგფელოუ

ფოტო: [illegible]

## ჯეიმს რასელ ლოუელი (1819-1891)

ჯეიმს რასელ ლოუელი ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამედროვე ენების კათედრის პროფესორი გახდა მას შემდეგ, რაც ლონგფელომ დატოვა ეს პოსტი. ლოუელს ამერიკული ლიტერატურის მეთაურ არისტოკრატს ეძახდნენ. თავიდან მან პოეზიაში სცადა ბედი, მაგრამ მალე მუზამ უღალატა და კრიტიკაში გადაინაცვლა. იგი თავისი დროის ყველაზე ცნობილი კრიტიკოსი და პედაგოგი იყო ამერიკაში. „ატლანტიკის" მთავარი რედაქტორი და „ნორთ ამერიკან რევიუს" თანარედაქტორი, იგი დიდი გავლენით სარგებლობდა საზოგადოებაში. ლოუელის „იგავი კრიტიკოსთათვის" (1848) სასაცილო პაროდია და შარჟია ამერიკელ მწერლებზე. იგი წერს: „აი პო, თავისი „ყორნით", ვითარცა ბარნაბი რაჯი – სამი მეხუთედი გენიოსი და ორი მეხუთედი შემლილი".

ცოლის ზეგავლენით, ლოუელი ლიბერალი რეფორმატორი, აბოლიციონისტი, ბავშვთა შრომის აღკვეთის მქადაგებელი და ქალთა ხმის უფლების დამცველი გახდა. „ბიგლოუს ჩანაწერების პირველ სერიებში" (1847-1848) მთავარი პერსონაჟი გამქრალი, მაგრამ უბირი, სოფლის პოეტი ბიგლოუა, რომელიც დიალექტურ პოეზიაში ცვლილებების შეტანის მომხრეა. ბენჯამენ ფრანკლინის და ფილიპ ფრენოს თავიანთ შემოქმედებაში სოფლის ინტელიგენტები სოციალური პრობლემების მქადაგებლებად გამოჰყავდათ. იგივეს აკეთებს ლოუელიც, ოღონდ ადგილობრივი დიალექტების გამოყენებით ერთმანეთს უხავებს ტრადიციულ კოლონიურ „ნახატის", ახალ რეალიზმსა და კუთხურ თვისებებს. ეს მეთოდი 1850 წლებში განსაკუთრებული ენთუზიაზმით აიტაცეს ამერიკელმა მწერლებმა, კერძოდ კი, მარკ ტვენმა.

## ოლივერ უენდელ ჰოლმსი (1809-1894)

ოლივერ უენდელ ჰოლმსი იყო ჰარვარდის პროფესორი, ექიმი, ანატომიისა და ფიზიოლოგიის ბრწყინვალე სპეციალისტი. ბოსტონელ ბრაჰმინელთა სამ გამოჩენილ მოღვაწეთაგან იგი ყველაზე ორიგინალური იყო თავისი ლაღი და მრავალფეროვანი შემოქმედებით. მის კალამს ეკუთვნის იუმორისტული ნარკვევების კრებული „წვეულების თამადა" (1858), რომანები (მაგ: „ელსი ვენერი" – 1861), ბიოგრაფიები („რალფ უოლდო ემერსონი" – 1885), სახალისო ლექსი („დიაკვნის შედევრი, ან შესანიშნავი ერთცხენიანი ფაეტონი"), ფილოსოფიური ლექსი („პატიმარი ნაუტილუსი") და მგზნებარე პატრიოტული ოდა („ძველი ჯავშნოსანი").

ლოუელი დაიბადა მასაჩუსეთში, ბოსტონის გარეუბან კემბრიჯში, რომელიც ამავე დროს ჰარვარდის სამშობლოა, გაიზარდა ყველასათვის პატივცემული ადგილობრივი მოძღვარის ოჯახში. მისი დედა პოეტი ქალის ანა ბრედსტრიტის შთამომავალი გახლდათ. მის და მის შემდგომ ეპოქებშიც ოლივერ უენდელ ჰოლმსი სიბრძნის, დახვეწილობის და ხიბლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული და არა ახლისმამიებლად ანდა ნოვატორად. მას უფრო სოციალური მოვლენათა გულწრფელ ინტერპრეტატორად, ენის რეფორმატორად და ადამიანის სულის დასტაქრად აღიქვამდნენ.

# ორი რეფორმატორი

ახალ ინგლისში სამოქალაქო ომის წინა პერიოდი ინტელექტუალური ენერგიის ამოფრქვევის ხანა იყო. დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში იმ პერიოდის ამერიკული ლიტერატურის ისეთ ვარსკვლავებზე საუბრობენ, რომელთა მნიშვნელობა ბრაჰმინელი კლასიკოსების წვლილსაც კი აღემატება, მაშინ კი ზოგი მათგანი სიღატაკის, ზოგიც კი რასობრივი და ქალთა დისკრიმინაციის გამო მიჩქმალული და აუღიარებელი იყო. თანამედროვე მკითხველისათვის დღეს აღმოჩენის ტოლფასია აბოლიციონისტი მწერლის ჯონ გრინლიფ უიტიერის და ფემინისტი რეფორმატორის მარგარეტ ფულერის შემოქმედება.

## ჯონ გრინლიფ უიტიერი (1807-1892)

ჯონ გრინლიფ უიტიერი იმ პერიოდის ყველაზე ნაყოფიერი პოეტი გახლდათ. იგი უოლტ უიტმენის მიმდევარი იყო. დაიბადა და გაიზარდა მასაჩუსეთსში, კვაკერულ ფერმაში. მიიღო არასრული განათლება, მუშაობდა ჟურნალისტად. ვიდრე პოპულარობას მოიხვეჭდა, თავგადადებული აბოლიციონისტი იყო. უიტიერი ცნობილია თავისი ანტიმონათმფლობელური შინაარსის ლექსებით, მაგალითად, ლექსით „უნამუსობა", მის პოეზიას ხშირად რეგიონალური ან ლოკალური რეალიზმის ადრეულ მოვლენად მიიჩნევენ.

უიტიერის გამოკვეთილი სახეები, სადა არქიტექტონიკა და ბალადური ტეტრამეტრული სტროფები რობერტ ბერნსის მარტივ, მიწიერ პოეტურ ქსოვილს წააგავს. ცნობილი პოემა „დათოვლილები", პოეტის გარდაცვლილი ოჯახის წევრების, მეგობრების და ბავშვობის გახსენებაა, იმ დროისა, როდესაც ისინი ერთად, ოჯახურ იდილიაში, პატარა ფერმის კერასთან თბებოდნენ ახალი ინგლისის ერთ-ერთი დიდთოვლობის დროს. ეს სადა, რელიგიური ხასიათის, უაღრესად ინტიმური პოემა, რომელიც სამოქალაქო ომის კოშმარის შემდეგ გამოქვეყნდა, გარდაცვლილთა ელეგიად და ქრალობათა მოშუშების ჰიმნად აღიქმება. გარე სამყაროში ატეხილი პოლიტიკური ვნებებისა და ქარტეხილების ფონზე ეს პოემა სულის უკვდავებას, სიყვარულს, მარადიული ხსოვნის ძალას და სწორუპოვარი ბუნების სიტურფეს ღაღადებს.

## მარგარეტ ფულერი (1810-1850)

მარგარეტ ფულერი ცნობილი ამერიკელი ესსეისტი იყო. იგი დაიბადა და გაიზარდა მასაჩუსეთსში, კემბრიჯში, ხელმოკლე ადვოკატის ოჯახში. უსახსრობის გამო მან განათლება ოჯახში მიიღო, საკუთარი მამისგან (მაშინ ჰარვარდში ქალებს არ იღებდნენ) და კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ვუნდერკინდი გახდა. განსაკუთრებით იტაცებდა გერმანული რომანტიზმი და ბევრს თარგმნიდა გოეთედან.

ფულერი ამავე დროს პირველი აღიარებული ამერიკელი ჟურნალისტი ქალი იყო, რომელიც მეტად მწვავე და ამაღელვებელ წერილებს წერდა სოციალურ საკითხებზე პატიმარი ქალებისადმი და სულით ავადმყოფებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ამ სტატიათაგან რამდენიმე შესულია მის წიგნში „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე" (1846). ერთი წლით ადრე კი მან გამოაქ-

ქვეყნა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ქალი მე-19 საუკუნეში". ეს პუბლიკაცია პირველად ტრანსცენდენტალისტების ჟურნალ „დაიალში" გამოქვეყნდა, რომელსაც თავად რედაქტორობდა 1840-დან 1842 წლამდე.

ფულერის „ქალი მე-19 საუკუნეში" გახლავთ ყველაზე ადრეული და ყველაზე ამერიკული განსაზღვრება ქალის როლისა საზოგადოებაში. მარჯვედ გამოიყენა რა დემოკრატიული და ტრანსცენდენტალური პრინციპები, ფულერმა ღრმად გააანალიზა ქალთა დისკრიმინაციის მავნე შედეგები. მისი გამომწვევი მიზეზები და ამ მანკიერების აღმოსაფხვრელი გზები დასახა. მისი მოსაზრებები სავსებით თანამედროვეა. იგი ამტკიცებს, რომ ქალებს განსაკუთრებით ახლავთ „დამოუკიდებლობა", რადგან „მათ ბავშვობიდან უსმოდ მორჩილების გაკვეთილებს უტარებენ და არ აძლევენ საკუთარ სულში".

ფულერი იმდენად ფემინისტი არ არის, რამდენადაც აქტივისტი და რეფორმატორია. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საზოგადოდ ადამიანის სულის თავისუფალ შემართებასა და ღირსების შეგრძნების იდეალს მიუძღვნა.

„ეცადეთ ბრძენნი და ნუ შეაჩვევთ სულთ ... თავისუფლება მიეცით ჩვენს შემოქმედებით ენერგიას, ... დაე, მიიღოს ის ფორმა, რომელსაც თვითონ მოირგებს და ნუ შეზღუდავთ მას ქალისა და კაცის, შავისა და თეთრის გამყოფი არტახებით".



ემილი დიკინსონი

ფოტო. ხარჯერი და ძმები

## ემილი დიკინსონი (1830-1886)

ემილი დიკინსონი მისი ეპოქის და ახალი ათასწლეულის ლიტერატურული ასპარეზის არსი და შეუცვლელი როლია. ულტრა ინდივიდუალისტი – იგი დაიბადა და გარდაიცვალა მასაჩუსეტსში, პატარა კალვინისტურ სოფელ ამჰერსტში. არასდროს გათხოვილა, არ გამოქვეყნებულა ფართო საზოგადოებაში. გარეგნულად მდორე, მაგრამ შინაგანად მეტად მღელვარე და ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. უყვარდა ბუნება, გარესამყარო, ჩიტები, ცხოველები, მცენარეები, წელიწადის დრონი და ახალი ინგლისის სოფლის პეიზაჟი.

ცხოვრების უკანასკნელი წლები განდეგილობაში გაატარა. ვინაიდან ამას მოითხოვდა მისი სათუთი ფაქიზი ფსიქიკა და სულიერი მდგომარეობა. ბევრს მუშაობდა, დღეში ხანდახან თითო ლექსს წერდა. საშინაო საქმეებსაც ასწრებდა, უვლიდა მამას, სოფლის ადვოკატს, რომელსაც იმ მხარეში ყველა პატივს სცემდა და ერთხანს კონგრესის წევრიც კი იყო.

დიკინსონს ღრმა, ფუნდამენტური განათლება არ მიუღია, მაგრამ შესანიშნავად იცოდა ბიბლია, უილიამ შექსპირის შემოქმედება, კლასიკური მითოლოგია. ამ საგნებს დიდებულად ფლობდა. იგი თავისი დროის ყველაზე განდეგილი და მარტოსული პოეტი იყო და ამ მოურიდებელმა, მარტოსული პროვინციელმა ქალმა, რომელსაც არავინ იცნობდა და რომელსაც სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაუბეჭდავს, მე-19 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას ძალიან შედეგიანი შეხმატკბილება მისცა. მის პოეზიას დღესაც ალეგორიულობით, კითხულობენ და ღირსეულად ახალ სიღრმეებსა და პლასტებს აღმოაჩენენ ხოლმე.

დიკინსონის რაფინირებული და გამომსახველი სტილი თვით უიტმენის სტილზე უფრო ნოვატორული და ორიგინალურია. იგი არასდროს ხმარობს ორ სიტყვას იმის გამოსასატავად, რაც ერთი სიტყვით გადმოიცემა, კონკრეტულ მოვლენებს აბსტრაქტულს უხავებს და ფრაზას დაწურულ ანდაზურ ფორმას აძლევს. მისი საუკეთესო ლექსებისთვის უცხოა სიმსუყე, მოდური სანტიმენტალიზმი, ზოგი ლექსი ეროტიკულია. ედგარ ალან პოს მსგავსად, იგი უფრო და უფრო ღრმად მიიწევს ადამიანის ტვინის შეუსწავლელ სხვეულებში და სიკვდილისა და სამარის გაზვიადებულ სურათს ხატავს. ამასთან ერთად, ემილი დიკინსონი გატაცებით უმღერის ბუნების ჩვეულებრივ მოვლენებსაც: ყვავილს, ფუტკარს. მისი პოეზია ინტელექტისა და სიბრძნის საუკეთესო გამოსატულებაა. მისი პოეზიის პარადოქსული ძალა დროის საზღვრების მიღმაა. იგი იუმორის გრძნობითაც იყო დაჯილდოებული და ამდენად მოვლენებისა და საგნებისადმი მისი დამოკიდებულება და მათი აღქმის თვალსაწიერი უკიდეგანოა. მისი ლექსები სათაურებით კი არა, ნომრებითაა ცნობილი. ასეა ჩაწერილი და დანომრილი ემილი დიკინსონის პოეზია ჰ.ჯონსონის 1955 წლის სტანდარტულ გამოცემაში. ლექსები აღინიშნება წყვილ-წყვილი მთავრული სიმბოლოებით და ტირეებით.

ნონკონფორმისტი პოეტი დიკინსონი, ისევე, როგორც თორო, სიტყვებსა და ფრაზებს ხშირად საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს და მძაფრი ეფექტებისთვის ძირითადად პარადოქსებს იყენებს. ლექსი 435:

ზედმეტი სიგიჟე ღვთისმიერია —
მახვილი თვალისთვის შესამჩნევი —
ზედმეტი აზრი – დაუმორჩილებლობის
  სიგიჟე —
ასეა უმრავლესობა
ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი —
დაეთანხმები – შესცოდავ —
წინ აღუდგები – სახიფათო ხარ —
ხელზე მაშინათვე ბორკილს დაგადებენ—

პოეტური სიბრძნითაა სავსე ლექსი (288), რომელიც დასცინის პატივმოყვარეობას.

მე ვარ არავინ! შენ ვინა ხარ?
ნუთუ შენც – არავინ?
მაშ ჩვენ წყვილი ვყოფილვართ!
ნუ გაამხელ, უმალ ქვეყანას მოსდებენ —
შენც კარგად უწყი!
რა უაზროა – იყო – ვიღაცა!
და რა მარტივი – როგორც გომბეშო —
ზიხარ ჭაობში —
და ყიყინებ შენს სახელს —
ივნისის თვეში —

დიკინსონის 1,775 ლექსი დღესაც კრიტიკოსთა კამათისა და განსჯის საგანია. ზოგი მის მისტიკურობაზე ამახვილებს ყურადღებას, ზოგი ბუნებისა და სამყაროს აღქმაზე, ზოგი ეგზოტიკურობაზე. ერთ-ერთი თანამედროვე კრიტიკოსი რ.პ. ბლექმური წერს: დიკინსონის პოეზიის მკითხველს ისეთი გრძნობა გებადება, თითქოს „ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე კატა შემოგეჩვიაო“. მისი წმინდა, გასაგები, ნატიფი სტრიქონები ამერიკული ლიტერატურის საგანძურის ყველაზე ძვირფასი და მომხიბლელი პატიოსანი თვლებია.

# თავი 4

## რომანტიზმის ხანა 1820-1860: მხატვრული ლიტერატურა

უოლტ უიტმენი, ნათანიელ ჰოთორნი, ჰერმან მელვილი, ედგარ ალან პო, ემილი დიკინსონი და ტრანსცენდენტალისტები ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის პირველ დიდ თაობას წარმოადგენდნენ. რაც შეეხება რომანისტებს, მათ შემოქმედებაში რომანტიკული მსოფლმხედველობა იმ ფორმით გამოვლინდა, რასაც ჰოთორნმა „რომანსი“ შეარქვა – რომანის ღრმა ემოციური, ამაღლებული და სიმბოლიკით აღბეჭდილი ფორმა. „რომანსები“ სასიყვარულო ისტორიების ამსახველი ნაწარმოებები არ გახლდნენ, არამედ ვრცელი, სერიოზული მხატვრული ტილოები, რომელთა შესაქმნელად განსაკუთრებული ლიტერატურული მეთოდიკა და ტექნიკა იყო საჭირო.

სათუთად ჩამოქნილი და დეტალურად გააზრებული რეალისტური სახეების ნაცვლად, როგორსაც ინგლისური და სხვა ევროპული რომანები გვთავაზობდნენ, ედგარ პომ, ჰოთორნმა და მელვილმა ლიტერატურაში თვით სამყაროსთან წილნაყარი და მითიური მნიშვნელობის ჰეროიკული ტიპაჟები შემოიყვანეს. ამერიკული „რომანსის“ ტიპური გმირი დევნილი, გარიყული პიროვნებაა. მაგალითად, ჰოთორნის არტურ დიმსდეილი ან თუნდაც ესთერ პრინი „ალისფერი ასოდან“, მელვილის აქაბი „მობი-დიკიდან“ და ედგარ ალან პოს პოეტური მემკვიდრეობის არაერთი ცხოვრებისგან განმდგარი და ტანჯული პერსონაჟი. ისინი მარტოსულები არიან, ქვეცნობიერად ბედისწერასთან და ბუნების რაღაც უხილავ ბნელ ძალებთან ჩაბმულან უნებლიე ბრძოლაში. სიმბოლიკა და სიმბოლური სიუჟეტები სულის ტკივილით ნაკარნახევ მოქმედებათა გამოვლენის ყველაზე ხელსაყრელი მეთოდი აღმოჩნდა.

სულის ფარულ სნეულებში ასე ღრმად შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი ამერიკაში ყოველმხრივ მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციათა უქონლობა იყო. ინგლისელი რომანისტები ჯეინ ოსტენი, ჩარლზ დიკენსი, ენტონი ტროლოპი, ჯორჯ ელიოტი, უილიამ თეკერეი – კომპლექსურ, უკვე ჩამოყალიბებულ, ტრადიციულ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ და მკითხველს თავიანთ რეალისტურ შემოქმედებაში დაგროვილ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მოსაზრებებს უზიარებდნენ. ამერიკელი რომანისტები პირისპირ შეეჩეხნენ უკიდეგანო ყამირ სივრცეებს და თვალუწვდენელი ტყეების გარემოცვას, რომ არაფერი ვთქვათ კლასებად დაუნაწევრებელ დემოკრატიულ საზოგადოებაზე. ამერიკელ მწერლებს არ აკმაყოფილებდათ ტრადიციების უქონლობის აღიარება. ინგლისურ რომანებში ხშირად წააწყდებით ღარიბ მთავარ გმირს, რომელიც ეკონომიკური თუ სოციალური კიბის სათავეში მოექცა ხარფიანი ქორწინების ან საიდანღაც გამოჩენილი, თურმე არისტოკრატიული წარმომავლობის წყალობით. და ეს გაცვეთილი სიუჟეტი სრულიადაც არ ემუქრებოდა ინგლისის არისტოკრატიულ იდეოლოგიის ურყევობას. პირიქით, ამყარებდა კიდეც მას, ვინაიდან ცალკეული პიროვნების საზოგადოებრივ კიბეზე აღმასვლა საშუალო ფენას იმედითა და თვითკმაყოფილებით ავსებდა.

ამის საპირისპიროდ, ამერიკელი რომანისტები არსებითად მხოლოდ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ. ამერიკა ნაწილობრივ ჩამოუყალიბებელი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და ნაირგვარი ადათ-წესების დამცველი ემიგრანტების სამოსახლოთა მუდმივ მოძრავი საზღვარი, ანუ ფრონტიერი იყო. ამგვარად გასაკვირი არაა, რომ ამერიკული ლიტერატურის მთავარ გმირს ველური, კანიბალური ტომების გარემოცვაში თავი მარტოსულად ეგრძნო, როგორც ეს აღწერილია მელვილის რომანში „თაიფი“, ან გაეთავისებინა ხელთუქმნელი ბუნების ცხოველმყოფელობა ისე, როგორც ეს ფენიმორ კუპერის „ტყავისწინდის“ პენტალოგიაშია, ან კიდევ, ედგარ პოს განდევნილი მარტოსულების მსგავსად ეხილა მოჩვენებანი სამარიდან, ან გადაყროდა ტყეში მოსეირნე დემონს, როგორც ეს ჰოთორნის ახალგაზრდა გუდმენ ბრაუნს დაემართა. ამერიკული რომანტიზმის ყოველი რჩეული გმირი ფაქტობრივად

მარტოსულია. დემოკრატიული ამერიკის პირმშოს არსებითად ერთი გზა ჰქონდა – მას თვითონ უნდა შეექმნა საკუთარი პიროვნება.

სერიოზული ამერიკელი რომანისტს კიდევ ერთი ურთულესი მისია დაეკისრა: მელვილის „მობი-დიკის" უკიდეგანო იდიოსინკრაზიული ფორმისა და ედგარ ალან პოს „არტურ პიმის ნაამბობის" ძილ-ღვიძილში დაუსრულებელი ხეტიალის შემდეგ მას ლიტერატურაში ახალი ფორმები უნდა მოეძებნა. ამერიკელი მწერლებიდან რომანის ფორმის სრულყოფა მხოლოდ რამდენიმემ თუ შეძლო. ეს პრობლემა ამერიკულ ლიტერატურაში დღესაც გადაუწყვეტელია, იმის საცვლად, რომ გაკვალულ გზას გაჰყოლოდნენ, ამერიკელებმა განიზრახეს ახლის შექმნა. ამერიკაში არასდროს არ კმაყოფილდებოდნენ ტრადიციული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მოდელებით. ძველი და ტრადიციული უკან რჩებოდა. ყურადღების ცენტრში ყოველთვის ახალი, ნოვატორული ძალები ექცეოდნენ.

## „რომანსი"

„რომანსის" ფორმა რთული და შეუღწეველია, იგი იმთავითვე განმარტავს არასტაბილურ საზოგადოებაში თანასწორობისა და ჰარმონიის დამყარების სირთულეს. უმრავლეს „რომანსთა" გმირები ფინალში, წესისამებრ, იღუპებიან. „მობი-დიკში" ისმაელის გარდა ყველა მეზღვაური იხრჩობა, ასევე „ალისფერი ასოს" კეთილი, მაგრამ ცოდვილი მოძღვარი არტურ დიმსდეილიც ნაწარმოების ფინალში ტრაგიკულად იღუპება. გაორებისა და ტრაგიზმის ტონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამერიკულ ლიტერატურაში სწორედ რომანის ჟანრში იძენდა, თვით სამოქალაქო ომამდეც კი 1860-იანი წლები, როდესაც ამერიკის საზოგადოება უდიდეს სოციალურ ტრაგედიას პირისპირ შეეჩეხა.

## ნათანიელ ჰოთორნი (1804-1864)

ინგლისური წარმომავლობის მეხუთე თაობის ამერიკელი ნათანიელ ჰოთორნი დაიბადა მასაჩუსეტსში, სეილემში, ბოსტონის ჩრდილოეთით მდიდარ ნავსადგურში, რომელიც წარმატებით ვაჭრობდა აღმოსავლეთ ინდოეთთან. მისი ერთ-ერთი წინაპარი წინა საუკუნეში სეილემის იმ გახმაურებული პროცესის მოსამართლე იყო, რომელზეც სეილემის ქალებს ჯადოქრობისთვის ასამართლებდნენ. წყეული მოსამართლის ცოდვების თაობიდან თაობაზე გადაცემის იდეა ჰოთორნმა გამოიყენა თავის რომანში „შვიდკოშკურიანი სახლი".

ჰოთორნის ნაწარმოებთა უმეტესობა პურიტანულ ახალ ინგლისშია დაწერილი და მისი უმშვენიერესი მხატვრული ტილო „ალისფერი ასო" პურიტანული ამერიკის კლასიკური პორტრეტი გახლდათ. იგი მოგვითხრობს ახალგაზრდა ღვთისმსახურის, მისი უწმინდესობა მამა არტურ დიმსდეილისა და წარმტაცი ქალაქელი გოგონას, ესთერ პრინის აკრძალულ სიყვარულზე. ადრეული პურიტანული კოლონიზაციის პერიოდში შექმნილი ეს რომანი წარმოაჩენს კალვინისტურ სწრაფვას მაღალი მორალისადმი, დანაშაულისა და მონანიებისადმი, სულიერი გადარჩენისადმი.

თავისი დროისათვის „ალისფერი ასო" გაბედული და, თუ გნებავთ, მეამბოხური წიგნიც გახლდათ. ჰოთორნის მსუბუქი სტილი, ისტორიულობა და ორაზროვნება არბილებდნენ მის მძიმე თემატიკას და იოლად აცთუნებდნენ მასობრივ მკითხველს, თუმცა ისეთი დახვეწილი ამერიკელი მწერლები, როგორიც რალფ უოლდო ემერსონი და ჰერმან მელვილი იყვნენ, ამ წიგნის „ჯოჯოხეთურ" ძალას აღიარებდნენ. „ალისფერ ასოში" წამოჭრილ პრობლემებზე მე-19 საუკუნეში საუბარი საერთოდ აკრძალული იყო. ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნებოდა ადამიანის ცხოვრების წესის ახალი, თავისუფალ-დემოკრატიული მოსაზრებების შუქზე გააზრება, განსაკუთრებით კი მორალის და რელიგიურ ასპექტებში. ჰოთორნის რომანი სიუჟეტურად მკვიდრად არის შეკრული, მხატვრული ძალმოსილებითაც ბრწყინვალეა. იგი ალეგორიულიცაა. ავტორი შესანიშნავად იყენებს ყველა იმ მხატვრულ ხერხს, რომლითაც პურიტანული ლიტერატურა იწონებდა თავს.

ჰოთორნს არანაკლები პოპულარობა მოუტანა მისმა სხვა რომანებმა და მოთხრობებმაც. „შვიდკოშკურიან სახლში" (1851) იგი კვლავ ახალი ინგლისის ისტორიას უბრუნდება. „სახლის" ნგრევა სეილემის მარტო ერთი დაწყევლილი ოჯახის ხვედრი როდია, იგი მთელ სისტემას ემუქრება. რომანის გამჭოლი თემაა მემკვიდრეობით მიღებული წყევლა და მისი განხორციელება ტრაგიკულ სიყვარულში. როგორც ერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა,

ჰოთორნის ორეული იდეალისტი ჰოლგრეივი გამოხატავს ავტორის დემოკრატიულ უნდობლობას ძველი არისტოკრატიული ოჯახების მიმართ: „სიმართლე ისაა, რომ ნახევარ საუკუნეში ერთხელ მაინც, ყველა ოჯახმა უნდა დაივიწყოს წინაპართა წარმომავლობა და კაცობრიობის მეორე, მისთვის უცნობ ძალას შეერწყას"

ჰოთორნის ბოლო ოთხი რომანი ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა. ორივე თანამედროვე პროცესებს აღწერს და ამით ბუნებრივია „რომანსის" მისტიკურობას გამორიცხავს. „ბლაითდეილის რომანსი" (1852) საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ რომანში სოციალისტურ-უტოპიური „ბრუკ ფარმის" თემაა აღწერილი. ამ წიგნში ჰოთორნი სოციალურ პრობლემათა ეგოისტ, ძალაუფლების დასარბეულ რეფორმატორებს აკრიტიკებს, რომელთა შინაგანი ინსტინქტები ძალზე შორსაა დემოკრატიის არსისგან. თუმცა, რომანი „მარმარილოს ფავნის" (1860) მოქმედების სფერო ძველი რომის ხანაშია გადატანილი, ავტორი კვლავ ინარჩუნებს ერთგულებას ცოდვის, განდგომის, დანაშაულის გამოსყიდვისა და სულის ხსნის პურიტანული თემებისადმი.

ეს თემატიკა და პურიტანული, კოლონიური ახალი ინგლისის გარემო წარმოადგენს ჰოთორნის ყველაზე ცნობილი მოკლე მოთხრობების – „პასტორის შავი საბურველი", „ახალგაზრდა გუდმენ ბრაუნი", „ჩემი ნათესავი გენერალი მოლინო" – არეალს. ამ უკანასკნელში გულუბრყვილო, ახალგაზრდა, სოფლელი ბიჭი რობინი ქალაქს ჩამოდის, რათა შემწეობა სთხოვოს გავლენიან ნათესავს, რომელიც თვალით არ უნახავს. მის ძებნაში რობინი ათას უბედურებას გადაეყრება და ბოლოს, ერთ უჩვეულო ღამეს, პოლიტიკური შეტაკების უნებლიე მონაწილეც ხდება. ამ შეტაკების დროს მეამბოხეები შეიპყრობენ ვინმე უხნესს, ბილწ დამნაშავეს და თავლაფდასხმულს და გამასხრებულს გააძევებენ ქალაქიდან. საერთო აჟიოტაჟით აღტყინებული რობინი ყველაზე გულიანად იცინის მასზე, ვიდრე არ აღმოაჩენს, რომ ის შელაცემული ბრალდებული სწორედ ისაა, ვისაც ასე მონდომებით დაეძებდა – ბრიტანელთა ქმახარი, ხელი რომლების წყვის წინ ყიჟინითა და სტვენით რომ გააძევა რევოლუციურმა ამერიკელმა ბრბომ. ცოდვა და ტანჯვა კაცობრიობის საერთო სატკივარია – ესაა ამ მოთხრობის იდეა. აქვე არანაკლები ყურადღება ეთმობა საკუთარი ბედის თვითმჭედელი ადამიანის ფენომენს: თუ კეთილდღეობა სურს, რობინმა დაუღალავი შრომით უნდა მოიპოვოს იგი და არ უნდა ელოდოს მოწყალებას მდიდარი ნათესავებისგან. ეს ყველა ამერიკელის ვალია.

„ჩემი ნათესავი გენერალი მოლინო" ჰოთორნის მხატვრული მეთოდის კიდევ ერთ სპეციფიკურ ელემენტს ჰფენს ნათელს. ნაწარმოებში იშვიათად შეხვდებით ჯანსაღ, ჰარმონიულ ოჯახებს, ფენიმორ კუპერის „ტყავის წინდის ამბებიც" მოგვითხრობენ ნაკლებად ყამირ მიწებზე დასახლებული ოჯახების ცხოვრებაზე. მაგრამ ჰოთორნის ოჯახების ბედისწერაა ღვთის რისხვა და წყევლა წინაპართა ცოდვების საზღაურად. ეს დანგრეული, ხელოვნურად შეკოწიწებული ოჯახებია, ხოლო მათი ტანჯული წევრები მარტოსულები არიან. რევოლუციური იდეოლოგია უდავოდ გარკვეულ როლს ასრულებდა



ნათანიელ ჰოთორნი

ფოტო OWI

პიროვნებაში საკუთარი ღირსებისა და განდგომის არჩევანის თავისუფლების გაცნობიერებაში. ამერიკული რევოლუცია ასალგაზრდა შეამზობრეს ფსიქოლოგიურად ყველა კავშირის აწყვეტინებდა მის ისტორიულ მშობელთან, ინგლისთან და ბრიტანეთის კიდევ უფრო დიდ ოჯახთან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამერიკელები ახალი ურთულესი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ ძველი ავტორიტეტების დაუხმარებლად უნდა მიეგნოთ საკუთარი მეობისათვის. წლების მანძილზე მათი ცხოვრება სწორედ ამ მიზანდასახულობით მიემართებოდა და საბოლოოდ დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა მხატვრულ ლიტერატურაშიც ისე გამჟღავნდა, თითქოს ამერიკული ცხოვრების წესის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცაო. პურიტანიზმის და პროტესტანტული რელიგიის სხვა განშტოებათა თავდაუზოგავ ქადაგებას იმის თაობაზე, რომ ადამიანის უმთავრესი მისია – საკუთარი სულის გადარჩენაშია, შეეძლო კიდევ უფრო დაესუსტებინა ოჯახის ინსტიტუტი.

## ჰერმან მელვილი (1819-1891 )

ჰერმან მელვილი, ნათანიელ ჰოთორნის მსგავსად, ძველი, მდიდარი ოჯახის შთამომავალი გახლდათ, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი სულ მალე სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა. არისტოკრატიული წარმომავლობის, კეთილშობილთა წრეში ტრიალის, ოჯახური ტრადიციების და შრომისმოყვარეობის მიუხედავად, უეცრად თავზე დამტყდარი სიდუხჭირის გამო მელვილმა სრულყოფილი განათლება ვერ მიიღო. 19 წლის ასაკში იგი სანაოსნო სამსახურში წავიდა და ის შეუნელებელი ინტერესიც მეზღვაურთა ცხოვრების მიმართ, რომელიც მის ნაწარმოებებში გამოისახა, ნაოსნობაში მიღებული გამოცდილებიდან მომდინარეობს. მელვილის ადრეული ნაწარმოებებიც ასევე მწერლის ხანგრძლივი მოგზაურობების და თავგადასავალთა ნაყოფია. ამ ნაწარმოებებში გამოიხატა მელვილის ცხოველი დემოკრატიულობა და ზიზღი ტირანიისა და უსამართლობისადმი. მისი პირველი რომანი „თაიფი“ დაწერილია იმ დღეთა მოსაგონრად, რომელნიც მან წყნარი ოკეანის სამხრეთის, მარკესას კუნძულებზე გაატარა, როგორც ამბობენ კაციჭამია, მაგრამ საოცრად სტუმართმოყვარე თაიფის ტომის ინდიელებთან. ამ რომანში მელვილი დიდი სიმპათიით მოიხსენიებს კუნძულის ბინადართ, აქებს მათ ბუნებრივ, მარტივ, ჰარმონიულ ყოფას და სასტიკად აკრიტიკებს ქრისტიან მისიონერებს, რომელნიც, მწერლის აზრით, ბევრად უფრო „ცივილიზებულნი“ არიან, ვიდრე ის ხალხი, რომელთა მოსაქცევადაც ისინი მოევლინენ ამ კუნძულს. „მობი-დიკი“ ანუ „თეთრი ვეშაპი“ მელვილის შედევრია – ვრცელი ეპოსი ვეშაპზე მონადირე გემის „პეკოდისა“ და „უღმერთო, ღმერთის დარი ადამიანების“ შესახებ. კაპიტან აქაბს – თეთრი ვეშაპის, მობი-დიკის, დევნისა და შეპყრობის ფანატიკური ჟინით მონუსხულ კაცს ღმერთმა გემი და მისი იმთავითვე დასაღუპად განწირული მთელი ეკიპაჟი ჩააბარა. მობი-დიკი რეალისტური, სათავგადასავლო რომანია და ამავე დროს შეიცავს განსჯას ადამიანური ყოფიერების მრავალ საკვანძო პრობლემაზე. ნადირობის ჟინი, რომელიც მთელ წიგნს ლეიტმოტივად გასდევს, მიუწვდომელის წვდომისა და ძიების დიადი მეტაფორაა. რომანი განმსჭვალულია ზუსტი, რეალისტური სურათებით, ვეშაპზე ნადირობის სპეციფიკის პროფესიული ცოდნით, თუმცა ყოველივე ზემოთქმულს არც სიმბოლური მნიშვნელობა აკლია. მაგალითად, 75-ე თავში „ნამდვილი ვეშაპის თავი“ ამბის მთხრობელი ამბობს, რომ ნამდვილი ვეშაპი სტოიკოსია, კაშალოტი კი პლატონელი. გულისხმობს ფილოსოფიის ორ კლასიკურ მიმდინარეობას.

მელვილის რომანი ფილოსოფიურიცაა და ტრაგიკულიც. გმირული ხასიათის მიუხედავად აქაბი, ნაწარმოების ბოლოს დასაღუპად განწირული, დაწყევლილი ადამიანია. ბუნება, როგორი წარმტაციც არ უნდა გვეჩვენებოდეს, უცხოა, გულგრილია და პოტენციური მკვლელი. ამ მხრივ მელვილი ეწინააღმდეგება ემერსონის ოპტიმისტურ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადამიანს ბუნების ენა ესმის. მობი-დიკი ის კოსმიური, მიუწვდომელი ეგზისტენციაა, რომელიც რომანის არსსა და შინაარსს განაპირობებს, ზუსტად ისევე, როგორც განაპირობებს აქაბის ცხოვრებას. ვეშაპის ასახვის წვრილმანები და ნადირობის სცენები ვერ ახსნის მობი-დიკის სიმბოლიკას. პირიქით, ფაქტები უნებლიედ თვითონ მიისწრაფიან სიმბოლურობისაკენ და თითოეული ფაქტი მეორესთან დაკავშირებულია უხილავი კოსმიური ქსელით. და ურთიერთკავშირის ეს იდეა

(აღწერილი თავში „სფინქსი") მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ჭეშმარიტების ბუნებაში მიაგნებს, ისე, როგორც ეს ეკრისხითანაა. ფაქტების „შედარებითი აღწერის" მიღმა, მელვილისთან მისტიკური ლანდია, მაგრამ ბოროტია ეს თუ კეთილი, სულიერი თუ უსულო, ადამიანური თუ ცხოველური, სრულიად აუხსნელია.

რომანი საოცრად თანამედროვეა იმ თვალსაზრისით, რომ იგი უკიდურესად თავისუფალი და თვითგამომხატველია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის რომანი რომანის შესახებ. მელვილი ხშირად განმარტავს ასეთ სულიერ მოვლენებს, როგორიცაა წერა, კითხვა და ურთიერთგაგება. მთელი თავი მიუძღვნა მელვილმა ამ ცნებათა განმარტებას, მაგრამ ბოლოს მაინც თავი მიანება და დაასკვნა, რაც დიდია, ის ყოველთვის უსასრულოთაო ("ღმერთო დამიფარე რაიმეს დასრულებისგან. ეს წიგნი მთლიანად ნედლი მასალაა, მეტი არაფერი. მომეც დრო, ძალა და მოთმინება"). ლიტერატურული ტექსტის დაუმთავრებელ ვარიანტად ან ნედლ მასალად გამოცხადება დღევანდელ ხანაში ძალზე თანამედროვედ ჟღერს.

აქაბის წარმოდგენით, ეს სამყარო უსაზღვრო და მარადიულია, ჰეროიკული, სადაც გმირს შესწევს ძალა დაიქვემდებაროს და მართოს მის გვერდით მყოფი. მისდა საუბედუროდ, აქაბი სრულ ტექსტს, ანუ პასუხს მოითხოვს. მაგრამ რომანში აკი ნათქვამია, სრული ტექსტი არ არსებობსო, ანუ არ არსებობს პასუხი, – პასუხი სიკვდილია.

რომანში ბევრია ლიტერატურული პარალელები. აქაბის სახელი ძველი აღთქმის მეფე აქაბისგან მომდინარეობს, ფაუსტური ჟინით იგი შეუცნობელის შეცნობას და უფლის დარი ცოდნის შექმნას ცდილობს, თითქოსდა მსგავსად, საბედისწერო არცოდნისათვის უმკაცრესად ისჯება, სასიკვდილო ჭრილობის მიღებამდე თვალის ჩინს კარგავს და ასე კვდება. რომანის ბოლო სიტყვა არის „ობოლი". მისრობილი ისმაელი, მიხეტიალე, ობოლი ყმაწვილია. მისი სახელიც ძველი აღთქმიდან მოდის: ისმაელი აბრაამისა და აგარის (აბრაამის ცოლის, სარას მოახლე) ვაჟია. აბრაამმა დედაშვილი დაიცხო ქვეყ, ბუნების ანაბარად მიატოვა. შემდგომად მოვლენათა კიდევ მრავალი სხვა მაგალითიც. „რაქელი" (იაკობ პატრიარქის ცოლი) ჰქვია ხავს, რომელიც რომანის ფინალში მშვიდად ისმაელს გადაარჩენს. და ბოლოს, ვეშაპზე ეს მეტაფიზიკური ნადირობა ქრისტიან და ებრაელ მკითხველს ბიბლიური იონას ამბავს მოაგონებს. იმ იონას, გემიდან რომ გადააგდეს მეზღვაურებმა, ავი თვალი გაქვს და უბედურება მოგვაქვსო. ბიბლიის მიხედვით, იონა დიდმა თევზმა გადაყლაპა, შემდეგში ღმერთმა შეუნდო მას და გაათავისუფლა – სქელი ჯურღმულიდან მშრალ ხმელეთზე გადმოაგდო. რამდენიც არ ეცადა იონა, თავი დაეღწია სასჯელისგან, იმდენად მეტი უბედურება დაატეხა თავს.



ჰერმან მელვილი

რომანი ასევე მდიდარია ისტორიული პარალელიზმებითაც. გემის სახელწოდება „პეკოდი" ახალი ინგლისელთა ინტენსიური ლაშქრობების შემდეგ გადაშენებული, ერთ დროს ინდიელთა ძლიერი ტომის სახელიდანაა ნასესხები. ასე რომ, გემის სახელის სიმბოლიკა იმთავითვე მიუთითებს მის განწირულებაზე. ვეშაპზე ნადირობა იმ დროს ახალ ინგლისში

ყველაზე სარფიანი საქმიანობა გახლდათ. ვეშაპის ზეთი, ენერგიის ერთ-ერთი წყარო იყო. კერძოდ, მას ლამპებისათვის იყენებდნენ, ასე რომ, ვეშაპი სამყაროს „ბოროტი თვალია", ვეშაპზე ნადირობა – საბედისწერო. არადა, ამერიკელებს ვეშაპებზე ნადირობა მსოფლიოს წყლებში ძალზე ესაჭიროებოდათ (ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დღევანდელი შტატი ჰავაი, ამერიკის დომინიონი მხოლოდ იმ მოსაზრებით გახდა, რომ ამერიკელების ვეშაპებზე მონადირე გემები საწვავით იქ მარაგდებოდნენ). „პეკოდის" მეზღვაურები განსხვავებული აღმსარებლობის და ეროვნების ხალხია. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ამერიკა, ამ შემთხვევაში უნივერსალური აზროვნების მიკროსამყაროსთანაა გაიგივებული – ე.წ. „გამოსადნობ ქურასთან". და ბოლოს, აქაბი ამერიკული დემოკრატიული ინდივიდუალიზმის ტრაგიკული სახეა. იგი საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით ბედავს წინააღმდეგობა გაუწიოს მიუწვდომელ ზებუნებრივ ძალას, რომელიც არც კი იცის რა არის.

რომანის ეპილოგში გემი ტრაგიკულად იღუპება. ამ ტრაგედიის ფონზე მელვილი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კულტურის ადამიანთა შორის ურთიერთგაგების, კეთილგანწყობისა და სიყვარულის სუფევას. გემის დაძირვის შემდეგ, იმედგაწყვეტილ ისმაელს მისი გულითადი მეგობრის, გოლიათური აღნაგობის მკერდმოსვირინგებული მებარჯე, პოლინეზიელი უფლისწულის ქვიქეგის კუბო გადაარჩენს. კუბო თავისი პრიმიტიული მითოლოგიური შინაარსით სამყაროს ისტორიას განასახიერებს. ისმაელს სიკვდილისაგან იხსნის სიკვდილის სიმბოლო. სიკვდილიდან იშვა სიცოცხლე – ასეთია ნაწარმოების ბოლო აკორდი. „მობი დიკს" „ბუნების ეპოსი" და ბუნების წიაღში ბინადარი ადამიანის სულის არაჩვეულებრივი დრამა შეარქვეს, იმ უმდიდრესი, ყოვლისმომცველი სიღრმის გამო, მელვილის რომანს რომ ახასიათებს: ნადირობის მითი, ედემის კუნძულის სიმბოლიკა, ზიარების თემა და აღდგომის წყურვილი. იგი ამავე დროს ტიპურ ამერიკულ რომანადაა აღიარებული, ადამიანის მოდგმის ბუნებასთან განმარტოვების თემისადმი საოცარი ერთგულების გამო. ფრანგი მწერალი და პოლიტიკოსი ალექს ტოკვილის წინასწარმეტყველებით (1835 – „ამერიკის დემოკრატია"), ბუნებაში ადამიანის განმარტოვების თემა უთუოდ მძაფრად უნდა წამოჭრილიყო ამერიკაში სწორედ მისი დემოკრატიულობის გამო.

> „კაცობრიობა და მისი ბედი, ცალკე ინდივიდი, მოწყვეტილი საკუთარ ქვეყანას, ეპოქას, მთელი თავისი ტკივილით, ეჭვებით, მისწრაფებებით, უნიათობითა და გაიძვერობით, – პირისპირ აღმოჩნდება დედაბუნებასთან და ღმერთთან და ეს იქნება ამერიკული პოეზიის ერთადერთი თუ არა, მთავარი თემა მაინც".

ტოკვილს მიაჩნდა, რომ დემოკრატიის პირობებში ლიტერატურა სწორედ ადამიანის არამატერიალური სამყაროს წიაღში ჩამალული პლასტების ძიებას შეუდგება და არა იმის კრიტიკას, რაც ისედაც მზის სინათლეზე ძევს, ანუ სქესობრივ და კლასობრივ უთანასწორობებს. და მართლაც, ორივე რომანი, „მობი-დიკიც" და „თაიფიც", ისევე როგორც „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი" და „უოლდენი", ამ წინასწარმეტყველების უტყუარ დასტურად გამოდგება, რადგან ყოველ მათგანში ბუნების ზეობისა და კლასობრივად დაყოფილი ქალაქური ცივილიზაციის გადაშენების თემაა აღძრული.

## ედგარ ალან პო (1809-1849)

ედგარ ალან პო სამხრეთელია, მელვილთან მას რეალიზმის ელემენტებით გაზავებული ღრმად მეტაფიზიკური ხედვა აახლოვებს. პაროდიულობითა და ბურლესკური შენაკადებით მან საბოლოოდ დახვეწა მოკლე მოთხრობის ჟანრი და საფუძველი ჩაუყარა დეტექტივს მხატვრულ ლიტერატურაში. მისი არაერთი მოთხრობა შეიძლება იქნას აღიარებული მხატვრული, სამეცნიერო, საშინელებების და ფანტასტიკის ჟანრის (დღეს ასე პოპულარული) წინამორბედ ნაწარმოებებად.

ედგარ პომ ხანმოკლე და ტრაგიკული ცხოვრება ტანჯვასა და სასოწარკვეთაში გაატარა. ამ მხრივ მე-19 საუკუნის არც სხვა გამოჩენილი მწერლები ყოფილან გამონაკლისნი. პო სიყრმიდანვე დაობლდა. მისი უცნაური ქორწინება 1835 წელს თავის ღვიძლ ბიძაშვილზე, ვირჯინია კლემზე, რომელიც მაშინ თოთხმეტი წლისაც არ იქნებოდა, თანამედროვეებმა მონათლეს პოეტის წადილად – ბოლოს და

ბოლოს შექმნა ის, რაც ყოველთვის აკლდა – მყარი და მყუდრო ოჯახური კერა.

პოს სწამდა, რომ უცნაურობა მშვენიერების მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო, ამიტომ მისი მოთხრობები და ლექსები ეგზოტურობით გამოირჩევიან. მოთხრობების პერსონაჟები რეტროსპექტული, მწუხარე არისტოკრატები არიან (პო, როგორც ჭეშმარიტი სამხრეთელი, არისტოკრატული იდეალის მიმხრე იყო), რომელთათვისაც უცნობია შრომა და ქმედითობა; ამის ნაცვლად ისინი ცოცხლად იმარხავენ თავს ძონძებით და სქელი ფარდებით სიმბოლურად ჩახკვარამებულ ალღამისებრ ციხემაგრეებში, სადაც ჯერ მზის სხივს არ შეუღწევია. გასაიდუმლოებულ ოთახებში ძველი ბიბლიოთეკა, ხელოვნების უცხო ნიმუშები და გასაოცარი აღმოსავლური ნივთები ინახება. პოს არისტოკრატები კარზე მომდგარი ტრაგედიის, მაგალითად, გულის საყვარლის გარდაცვალების დროს ძველ საკრავებზე უკრავენ და ანტიკურ ლიტერატურას კითხულობენ. სიცოცხლეში გარდაცვალების თემა, კერძოდ კი ცოცხლად დამარხვა, ვამპირივით საფლავიდან ამობრუნება, წამყვანია ისეთ მოთხრობებში, როგორიცაა, მაგალითად, „წინასწარ დასაფლავება“, „ლიგეა“, „უშერების სახლის დაცემა“, „ამონტილადოს კასრი“. ედგარ პოს სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე აღმართული გოთიკური ბნელი სასახლე მხოლოდ დეკორაცია როდია. იგი პირდაპირ პროპორციულად ასახავს მაღალცივილიზებული, მაგრამ დასაღუპავად განწირული ბინადრების დანგრეულ ფსიქიკას, რაც ქვეცნობიერის სიმბოლური გამოხატულებაა და ამდენად, პოს



ედგარ ალან პო

ფოტო. © [illegible] არქივი

შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

პოს ლექსი სამხრეთელი პოეტებისთვის ჩვეული მუსიკალურობით ხასიათდება. იგი მკაცრად იცავს ლექსის კლასიკურ ზომას. საქვეყნოდ ცნობილი პოემა „ყორანი“ (1845), პოს სიცოცხლეშივე შედევრად აღიარეს და მას სიდიადე დღესაც არ დაუკარგავს. ამ კაეშნიან პოემაში განდეგილ ძილგამტყდარ მთხრობელს, ღამ-ღამობით წიგნებს რომ კითხულობს და შეყვარებულის, „დაკარგული ლენორის“, სულის დასტირის, შეუდამახას ყორანი (ფრინველი, რომელიც ლექსში ეკვეთება და სიკვდილის სიმბოლოა) გამოეცხადება. იგი მწუხარე მთხრობელს ოთახში შემოეჭრა და გაუჩერებლივ ერთსა და იმავეს, დღეს მსოფლიოში უკვე აღიარებულ რეფრენს – „აღარასოდეს“ – დასჩხავის. პოემა სიცოცხლეში ცოცხლად კვდომის შემაძრწუნებელი ასრით მთავრდება.

და კვლავ ბუსტზე შავად
  მბოლავი,
როგორც ცივი და ქუში
  ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი,
მზერა მეტყველი და
  მოაზროვნე
და ჩემი სული მისი ლანდიდან,
სულ რომ იზრდება თვალწინ
  თანდათან,
ღამის მრუმეში რომ გადადის
  და
იატაკზე რომ წევს და
  აზმორებს,
არ განიყოფა აღარასოდეს.

პოს მოთხრობები, რომლებზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ლიტერატურულმა კრიტიკამ საშინელებათა ჟანრის ნაწარმოებებს მიაკუთვნა. ხოლო მოთხრობები „ოქროს ხოჭო“ და „მოპარული

წერილი" უფრო რაციონალური და განსჯითი ხასიათისაა. პოს საშინელებათა ჟანრის მოთხრობები შთაგონების წყარო აღმოჩნდა საშინელებათა ჟანრის თანამედროვე ამერიკელი პოპულარული ისეთი მწერლებისათვის, როგორიც არიან ჰ.ფ. ლავკრაფტი და სტივენ კინგი, ხოლო მისმა რაციონალურმა მოთხრობებმა არანაკლები გავლენა იქონიეს დეშელ ჰემეტის, რაიმონდ ჩენდლერის, როს მაკდონალდის და ჯონ დ.მაკ დონალდის დეტექტური ჟანრის ნაწარმოებებზე. პოს მოთხრობებში ამავე დროს მინიშნებულია მოკრძალებული პრეტენზია ისეთ თემებზე, რომელთაც შემდგომ ეგრეთ წოდებული სამეცნიერო მხატვრული ლიტერატურა შეეხ. ამ ჟანრის მოთხრობები აშკარად გამოხატავენ ედგარ ალან პოს გატაცებას ადამიანის გონით და არათანმიმდევრული მეცნიერული გამოცდილებით, რაც მე-19 საუკუნეში ნორმიდან გადასვლას და მკრეხელობასაც ნიშნავდა. ნებისმიერ ჟანრში პოს ძიებისა და კვლევის სფერო ფსიქიკაა. ამდენად, მისი მოთხრობები ღრმად ფსიქოლოგიურია. „ვის არ დაუჭერია ასჯერ მაინც საკუთარი თავი უზნეო ან ბრიყვული საქციელის ჩადენის სურვილში, თუმცა კარგად გვესმის, რომ ასე არ უნდა მოვიქცეთ" – ვკითხულობთ „შავ კატაში". იმისათვის, რომ თვალნათლივ დაინახოს და ბოლომდე შეიგრძნოს ფსიქოლოგიური პროცესების ფარული პლასტები, ედგარ ალან პო ფსიქიკური აშლილობისა და სიგიჟის გამომწვევ მიზეზებს უღრმავდება. მოვლენებისათვის გამჭვირვალებისა და დამაჯერებლობის მინიჭებით, საფუძვლიანი განმარტებებითა და თითქოს განზრახ დაძაბული სტილით, მოთხრობებში წინა პლანზე საშინელების არსს წამოწევს.

პოს შემოქმედებაში დეკადანსისა და რომანტიკული პრიმიტივიზმის თანაარსებობამ მას არაერთი ევროპელი მიმდევარი შესძინა, მაგალითად, ფრანგი პოეტების მთელი პლეადა: სტეფან მალარმე, შარლ ბოდლერი, პოლ ვალერი და არტურ რემბო. დემოკრატიის მიმართ, არისტოკრატული ზიზღის, კაცობრიობის დეგრადაციის აღიარებისა და ეგზოტიკური თემებით გატაცების მიუხედავად, ედგარ პო არაამერიკულ მოვლენად ვერ ჩაითვლება. პირიქით, მთელი მისი შემოქმედება ქრესტომატიული მაგალითი და დასტურია იმისა, რაც ალექს ტოკვილმა იწინასწარმეტყველა, – ამერიკის დემოკრატია მხოლოდ ისეთ ნაწარმოებებს შესძენს, სადაც ადამიანის ფსიქიკის ყველაზე მგრძნობიარე, ღრმა და ფარული შრეები გაშუქდებაო. როგორც ჩანს, მძაფრმა ვნებებმა და დაუცველმა ფსიქიკამ ამერიკაში უფრო ადრე დაიწყეს გამოაშკარავება, ვიდრე ევროპაში, იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ევროპელებს უკვე მყარად ჩამოყალიბებული, რთული სოციალური დამცავი სტრუქტურა გააჩნდათ. ამერიკელებს კი დამცავი სტრუქტურის შესახებ ჯერ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. აქ ყველა საკუთარ თავს იცავდა. პო, ფაქტობრივად, ამერიკული ოცნების მეორე მხარეს და საკუთარი ბედის თვითმჭედელი ადამიანის შინაგან სამყაროს ხსნიდა, მატერიალიზმისა და თავაწყვეტილი შეჯიბრის ნამდვილ ფასს აშიშვლებდა – ეს იყო სიმარტოვე, გაუცხოება და საკუთარი კვდომის ხილვა სიცოცხლეშივე.

ედგარ პოს „დეკადანსში" მე-19 საუკუნის სიმბოლოთა გაუფასურების მცდელობაც იგრძნობა. სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებისა და ეპოქების ხელოვნების ნიმუშთა ერთმანეთში უთავბოლო არევით, მათი უნიკალური თვისებების უგულებელყოფით, მწერალი მხატვრულ ქმნილებას კოლექციის რიგით დეკორატიულ ექსპონატად აქცევს. ამის შედეგად მიღებული სტილთა ეკლექტიზმი სწორედაც რომ დამახასიათებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურისათვის, რომელსაც ნამდვილად არ გააჩნდა საკუთარი ტრადიციული ნაირფეროვანი სტილები. ეს მეთოდი და მისგან გამოწვეული ქაოსი ისევე იწვევს თანმიმდევრული, ლოგიკური აზროვნების რღვევას, როგორც მოღზავებულმა ემიგრაციამ, ურბანიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ ძირფესვიანად უცვალა ნირი ოჯახისა და ტრადიციების ცნებას. ხელოვნებაში სიმბოლოთა ამგვარმა არევამ გროტესკის ნაპერწკალი გააღვივა, რამაც პოს შემოქმედებაში ყველაზე ნოყიერი ნიადაგი პოვა და მის მამოძრავებელ იდეადაც იქცა. გროტესკების შედევრს წარმოადგენს ედგარ ალან პოს კრებული „გროტესკები და არაბესკები" (1840).

# პოეტი ქალები და რეფორმატორები

მე-19 საუკუნეში, ამერიკაში ქალების ბედმა მრავალი სირთულე და დამცირება არგუნა. მათ აღკვეთილი ჰქონდათ ხმის უფლება, აკრძალული – საავტორო სკოლებში სწავლა, უმაღლესი განათლების მიღება. ისინი არ დაიშვებოდნენ საზოგადოებრივ შეკრებებზე და, აგრეთვე, არ შეეძლოთ კერძო საკუთრების ფლობა. და, მიუხედავად ამისა, ამგვარი უუფლებობის პასუხად – ქალთა კავშირების საკმაოდ ვრცელი და ძლიერი ქსელი შეიქმნა. მიწერ-მოწერის, პირადი მეგობრების, ოფიციალური შეხვედრების, ქალთა გაზეთებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით, ქალები ცდილობდნენ რამენაირად შეეცვალათ თავიანთი სოციალური სტატუსი. ინტელექტუალი ქალები საკუთარ თავს მონებს ადარებდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ რადიკალურ რეფორმებს, კერძოდ, მონათა გათავისუფლებას, ქალთა მიმართ ოსტრაკიზმის შეწყვეტას და ხმის უფლების მინიჭებას, ასევე ქალთა ფინანსური შევიწროების აღკვეთას. მათი სტატიები ქალთა მომავალი დიდი ლიტერატურული ტრადიციების და ინტელექტუალური პოტენციის გამოხატვის სათავე გახლდათ. ამ პროცესს დაუკავშირდა ამერიკაში სენტიმენტალური რომანის აღორძინებაც. ამ უკანასკნელი ჟანრის საუკეთესო ნიმუშია თუნდაც ჰარიეთ ბიჩერ სტოუს აღიარებული რომანი „ბიძია თომას ქოხი", რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა მთელს მსოფლიოში. ეს რომანები მიზნად ისახავდნენ გაემძაფრებინათ და მწვავე დრამატული ელფერი მიეცათ ისეთი სოციალური საკითხებისათვის, როგორიც იყო, მაგალითად, ოჯახი და ქალის უფლება-მოვალეობანი საზოგადოებაში.

აბოლიციონისტი ლიდია ჩაილდი (Lydia Child) – 1802-1880, რომლის შემოქმედებამაც დიდი ზეგავლენა იქონია მარგარეტ ფულერზე, ქალთა კავშირების ლიდერი იყო. მის ყველაზე ცნობილ რომანში – „ჰობომოკი" (1824) – რასობრივი და რელიგიური ტოლერანტობა ცხოვრების აუცილებელ პირობად არის აღიარებული. რომანის სიუჟეტის ფონი პურიტანული სეილემია, მასაჩუსეთსი – ნათანიელ ჰოთორნის სამშობლო. ქალთა მოძრაობის აქტივისტმა ლიდია ჩაილდმა, ქალთა კერძო სკოლა დააარსა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსცა პირველი საბავშვო ჟურნალი და 1833 წელს გამოაქვეყნა პირველი ანტიმონათმფლობელური „სიტყვა ამერიკელთა იმ კლასის ინტერესთა დასაცავად, რომელსაც აფრიკელებს ეძახიან". თუმცა, ამ პუბლიკაციამ მას სახელი მოუხვეჭა, სამაგიეროდ – ფინანსურად გაანადგურა. მისი სტატია – „ქალთა ყოფა სხვადასხვა ერებსა და ეპოქებში" (1855) ქალების მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობისა და მათი მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობის აღიარების მოთხოვნაა.

ანჯელინა გრიმკე (Angelina Grimké) – 1805-1879 და სარა გრიმკე (Sarah Grimké) – 1792-1873 – სამხრეთ კაროლინას არისტოკრატული ჩარლსტონის მდიდარი მონათმფლობელის ოჯახში დაიბადნენ. ორივენი გადასახლდნენ ჩრდილოეთში შავკანიანებისა და ქალების უფლებათა დასაცავად. მალე ისინი ანტიმონათმფლობელური საზოგადოების პირველი ლექტორი ქალები გახდნენ. თავიანთი სიტყვებით, ესეებით და ლექციებით ისინი თანაბრად ებრძოდნენ და ერთმანეთისგან არ განასხვავებდნენ რასობრივ და სქესობრივ დისკრიმინაციას.

ელიზაბეთ კეიდი სტენტონი (Elizabeth Cady Stanton) – 1815-1902 – აბოლიციონისტი და ქალთა უფლებათა დაცვისათვის მოღვაწე, ერთხანს ბოსტონში ცხოვრობდა და იქ დაუმეგობრდა ლიდია ჩაილდს. ლუკრეცია მოტთან ერთად მან 1848 წელს მოიწვია „სენეკა ფოლსის" ყრილობა ქალთა უფლებებისათვის. მანვე დაწერა ამ ყრილობის „გრძნობათა დეკლარაცია". სტენტონის „ქალთა დამოუკიდებლობის დეკლარაცია" ასეთი სიტყვებით იწყება: „ქალი და მამაკაცი ერთი თიხიდანაა მოზელილი". იგი ამ განცხადებასაც არ სჯერდება და ხმის უფლების მოსაპოვებლად რევოლუციური მეთოდების გამოყენებასაც არ გამორიცხავს. სიუზენ ბ. ენტონთან ერთად 1860-იან წლებში იგი სათავეში ჩაუდგა ქალთა ხმის უფლების კამპანიას, ხოლო 1870-იან წლებში დააარსა ქალთა ანტიმონათმფლობელური ლოიალურ-ნაციონალური ლიგა და ქალთა ხმის უფლების ეროვნული ასოციაცია. იგი ამავე დროს კვირეული გაზეთის „რევოლუშენ" – თანარედაქტორი იყო; ხოლო 2 წლის მანძილზე – ქალთა ხმის უფლების ასოციაციის პრეზიდენტი, და ქალთა უფლებათა ბრძოლაში ერთხელაც არ დაუხევია უკან. იგი საჯარო

ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა შტატებში და ამ გზით, ნაწილობრივ, საკუთარი შვიდი შვილის განათლების საკითხებსაც აგვარებდა.

მას შემდეგ, რაც ქმარი გარდაეცვალა, კეიდი სტენტონმა კიდევ უფრო გააღრმავა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრობლემების კვლევა და ანალიზი. მისი ნაწარმოები „ქალის ბიბლია" (1895) ეხება იუდეისტურ-ქრისტიანულ ტრადიციებში დაკანონებულ ანტიფემინისტურ გადახრებს. სტენტონი გარდაიცვალა 86 წლის ასაკში. იგი სიკვდილამდე კითხულობდა ლექციებს ისეთ საჭირბოროტო თემებზე, როგორიცაა განქორწინება, ქალთა უფლებები და რელიგია. არჩევნებში ქალთა მონაწილეობის თაობაზე მისი ხელმოწერილი მოთხოვნა გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თეოდორ რუზველტს. თავის ადრინდელ ნაწარმოებებს ელიზაბეთ კეიდი სტენტონი ფსევდონიმით ბეჭდავდა, მოგვიანებით კი საკუთარი გვარით აქვეყნებდა. ამ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია თანაავტორებთან ერთად გამოცემული „არჩევნებში ქალთა ხმის უფლებისთვის მოძრაობის ისტორიის" სამტომეული (1881-1886) და გულწრფელი, იუმორით გამსჭვალული ავტობიოგრაფია.

ნიუ-იორკში მონად დაბადებულ სოჯორნერ თრუთი (Sojourner Truth) – 1797-1883 – გულდასმით აგროვებდა ქალთა მოძრაობის აქტივისტთა მოთმინების, გამძლეობის, უდრეკელობისა და გულმოწყალების ამაღელვებელ ფაქტებს. ვინაიდან ჰოლანდიელთა თემში ტრიალებდა, იგი მხოლოდ ჰოლანდიურ ენას ფლობდა. 1827 წელს იგი გამოექცა თავის ბატონს და ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ვან ვაგნერის ოჯახს შეაფარა თავი, სადაც ხელზე მოსამსახურედ აიყვანეს. ვაგნერები ზანგ მოახლეს მისი ვაჟიშვილის მონობიდან კანონიერ გათავისუფლებაში დაეხმარნენ და ამის შემდეგ თრუთმა ვაგნერის გვარი მიიღო. სოჯორნერ თრუთი ერთ მოძღვართან ერთად მეძავ ქალთა მობრუნებას ქადაგებდა ქრისტიანული მცნებებისაკენ. სოჯორნერ თრუთად (მოხეტიალე სიმართლე) იგი იმიტომ მონათლეს, რომ ერთ დროს მისტიკური ხილვები დაეწყო და ზებუნებრივი ხმები ესმოდა. სამი ათეული წელი იგი მარტოდმარტო დაეხეტებოდა და სოფელ-სოფელ ზეციურ ძალთა მიერ შთაგონებულ სიმართლეს ავრცელებდა, მღეროდა საეკლესიო ჰიმნებს (გოსპელს) და აბოლიციონისტურ იდეებს ქადაგებდა. ელიზაბეთ კეიდი სენტონის ხელშეწყობით, იგი ქალთა ხმის უფლებისთვის მოძრაობაში ჩაება. მისი ცხოვრება აღწერილია ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „სოჯორნერ თრუთის ნაამბობი" (1850), რომელიც ჩაიწერა და გამოსცა ოლივ გილბერტმა. წერა-კითხვის უცოდინარი „მოხეტიალე სიმართლე" ინგლისურად ჰოლანდიური აქცენტით ლაპარაკობდა. ამბობენ, მან ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ ყრილობაზე მკერდი გაიშიშვლაო, რათა იქ მყოფთათვის დაემტკიცებინა, რომ მართლა ქალი იყო და არა კაცი, როგორც აბრალებდნენ. ხოლო მამაკაცებს, რომელნიც ქალებს სუსტი სქესის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ, მან თავისი ლეგენდარული სიტყვით უპასუხა:

> „მე მითოხნია და დამითესავს, მოსავალი დამიბინავებია ისე, ვერც ერთი კაცი რომ ვერ მაჯობებდა. მაშ, მე ქალი არა ვარ? მე იმდენს ვმუშაობ და იმდენს ვჭამ (თუ ვიშოვე), რამდენსაც კაცი მოერევა, მათრახის სიმწარეც მიგემია და განა მე ქალი არა ვარ? მე ცამეტი შვილი ვშვი, საკუთარი თვალით ვუყურე, როგორ ყიდდნენ მათ მონებად და როცა ჩემმა დედობრივმა ტკივილმა გულიდან ამოხეთქა, იესოს გარდა ეს ხმა არავის გაუგია, მაშ, მე ქალი არა ვარ?"

იუმორით აღსავსე და დაუფასებელ ამ ორატორს ბლუზის დიდ მომღერლებს ადარებენ. ჰარიეთ ბიჩერ სთოუ და სხვა მრავალნი ამ მდიდარი ფანტაზიის ზანგ ქალში დიდ სიბრძნეს ჭვრეტდნენ, ვინაიდან მას შესწევდა ძალა საქვეყნოდ გამოეცხადებინა, „ღმერთო, ღმერთო, მე თეთრკანიანის სიყვარულიც ძალმიძს".

## ჰარიეთ ბიჩერ სთოუ (1811-1896)

ჰარიეთ ბიჩერ სთოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი, ან ცხოვრება ლოთულებს შორის", მე-19 საუკუნის ყველაზე პოპულარული წიგნი გახლდათ. პირველად იგი ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა ჟურნალში „ნეიშენალ ერა მეგაზინ" (1851-1852) და უმალვე სენსაციური წარმატება მოიპოვა. მხოლოდ ინგლისში ეს რომანი ორმოცმა სხვადასხვა გამომცემლობამ გამოსცა და უმოკლეს ხანში 20 ენაზე ითარგმ-

ნა. ჰარიეტ ბიჩერ სტოუმ მხოლ-ღამეში ისე გაითქვა სახელი, როგორც ფრანგმა მწერალმა ჟორჟ სანდმა, გერმანელმა ჰაინრიხ ჰაინემ და რუსმა ივანე ტურგენევმა. ამ რომანში ამერიკის შეერთებულ შტატებში მონათმფლობელობის გაუქმების აუცილებლობა ისე ხმამაღლაა განცხადებული, რომ ქვეყანა ვნებათა ღელვის ნამდვილმა ცეცხლმა მოიცვა, ხოლო სულ ათიოდე წლის შემდეგ სამოქალაქო ომიც (1861-1865) ჩაიარა.

„ბიძია თომას ქოხის" წარმატების უდავოდ მყარი საფუძველი ჰქონდა. მან გამოააშკარავა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერი, რომელიც დემოკრატიულობისა და თანასწორუფლებიანობის სამშობლოდ იყო აღიარებული, უმაგალითო უსამართლობას ჩადიოდა.

თავად სტოუ ახალი ინგლისის ძველ პურიტანულ ოჯახში აღიზარდა. მისი მამა, ძმა და მეუღლე ცნობილი, განსწავლული პროტესტანტები და რეფორმატორები იყვნენ. სტოუს თქმით, ამ რომანის დაწერის იდეა მას შთააგონა ძალებით შემოსილმა, ნაწამები ზანგი ქალის ხატებამ, რომელიც ეკლესიაში, წირვის დროს გამოეცხადა. მოგვიანებით კი მწერალმა განაცხადა, რომ რომანი „ღმერთის კარნახით" დაწერა. ნაწარმოების მისია და დედაარსი ადამიანთა ღმერთისკენ შემობრუნება და რელიგიური პათოსის გაღვივებაა. რომანტიკულმა სასამ გრძნობის უპირატესობა აღიარა, ოჯახის ღირსება და სიყვარული უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. და სტოუც თავის რომანში მონათმფლობელობას აკრიტიკებდა იმდენად, რამდენადაც მას ოჯახის სიწმინდეზე ძალადობად მიიჩნევდა. რომანის მთავარი გმირი, ბიძია თომა, ჭეშმარიტი,



ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

ფოტო. „კალენ ფაშირ"

ქრისტიანი მარტვილია. იგი თავისი კეთილი ბატონის სენ კლერის მორჯულებას ცდილობს, ლოცულობს მისი სულისათვის და სიცოცხლის ფასად უჯდება მონა ქალის გამოქომაგება. რომანში მონათმფლობელობის ფენომენი ბოროტებად აღიქმება არა პოლიტიკური ან ფილოსოფიური აბსტრაქციით, არამედ უფრო მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, რადგან ის უმოწყალოდ ანგრევს ოჯახებს, მახვილს სცემს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ თანდაყოლილ წმინდათაწმინდა გრძნობებს. ეს კი ნანახმავე ანტიქრისტიანული მოვლენაა.

რომანში არაერთი სულისშემძვრელი ეპიზოდია: ავტორი მოგვითხრობს სასოწარკვეთილ მონა ქალზე – ელიზაზე, რომელიც ვერაფრით დაეხმარა მისივე თვალწინ უცხოსათვის მიყიდულ აქვითინებულ შვილსა და ქმარს. გულქვა ბატონმა ისინი სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს. ასეთი ძალადობა ადამიანთა წმინდა გრძნობების, საკუთარი სისხლისა და ხორცის, საკუთარი ერის სიყვარულის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია.

სტოუს რომანი სრულიადაც არ გულისხმობდა სამხრეთისათვის ომის გამოცხადებას. იგი ერთხანს ცხოვრობდა კიდეც სამხრეთში, მოსწონდა სამხრეთელები და რომანში ტიპური სამხრეთელის არაერთი მშვენიერი სახე გამოძერწა. სტოუს სამხრეთელი მონათმფლობელები კეთილი, ღირსეული მებატონენი არიან, სათნოდ ექცევიან ბიძია თომას. სენ კლერი თავად გმობს მონობის იდეას და გადაწყვეტილი აქვს ყველა თავისი მონა გაათავისუფლოს. ბოროტი და გაიძვერა მონათმფლობელი საიმონ ლეგრი – ჩრდილოელია. რომანი მიზნად

სწორედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის შერიგებას ისახავდა, ვინაიდან ეს ორი დაპირისპირებული ძალა უკვე ისედაც სამოქალაქო ომისკენ მიექანებოდა. ბედის ირონიაა, რომ აბოლიციონისტებმა და სხვებმაც ეს წიგნი სამხრეთის წინააღმდეგ მძლავრ იარაღად გამოიყენეს.

## ჰარიეტ იაკობსი (1818-1896)

ჩრდილო კაროლინაში მონად დაბადებულ ჰარიეტ იაკობსს წერა-კითხვა მისმა ქალბატონმა ასწავლა. ქალბატონის გარდაცვალების შემდეგ იგი სხვას მიჰყიდეს. ახალმა ბატონმა მისი საყვარლობა მოინდომა, მაგრამ ჰარიეტმა შეძლო თავი დაეღწია, სხვა თეთრკანიანი კაცი შეიყვარა და მისგან ორი შვილიც გააჩინა, რომლებიც გასაზრდელად ბებიამ წაიყვანა. „თავს თუ ნებაყოფლობით თმობ, ნაკლებად იხრწნები, ვიდრე ძალადობისას", გულწრფელად წერდა ჰარიეტ იაკობსი. მოგვიანებით იგი გაექცა თავის მფლობელს და, როგორც ამბობდნენ, ჩრდილოეთში იმალებოდა.

თავდაპირველად, ჰარიეტი სასტიკად შეშინებული, რომ შეიპყრობდნენ, უკან დააბრუნებდნენ და გაქცევისათვის პასუხსაც აგებინებდნენ, იმავე ქალაქში იმალებოდა, ბებიამისის ბნელ სარდაფში. გაჭირვება და ოთხკედელში ყოფნა იმან გადაატანინა, რომ ჭერი გახვრიტა და ჭუჭრუტანიდან თვალყურს ადევნებდა საკუთარ შვილებს. ბოლოს მაინც გაიპარა და ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში დასახლდა, სადაც ფრედერიკ დაგლასი ანტიმონათმფლობელურ გაზეთს, „ნორს სთარს" გამოსცემდა. იქვე ახლოს სენეკა ფოლსში კი ქალთა უფლებების ყრილობა შეიკრიბა. ჰარიეტ იაკობსი კვაკერ ფემინისტს და აბოლიციონისტს, ემი პოუსტს დაუმეგობრდა. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩააგონა ჰარიეტს ავტობიოგრაფია დაეწერა. „მონა გოგონას ცხოვრების ფაქტები" დაიბეჭდა 1861 წელს ლინდა ბრენტის ფსევდონიმით და გამოიცა ლიდია ჩაილდის შემწეობით. ეს ავტობიოგრაფია გულის მწარე ამონაკვნესია მამართული მონა ქალებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ.



ფრედერიკ დაგლასი

ფოტოპორტრეტი. სმითსონის ინსტიტუტის პორტრეტების ნაციონალური გალერეა

დაგლასის წიგნის მსგავსად, ჰარიეტ იაკობსის თხზულებაც მონათა ნაამბობის ჟანრის ნაწარმოებებს განეკუთვნება და კოლონიზმის პერიოდში [illegible] დაწერილ თხზულებებს ეხმიანება.

## ჰარიეტ უილსონი (1807-1870)

ჰარიეტ უილსონი აფრიკული წარმოშობის პირველი ამერიკელი [illegible], ვისი წიგნიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბეჭდა. მისი რომანის სახელწოდებაა – „ჩვენი ნიგა: ან თავისუფალი შავკანიანის ცხოვრების ესკიზები ჩრდილოეთის ორსართულიანი თეთრი სახლიდან, სადაც მონობის აჩრდილები ჯერ კიდევ ბუდობენ" (1859). ნაწარმოებში რეალისტურადაა მოთხრობილი თეთრი ქალისა და შავი მამაკაცის ქორწინების დრამა, ასევე შავკანიანი მსახურის მძიმე ცხოვრება მდიდარი თეთრკანიანი ქრისტიანის კარზე. რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ამასთან, დღეს მას მხატვრული ოსტატობის ნიმუშადაც მიიჩნევენ.

იაკობსის მსგავსად, უილსონიც ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს („ჩვენი ნიგა", შინაარსით ირონიულ ელფერს ატარებს) და ისინი დღემდე მრავალჯერ გადაიბეჭდა. იგივე შეიძლება ითქვას იმ ეპოქის სხვა მწერალ

ქალებზეც. აფრიკული წარმოშობის ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ჰენრი ლუის ჯ.რ.გეითსმა თავის თხზულებაში „შავკანიანთა მხატვრული ლიტერატურის მოწინავე როლი" „ჩვენი ნიგი" ახალი გამოცემით შეიტანა (1983).

## ფრედერიკ დაგლასი (1817-1895)

იმ ხანის ყველაზე ცნობილი შავკანიანი ანტიმონათმფლობელური მოძრაობის ლიდერი და ორატორი ფრედერიკ დაგლასი დაიბადა მერილენდის მონათა ოჯახში. თავადაც მონა, სიყმაწვილეში იგი შედარებით ლიბერალურ ბლტიმორში გააგზავნეს, სადაც წერა-კითხვას დაეუფლა. 21 წლისა, 1838 წელს იგი მასაჩუსეტში გაიქცა. იქ მას ცნობილი აბოლიციონისტი გამომცემელი უილიამ ლოიდ გარისონი ამოუდგა მხარში და დაგლასმა ანტიმონათმფლობელურ საზოგადოებაში დაიწყო ლექციებით გამოსვლა. 1845 წელს გამოქვეყნდა მისი „ცხოვრება ამერიკელი მონის, ფრედერიკ დაგლასისა". ეს წიგნი მონათა ნაამბობის ჟანრის ნაწარმოებთაგან ყველაზე თვალსაჩინო და პოპულარული აღმოჩნდა. 1855 წელს იგი ხელმეორედ გამოიცა, 1892-ში კი – მესამედ. აბოლიციონისტები ხშირად იწერდნენ ხოლმე წერა-კითხვის უცოდინარი მონების ნაამბობს და ანტიმონათმფლობელური პროპაგანდისათვის იყენებდნენ. ამგვარი ჩანაწერები სამოქალაქო ომის წინ დიდ გასავალში იყო. დაგლასის ნაამბობი ძალზე გამომხატველი და ოსტატურად დაწერილი მხატვრული ტილოა. იგი სრულიად უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადად, მონობის ინსტიტუტის არსის სიღრმეებს წვდება და ამ ბოროტებით გამოწვეული შავკანიანი ადამიანის გაუსაძლის ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

მონათა ნაამბობები „შავი" (შავკანიანთა) ლიტერატურის პირველი პროზაული ჟანრის თხზულებები იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან შავკანიანებს ერთ ურთულეს საქმეში შეუწყო ხელი, კერძოდ კი იმაში, რომ „თეთრ" ამერიკას თვითმყოფადი აფრიკულ-ამერიკული ფენომენი ეცნო. ეს თხზულებები დღესაც დიდ ზეგავლენას ახდენენ XX საუკუნის ამერიკული „შავი" ლიტერატურის სტილურ თუ თემატურ სპეციფიკაზე. თვითგამორკვევის წყურვილი, დისკრიმინაციისადმი ზიზღი, საკუთარი თავის მარად არარაობის შეგრძნება, სრული უგულებელყოფა თეთრკანიანთა უმრავლესობის მიერ, ის თემებია, რომელნიც განასხლებული სიმწვავით წამოიჭრა მე-20 საუკუნის ისეთი შავკანიანი ამერიკელი მწერლების შემოქმედებაში, როგორიც არიან რიჩარდ რაიტი, ჯეიმს ბოლდუინი, რალფ ელისონი და ტონი მორისონი.

# თავი 5

## რეალიზმის დასაწყისი 1860-1914

ინდუსტრიულ ჩრდილოეთისა და აგრარულ სამხრეთს შორის გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა (1861-1865) ამერიკის ისტორიაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ახალგაზრდა დემოკრატიული ერის გულუბრყვილო ოპტიმიზმმა ომის შემდეგ ფასეულობათა გადაფასებისა და გულაცრუების ხანა დაიწყო. ამერიკული იდეალიზმი ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა, თუმცა მან კალაპოტი შეიცვალა. ომის წინა პერიოდში იდეალისტები ადამიანის უფლებების დაცვასა და, განსაკუთრებით, მონათმფლობელობის გაუქმების იდეას ქადაგებდნენ. ომის შემდგომ კი პროგრესსა და საკუთარი ბედის მჭედელ ადამიანს ასხამდნენ ხოტბას. დაიწყო მილიონერი მეწარმეებისა და მაგნატების ერა, რომელსაც დარვინისეული ევოლუცია და პრინციპი „გადარჩება მხოლოდ ყველაზე ჯანსაღი", თითქოს მხოლოდ წარმატებულ ბიზნესმენთა ხშირად არაეთიკური ქმედების მხარდასაჭერად იყო მიმართული.

ბიზნესმა სწორედ სამოქალაქო ომის შემდეგ ჰპოვა ფართო გასაქანი. ომმა ჩრდილოეთის შტატებში მძიმე მრეწველობა აალორძინა და მას გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობაც მიანიჭა. მან ასევე უდიდესი გამოცდილება შესძინა მრეწველობის მესვეურებს ადამიანის შრომის ორგანიზებისა და ტექნიკურ საშუალებათა სწორი გამოყენების საქმეში. ამერიკის უზღვავი წიაღისეული სიმდიდრე – რკინა, ქვანახშირი, ოქრო და ვერცხლი ბიზნესის მაცოცხლებელ ძალად იქცა. 1869 წელს გაიხსნა ახალი ინტერკონტინენტური სარკინიგზო მაგისტრალი, ხოლო 1861 წელს ამოქმედებულმა ტრანსკონტინენტურმა ტელეგრაფმა წარმოებას ფართო გზა გაუხსნა სასაქონლო ბაზრებისაკენ, ფაქტობრივად მოხსნა ურთიერთობების დამყარების პრობლემა. ემიგრანტთა უწყვეტი ნაკადი იაფი მუშახელის მოზიდვის საუკეთესო ნიადაგს ქმნიდა. 23 მილიონზე მეტი უცხოელი – დასაწყისში გერმანიიდან და სკანდინავიიდან, ხოლო შემდეგ კი სამხრეთი და ცენტრალური ევროპიდან მოაწყდა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს 1860-1910 წლებში. ჩინელი, იაპონელი და ფილიპინელი მუშები ჰავაის პლანტატორებს, სარკინიგზო კომპანიებსა და სხვა ბიზნესმენებს, რომელთაც თავიანთი ინტერესი ჰქონდათ დასავლეთ სანაპიროზე, კონტრაქტით ჩამოჰყავდათ შეერთებულ შტატებში.

1860-იან წლებში ამერიკელთა უმრავლესობა სოფლის პატარა ფერმებში ცხოვრობდა, ხოლო 1919 წლისთვის ამერიკული მოსახლეობის თითქმის ნახევარი 12 ქალაქში იყო თავმოყრილი. ამას თან ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის თანმხლები პრობლემები მოჰყვა: ღარიბი, მრავალბინიანი სახლები, ანტისანიტარია, შრომის დაბალი ანაზღაურება ("მონური ხელფასი"), უმკაცრესი სამუშაო პირობები და არაადეკვატური მომსახურეობა. შეიქმნა პროფკავშირები, მომრავლდა გაფიცვის შემთხვევები, მშრომელ მასებში ეროვნულმა თვითშეგნებამ გაიღვიძა. ფერმერებიც თავისებურად იბრძოდნენ აღმოსავლეთის „ფულის ინტერესს", ანუ ეგრეთ წოდებულ მძარცველ ბარონებს, როგორადაც ჯ.პ. მორგანსა და ჯონ როკფელერს მიიჩნევდნენ. ამ უკანასკნელთა ბანკები მკაცრად აკონტროლებდნენ დასავლეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინვესტიციებსა და კრედიტებს. სარკინიგზო კომპანიები კი მაღალ ფასებს აწესებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სოფლებიდან ქალაქებში გადაზიდვაზე. ფერმერების გამასხარავება და გაბრიყვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მათ „გაგრია", „სეპრე" პროვინციალებად მიიჩნევდნენ. სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის იდეალი ამერიკელი მილიონერი იყო. 1875 წლისთვის მათმა რიცხვმა ათასს გადააჭარბა.

1860 წლიდან 1914 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატები მცირე, ახალგაზრდა აგრარული ყოფილი კოლონიიდან, უზარმაზარ თანამედროვე, ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაიქმნა. დებიტორმა ერმა 1860 წლიდან 1914 წლამდე მსოფლიოში უმდიდრესი სახელმწიფო შექმნა, რომლის მოსახლეობაც თითქმის ორმაგად და მეტად გაიზარდა. თუ 1860 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 31 მილიონი

კაცი ცხოვრობდა, 1900 წლისთვის მისი მოსახლეობა უკვე 76 მილიონი იყო. პირველი მსოფლიო ომის წინ კი ამერიკის შეერთებული შტატები უკვე მსოფლიოს უდიდეს ძალას წარმოადგენდა.

ინდუსტრიალიზაციის აღმავლობას თან სდევდა გაუცხოების განწყობილება. იმ ხანის ამსახველ რომანებში, მაგალითად, სტივენ კრეინის „მეგი: ქუჩის გოგონაში", ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენში" და, უფრო მოგვიანებით, თეოდორ დრაიზერის „ამერიკულ ტრაგედიაში" ეკონომიკის მარწუხებით გაჭყლეტილი სუსტი, მიუსაფარი ადამიანის სულიერი გაუცხოებაა აღწერილი. ხოლო ისინი, ვისაც გადარჩენა ეწერა, მაგალითად, მარკ ტვენის ჰეკ ფინი, ჯეკ ლონდონის „ზღვის მგლის" გმირი, ჰემფრი ვანდერვეიდენი და დრაიზერის „და კერი" მხოლოდ საკუთარი ძალით — შინაგანი სიმტკიცით, სიკეთით, მოქნილობითა და, რაც მთავარია, ინდივიდუალიზმით ახერხებენ სამშვიდობოზე გასვლას.

## სამუელ კლემენსი (მარკ ტვენი) (1835-1910)

სემუელ კლემენსი უფრო ცნობილია ფსევდონიმით — მარკ ტვენი. იგი გაიზარდა მისურის შტატში, მდინარე მისისიპის ნაპირას მდებარე ქალაქ ჰანიბალში. ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი ფრაზა — მთელი ამერიკული ლიტერატურა ამოვიდა ერთი დიდი წიგნიდან, მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლიდანო", კიდევ ერთხელ ადასტურებს მარკ ტვენის ფასდაუდებელ წვლილს ამერიკულ კლასიკურ ლიტერატურაში.

მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერლები ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად, მაღალმხატვრული, ამაღლებული სტილის, და სანტიმენტური ლიტერატურა შეექმნათ, ნაწილობრივ იმ მიზნით, რომ მსოფლიო და საკუთარი თავიც დაერწმუნებინათ, — ინგლისელებზე ნაკლებ ნიჭიერნი და მცოდნენი არ ვყოფილვართო. ტვენის მხატვრული მანერა სრულიად განსხვავებულია. იგი ცოცხალ, რეალისტურ, სასაუბრო ენას ემყარება. მარკ ტვენმა ამერიკელ მწერლებს საკუთარი, ღრმად ეროვნული სიტყვის ძალა აგრძნობინა. იგი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მწერალთაგან, ვინც უშუალოდ ამერიკის წიაღში აღიზარდა და, ამდენად, სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ეროვნული იუმორის ლაზათი, ზედმიწევნით იცოდა ამერიკული სლენგი და ხალხში გავრცელებული ცრურწმენანი.

ტვენისათვის და მე-19 საუკუნის სხვა ამერიკელი მწერლებისათვის რეალიზმი მხოლოდ ლიტერატურული მიმდინარეობა არ ყოფილა: ეს იყო სიმართლის აღმოთქმის, და ძველი, დრომოჭმული, დახავსებული დოგმების უარყოფის ერთადერთი სწორი გზა. ამდენად იგი პიროვნების ჭეშმარიტ თავისუფლებასა და საზოგადოებასთან დაპირისპირების განუსაზღვრელ ძალას ანიჭებდა. ჰეკის შესახებ დაწერილ რომანში, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმ ეპიზოდს, სადაც ჰეკი, უპოვარი და უსახლკარო ბიჭი, საკუთარ გონს მიენდობა და ზანგ მონას გაქცევაში მიეხმარება, თან სულის სიღრმეში შიშობს, ვაითუ წესის დარღვევის გამო ღმერთმა დამსაჯოსო.

ტვენის ეს შედევრი 1884 წელს დაიბეჭდა. მოქმედების ადგილი მდინარე მისისიპის ნაპირას მდებარე პატარა სოფელი სანკტ-პეტერსბურგია. ლოთი გაიძვერას ვაჟიშვილი ჰეკი ეს-ეს არის სოფლის ერთ-ერთმა ყველაზე პატივცემულმა ოჯახმა იშვილა, ბიჭის ვიგინდარა მამა კი შვილს მოკვლით ემუქრება. სიკვდილისგან თავის დასაღწევად შეშინებული ჰეკი სოფლიდან გარბის. გზად მას ასევე დევნილი მონა ზანგი, ჯიმი შეუერთდება. მის ქალბატონს, მის უოთსონს, გადაწყვეტილი აქვს საკუთარი მონა შორეულ სამხრეთში, მისისიპის დელტაში გაყიდოს. ჰეკი და ჯიმი ერთად მიუყვებიან მისისიპის ძლიერ ტალღებს ტივით, მაგრამ ერთ დღეს ისინი ორთქმავალ გემს დაეჯახებიან და დაჰკარგავენ ერთმანეთს, თუმცა მალევე შეერთდებიან. ნაპირზე ორივე ათას სიფათსა და კომიკურ ფათერაკს გადაეყრება. სწორედ ამ დაუსრულებელი წანწალის დროს ვლინდება ჯიმისა და ჰეკის მდიდარი, მრავალმხრივი ხასიათი, პიროვნული კეთილშობილება, მეორეს მხრივ — საზოგადოების სისასტიკე და უგუნურება. ფინალში ირკვევა, რომ მის უოთსონს ჯიმი მონობიდან გაუთავისუფლებია, სანკტ-პეტერსბურგელი პატივცემული ოჯახი კი კვლავ დიდის სიხარულით იღებს თავს ჰეკის აღზრდაზე, თუმცა თვითონ ჰეკი ვერასგზით ვერ ეგუება ცივილიზებულ ცხოვრებას და კვლავ გაქცევას გეგმავს, ამჯერად „ტერიტორიებში", რაც მისი გაგებით, ინდიელთა მიწას ნიშნავს. ამ წიგნის ფინალი წარმატებულობის

ამერიკული მითის სრულიად საპირისპირო ვარიანტია: წინ ფართო გზაა, რომელსაც „ცივილიზაციის" გარყვნილი მორალიდან სუფთა, ველურ ბუნებაში მივყავართ. ასეთი დიდი, ფართო გზებისადმია მიძღვნილი ჯეიმს ფენიმორ კუპერის რომანები, უოლტ უიტმენის ჰიმნები, ფოლკნერის „დათვი" და ჯეკ კერუაკის „გზაზე".

„ჰეკლბერი ფინმა" მიმდევართა მთელი პლეადა გააჩინა. რომანის სიმბოლიკა სიკვდილში, აღდგომასა და ამაღლებაშია. დევნილი ზანგი ჰეკისთვის მეგობარიცაა და მამაც, რომლის სითბოც ასე აკლია მთელი ბავშვობა. ჯიმის გადარჩენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, ჰეკი, რა თქმა უნდა, მთელს მონათმფლობელურ ინსტიტუტზე მაღლდება. სწორედ ჯიმის გაქცევებისა და სიფათების გაზიარების დროს ვლინდება ჰეკში ყველაზე ძვირფასი ადამიანური თვისებები, რაც საბოლოო ჯამში მას დიდ მორალურ გამბედაობას ანიჭებს.

რომანში განჭვრეტილია ტვენისეული „ჰარმონიული ოჯახის" იდეალის არსი. „ის, რაც ყველაზე მეტად გსურს, აი აქ, ტივზე, სხვასაც ეკუთვნის და ამიტომ ჯერ სხვის წინაშე უნდა იყო სუფთა და პატიოსანი". მელვილის „პეკოდის" მსგავსად, ჯიმისა და ჰეკის ტივიც იძირება და თან მიაქვს ის საოცნებო სათვისტომოც. ტივის უმანკო, მარტივი სამყარო სიმბოლურად პროგრესის ნაყოფმა დაანგრია, მაგრამ ცოცხალია მდინარის მითიური სახე, ისევე ვრცელი, ცვალებადი და ყოვლისმომცველი, როგორც თავად სიცოცხლე.

ორივე, რეალურიცა და წარმოსახვითიც, ტვენის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პლასტებია, მათი საფუძველი და



სემუელ კლემენსი
(მარკ ტვენი)

შემაკავშირებელი ძალა კი ავტორის უნიკალური იუმორია. დიდებული, მაგრამ ამავე დროს მაცდუნებელი, მარად მედინი და ცვალებადი მდინარე ტვენის წარმოსახვითი პეიზაჟის ძირითადი ფიგურაა. რომანში „ცხოვრება მისისიპიზე" ტვენი აღწერს თავის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც მისისიპის ორთქმავალ გემზე წვრთნას გადიოდა მესაჭედ. „მე მისისიპიზე სანაოსნოდ წავედი, რათა მისი სიგრძე-სიგანე და ძლევამოსილება შემეგრძნო, რათა ჩავწვდომოდი მას, რის შეგრძნებასა და სულის შეხებას მთელი ცხოვრება ვცდილობ, და ეს ყოველივე მისისიპზე იყო".

ტვენისეული შეხედულება მწერლის მოვალეობის თაობაზე სავსებით ეთანხმებოდა მესაჭის მოვალეობას, ასე გემის მშვიდობიანად მიყვანას ნავთსაყუდელში. სემუელ კლემენსის სამწერლო ფსევდონიმი, „მარკ ტვენი" არის ის სადაგი ფრაზა, რომელსაც მისისიპელი ნაოსნები წყლის სიღრმის გაზომვისას ხმარობენ (3,6 მეტრი). ზუსტად ეს მანძილი უნდა დაიცვას გემმა, რათა მშვიდობიანად ჩაუშვას ღუზა ნავსადგურში. მარკ ტვენის მასშტაბური პიროვნება, შორს მიმავალი მიზნები, გენიალური იუმორი და ორიგინალური სტილი მისი შემოქმედების მარადი აქტუალობისა და თანადროულობის საწინდარია.

## ფრონტიერის იუმორი და რეალიზმი

მარკ ტვენის შემოქმედებაში მე-19 საუკუნის ორი ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობა შეერწყა ერთმანეთს: ფრონტიერის პოპულარული იუმორი და ადგილობრივი კოლორიტი, ანუ „რეგიონალიზმი". ეს ნაზავი ლიტერატურული მეთოდი 1830

წლიდან აღმოცენდა და მისი ფესვები ადგილობრივ ზეპირსიტყვიერებაში უნდა ვეძიოთ. ქალაქიდან შორს, ფრონტიერის დატაკ სოფლებში, მდინარის ორთქლმავლებზე ოქროსმაძიებელთა პატარ-პატარა ბანაკებში, იალაღებზე, კოვბოების ფარეხებში, კოცონთან, იბადებოდა და იხვეწებოდა სალაღობო ზეპირსიტყვიერება. გაზვიადება, ზღაპრულობა, პარადოქსულობა, უზომო ბაქიაობა და მშრომელი პერსონაჟების კომიკური სახეები სისადავესა და სიცხოველეს მატებდა ფრონტიერის ლიტერატურას, რომელიც იუმორით იყო დასუნთქული. იუმორი „ძველი სამხრეთ-დასავლეთის“ სასაზღვრო და წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ყველა კუთხეს თავისი განუმეორებლობა ჰქონდა, ჰყავდა გამორჩეული გმირი, ვისზეც ყვებოდნენ ამბებს, მაგალითად, მაიკ ფინკი – მისისიპის ორთქლმავლის მესაჭეები, ქეისი ჯოუნსი – გულადი რკინიგზელი, ჯონ ჰენრი – აფრიკული წარმოშობის ამერიკელი მჭედელი, პოლ ბანიანი – ტყისმჭრელი გოლიათი, რომელსაც შემდეგ რეკლამებზე ხედავდნენ, ვესტერნის გმირები: კიტ კარსონი – ინდიელი მეომარი და დეივი კროკეტი – სკაუტი. მათი საქმენი საგმირონი, როგორც წესი, გაზვიადებული იყო და ბალადებშიც აისახებოდა, არაერთგზის დაბეჭდილა ჟურნალ-გაზეთებშიც. ისევე, როგორც კიტ კარსონისა და დეივი კროკეტის ისტორიები, სხვა მოთხრობებიც წიგნად გამოდიოდა ხოლმე კრებულის სახით.

ტვენი, ფოლკნერი და სხვა მწერლები, კერძოდ კი სამხრეთელები, ომამდელი ფრონტიერის იუმორისტი მწერლების ჯონსონ ჰუპერის, ჯორჯ უოშინგტონ ჰარისის, ავგუსტუს ლონგსტრიტის, თომას ბენგს თორპის და ჯოზეფ ბოლდუინის შემოქმედებით იყვნენ დავალებულნი. სწორედ ამერიკულ ფოლკლორში დაიბადა ისეთი კომიკური სიტყვები, როგორიცაა „absquatulate“ (მიტოვება), „flabbergasted“ (გაშტერებული), „rampagious“ (მოუთოკავი). სოფლის ბაქიები, ანუ როგორც ეძახდნენ, „კუდზე ეჟვანგამობმული მოჭიხვინენი“, ხმასავრცელებდნენ, რომ ისინი ნახევრად ცხენად და ნახევრად ალიგატორებად იყვნენ დაბადებული, ძალას ფრონტიერის დაუშრეტელი ენერგიიდან და ბუნების ძალებთან ჭიდილში იყრებდნენ, ამიტომ თავადაც განასახიერებდნენ ბუნების რისხვასა და ძალას. „მე ვარ ტორნადო“ – განაცხადა ერთმა – „თხილის ბარდიანით ველური, „ნორ-ვესტიანი“ (ჩრდილო-დასავლეთი) მარად ქარიანი, ერთი დარტყმით ხეს წავაქცევ, ჩემს ფეხქვეშ მიწა ირწევა, ბრბოს რომ გავკვეთ, მთელ ჰექტარ მიწას მის სხივი მოეფინება“.

## ადგილობრივი კოლორისტი მწერლები

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი კოლორისტული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ძირითადად სამოქალაქო ომის შემდეგ შეიქმნა, მას, ფრონტიერის იუმორის მსგავსად, ღრმა და ძველი ფესვები გააჩნია. უდავოა, რომ ომის წინამძღვრი პერიოდის არაერთი მწერალი – დაწყებული ჰენრი დევიდ თოროთი, დამთავრებული ჯონ გრინლიფ უიტიერით და ჯეიმს რასელ ლოუელით, ხატავს ამერიკის ცალკეული კუთხის მეტად შთამბეჭდავ სურათებს. კოლორისტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურობა ადგილობრივი კოლორიტის გადმოცემასა და სკრუპულოზურ, ზედმიწევნით რეალისტურ მეთოდში ძევს.

ბრეტ ჰარტი (Bret Harte) – 1836-1902. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი სათავგადასავლო მოთხრობები „ღრიალა ბანაკის ბედი“ და „პოკერ ფლეტის განდევნილები“. მოქმედება მიმდინარეობს მეშახტეთა დასახლების ფრონტიერზე. ბრეტ ჰარტმა კოლორისტთა სკოლას უდიდესი პოპულარობა მოუტანა, ხოლო თვითონ მთელი ეპოქა შექმნა ამერიკის მწერლობაში და ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მწერლად იყო აღიარებული. ამერიკელები სულმოუთქმელად ელოდნენ ხოლმე მის რომანტიკულ-განგსტერულ ვესტერნებს. ბრეტ ჰარტი უკიდურესად რეალისტურად ასახავდა დაბალი ფენის ამერიკის ცხოვრებას: თაღლითი ბანქოს მოთამაშეები, უგემოვნო, პროვინციელი მეძავები, უზნეო ქურდები და ბანდიტები მისი მხატვრული შემოქმედების მთავარი პერსონაჟები არიან (ბრეტ ჰარტი ამ მხრივ შეიძლება შევადაროთ ინგლისელ მწერალ ჩარლზ დიკენსს, რომელსაც საოცრად მოსწონდა ამ ამერიკელი ავტორის მოთხრობები), თუმცა ნიშანდობრივი ის არის, რომ ჰარტი თავის ნაწარმოებთა ფინალში ამ ვითომდა ნაძირალებს ნაზი, კეთილი გულის მქონე პიროვნებებად გვიხატავს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ინგლისის შესანიშნავად აღწერისათვის არა-

ერთმა მწერალმა ქალმა მოიხვეჭა სახელი. მაგალითად: მერი უილკინს ფრიმენმა (Mary Wilkins Freeman) – 1852-1930, ჰარიეთ ბიჩერ სტოუმ (Harriet Beecher Stowe) – 1811-1896 და სარა ორნ ჯევეტმა (Sarah Orne Jewett) – 1849-1909. ჯევეტის მწერლური ორიგინალობა, მისი თემისა და გმირების ოსტატური წარმოჩენა, მაღალმხატვრული სტილი, ყველაზე სრულყოფილად მის მშვენიერ მოთხრობაში „თეთრი ყანჩა" და „წიწვოვანი ნაძვნარის ქვეყანაში" (1862) აისახა.

ჰარიეთ ბიჩერ სტოუს კოლორიტული ჟანრის მოთხრობებმა და, განსაკუთრებით კი, „კუნძულის მარგალიტმა" (1862) ჯევეტზე, როგორც შემოქმედზე, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. მე-19 საუკუნის მწერალმა ქალებმა მორალური ურთიერთმხარდაჭერისა და თითოეული მათგანის შემოქმედების უკეთ გაცნობის მიზნით, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს. მწერალმა ქალებმა მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთა დიდი აუდიტორია შემოიკრიბეს. ბევრმა მათგანმა დაწერა პოპულარული რომანი, ლექსები და იუმორისტული მოთხრობები.

ამერიკის პროვინციებში შექმნილი ლიტერატურის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მაინც ადგილობრივი კოლორიტი იყო. პროვინციული ლიტერატურა ხშირად სოციალური უთანასწორობის მიმართ პროტესტსაც გამოხატავდა. ეს თემატიკა განსაკუთრებით საუკუნის ბოლოს გაღრმავდა, მაშინ, როცა სოციალურმა უთანასწორობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. რასობრივი დისკრიმინაციისა და ქალთა უფლებების შეზღუდვების წინააღმდეგ პროტესტმა სამხრეთელი



სარა ორნ ჯევეტი

ფოტო © ბეტმანის არქივი

ავტორების – ჯორჯ უოშინგტონ ქეიბლის (George Washington Cable) – 1844-1925 და ქეით შოპენის (Kate Chopin) – 1851-1904, შემოქმედებაში გაიჟღერა, ამ მწერალთა ფრანგულ-ლუიზიანურმა რომანებმა მათ შემოქმედებას ლოკალურობის იარლიყი მოაცილეს და ზოგადსაკაცობრიო შინაარსი შესძინეს. ქეიბლის რომანში „დიდებულნი" (1880) რასობრივი უსამართლობის პრობლემები გადმოცემულია უდიდესი ტკივილითა და მხატვრული ოსტატობით. იგივე ითქმის ქეით შოპენის გაბედულ რომანზე „გამოღვიძება", სადაც აღწერილია ქალის უიღბლო ცდა, დაიცვას საკუთარი ღირსება. რომანმა თემატიკით აშკარად გაუსწრო დროს. „გამოღვიძებაში" ნაამბობია ახალგაზრდა, ქმარშვილიანი ქალის ამბავი, რომელიც უარს ამბობს ოჯახზე, საზოგადოებაში მყარ მდგომარეობაზე და თვითგამოხატვის გზებს ეძიებს. ოკეანის ზვირთების პოეტური გამოძახილი, გალიაში გამომწყვდეული და გათავისუფლებული ჩიტები, მუსიკალობა ამ რომანს საოცარ დინამიურობასა და მრავლისმომცველობას ანიჭებს.

„გამოღვიძების" გვერდით ლიტერატურათმცოდნეები ხშირად მოიხსენიებენ შარლოტა პერკინს გილმენის (Charlotte Perkins Gilman) – 1860-1935. მშვენიერ მოთხრობას „ყვითელი შპალერი". ორივე ნაწარმოები ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთხანს მივიწყებული იყო. მოგვიანებით, მე-20 საუკუნეში ისინი ფემინისტმა ლიტერატურათმცოდნეებმა ამოატივტივეს. გილმენის რომანში პატივმოყვარე და ცინიკოსი ქმარი თავის ცოლს სიგიჟის პირას მიიყვანს იმით, რომ ოთახში გამოკეტავს ვითომდა დეპრესიის სამკურნალოდ. დატყვევებული

ცოლი თავისი სასოწარკვეთის სურათის ყვითელ შპალერზე ნახატს: გისოსებს უკან იატაკზე [illegible] დამხობილი ტყვე ქალის ფიგურა მოჩანს.

## მიდვესტერნის (შუა დასავლეთი) რეალიზმი

ეპოქის ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ჟურნალის „ატლანტიკ მანსლის" რედაქტორი უილიამ დინ ჰოუელსი (William Dean Howells) – 1837-1920, რეალისტი მწერლების ბრეტ ჰარტის, მარკ ტვენის, ჯორჯ ვაშინგტონ ქეიბლის და სხვათა ნაწარმოებებს ბეჭდავდა. იგი ამერიკული რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. მის რომანებში, „თანამედროვე მაგალითი" (1882), „საილას ლეფემის ამაღლება" (1885) და „[illegible] მომავლის შანსი" (1890) ძალზე ფრთხილადაა ერთმანეთში [illegible] მწვავე სოციალური პრობლემები და რთული, საშუალო ფენის ადამიანის [illegible].

სიყვარული, პატივმოყვარეობა, იდეალიზმი და ცდუნება მისი პერსონაჟების მამოძრავებელი ღერძია. ჰოუელსი მწვავედ განიცდიდა ბიზნესის მაგნატთა მორალურ სიმდაბლეს, რომელიც განსაკუთრებით „ოქროს ციებცხელების" პერიოდში გამოვლინდა (1870-იანი წლები). ამაზე მეტყველებს რომანის ირონიული სათაური – „საილას ლეფემის ამაღლება". საილას ლეფემი ძველი პარტნიორების გაბრიყვების წყალობით გამდიდრდა; ეს ამორალური საქციელი ძალზე დაამწუხრებს მის ოჯახს, თუმცა თავად საილასი თავს დამნაშავედ სრულიადაც არ თვლის. ბოლოს, ფულით გონებადაბინდული საილასი ქუჩას მოეგება და არაკეთილსინდისიერი გზით გამდიდრების გაკოტრებას ამჯობინებს. საილას ლეფემის ამბავი, ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის მსგავსად, წარუმატებლობის იდეის გამარჯვების გამომხატველი ნაწარმოებია. ლეფემის გაკოტრება მისი სულიერი აღორძინების საწინდარია.

ცხოვრების დაისისკენ ჰოუელსი, ტვენის მსგავსად, აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, იგი თავგამოდებით იცავდა მშრომელთა კავშირების ორგანიზატორთა უფლებებს და აპროტესტებდა ამერიკის მიერ ფილიპინების კოლონიზაციას.



უილიამ დინ ჰოუელსი

ფოტო © [illegible] არქივი

## კოსმოპოლიტი რომანისტები

### ჰენრი ჯეიმსი (1843-1916)

ჰენრი ჯეიმსმა ერთხელ დაწერა: „ლიტერატურა ქმნის ცხოვრებას, ბადებს ინტერესს და მოვლენებს მნიშვნელობას ანიჭებს". ჯეიმსის [illegible] შემოქმედება, კრიტიკული მოსაზრებანი თავისი ეპოქის მოთხოვნილებებთან შედარებით ბევრად უფრო ღრმააზროვანი და მრავლისმომცველი აღმოჩნდა. მარკ ტვენთან ჰენრი ჯეიმსს მხოლოდ ერთი რამ აქვს საერთო – ორივენი მე-19 საუკუნის II ნახევრის უდიდესი რომანისტები არიან.

ჯეიმსის შემოქმედებაში ნიშანდობლივია „ინტერნაციონალიზმის თემა", იგი ასახავს გულუბრყვილო ამერიკელის რთულ ურთიერთობებს კოსმოპოლიტ ევროპელებთან. ჰენრი ჯეიმსის ბიოგრაფი ლეონ ედელი მწერლის „ინტერნაციონალური" შემოქმედების პერიოდს მიაკუთვნებს მის „ტრანსატლანტიკურ ესკიზებს" (1875), „ამერიკელს" (1877), ნოველას „დეიზი მილერი" (1879) და ამერიკული ლიტერატურის შედევრს – „ქალის პორტ-

რეტი" (1881). რომანში „ამერიკელი" ქრისტოფერ ნიუმენი, გულუბრყვილო, მაგრამ გამჭრიახი, კეთილშობილი, საკუთარი ბედის თვითმჭედელი მილიონერი მეწარმე საცოლის საძებნელად ევროპაში მიემგზავრება. საპატარძლოს ოჯახი დაბალი წარმომავლობის გამო იწუნებს სასიძოს. ქრისტოფერს ხელსაყრელი პირობა ექმნება შური იძიოს დამცირებისათვის, მაგრამ მისი მაღალი ზნეობა და კეთილშობილება გადაწონის შურისგების ძლიერ გრძნობას.

ჰენრი ჯეიმსის შემოქმედების მეორე პერიოდი ექსპერიმენტული იყო. მან სრულიად ახალი, მტკივნეული საკითხები წამოჭრა: ფემინიზმი და სოციალური რეფორმა „ბოსტონელებში" (1886) და პოლიტიკური ინტრიგა „ქალბატონ კაზამასიმაში" (1885). ჰენრი ჯეიმსმა დრამატურგიაშიც მოსინჯა კალამი, მაგრამ წარუმატებლად. მისი პიესის „გაი დომვილი" (1895) პრემიერა სტვენისა და ლანძღვა-გინების თანხლებით ჩატარდა.

შემოქმედების მესამე და ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე ჰენრი ჯეიმსი „ინტერნაციონალურ" თემას მიუბრუნდა, თუმცა, ამჯერად, რიგითი მკითხველისათვის სრულიად მიუწვდომელ, ღრმად ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და მაღალინტელექტუალურ მოვლენებზე გაამახვილა ყურადღება. მრავალწახნაგოვანი და თითქმის მითოლოგიური რომანი „ელჩები", რომელსაც ჯეიმსი თავის საუკეთესო ქმნილებად მიიჩნევდა (1903), „მტრედის ფრთები" (1902) და „ოქროს თასი" (1904) – სწორედ ამ მესამე პერიოდს განეკუთვნება. თუ მარკ ტვენის ძირითადი თემა არსებული მოვლენები და რეალური ვითარებაა, ჯეიმსის მარადიული საზრუნავი


ჰენრი ჯეიმსი

[illegible]
ნაციონალური გალერეა.
[illegible]

მოვლენათა აღქმა და გააზრებაა. ჰენრი ჯეიმსის ნაწარმოებებში თვითშემეცნება და გარესამყაროსა და თვისტომთა სწორი აღქმა ბადებს სიბრძნესა და თავგანწირულ სიყვარულს. პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად, ჰენრი ჯეიმსის რომანებს ფსიქოლოგიური სიღრმეც ემატებოდა; ისინი უფრო და უფრო სცილდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პროცესებს. ჰენრი ჯეიმსის გვიანდელ ნაწარმოებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად გართულებულია – მხოლოდ გონების უეცარი განათებისას აცნობიერებენ პერსონაჟები თავიანთ ურთიერთობასა და საბრძოლველს. ასე მაგალითად, „ელჩებში" იდეალისტი, შუახნის ასაკში შესული ლამბერტ სტრეზერი აკრძალული სიყვარულის მოწმე გახდება. ეს შემთხვევა მას შინაგან სამყაროს ერთიანად შეძრავს. მისი მკაცრი, შეუვალი მორალური კოდი, ადამიანური ვნებებით გაიჟღინთება და ისე მთლიანად მოიცავს მის არსებას, რომ იგი მზადაა ცოდვა მიუტევოს ყველა ცოდვილს.

## ედით უორტონი (1862-1937)

ჰენრი ჯეიმსის მსგავსად, ედით უორტონი ნაწილობრივ ევროპაში გაიზარდა და საბოლოოდ იქ დასახლდა. იგი ნიუ-იორკის შეძლებული, ცნობილი ოჯახიდან გამოდიოდა და საკმაოდ კარგად ხედავდა ამ განვითარებული კლასის დაცემისა და ახალი ნუვორიში ბიზნესმენების კლასის მომძლავრების პროცესებს. მისი შემოქმედების ძირითადი თემა სწორედ ეს სოციალური გარდაქმნებია.

უორტონიც, ჰენრი ჯეიმსის მსგავსად, ამერიკელებს და ევროპელებს სრულიად საპირისპირო

ასპექტში განიხილავს. მისი კონცეფციის ქვაკუთხედი სოციალური რეალობისა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის გაჩენილი ნაპრალია. ხასიათი და მგრძნობიარე პერსონაჟი ხშირად იჭყლიტება ძლიერ სოციალური წნეხის ქვეშ. ედით უორტონმა ახალგაზრდობაში თავად იწვნია ამ წნეხის ძალა – მწვავე დეპრესიის დროს, როცა მიხვდა, რომ მწერლობა და მეუღლის როლს ერთმანეთს ვერ უთავსებდა.

უორტონის საუკეთესო რომანებად აღიარებულია „გართობის ადგილი" (1905), „სოფლის ჩვეულება" (1913), „ზაფხული" (1917), „უმანკოების ასაკი" (1920) და მხატვრული სტილის შესანიშნავი ნიმუში, რომანი „ეთან ფრომი" (1911).

## ნატურალიზმი და ნაგვის ქექვის მეთოდი

უორტონისა და ჰენრი ჯეიმსისთვის დამახასიათებელი ღრმა წიაღსვლები ადამიანის სექსუალური და მატერიალური ვნებების სფეროებში, შემდეგ მათი ამოტივტივება საზოგადოებრივი ყოფის 'ზედაპირზე', ერთგვარად ეხმიანება ისეთი მწერლების შემოქმედებას, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ არც ერთთან და არც მეორესთან. იგულისხმება სტივენ კრეინი, ჯეკ ლონდონი, ფრენკ ნორისი, თეოდორ დრაიზერი და ეპტონ სინკლერი. კოსმოპოლიტი რომანისტების მსგავსად, ნატურალისტური მიმდინარეობის მწერლებიც უკიდურესი სიზუსტით ასახავენ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას. თავიანთი კონცეფციის გამოსახატველად ისინი ხშირად დარვინის დეტერმინიზმის თეორიას იშველიებდნენ და, ამგვარად, მიუსაფარ ადამიანს მძლავრ



სტივენ კრეინი

ეკონომიკურ და სოციალურ მარწუხებში წარმოსახავდნენ.

ნატურალიზმი არსებითად დეტერმინიზმის ლიტერატურულ გამოხატვას წარმოადგენდა. დეტერმინიზმი და დაბალი ფენის, წუმპეს შეულამაზებელი რეალისტური ჩანახატები უარყოფს რელიგიის ცხოველმყოფელ გავლენას სამყაროზე და, ნაცვლად ამისა, თავად სამყაროს აღიქვამს როგორც მანქანას, ენერგიის წყაროს. მე-18 საუკუნის განმანათლებლებსაც სამყარო მანქანად ჰქონდათ წარმოდგენილი, მაგრამ ერთ დღე, უნივერსალურ, ღმერთის ხელით შექმნილ მანქანად, რომელიც პიროვნებისა და კოლექტივების დასაკმაყოფილებლადაა მოწყობილი. ნატურალისტები კი მანქანად საზოგადოებას აღიქვამენ, თვალებდათხრილ, ღმერთდავიწყებულ და წყობიდან გამოსულ მანქანად.

მე-19 საუკუნის ამერიკელმა ისტორიკოსმა ჰენრი ადამსმა ისტორიის არსის ერთობ საინტერესო თეორია ჩამოაყალიბა. ამ თეორიის მიხედვით, ისტორიის მამოძრავებელი ძალა, ანუ მანქანის ძალა, მაცდური და დამანგრეველი. პიროვნების ნაცვლად ადამსი ადამიანთა საზოგადოების დაცემის პროცესს იკვლევს.

მღვდლის შვილი, მაგრამ ღმერთისგან კარგა ხნის დაშორებული სტივენ კრეინი ერთ სიტყვით ამბობს:

ადამიანმა ღმერთის ასყლა და
უთხრა:
– დიახ, სერ, მე ვარსებობ!
– არ დაიჯერო – უპასუხა
ღმერთმა.
– და მაინც, არსებობის ჩემში
პასუხისმგებლობის გრძნობა
არ გაუღვიძებია.

რომანტიზმის მსგავსად, ნატურალიზმი პირველად ევროპაში აღმოცენდა. იგი სათავეს საფრანგეთში (1840-იან წლებში) ონორე დე ბალზაკის შემოქმედებიდან იღებს. ლიტერატურული მიმდინარეობის აღმოცენება დაკავშირებულია გუსტავ ფლობერის, ედმუნდ და ჟიულ გონკურების, ემილ ზოლას და გი დე მოპასანის სახელებთან. ამ შემოქმედთა ნაწარმოებებში გაბედულადაა გაშიშვლებული ყოფითი სოციალური მოვლენები – განქორწინება, სექსი, სიმრუშე, ღალატი, სიდატაკე და დანაშაული.

ნატურალიზმისათვის ამერიკა ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა, ვინაიდან ამერიკა ურბანიზებულ ქვეყნად იქცა და მას კარგად ჰქონდა უკვე გაცნობიერებული ეკონომიკური და სოციალური მოვლენების მნიშვნელობა და ძალა. 1890 წელს ფრონტიერი ოფიციალურად გაუქმდა. ამერიკელთა უმრავლესობა ქალაქებში დასახლდა. ბიზნესი, ძალაუნებურად, ყველაზე ტიპურ, მიყრუებულ ფერმებსაც კი მართავდა.

## სტივენ კრეინი (1871-1900)

სტივენ კრეინი ნიუ-ჯერსიში დაიბადა. მისი წინაპრები ჯერ კიდევ საუკუნის წინ რევოლუციის უშიშარი ჯარისკაცები, სახელმწიფო მოხელეები, შერიფები, მოსამართლეები და ფერმერები იყვნენ. სტივენ კრეინმა შემოქმედებითი მოღვაწეობა ჟურნალისტიკით დაიწყო, შემდეგ წერდა პროზას, პოეზიას, ესსეს და პიესებს. კრეინი რეალისტურად აღიქვამდა წუთისოფელს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, თავისი ძერებითა და ტკივილებით. მისი ნოველები „ნავი", „ლურჯი სასტუმრო" და „პატარძალი მიდის ყვითელ ცაში" ამერიკული ნოველისტიკის ბრწყინვალე ნიმუშებია. კრეინის ყველაზე პოპულარული რომანი „გმირობის წითელი ორდენი" 1895 წელს დაიბეჭდა და ავტორს დიდი წარმატება მოუტანა. მაგრამ უდავოა, რომ სტივენ კრეინი ბევრად უფრო პოპულარული გახდებოდა, რომ დასცლოდა. გარდაიცვალა 29 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობით, რომელსაც რატომღაც არაფრად აგდებდა.

მე-20 საუკუნეში, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, სტივენ კრეინი არავის ახსოვდა. იგი, შეიძლება ითქვას, მკვდრეთით აღადგინა თომას ბირის დაწერილმა მისმა ბიოგრაფიამ (1923). ბირმა შექმნა კრეინის ნამდვილი აპოლოგია. მას შემდეგ კიდევ დიდხანს გაჰყვა კრეინს ეს შარავანდედი – მოკვდავთ შორის უპირველესისა, რეალისტისა და სიმბოლისტის.

კრეინის „მეგი: ქუჩის გოგონა" (1893) ამერიკული ნატურალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი და, ამასთან, უბრწყინვალესი ნიმუშია. ეს არის ღარიბი, მგრძნობიარე, სათნო ახალგაზრდა გოგონას ტრაგიკული ბედის ისტორია. იგი უბირმა და ლოთმა მშობლებმა იმთავითვე დასაღუპად გასწირეს. შეყვარებულ მეგის ერთი სული აქვს თავის ოჯახურ წუმპეს დააღწიოს თავი და, როგორც ადვილი მისახვედრია, ამ ძიებაში ახალგაზრდა კაცის ცდუნების მსხვერპლი ხდება. შეცდენილს და მიტოვებულს ლოთი დედა ჯერ სცემს და შემდეგ სახლიდან აძევებს. მეგი ქუჩის გოგო ხდება, რადგან იმის იქით გზა აღარ აქვს, სხვაგვარად ვერ გადარჩება. იგი მეძავი ხდება და, სულ მალე, ცხოვრებას თვითმკვლელობით ამთავრებს. რომანი თავისი ფორმითა და შინაარსით (მიწიერი, ყოფითი თემა, ოდნავ აკადემიური, მაგრამ არა დიდაქტიკური და მქადაგებლური სტილი) ნატურალისტური მიმდინარეობის ტიპური ნიმუშია.

## ჯეკ ლონდონი (1876-1916)

ნატურალისტური მიმდინარეობის მეორე თვალსაჩინო შემოქმედი, ღარიბი, კალიფორნიელი თვითნასწავლი მუშა, ჯეკ ლონდონი უკიდურესი სიღარიბიდან უკიდურეს ფუფუნებაში ჩაეფლო, მისი მოთხრობების კრებულის „მგლის შვილის" (1900) დაბეჭდვისთანავე. რომანი ალიასკის მხარის კლონდაიკის ტერიტორიას და კანადის იუკონს აღწერს. სხვა ბესტსელერებმა და მათ შორის „ბუნების ძახილმა" (1903), „ზღვის მგელი" (1904) მას საქვეყნო აღიარება მოუტანეს.

ავტობიოგრაფიულ რომანში „მარტინ იდენი" (1909) შესანიშნავად აისახა ამერიკული ოცნების მაცდუნებელ იდეას მინდობილი ადამიანების იმედგაცრუება და სულიერი განცდები. ყოველივე ზემოთქმული ჯეკ ლონდონმა თავად გამოსცადა, როცა მეტეორული სისწრაფით განვლო აღმასვლის გზა წუმპედან უსაზღვრო სიმდიდრემდე და აღიარებამდე. მარტინ იდენი მიუსაფარი, მაგრამ კეთილშობილი და შრომისმოყვარე მეზღვაური და მუშაა, ოღონდ მწერლის ქია არ ასვენებს. მწ-

ერთობა მარტინ იდენს დიდებას და სიმდიდრეს მოუტანს. კრიტიკულ მომენტში მარტინ იდენს თვალი აეხილება, იგი ხვდება, რომ ქალი, რომელიც სულს ურჩევნია, მის ფულებსა და სახელს ეტრფის. ამგვარი უხამსური იმედგაცრუება მარტინ იდენს ნდობას უკარგავს საერთოდ ადამიანთა მოდგმის მიმართ. მას თავს ატყდება ყველა სოციალური პრობლემა, მათ შორის – კლასობრივი უთანასწორობის პრობლემაც. მუშათა კლასს იგი აღარ ეკუთვნის, მდიდრების მერკანტილურობა აღიზიანებს, თუმცა სულ რამდენიმე წლის წინ თავს არ ზოგავდა, როგორმე ამ საზოგადოებაში რომ მოხვედრილიყო. მარტინი გემით შლის წყნარ ოკეანეში და იქ იხრჩობს თავს. ამ ეპოქის სხვა ცნობილი რომანების მსგავსად, „მარტინ იდენიც" წარუმატებლობის იდეის გასამართლებლად დაწერილი რომანია. მის ნაკვალევზე წავიდა მომდევნო თაობის ისეთი თვალსაჩინო მწერალი, როგორიც სკოტ ფიცჯერალდია. მან მემკვიდრეობად უზომო სიმდიდრისა და სასოწარკვეთის აპოკალიფსური ნიმუში „დიდი გეთსბი" დატოვა.

## თეოდორ დრაიზერი (1871-1945)

თეოდორ დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია" (1925), ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის" მსგავსად, ამერიკული ოცნების ჭეშმარიტი არსის გამომხატველი რომანია. იგი დეტალურად აღწერს უპრეტენზიო, მორიდებული და საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებული ბიჭის კლაიდ გრიფიტის ცხოვრებას. კლაიდი უკიდურესად გაჭირვებული, მოხეტიალე ევანგელისტების ოჯახში იზრდება, მაგრამ დღენიადაგ გამდიდრებასა და ლამაზი ქალის სიყვარულზე ოცნებობს. შეძლებული ბიძა თავის ქარხანაში აიყვანს სამუშაოდ. როცა გრიფიტის შეყვარებული რობერტა დაორსულდება და შერთვას თხოვს, კლაიდს უკვე სხვა გოგონა უყვარს მაღალი საზოგადოებიდან. ამ გოგონაშია კლაიდის ბავშვობის ოცნების ასრულების, წარმატებისა და მაღალ საზოგადოებასთან დაახლოების შანსი. კლაიდი გულმოდგინედ სახავს რობერტას მოკვლის გეგმას. იგი გოგონას ნავში ჩასვამს და ღრმად შეტყუებს წყალში, რომ იქ დაახრჩოს, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრებს. მოხდება ისე, რომ რობერტა შემთხვევით მაინც გადავარდება ნავიდან. კლაიდი მშვენიერი მოცურავეა, წყალში ჩავარდნილ „სატრფოს" კი არ შველის. ასე იღუპება რობერტა. კლაიდის სასამართლო პროცესზე დრაიზერი თავიდან გაათამაშებს გმირის თავგადასავალს, ოღონდ ამჯერად ბოლოდან – დანაშაულის ჩადენიდან. იგი ოსტატურად იყენებს ბრალმდებლისა და დამცველის ყველა არგუმენტს და ნაბიჯ-ნაბიჯ აანალიზებს მოტივს, რამაც წარსულში უწყინარი, ღრმად მორწმუნე და წესიერ ოჯახში აღზრდილი კლაიდი მკვლელობამდე მიიყვანა.

მიუხედავად მოუხეშავი სტილისა, „ამერიკული ტრაგედიით" დრაიზერმა დიდი აღიარება მოიპოვა. ყოველი წვრილმანის ოსტატური გადმოცემით მწერალმა მკითხველს გარდაუვალი ტრაგედიის მძაფრი შეგრძნება გადასცა, ხავსმოკიდებული ამერიკული „წარმატების მითის" განქარვების რეალური სურათი დაანახა. ამასთან ერთად, რომანი ის სრულყოფილი მხატვრული ტილოა, რომელიც ურბანიზაციის, მოდერნიზაციისა და გაუცხ-



თეოდორ დრაიზერი

თების შედეგად მიყენებულ ტრავმებზე მოგვითხრობს. რომანში ურთიერთმონაცვლეობით შემოდიან რომანტიზმისა და ფანტასტიკის ელემენტები.

„ამერიკული ტრაგედია“ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში წარმატებისათვის გაჩაღებულ თავაწყვეტილ და დაუნდობელ შეჯიბრში ჩათრეული მშრომელი, მიუსაფარი ადამიანის დაუკმაყოფილებლობის, შურისა და სასოწარკვეთის ანარეკლია.

ძლიერი ინდუსტრიის ფონზე წარმატებით გამდიდრებული ბიზნესმენების ფოტოსურათებითა და მათი ცხოვრების ეპიზოდებით გადაჭრელებული ჟურნალ-გაზეთების ინფორმაციები საოცარ კონტრასტს ქმნიდნენ რიგითი ფერმერებისა და მშრომელი საზოგადოების ცხოვრებისეულ ვითარებასთან. პრესა ხელს უწყობდა უსაზღვრო მოლოდინის, იმედისა და მიუწვდომელი ოცნებების გაღვივებას საზოგადოებაში. მოდერნიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნებისთვის ეს პრობლემები უცხო არაა და იგი ბუნებრივად ბადებს „ნაგვის ქექვის“ მეთოდს ჟურნალისტიკაში. ამ მეთოდის მიმდევარი ჟურნალისტები მიმდინარე სოციალურ პრობლემებს დოკუმენტური სიზუსტითა და მწარე სიმართლით ასახავდნენ და საზოგადოებას გარდამტეხი სოციალური რეფორმებისკენ უბიძგებდნენ.

ამერიკულ კვლევაძიებით ჟურნალისტიკასაც სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. სწორედ მაშინ გამოქვეყნდა ეროვნულ ჟურნალებში, „მაკ კლურესსა“ და „კოლიერზში“ იდა მ.თარბელის „სტანდარტ ოილ კომპანიის ამბავი“ (1904), ლინკოლნ სტეფენსის „ქალაქთა სირცხვილი“ (1904) და სხვა მწვავე კრიტიკული სტატიები. „ნაგვის ქექვის“ ჟანრის რომანისტები შრომის აუტანელი პირობების ასასახავად სწორედ მახვილი თვალის მქონე ჟურნალისტებისაგან ნასესხები სტილითა და მეთოდებით სარგებლობდნენ. პოპულისტი (ხალხოსანი) ფრენკ ნორისი (Frank Norris) თავის „რვაფეხაში“ (1901) რკინიგზის დიდ კომპანიას აღწერს, სოციალისტი ეპტონ სინკლერი (Upton Sinclair) კი რომანში „ჯუნგლი“ (1906) ჩიკაგოს საყასბოებში გამეფებულ ჭუჭყსა და სიბინძურეზე მოგვითხრობს. ჯეკ ლონდონმა თავის „რკინის ქუსლში“ (1908) ჯორჯ ორუელზე (1984) რვა ათეული წლით ადრე იწინასწარმეტყველა კლასობრივი ბრძოლა და არსებული ხელისუფლების დამხობა.

ამ ჟანრის სხვა, უფრო დახვეწილ ნიმუშებში ასახულია ცალკეული რიგითი ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების პორტრეტები და მათი დათრგუნული სულიერი სამყარო. უილიამ დინ ჰოუელსის პროტეჟეს, ჰემლინ გარლენდის (Hamlin Garland) – 1860-1940, მოთხრობათა კრებულში „გზატკეცილები“ (1891), რიგითი მოქალაქეების მთელი გალერეაა წარმოდგენილი. აქ აღწერილია „მიდვესტის“ ფერმერთა უკიდურესი სიღატაკე და მათი მოთხოვნები სოფლის მეურნეობაში რეფორმების თაობაზე. სათაურშივე მინიშნებულია შორს, დასავლეთისკენ მიმავალი გზების სიმბოლიკაზე, იმ მტვრიანი გზებისა და ცენტრალური მაგისტრალების ისტორიაზე, რომელნიც ჯერ კიდევ ადრეულმა პიონერებმა გახსნეს.

გარლენდის „გზატკეცილების“ მსგავს ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ შერვუდ ანდერსონის (Sherwood Anderson) – 1876-1941, მოთხრობების კრებული „უაინსბურგი, ოჰაიო“, რომლის წერაც ანდერსონმა 1916 წელს დაიწყო. ამ წიგნში გამოგონილი ქალაქის, უაინსბურგის მოქალაქეთა ცხოვრება, ახალგაზრდა გულუბრყვილო რეპორტიორის ჯორჯ უილარდის თვალითაა დანახული. ყმაწვილი საბოლოო ჯამში ტოვებს უაინსბურგს და დიდ ქალაქში მიდის ბედის საძიებლად. „გზატკეცილებისა“ და ნატურალისტური ჟანრის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, „უაინსბურგი, ოჰაიო“ ამერიკის პატარა ქალაქების ბინადართა სიღატაკეზე, მიუსაფრობასა და მწარე იმედგაცრუებაზე მოგვითხრობს.

## „ჩიკაგოს სკოლის“ პოეზია

მიდვესტის (ცენტრალური დასავლეთი) სამი ცნობილი პოეტი ილინოისში აღიზარდა და რიგით მოქალაქეებთან ერთად გაიზიარა ამ ცხოვრების ავ-კარგი. ეს პოეტები იყვნენ კარლ სენდბერგი, ედგარ ლი მასტერსი და ვეიჩელ ლინდზი. მათი პოეზიის საგანი რიგითი მოქალაქე იყო, მხატვრული მეთოდი – პათეტიკური რეალიზმი, რამაც თავის დროზე მათ მკითხველთა დიდი აუდიტორია შესძინა. ეს მწერლები, ანუ „ჩიკაგოს სკოლის“ წარმომადგენლები სამწერლო ასპარეზზე პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში გამოვიდნენ აღმოსავლეთ სანაპიროს ლიტერატურული გაერთიანების

საპირისპიროდ. „ჩიკაგოს რენესანსმა" ამერიკული კულტურის ახალი მიმდინარეობა შექმნა, რომელიც შიდა ამერიკულ ყოფას, ანუ ინტერიერს, საკმაოდ მოწიფულად და ჩამოყალიბებულად მიიჩნევდა.

## ედგარ ლი მასტერსი (1868-1950)

XX საუკუნის მიჯნაზე ჩიკაგო დიდი ქალაქი გახდა. იგი ნოვატორული არქიტექტურული კომპლექსებისა და კოსმოპოლიტური ხელოვნების ნიმუშთა გალერეად იქცა. იგი, აგრეთვე, ჰარიეტ მონროს მიერ დაარსებული, იმ ხანის ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურული ჟურნალის, „პოეტრის" სამშობლო გახლდათ.

თანამედროვე პოეტთაგან ყველაზე საინტერესო ავტორი, რომელიც ამ ჟურნალში იბეჭდებოდა, იყო ედგარ ლი მასტერსი. მის კალამს ეკუთვნის იმ ხანისათვის ერთობ გაბედული ლექსი „სფუნ რივერის ანთოლოგია" (1915). ლექსი ხასიათდებოდა ახალი „არაპოეტური" სალაპარაკო სტილით, სექსის მოურიდებელი წარმოჩენით, პროვინციული ცხოვრების წესის კრიტიკით და უბრალო ხალხის ცხოვრების გაზიარების სურვილით.

„სფუნ რივერის ანთოლოგია" პორტრეტთა გალერეაა და თითოეული პორტრეტისათვის ავტორს ცალკე ეპიტაფია (სასაფლაოს ქვაზე ამოკვეთილი წარწერა) აქვს შერჩეული. ეს ხერხი მას მიცვალებულთა განვლილი ცხოვრების დასახასიათებლად აქვს მოხმობილი, ვითომდაც მათივე სიტყვებით. პოემა ამერიკული სოფლის პანორამას ხატავს ერთი პატარა სასაფლაოს ფონზე. იქ დასაფლავებული 250 ადამიანი თავის სანუკვარ საიდუმლოებებს გვანდობს. ბევრი მათგანი ერთმანეთის ახლო და შორეული ნათესავები არიან. თავისუფალი ლექსით გადმოცემულ მონოლოგებში დაახლოებით ოცი ოჯახის წარმომადგენლები მოგვითხრობენ თავიანთ გულგატეხილობასა, წარუმატებლობასა და აუხდენელ ოცნებებზე. ეს პოეტური ხერხი დღესაც საოცრად თანამედროვედ ჟღერს.

## კარლ სენდბერგი (1878-1967)

ერთმა მისმა თანამედროვემ თქვა – „კარლ სენდბერგზე სახელდახელოდ წერა იგივეა, დიდ კანიონს ერთი შავ-თეთრი ფოტო რომ გადაუღო". სენდბერგი იყო პოეტი, ისტორიკოსი, ბიოგრაფი, რომანისტი, მუსიკოსი და ესსეისტი. იგი რკინიგზის მუშის შვილი გახლდათ. პროფესიით ჟურნალისტმა, მან აბრაამ ლინკოლნის ვრცელი ბიოგრაფია დაწერა და ეს ლიტერატურული ნაშრომი XX საუკუნის კლასიკადაა აღიარებული.

ბევრი კრიტიკოსი სენდბერგს უოლტ უიტმენის მიმდევრად თვლიდა, ვინაიდან მისი წერის მანერა და საგანი საოცრად ჰგავდა უიტმენისას: ექსპანსიური, უკიდურესად ქალაქური და პატრიოტული პოეზია, სადა, ბავშვური უშუალობით დაწერილი ლექსები და ბალადები. მან მთელი ამერიკა საკუთარი ლექსების კითხვით მოიარა. ისე ტკბილად და ლაღად კითხულობდა პოეზიას, ვეგონებოდათ მღერისო. ბუნებით ძალიან უბრალო, უშუალო და თავმდაბალი იყო, თითქოს ვერც კი გრძნობდა, ერმა სახალხო პოეტად რომ აღიარა. რას მოითხოვდა იგი ცხოვრებისგან, რით კმაყოფილდებოდა? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა: „ციხეში რომ არ ვიჯდე, მქონდეს საჭმელი ყოველდღე, რასაც დავწერ, დამიბეჭდავდნენ... ცოტა სიყვარული ოჯახში, ცოტა წარმატება ოჯახს გარეთ და ყველა თქვენ ამერიკის ლამაზ პეიზაჟზე".

ამ თემისა და უიტმენისეული სტილის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ცნობილი ლექსი „ჩიკაგო" (1914):

მსოფლიოს მარჩენალი ყასაბი ხარ,
მჭედელი ხარ და პურის მომყვანი,
რკინიგზის ლიანდაგის დამგები, დიდი ოკეანის ნაოსანი,
ხარ მღელვარე, ზორბა, რიხროსა,
გაშლილი, ძლიერ ბეჭებიანი,
დიდი ქალაქი.

## ვეიჩელ ლინდზი (1879-1931)

ვეიჩელ ლინდზი „მიდვესტერნის" ერთი პატარა ქალაქის მკოსანია. მან ამერიკულ პოეზიაში მკაცრი საზომით გამართული რითმიანი, საჯაროდ ხმამაღლა წასაკითხი ლექსი შემოიტანა. ლინდზის ლექსში უცნაურადაა შერწყმული ერთის მხრივ, ხალხური პოეზიის პოპულარული ფორმები, საეკლესიო ჰიმნები, ვოდევილების და, მეორეს მხრივ, უაღრესად თანამედროვე პოეზიის ელემენტები. ლინდზიმ გზა გაუკვალა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „ბიტ" პოეზიას, რომელსაც ჯაზის აკომპანიმენტით კითხულობდნენ.

პოეზიის პოპულარიზაციის მიზნით, ლინდზიმ შექმნა ეგრეთ წოდებული „მაღალი ვოდევილი", სადაც მუსიკასა და რიტმს უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა. დღევანდელი გადასახედიდან, მისი აშკარად რასისტული პოემა „კონგო" (1914) ჯაზის, პოეზიის, მუსიკისა და გუნდური ქორალების ურთიერთმონაცვლეობით „სოფბას ასხამს" აფრიკელების ისტორიას; იმავდროულად, სხვა ლექსებში, ამერიკის ვრცელი პეიზაჟის ფონზე იგი უკვდავყოფს ისეთ ფიგურებს, როგორიც იყვნენ აბრაამ ლინკოლნი ("აბრაამ ლინკოლნი მოდის შუაღამისას") და ჯონ ჩეპმენი ("ჯონი ეფლსიდი"). ასეთ ლექსებში მითი და ფაქტი ხშირად გაიგივებულია.

## ედვინ არლინგტონ რობინსონი (1869-1935)

ედვინ არლინგტონ რობინსონი მე-19 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია. ედგარ ლი მასტერსის მსგავსად, იგი ხსარტი, ირონიული მოთხრობების დიდოსტატი და რიგითი ადამიანის ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდნეა. მასტერსისაგან განსხვავებით, რობინსონი ლექსთწყობის ტრადიციულ ზომებს იყენებს. მისი წარმოსახვითი ქალაქი ტილბარი მასტერსის სპუნ რივერის მსგავსად, უწყინარ, იმედდაკარგულ სალხთა ცხოვრებას ასახავს.

რობინსონის აღიარებული მღელვარე მონოლოგებიდან, ყველაზე ცნობილია, უარყოფილ სიყვარულზე დაწერილი „ლუქ ჰევერგალი" (1896), „მინივერ ჩივი" (1910) – რომანტიკოსი მეოცნების პორტრეტი, და, „რიჩარდ ქორი" (1896), სადაც აღწერილია მდიდარი კაცის თვითმკვლელობის უცნაური ამბავი.

„როცა რიჩარდ ქორი დაუნთაუნს
  ჩამოივლიდა,
ჩვენ ტროტუარის ბინადარნი თვალებში
  შევციცინებდით.
იგი თხემით-ტერფამდე კეთილშობილი,
  სუფთა,
თავადურად თხელი და კოპწია,

მუდამ სიტყვაწყლიანი და კეთილმოუბარი
  იყო.
ასე იტყოდა, „დილა მშვიდობისა".
მისრა-მოსრაც ლიდებული ჰქონდა.
და იყო ისე მდიდარი – დიახ, მეფეზე
  მდიდარი,
ყოველმხრივ განსწავლული.
და ჩვენ ვფიქრობდით, რომ
ის იყო ყოველივე,
ჩვენი ოცნების ხატი და საგანი.

ჩვენ კი კვლავ ვშრომობთ,
დილის სხივს ველით,
ხორცი რა არის, არ ვიცით
და პურსაც ვწყევლით.

რიჩარდ ქორი კი ზაფხულის
ერთ მშვიდ ღამეს
სახლში მივიდა და
ტყვია ისალა შუბლში".

„რიჩარდ ქორს" ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები „მარტინ იდენის", „ამერიკული ტრაგედიისა" და „დიდი გეთსბის" გვერდით განიხილავენ, რადგან ოთხივე მათგანი ზღვარგადასული წარმატების მითის საშიშროებას ღაღადებენ, მითისა, რომელიც მილიონერების ხანაში შავი ჭირივით დაატყდა თავს მთელ ამერიკას.

## ორი რეგიონალური რომანისტი ქალი

რომანისტები ელენ გლაზგოუ (1873-1945) და უილა ქეთერი აღწერდნენ ქალითა ცხოვრებას, რომელიც ბრწყინვალედ გადმოცემულ პროვინციულ გარემოცვაში მიმდინარეობდა; არც ერთი რომანისტთაგანი არ მიმართავს განსაკუთრებულ ქალურ თემას; მათი ადრეული ნაწარმოებები, როგორც წესი, აღწერს მამაკაც პროტაგონისტს; მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწერლებმა მიაღწიეს მაღალ მხატვრულ ოსტატობას და სიმწიფეს, მათ მიმართეს ქალთა ცხოვრების აღწერას. გლაზგოუ და ქეთერი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ქალი მწერლები" მხოლოდ ზედაპირული თვალსაზრისით, რადგან მათი ნაწარმოებები ასეთ კატეგორიზაციას არ ექვემდებარება. გლაზგოუ, წარმოშობით ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდიდან იყო. რიჩმონდი, – სამხრეთის კონფედერაციის ძველი დედაქალაქი იყო. მისი რეალისტური რომანები აღწერენ, თუ როგორ იცვლებოდა სამხრეთის ეკონომიკა აგრარულიდან ინდუსტრიულისაკენ. მწერლის მოწიფულობის ხანის ნაწარმოებები, როგორიცაა „ვირჯინია" (1912), მის სამხრეთულ გამოცდილებას ეფუძნება; ხოლო გვიანდელი რომანები,

როგორიცაა „გამოფიტული მიწა", რომელიც მის საუკეთესო რომანადაა აღიარებული, დრამატულად აღწერს ნიჭიერ ქალებს, რომელთაც სურთ დაძლიონ კლაუსტროფობია, – სამხრეთში ქალისათვის დამახასიათებელი ოჯახური ცხოვრების წესი, მორჩილება და ოჯახზე დამოკიდებულება.

ქეთერი, ასევე ვირჯინიელი, ნებრასკის პრერიებში გაიზარდა ემიგრანტ პიონერებთან ერთად; მოგვიანებით მან ეს შეადავსო რომანებში: „ოჰ, პიონერებო" (1913) და „ჩემი ანტონია" (1918) და მის საქვეყნოდ ცნობილ მოთხრობაში „მეზობელი როზიკი" (1928). თანდათანობით მწერალი სულ უფრო და უფრო დაუპირისპირდა თანამედროვე ცხოვრების მატერიალისტურ ინტერესებს და ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის თანადროული და წარსული ცხოვრების თავისებური, განსხვავებული ხედვა გამოიმუშავა. თავის რომანში „სიკვდილი მოდის არქიეპისკოპოსს" (1927), მწერალი გადმოგვცემს მე-16 საუკუნის ორი მღვდლის იდეალიზმს, რომლებიც კათოლიკურ რწმენას ამკვიდრებენ ნიუ მექსიკოს უდაბნოში. ქეთერის ნაწარმოებები გვიხსნებენ ამერიკული წარსულის მნიშვნელოვან ასპექტებს. პიონერების ჩამოსვლას, რელიგიის დამკვიდრებას და ქალის დამოუკიდებელ ცხოვრებას.



ვილა ქეთერი

## შავკანიანთა ამერიკული ლიტერატურის აღმავლობა

აფრიკული წარმოშობის ამერიკელთა ლიტერატურული მიღწევები იყო სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის ლიტერატურული განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი. ბუქერ თ.ვაშინგტონის, უ.ე.ბ. დიუ ბუას, ჯეიმს უელდონ ჯონსონის, ჩარლზ უოდელ ჩესნატის, პოლ ლორენს დანბარის და სხვათა ნაწარმოებებში შავკანიან ამერიკელთა ნაწერების ფესვები ძევს; ძირითადად ეს არის ავტობიოგრაფიები, პროტესტის ლიტერატურა, ქადაგებანი, პოეზია და სასიმღერო ნაწარმოებები.

### ბუქერ თ.ვაშინგტონი (1856-1915)

ბუქერ თ.ვაშინგტონი იყო განმანათლებელი და თავისი დროის ყველაზე ცნობილი შავკანიანი ლიდერი. იგი დაიბადა როგორც მონა ფრანკლინის საგრაფოში, ვირჯინიის შტატში. მისი მამა თეთრკანიანი მონათმფლობელი იყო, დედა კი მონა ქალი. მისი დახვეწილი და უბრალო ავტობიოგრაფია „მონობიდან გათავისუფლება" (1901) აღწერს მის წარმატებულ ბრძოლას კეთილდღეობის ასამაღლებლად. მან სახელი გაითქვა აფრო-ამერიკელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად გაწეული ღვაწლით. იგი მოუწოდებდა თეთრკანიანებთან თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას; ეს იყო მცდელობა, მონობიდან ახალგათავისუფლებული შავკანიანი ამერიკელები ჩაერთო ამერიკული საზოგადოების განვითარების ძირითად მსვლელობაში. მისი ეს მოსაზრება განსაკუთრებით მკაფიოდ ჟღერდა ცნობილ ატლანტის ექსპოზიციისადმი მიმართვაში (1895).

### უ.ე.ბ. დიუ ბუა (1868-1963)

იგი ნიუ ინგლენდში დაიბადა და განათლება მიიღო ჰარვარდის და ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტებში. უ.ე.ბ. დიუ ბუა იყო ავტორი ესესი „მისტერ ბუქერ თ.ვაშინგტონი და სხვები", რომელიც შევიდა მის საპროგრამო

წიგნში „შავკანიანთა სულები" (1903). დიუ ბუა ზედმიწევნით მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მრავალი მიღწევებისა, ბუქერ თ. უოშინგტონი, ფაქტიურად, აღიარებდა სეგრეგაციას – ანუ შავკანიან ამერიკელთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას; ხოლო სეგრეგაცია კი აუცილებლად იწვევდა დამცირება-შეურაცხყოფებს, განსაკუთრებით განათლებაში. დიუ ბუა იყო დამფუძნებელი „ფერადკანიანთა ხელშეწყობის ეროვნული ასოციაციისა". მან აგრეთვე შექმნა ემოციური აღწერა აფრო-ამერიკული ტრადიციებისა და კულტურისა; მისმა ნაშრომებმა ხელი შეუწყეს შავკანიან ინტელექტუალებს ხელახლა აღმოეჩინათ საკუთარი ხალხური ლიტერატურა და მუსიკა.

## ჯეიმზ უელდონ ჯონსონი (1871-1938)

დიუ ბუას მსგავსად, პოეტი ჯეიმზ უელდონ ჯონსონი თავის შთაგონებას აფრო-ამერიკულ სპირიჩუალებში (სასულიერო სიმღერები) ჰპოვებდა. ლექსში „ოჰ, შავკანიანო და უცნობო ბარდო" (1917) იგი ამბობს:

რომელი მონის გულმა ამოხეთქა ეს მელოდია –
– „იესოსაკენ გაპარული"? გენით და ჯიშით.
თავისუფალი სული ყოველ
ღამე გამოდის გარეთ,
თუმცა მაჯებზე მაინცა აქვს
ბორკილის შიში.

ჯონსონი თეთრის და შავკანიანის შთამომავალი იყო და რთულ რასობრივ საკითხს განიხილავს თავის მხატვრულ პროზაში – „ყოფილი ფერადკანიანის ავტობიოგრაფია" (1912); ეს არის ნაწარმოები, სადაც შერეული რასის წარმომადგენელი თეთრკანიანებმა თავისთავად მიიღეს. წიგნი ეფექტურად გადმოგვცემს შავკანიანი ამერიკელის განცდას ამერიკაში საკუთარი ადგილის განსაზღვრისას.



ბუქერ თ. უოშინგტონი

## ჩარლზ უოდელ ჩესნათი (1858-1932)

ჩარლზ უოდელ ჩესნათი მოთხრობათა ორი კრებულის – „შელოცვილი ქალი" (1899) და „მისი სიყმაწვილის ცოლი" (1899) ავტორი იყო. მას აგრეთვე ეკუთვნოდა რამდენიმე რომანიც, მათ შორის „ტრადიციის არსი" (1901). მან დაწერა ფრედერიკ დაგლასის ბიოგრაფიაც. იგი წინ უსწრებდა თავის დროს. მისი მოთხრობები რასობრივ თემებზე იყო აგებული, მაგრამ იგი თავს არიდებდა რაიმე განსაზღვრული დასკვნებისა და განზოგადებული გრძნობის გადმოცემას; მისი გმირები გამოკვეთილი პიროვნებები არიან, რომელთაც გააჩნიათ რთული დამოკიდებულება მრავალი მოვლენის მიმართ, მათ შორის რასობრივისადმიც. ჩესნათი ხშირად გვიჩვენებს შავკანიანთა საზოგადოების ძალას; ამტკიცებს ეთიკურ ფასეულობებსა და რასობრივ სოლიდარობას.

# თავი 6

## მოდერნიზმი და ექსპერიმენტები 1914-1945

ბევრი ისტორიკოსი ორი მსოფლიო ომის შორის პერიოდს უწოდებს – შეერთებული შტატების მტკივნეული „დავაჟკაცების“ ხანას; და ეს მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს უშუალო ჩარევა ომში ძალზე ხანმოკლე იყო (1917-1918), ხოლო მსხვერპლი ბევრად უფრო მცირე, ვიდრე მისი მოკავშირეებისა ან მტრებისა. ჯონ დოს პასოსმა ილუზიების გაქრობა ომის შემდგომ ამერიკაში დაახასიათა თავის რომანში „სამი ჯარისკაცი“ (1912). მან თქვა, რომ ცივილიზაცია „ფარისევლობის უზარმაზარი ნაგებობაა, ხოლო ომმა იგი კი არ დაანგრია, არამედ უფრო სრულად და საბოლოოდ წარმოაჩინა“. თავზარდაცემული და სრულიად შეცვლილი უბრუნდებოდნენ ამერიკელები თავის სამშობლოს, მაგრამ ისინი უკვე ვეღარასოდეს აღიდგენდნენ თავის ადრინდელ უბიწოებას.

ასევე ვერ ასწრებდნენ ამერიკული სოფლებიდან წასული ჯარისკაცები დაბრუნებოდნენ თავიანთ ფესვებს. მსოფლიოს სხვა ადგილების ნახვის შემდეგ მათ უკვე თანამედროვე ქალაქის ცხოვრება იზიდავდა. ახალმა სასოფლო სამეურნეო მანქანებმა – სათესმა, სალეწმა და სხვა კომბაინებმა – მნიშვნელოვანწილად შეამცირეს მოთხოვნილება ფერმებში სამუშაო ძალაზე; მაგრამ მიუხედავად პროდუქციის სიჭარბისა, ფერმერები კვლავაც ღარიბებად რჩებოდნენ. მოსავლის ფასები, ისევე როგორც მუშათა ხელფასები, დამოკიდებული იყო ლაგამაწყვეტილ საბაზრო ფასებზე, რომლებზეც მძიმე გავლენას ახდენდა ბიზნესის ინტერესები; სახელმწიფო სუბსიდიები ფერმერებისათვის და მუშათა პროფკავშირების ეფექტური მუშაობა ჯერ არ იყო დამკვიდრებული. „ამერიკელთა უმთავრესი ბიზნესი – ბიზნესი გახლავთ“, განაცხადა პრეზიდენტმა კელვინ კულიჯმა 1925 წელს და მოსახლეობის უმეტესობა ამას დაეთანხმა.

ომის შემდგომ (I მსოფლიო ომი) „დიდი აღმავლობის“ დროს ბიზნესი გაიფურჩქნა, ხოლო ყველაზე ყოჩაღებმა ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომ არც კი უოცნებიათ. პირველად თავის ისტორიაში ამერიკელები დაეწაფნენ სწავლას, – 1920 წლის კოლეჯებში შემსვლელთა რიცხვი გაორმაგდა. საშუალო კლასი აყვავდა. ამერიკელები უკვე სრულად ირგებდნენ მსოფლიოში უმაღლესი საშუალო ეროვნული შემოსავლის ყველა სარგებელს. ბევრმა ამერიკელმა შეიძინა ავტომობილი – მაღალი სტატუსის დამადასტურებელი ნაღდი სიმბოლო. ტიპიური ქალაქელი ამერიკელის სახლი კაშკაშებდა ელექტრონათურებით და თავს იწონებდა რადიომიმღებით, რომელიც მას გარე სამყაროსთან აკავშირებდა; ამას ემატებოდა ტელეფონი, ფოტოაპარატი, საბეჭდი ან საკერავი მანქანა. პროტაგონისტი ბიზნესმენის მსგავსად, სინკლერ ლუისის რომანიდან „ბებიტი“ (1922) საშუალო ამერიკელი ასეთი ნივთებით სარგებლობას ამართლებდა იმით, რომ ეს იყო თანამედროვე მიღწევა, რომ ისინი ამერიკაში იყო გამოგონებული და ამერიკაშივე დამზადებული.

„ხმაურიანი ოციანების“ ამერიკელები შეყვარებული იყვნენ სხვა თანამედროვე გასართობებშიც. უმეტესობა ყოველ კვირა დადიოდა კინოში. მართალია 1919 წელს ამოქმედდა ამერიკის კონსტიტუციის მე-18 შესწორება, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლის წარმოებას, ტრანსპორტირებასა და გაყიდვას, მაგრამ ამან გამოიწვია არალეგალური ღამის კლუბებისა და ღვინის დუქნების დიდი მომრავლება; იქ კი ხდებოდა ჯაზის, კოქტეილების და თამამი ტანსაცმლის მოდებისა და ცეკვების დემონსტრირება. ცეკვებზე და კინოში სიარული, საავტომობილო ტურები და რადიომიმღებები – ეროვნულ სიგიჟედ იქცა. განსაკუთრებით ამერიკელმა ქალებმა გაითავისუფლეს თავი. ბევრმა მათგანმა სოფლიდან და ფერმიდან ამერიკულ ქალაქებში გადაინაცვლა, რათა პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტისთვის ზურგის გასამაგრებლად თავისი ვალი მოეხადა და შესაბამისად სრულიად გათანამედროვედა. თმები მოკლედ შეიკრიჭეს, კაბებიც მოკლე ჩაიცვეს და ტკბებოდნენ ხმის მიცემის უფლებით, რომელიც მათ კონსტიტუციის მე-19 შესწორებამ მიანიჭა 1920 წელს. ისინი თამამად გამოთქვამდნენ თავის აზრებს

და საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილებს იკავებდნენ.

დასავლური ახალგაზრდობა ამბოხებული იყო – განრისხებული და ილუზიებ-გამქრალი, სასტიკი ომის გამო, რომელზედაც უფროს თაობას აკისრებდნენ პასუხისმგებლობას; ისევე როგორც ომისშემდგომ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რომელიც (და ეს ბედის ირონია იყო) აძლევდა საშუალებას ფულიან ამერიკელებს – მაგალითად, მწერლებს ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს, ერნესტ ჰემინგუეის, გერტრუდ სტაინს და ეზრა პაუნდს არსებითად ეცხოვრათ საზღვარგარეთ და თან ძალზე იაფად. სხვადასხვა ინტელექტუალური დინებანი, სახელდობრ ფროიდისტული ფსიქოლოგია და შედარებით ნაკლებად მარქსიზმი (ისევე როგორც ადრეული დარვინისტული თეორია ევოლუციის შესახებ) ამკვიდრებდნენ სამყაროს იდეას ღმერთის გარეშე; ეს ტრადიციული ფასეულობების მსხვრევას უწყობდა ხელს. ამერიკელები საზღვარგარეთ ისრუტავდნენ ამ იდეებს, ჩამოჰქონდათ შეერთებულ შტატებში, სადაც მათ ნერგავდნენ და ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა ფანტაზიას აღანთებდნენ. ასე მაგალითად, უილიამ ფოლკნერი, მეოცე საუკუნის ამერიკელი მწერალი, ფროიდისტულ ელემენტებს ყველა თავის ნაწარმოებში იყენებდა, ისევე როგორც, ფაქტიურად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი, ყველა სერიოზული ამერიკელი პროზაიკოსი.

მიუხედავად გარეგნული სიმხიარულისა, გათანამედროვებულობისა და შეუდარებელი მატერიალური წარმატებისა, ოციანი წლების ახალგაზრდა ამერიკელები „დაკარგული თაობა" იყო – როგორც ეს მათ დაარქვა ლიტერატურულმა პორტრეტისტმა გერტრუდ სტაინმა. სტაბილური, ტრადიციული ფასეულობების სტრუქტურის გარეშე, პიროვნებებმა დაკარგეს თვითგამორკვევის გრძნობა: დაცული, ოჯახური მხარდაჭერის გარემო; ნაცნობი, დამკვიდრებული საზოგადოება; ბუნებრივი და მარადიული რიტმი სამყაროსი, რომელიც განაგებდა სოფლად ხენასა და მკას; პატრიოტიზმის მასაზრდოებელი გრძნობა; მორალური ფასეულობანი, რომლებიც რელიგიური რწმენითა და ჭვრეტით იყო ჩანერგილი – ეს ყოველივე მოსპო პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა.

მრავალი რომანი, განსაკუთრებით ჰემინგუეის „და აღმოსდება მზე" (1926) და ფიცჯერალდის „სამოთხის ეს მხარე" (1920), „დაკარგული თაობის" უცნაურობებსა და ილუზიების მსხვრევას აღწერს. თ.ს. ელიოტის გავლენიან და გრძელ პოემაში „უნაყოფო მიწა" (1922) დასავლური ცივილიზაცია სიმბოლურად ედრება ხრიოკ უდაბნოს, რომელიც წვიმის (სულიერი განახლების) იმედადაა დარჩენილი.

1930-იანი წლების მსოფლიო დეპრესიამ დიდი გავლენა იქონია შეერთებული შტატების უმეტეს მოსახლეობაზე. მუშებმა სამსახური დაკარგეს; ქარხნები დაიხურა; ბანკები და ბიზნესები გაკოტრდა; ფერმერებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს მოსავლის მოყვანა, ტრანსპორტირება და გაყიდვა, ვერ გადაიხადეს ვალები და დაკარგეს ფერმები; შუადასავლეთის გვალვამ ამერიკის „პურის კალათა" ნაგვის ყუთად გადააქცია. ბევრმა შუადასავლელმა ფერმერმა მიატოვა მშობლიური მხარე და კალიფორნიას მიაშურა, რაც ასე მკაფიოდ აქვს აღწერილი ჯონ სტეინბეკს თავის რომანში „მრისხანების მტევნები" (1939). დეპრესიის უმაღლეს მწვერვალზე ამერიკელთა ერთი მესამედი უმუშევარი იყო. ულუკმაპუროთა სასადილოები, ქოხმახების ქალაქები, მაწანწალები, რომლებიც საბარგო მატარებლებით აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ, ამერიკული ეროვნული ცხოვრების ნაწილი გახდა. ბევრი ამ დეპრესიაში ხედავდა მოჭარბებული მატერიალიზმისა და გალაღებული ცხოვრების ცოდვების საზღაურს. მტვრის ქარაშოტი, რომელმაც შუადასავლეთის ცა გააშავა, მათი რწმენით, გამოხატავდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებას: „ქარაშოტი დღისით და უკუნეთი შუადღით".

დეპრესიამ ქვეყანა თავდაყირა დააყენა. თუ 1920-იან წლებში შეერთებული შტატები ბიზნესს სახარებასავით ქადაგებდა, ამჯერად მრავალი ამერიკელი მხარს უჭერდა პრეზიდენტ ფრანკლინ დ. რუზველტის მიერ წამოყენებული „ახლებური მიდგომის" პროგრამებს. ფედერალური ფულით იქმნებოდა სამუშაო ადგილები სახელმწიფო სექტორში; მაგალითად, სოფლის ელექტროფიცირებაში და ეროვნული ნაკრძალების მოწყობაში. ხელოვნების მუშაკებსა და ინტელექტუალებს ფულს უხდიდნენ შენობათა კედლების მოხატვა-მოპირკეთებაში და ცნობარების შედგენაში. ასეთი

წამლობა თითქოს შველოდა, მაგრამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ინდუსტრიულმა აღმავლობამ აღადგინა კეთილდღეობა. მას შემდეგ, რაც იაპონელები თავს დაესხნენ შეერთებულ შტატებს, პერლ ჰარბორში 1941 წლის 7 დეკემბერს, მიტოვებული გემთსაშენები და ქარხნები გამოცოცხლდნენ და აჩქარებით დაიწყეს ხომალდების, თვითმფრინავების, ჯიპების და სამხედრო ნაწილების მასობრივი გამოშვება; საომარმა წარმოებამ და ექსპერიმენტებმა ხელი შეუწყვეს ახალი ტექნოლოგიების შექმნას, მათ შორის ატომური ბომბისა. რობერტ ოპენჰეიმერმა, ბირთვული დარგის მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის ხელმძღვანელმა, წინასწარმეტყველურად წარმოთქვა ჰინდუს ენაზე არსებული ლექსი: „მე გადავიქეც სიკვდილად და ქვეყნების დამანგრეველად".

## მოდერნიზმი

მოდერნიზმის კულტურული ტალღა, რომელიც თანდათან ჩამოყალიბდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში მეოცე საუკუნის დასაწყისში, გამოხატავდა ხელოვნების მეშვეობით თანამედროვე ცხოვრების აღქმას; იგი უპირისპირდებოდა წარსულს და აგრეთვე დასავლური ცივილიზაციის კლასიკურ ტრადიციებს. თანამედროვე ცხოვრება ტრადიციულისგან ძირფესვიანად განსხვავებული ჩანდა – უფრო მეცნიერული, სწრაფი, აღსავსე ქარბი ტექნოლოგიით და მეტად მექანიზირებული. მოდერნიზმი ყველა ამ ცვლილებას მოიცავდა.

გერტრუდ სტაინი (1874-1946) ლიტერატურას თანამედროვე ხელოვნების მსგავსად ავითარებდა. იგი პარიზში ცხოვრობდა და ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდა (იგი და მისი ძმა ლეო იძენდნენ პოლ სეზანის, პოლ გოგენის, პიერ ოგუსტ რენუარის, პაბლო პიკასოს და სხვათა ტილოებს); სტაინმა ერთხელ თქვა, რომ მე და პიკასო ერთსა და იგივეს ვაკეთებთ – იგი მხატვრობაში და მე კი მწერლობაშიო. უბრალო და კონკრეტულ სიტყვების გამოყენებით იგი აბსტრაქტულ ექსპერიმენტალურ პროზაულ პოეზიას ქმნიდა. სტაინის მარტივი, ბავშვური ლექსიკონი თანამედროვე მხატვრობის ბრჭყვიალა და ძირითად ფერებს მოგვაგონებს; ხოლო მისი გამეორებები კი აბსტრაქტულ-ვიზუალური კომპოზიციების დუბლირებულ ფორმებს ასახიერებს. გრამატიკისა და სასვენი ნიშნების გადაადგილებით იგი აღწევდა ახალ „აბსტრაქტულ" მნიშვნელობებს; ასეთი იყო მისი ძალზე გავლენიანი კრებული „ნაზი კოკრები" (1914), სადაც საგნები სხვადასხვა კუთხიდანაა დანახული, ისე როგორც კუბისტურ მხატვრობაში.

მაგიდა მაგიდას ნიშნავს, განა ასე არ არის
ჩემო ძვირფასო.
იგი ნიშნავს სრულ მდგრადობას.
ვითომ იცვლება. მაგიდა
უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მინა.
სარკეც კი მაღალია.

მნიშვნელობა, სტაინის ნაწერებში, ხშირად ტექნიკას იყო დაქვემდებარებული, ისევე როგორც აბსტრაქტულ სახვით ხელოვნებაში თვით საგანი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გამოსახვის ფორმა. საგანი და ტექნიკა განუყოფელი გახდა იმ პერიოდის, როგორც სახვით, ასევე სამწერლო ხელოვნებაში. შინაარსის ტოლფასი ფორმის იდეა, მეორე ომის შემდგომი ხელოვნებისა და ლიტერატურის ქვაკუთხედი, ამ პერიოდში გამოიკვეთა.

ქარხნებისა და მანქანების ტექნოლოგიური განახლების სამყაროში, ხელოვნების ტექნიკა ახალ ინტერესს აღვივებდა. შეიძლება ერთი მაგალითის მოყვანა: სინათლე, განსაკუთრებით ელექტრონის სინათლე, აღაფრთოვანებდა თანამედროვე ხელოვანთ და მწერლებს. იმ პერიოდის აფიშები და რეკლამები სავსეა პროჟექტორებით განათებული ცათამბჯენების სურათებით; კაშკაშა სხივები ანათებდნენ ავტომობილის შუქფარებიდან, კინოთეატრებიდან და გადმოსახედი კოშკურებიდან, რათა გაენათებინათ უსასრული გარემომცველი სიბნელე, რომელიც უმეცრებას და დრომოჭმულ ტრადიციებს განასახიერებდა.

ფოტოგრაფია, რომელიც უახლოეს მეცნიერულ მიღწევებს ეყრდნობოდა, ხელოვნების სტატუსს იძენდა. ფოტოგრაფმა ალფრედ შტიგლიცმა ნიუ-იორკ სიტიში სალონი გახსნა და 1908 წელს იქ თანამედროვე ევროპული ხელოვნების ნიმუშების ფოტოებს უჩვენებდა; მათ შორის პიკასოს და გერტრუდ სტაინის სხვა ევროპელი მეგობრების ნამუშევრებსაც. შტიგლიცის სალონმა დიდი გავლენა იქონია მრავალ მხატვარსა და მწერალზე, მათ შორის უილიამ კარლოს უილიამსზე; იგი კი, თავის მხრივ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერ-

თი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი პოეტი იყო. უილიამსმა დაამკვიდრა სახის ფოტოგრაფიული სიზუსტე; იგი თავის ესთეტიკურ მრწამსს გამოხატავდა სიტყვებით „იდეები მხოლოდ საგნებშია“.

ხედვა და თვალსაზრისი მოდერნისტული რომანისთვისაც ძირითად ასპექტად იქცა. უკვე აღარ კმაროდა უშუალოდ მესამე პირის თხრობა ან (კიდევ უფრო უარესი) უაზრო და მომაბეზრებელი მთხრობელი. ის, თუ როგორი იყო მოთხრობილი ამბავი, ისევე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც თვით ამბავი.

ჰენრი ჯეიმსი, უილიამ ფოლკნერი და სხვა ბევრი ამერიკელი მწერალი ექსპერიმენტებს ატარებდნენ გამოგონილი მხატვრულობის თვალსაზრისით. ჯეიმსი ხშირად რომანში მიმდინარე მოვლენებს ერთი მოქმედი პირის მიერ დანახული ფორმით ზღუდავდა. ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება“ (1929) თხრობა ოთხი მხრიდან მიმდინარეობს; თითოეული სხვადასხვა მოქმედი პირის თვალსაზრისს იძლევა (მათ შორის გონებრივად განუვითარებელი ბიჭისა).

ასეთი ტიპის მოდერნისტული რომანებისა და პოეზიის ანალიზისათვის შეერთებულ შტატებში „ახალი კრიტიკის“ სკოლა ჩამოყალიბდა; მან ახალი კრიტიკული „ლექსიკონი“ შექმნა. „ახალმა კრიტიკოსებმა“ დაამკვიდრეს ტერმინი „ეპიფანია“ (მყისიერი მომენტი, როდესაც მოქმედი პირი მოულოდნელად ხედავს სიტუაციის ტრანსცენდენტულ ჭეშმარიტებას. ეს ტერმინი მომდინარეობს მოციქულთა წინაშე წმიდა სულის გამოცხადების მოვლენიდან); ისინი „გამოიკვლევდნენ“ და „აშუქებდნენ“ ნაწარმოებს, იმის იმედით, რომ „სიცხადე შეეტანათ“ მასში საკუთარი „შიგ ჭვრეტით“.

## 1914-1945 წლების პოეზია ფორმის ექსპერიმენტები

### ეზრა პაუნდი (1885-1972)

ეზრა პაუნდი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი პოეტი იყო. 1908-დან 1920 წლამდე იგი ლონდონში ცხოვრობდა, სადაც მრავალ მწერალთან იყო დაკავშირებული; მათ შორის იყო უილიამ ბატლერ იეიტსი, რომელთანაც პაუნდი მდივნად მუშაობდა; აგრეთვე თ.ს. ელიოტი, ვის „უნაყოფო მიწასაც“ მან საფუძვლიანი რედაქტირება გაუკეთა და გააუმჯობესა. იგი იყო დამაკავშირებელი რგოლი შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთს შორის; იგი ერთდროულად თანამშრომლობდა, როგორც რედაქტორი, ჰარიეტ მონროს მნიშვნელოვან ჟურნალთან „პოეტრი“, რომელიც ჩიკაგოში გამოდიოდა და ამავე დროს გახლდათ იმაჯიზმის სახელით ცნობილი ახალი პოეტური სკოლის წინამძღოლი; ეს სკოლა ნათელ, გამოკვეთილად ვიზუალურ მიდგომას ამკვიდრებდა. იმაჯიზმის შემდგომ იგი სხვადასხვა პოეტურ მიმდინარეობას ქომაგობდა. მოგვიანებით იტალიაში გადასახლდა, სადაც იტალიურ ფაშიზმთან დაახლოებული აღმოჩნდა.

პაუნდი იმაჯიზმს ქადაგებდა წერილებში, ესეებში და ანთოლოგიაში. თავის წერილში მონროსადმი (1915) იგი ეჭვს გამოთქვამს თანამედროვე ჟღერადობის ვიზუალური პოეზიის მიმართ, რომელიც ერიდება „კლიშეებისა და დამკვიდრებული ფრაზების“ გამოყენებას. თავის ტრაქტატში „ზოგიერთი აკრძალვა იმაჯისტისათვის“ (1913), მან განსაზღვრა „სახე, ხატი“ (image), რომელიც „დროის მყისიერ მომენტში წარმოდგენილი ინტელექტუალური და ემოციონალური კომპლექსია“. 1914 წელს პაუნდის მიერ შედგენილი ანთოლოგია „იმაჯისტები“ მკითხველს სთავაზობდა ცნობილი პოეტების – უილიამ კარლოს უილიამსის, ჰ.დ-ს. (ჰილდა დულიტლის) და ემი ლოუელის იმაჯისტური პოეზიის ნიმუშებს.

პაუნდის ინტერესები და მწიგნობრობა ყოვლისმომცველი იყო; მის მიერ შესრულებული ადაპტაციები კი ბრწყინვალე; მისი თარგმანები ზოგჯერ ხარვეზებიანიც კი, თანამედროვე მწერლობას სხვადასხვა კულტურების ახალ ლიტერატურულ შესაძლებლობებს სთავაზობდნენ. მისი ცხოვრების უმთავრესი ქმნილება იყო „სიმღერები“, რომელსაც იგი წერდა და აქვეყნებდა გარდაცვალებამდე. ისინი შეიცავენ უბრწყინვალეს პასაჟებს; თუმცა სხვადასხვა ეპოქიდან და კულტურიდან მომდინარე ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების ალუზიები მათ ძნელად აღსაქმელად აქცევს. პაუნდის პოეზია სახელგანთქმულია თავისი მკაფიო, ვიზუალური სახეებით და ხატებით, ცოცხალი რიტმით, მუსიკალურობით, ინტელექტით და უჩვეულო სტრიქონებით; როგორც, მაგალითად, LXXXI კანტოში: „ჭიანჭველა, – კენტავრი გველეშაპის სამყაროში“ ან კიდევ იაპონური ჰაიკუთი შთაგონებული

ლექსები, როგორც, მაგალითად, ლექსში „მეტროს სადგურზე" (1916).

„ამ სახეების გამოცხადება
  ბრბოში;
ფოთოლი სველი, შავ კუნძზე".

## თ.ს. ელიოტი (1888-1965)

თომას სტერნზ ელიოტი დაიბადა მისურის შტატის ქალაქ სენტ ლუისში, მდიდარ ოჯახში, რომლის ფესვები შეერთებული შტატების ჩრდილოეთ აღმოსავლეთში მოიძიება. მან თავისი თაობის ყველა სხვა დიდ ამერიკელ ავტორთა შორის ყველაზე საუკეთესო განათლება მიიღო; იგი სწავლობდა ჰარვარდის კოლეჯში, სორბონაში და ოქსფორდის უნივერსიტეტის მერტონ კოლეჯში. მან შეისწავლა სანსკრიტი და აღმოსავლური ფილოსოფია, რომელიც გავლენას ახდენდა მის პოეზიაზე. თავის მეგობრის, პაუნდის მსგავსად, ელიოტი ახალგაზრდა გაემგზავრა ინგლისში და იქ ლიტერატურული სამყაროს უზარმაზარ ფიგურად იქცა. იგი თავისი დროის ყველაზე პატივსაცემი პოეტი იყო. მის მოდერნისტულ, ერთი შეხედვით, ალოგიკური ან აბსტრაქტულ სატომებრძოლ პოეზიას რევოლუციური შედეგები მოჰყვა. იგი აგრეთვე ქმნიდა ძალზე გავლენიან ესეებსა და დრამატულ ნაწარმოებებს. ელიოტი იცავდა თანამედროვე პოეტის მიერ ლიტერატურული და სოციალური ტრადიციების მნიშვნელობის იდეას.

როგორც კრიტიკოსი, ელიოტი დამკვიდრდა თავისი ფორმულირებით „ობიექტური კორელატივი", რაც მან განმარტა თავის სტატიაში „წმინდა ტყე"; მისი აზრით, ეს არის „ნივთთა რიგის, სიტუაციისა და მოვლენათა ჯაჭვის" მეშვეობით ემოციის გამოხატვის საშუალება. რაც იქნება „ფორმულა" ამ კონკრეტული ემოციისათვის. ლექსი „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა" (1915) ასეთი მიდგომის დემონსტრაციას წარმოადგენს; მასში უნაყოფო და ნიჭიერი პრუფროკი თავისთვის ფიქრობს, რომ მან თავისი ცხოვრება „ყავის კოვზებით აწონა"; იგი იყენებს ყავის კოვზებს, რათა გამოხატოს მისაწყენი და უნაყოფო ცხოვრება.



თ.ს. ელიოტი

ამ ლექსის ცნობილი დაწყებითი სტრიქონები ეპატიჟებიან მკითხველს გამომწვევად უგემოვნო ხეივანში, რომელიც თანამედროვე ცხოვრების მსგავსად, არ იძლევა პასუხს იმ რთულ შეკითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება სვამს.

„მაშ მოდი წავიდეთ, მე და შენ
როცა საღამო გაწოლილა
  ცაზე
როგორც ეთერმოგვრილი ნარკოზის
  ქვეშ (ქირურგიულ)
  მაგიდაზე;
მოდი წავიდეთ თითქმის
  ნახევრად
ცარიელ ქუჩებში;
ბუზღუნა თავშესაფარი
მოუსვენარი ღამეების ერთი
  ღამის სათევი
იაფფასიანი სასტუმროები
და ნახერხიანი რესტორნები
ხამანწკის ნიჟარებით;
ქუჩები რომლებიც მოგყვებიან
დამღლელი არგუმენტივით
ვერაგული განზრახვისა
რომ მიგიყვანონ
დამთრგუნველ შეკითხვასთან...
ო, ნუ მეკითხები „რა არის"
მოდი წავიდეთ და
  ვესტუმროთ.

ასეთივე სახეობრიობაა მოჭარბებული „უნაყოფო მიწა"-ში (1922), რომელიც დანტეს ჯოჯოხეთის ექოს აღვიძებს, რათა და-

ხატის პირველი მხოლოდ ომისდროინდელი ხალხმრავალი ლონდონის ქუჩები.

არარეალური ქალაქი.
ზამთრის ყავისფერი ნისლით
   გარიჟრაჟზე
ბრბო გადაედინა ლონდონის
   ხიდზე, ამდენი
არც მიფიქრია სიკვდილს
   როგორ
გადაურჩა ამდენი.

„უნაყოფო მიწის" ხედვა საბოლოო ჯამში აპოკალიპტური და სამყაროსეულია.

ლაწალუწი და რეფორმები და
   აფეთქებები იისფერ ცაზე
დანგრეული კოშკები
იერუსალიმი, ათენი, ალექ-
სანდრია
ვენა, ლონდონი
არარეალურია

ელიოტის სხვა მნიშვნელოვანი ლექსებიდან აღსანიშნავია: „გერონტიონი" (1920), რომელშიც მოხუცი კაცი დასავლური საზოგადოების დაჩაჩანაკებულობას სიმბოლურად გამოხატავს; „ფუყე კაცები" (1925), რომელიც წარმოადგენს შთამბეჭდავ სატირას თანამედროვე ადამიანურობის სულისკვეთების სიკვდილის გამო; „დიდი მარხვის ოთხშაბათი" (1930), მასში პოეტი მკაფიოდ მიუბრუნდება ინგლისის (ანგლიკანურ) ეკლესიას ადამიანური ცხოვრების მნიშვნელობის დასადგენად; და „ოთხი კვარტეტი" (1943), რომელიც წარმოადგენს რთულ, უაღრესად სუბიექტურ, ექსპერიმენტულ მედიტაციას ტრანსცენდენტული საკითხების – დროის, საკუთარი „მე"-ს ბუნების და სულიერი შეგნების შესახებ. მისმა პოეზიამ, მისმა თამამმა, ნოვატორულმა ადრეულმა ნაწარმოებებმა გავლენა მოახდინეს მთელს თაობებზე.



რობერტ ფროსტი



## რობერტ ფროსტი (1874-1963)

რობერტ ლი ფროსტი კალიფორნიაში დაიბადა, მაგრამ შეერთებული შტატების ჩრდილო დასავლეთში იზრდებოდა ათი წლის ასაკამდე. ელიოტისა და პაუნდის მსგავსად, ისიც ინგლისს გაემგზავრა, პოეზიაში ახალი მიმდინარეობებით მოხიბლული. იგი გამორჩეული პოეტური კითხვის ოსტატი იყო და სახელი მოიხვეჭა პოეზიის კითხვით მოგზაურობებით. პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ინაუგურაციის ცერემონიაზე 1961 წელს, რობერტ ფროსტის მიერ წაკითხულმა საკუთარმა ნაწარმოებებმა ამერიკაში პოეზიის მიმართ ეროვნული ინტერესი აღორძინა. მისი პოპულარობის ახსნა ადვილად შეიძლება. იგი წერდა ტრადიციული სოფლური ცხოვრების შესახებ, რომელიც წარსული დროის მიმართ ნოსტალგიას აღძრავდა. მისი თემები უნივერსალურია: – ვაშლის მოსავლის კრეფა, ქვის კედლები, ორღობეები, სოფლის შარაგზა; იგი გხიბლავს უბრალოებითა და ხელმისაწვდომობით; იშვიათად თუ მიმართავს პედანტურ ალუზიასა და ელიტურ მინიშნებებს. მის მიერ ხშირად გამოყენებული რითმაც ძალზე მოსწონდა ფართო აუდიტორიას.

ფროსტის ნაწარმოებები სან-დასან მაცდურად უბრალო ჩანს. ბევრი ლექსი გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობას შეიცავს. ასე მაგალითად, მშვიდი, თოვლიანი საღამო, თითქმის ჰიპნოზური გარითმვის სისტემით, შეიძლება აღვიქვათ, როგორც მოახლოებული სიკვდილის შეგებების განწყობა, ლექსში – „თოვლიან საღამოს, ტყისპირას შეჩერება" (1923).

„ჩემი ტყეც არის მე ვიცი
კარგად
ეს სოფლის სახლიც იმისას
არ გავს?!
შევჩერდი. ვფიქრობ, რომ
სწორი ვქენი
შევცქერი თოვლი ტყეს
როგორ ქარგავს.

გაკვირვებული დამორჩა ცხენი
უკაცრიელზე გაჩერდა იქნით
გაყინულ ტბებსა და ტყეებს
შორის
დაბნელდა უკვე. დამოკლდა
დღენი.

ააჟღარუნა ეჟვანი ორი
„აქ გაჩერება არ არის სწორი"
აქ ქარი არხევს თოვლის თეთრ
მანდილს
ფანტელი მოაქვს ფარფატით
მდორით.

შევნატრი ტყეებს ხშირს და
ცოდ აწყლილს,
მაგრამ გატეხვა სიტყვის არ
ძალმიძს,
და მივეცემი მარადის ღრმა
ძილს.
და მივეცემი მარადის ღრმა
ძილს.



უოლეს სტივენსი

## უოლეს სტივენსი (1879-1955)

უოლეს სტივენსი პენსილვანიაში დაიბადა; განათლება ჰარვარდის კოლეჯში და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე მიიღო. 1904-დან 1916 წლამდე ადვოკატობას ეწეოდა ნიუ-იორკ სიტიში, როდესაც იქ მხატვრობის და პოეზიის დიდი აღმავლობა სუფევდა. კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდში გადასვლის შემდეგ, 1916 წელს, სადაც სადაზღვევო საქმიანობას შეუდგა, იგი განაგრძობდა პოეტურ მოღვაწეობას. მისი ცხოვრება ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ იგი საკუთარ, სხვებისთვის შეუღწევად სამყაროში არსებობდა: მისმა თანამშრომლებმა სადაზღვევო კომპანიაში, არ იცოდნენ, რომ იგი დიდი პოეტი იყო. მწერალი მთელი ცხოვრების მანძილზე თავისთვის აგრძელებდა უაღრესად რთული იდეების განვითარებას ესთეტიკური წესრიგის შესახებ და წერდა წიგნებს შესაფერისი სახელწოდებებით. „ჰარმონიუმი" (გადამუშავებული გამოცემა 1931), „წესრიგის იდეები" (1935), „სამყაროს ნაწილები" (1942); მისი საქვეყნოდ ცნობილი ლექსებია „კვირა დილას", „პეტრე ქუინსი კლავიატურასთან", „ნაყინის იმპერატორი", „როგორ შევხედოთ შაშვს ცამეტნაირად" და „წესრიგის იდეა ქი უესტში".

სტივენსის პოეზია ფანტაზიის თემებზე არის აგებული; იგი იცავს ესთეტიკური ფორმის აუცილებლობას და სწამს, რომ ხელოვნებაში წესრიგი შეესაბამება ბუნებაში არსებულ წესრიგს. მისი ლექსიკონი მდიდარი და ნაირფეროვანია: ხატავს ხორცსავსე მშვენიერ სცენებს, მაგრამ აგრეთვე მშრალ, იუმორით სავსე ირონიულ კონტექსტსაც.

მისი ზოგიერთი ლექსი ხალხურ კულტურაზეა აგებული, სხვები ძალზე მაღალფარდოვან სიტყვებს ლექსიკონიდან ან ინტელექტუალურ სამოთხეში დაფრინავენ. იგი ცნობილია თავისი ოსტატური სიტყვათა თამაშით.

სტივენსის ნაწარმოებები სავსეა მოულოდნელი მასკოლოგონიური წიაღსვლებით. ზოგჯერ იგი მკითხველს შეეხუმრება კიდევაც, როგორც ეს არის ლექსში „ათ საათზე იმედგაცრუება" (1931).

სახლში ჩასახლებულა
თეთრი ღამის პერანგები.
არც ერთი არის მწვანე
ან მეწამული მწვანე
ბაფთებით

ან მწვანე ყვითელი ბაფთებით,
ან ყვითელი ლურჯი ბაფთებით.
არც ერთი არის უცნაური,
მაქმანებიანი წინდებით.
და აკინძული რგოლებით.
ხალხი აღარ აპირებს
იფიქროს ბაბუინებზე და მოლუსკებზე.
მხოლოდ აქა იქ, მოხუცი მეზღვაური
მთვრალი და ფეხსაცმლებით ჩაძინებული
იჭერს ვეფხვებს
წითელ ამინდში.

ეს ლექსი თითქოს ჩივილია ფანტაზიის გარეშე ცხოვრებაზე (უბრალო თეთრი ღამის პერანგები), მაგრამ სინამდვილეში მკითხველის გონებაში აცოცხლებს მკაფიო სახეობრიობას. ბოლოსკენ გამოყვანილი მთვრალი მეზღვაური, რომელიც „უგულვებელჰყოფს წესიერ ქცევას, „იჭერს ვეფხვებს“ – თუნდაც სიზმარში. ლექსი გვიჩვენებს, რომ ადამიანის ფანტაზია – მკითხველისა თუ მეზღვაურისა – ყოველთვის მონახავს შემოქმედებითი გამოხატვის გზას.

## უილიამ კარლოს უილიამსი (1883-1963)

უილიამ კარლოს უილიამსი იყო ექიმი პედიატრი და თავისი საექიმო კარიერის მანძილზე ორიათასამდე ჩვილი ბავშვი მოუვლინა ქვეყანას; იგი ლექსებს რეცეპტის ბლანკებზე წერდა. უილიამსი პოეტების – ეზრა პაუნდის და ჰილდა დულიტლის თანაკლასელი იყო და მის ადრინდელ პოეზიას იმაჟიზმის კვალი ატყვია. მოგვიანებით იგი გახდა კოლოქვიალური მეტყველების გამოყენების მოთავე პოეზიაში. მის მიერ ლექსში ნახმარმა ამერიკული ინგლისურის რითმებმა ხელი შეუწყვეს ამერიკულ პოეზიას გათავისუფლებულიყო იამბიკური საზომიდან, რომელიც დომინირებდა ინგლისურ ლექსში რენესანსიდან მოყოლებული. მისი სიმპათიები უბრალო მშრომელი ხალხისადმი, ბავშვებისადმი და თანამედროვე ქალაქის ცხოვრების ყოველდღიური მოვლენებისადმი, გახდა მიზეზი მისი პოეზიის სიბლის და ხელმისაწვდომობისა. „წითელი ურიკა“ (1923), როგორც ჰოლანდიელ მხატვართა ნატურმორტი, გამოხატავს ყოველდღიური საგნების სილამაზეს და მათდამი ინტერესს.

იმდენი რამეა

დამოკიდებული
წითელ ურიკაზე

რომელიც მოჭიქულია
წვიმის წვეთებით

თეთრი წიწილების
გვერდით.

უილიამსი ამკვიდრებდა მშვიდ, ბუნებრივ პოეზიას. მასთან ლექსი დახვეწილი ხელოვნების ნიმუშად კი არ უნდა გადაქცეულიყო, როგორც სტივენსთან; არც ფაქიზად აღორძინებული უორდსუორთისეული მოვლენა უნდა გამხდარიყო, როგორც ფროსტთან; არამედ ლექსს უნდა დაეფიქსირებინა დროის მყისიერი მომენტი – როგორც ნაუცბათევ ფოტოსურათს; ეს მოსაზრება მან წამოიღო შტიგლიცის ნიუ-იორკ სიტის ფოტოსაგამოფენო დარბაზებში ფოტოხელოვნებთან და მხატვრებთან შეხვედრებიდან. ფოტოსურათის მსგავსად, მისი ლექსები მიგვანიშნებენ დაფარულ შესაძლებლობებსა და საყურადღებო ფაქტებზე, როგორც ეს მოცემულია ლექსში „ახალგაზრდა დიასახლისი“ (1917).

დილის ათ საათზე ახალგაზრდა დიასახლისი
მიემართება საშინაო ხალათში
მისი ქმრის ხისკედლებიან
სახლის კედლების მიღმა.
მე მარტო ჩავუქროლე ჩემი მანქანით.

შემდეგ იგი კვლავ გამოდის გზის პირას
რომ დაუძახოს ყინულის გამყიდველს,
თევზის გამყიდველს, და იქ დგას
დარცხვენილად, კორსეტის გარეშე,
ისწორებს
გაწეწილ თმებს, და მე მას ვადარებ
ჩამოვარდნილ ფოთოლს.

ჩემი მანქანის ჩუმი ბორბლები
შრიალით გადადიან გამხმარ ფოთლებზე,
როცა თავს ვუქნევ და ღიმილით
გვერდზე ჩავუქროლებ.

პოეტი თავის ნაწარმოებებს „ობიექტივისტურს" უწოდებდა, რათა დაემკვიდრებინა კონკრეტული, თვალსაჩინო საგნების მნიშვნელობა. მისი მწერლობა ხშირად თვალს წყვეტდა სათქმელის სპონტანური და ემოციური გადმოცემით; ამან გავლენა მოახდინა ადრეული 1950-იანი წლების „ბიტნიკების" შემოქმედებაზე.

ელიოტისა და პაუნდის მსგავსად, უილიამსმა ეპიკასაც მიმართა; მაგრამ თუ მათი ეპიკა გამოიყენებს ლიტერატურულ ალუზიებს, რომლებიც ღრმად განათლებულ მცირე რაოდენობის მკითხველზეა გათვლილი, უილიამსი პირიქით, უფრო ფართო მკითხველისთვის წერს; თუმცა იგი საზღვარგარეთ სწავლობდა, ცხოვრება ამერიკაში არჩია. მისი ეპიკური ნაწარმოები „პატერსონი" (ხუთ ტომად, 1946-58) მიუძღვნა თავის მშობლიურ ქალაქ პატერსონს ნიუ ჯერსის შტატში; ამასვე გადმოგვცემს უილიამსი ავტობიოგრაფიულ „დოქტორ პატერსონ"-შიც. ამ პოემაში მწერალი ერთმანეთს უნაცვლებს ლირიკულ პასაჟებს, პროზას, წერილებს, ავტობიოგრაფიას, საგაზეთო მიმოხილვას და ისტორიულ ფაქტებს. პოემის ვიზუალურ წყობაში უხვად გამოყენებული ცარიელი ინტერვალები გვთავაზობენ ამერიკული ლიტერატურის ღია გზების თემას და ახალი პერსპექტივების საშუალებას უქმნიან უბრალო ხალხსაც, ვისაც პიკნიკი გაუმართავს კვირას ქალაქის ბაღში. მსგავსად უიტმენის გმირისა, „ბალახის ფოთლებ"-ში, დოქტორი პატერსონიც თავისუფლად დადის მშრომელებს შორის:



რობინსონ ჯეფერსი

—გვიანი გაზაფხული,
კვირა შუადღე!

—ფეხით მიყვება ბილიკს
ფრიალო კლდისკენ
(იმეორებს: ეს გამოცდაა)

თვითონაც სხვებთან ერთად
—მიაბიჯებს იმავე ქვებზე
რომლებზეც სხვებს ფეხი
უცურდებათ როცა
მიცოცავენ,
საკუთარი ძაღლები კი
აჩქარებენ!

იცინიან, ერთმანეთს ეძახიან—

დამელოდე
(II: I. 14-23)

## ომების შუა

### რობინსონ ჯეფერსი (1887-1962)

მრავალი დიდი და ორიგინალური ხედვის ამერიკელი პოეტი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში; მათში ერია პოეტები ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან, ქალი პოეტები, აფრო-ამერიკელი პოეტები. ჯონ სტეინბეკის მსგავსად, რობინსონ ჯეფერსიც კალიფორნიაში ცხოვრობდა და წერდა ესპანელ რანჩოების მეპატრონეებზე, ინდიელებსა და ერთმანეთში აღრეულ ტრადიციებზე; აგრეთვე იქაური მიწის სილამაზეზე. კლასიკაზე გაზრდილი ფროიდისტულ თეორიებს გაცნობილი პოეტი აღორძინებდა ბერძნული ტრაგედიების თემებს, რომელთაც ველური ზღვის სანაპიროს ფონზე გაათამაშებდა ხოლმე. იგი განსაკუთრებით ცნობილია თავისი ტრაგიკულად გადმოცემული ნაწარმოებებით „თამარ" (1924), „ლურჯა ულაყი" (1925), „კოშკი ტრაგედიის მიღმა" (1924) – ესქილეს „აგამემნონის" მიხედვით და „მედეა" ევრიპიდეს ტრაგედიის მოტივზე.

## ედვარდ ესტლინ კამინგსი (1894-1962)

ედვარდ ესტლინ კამინგსი, რომელსაც საზოგადოდ იცნობენ ე.ე. კამინგსის სახელით, წერდა მომხიბლავ, ნოვატორულ ლექსებს, რომლებიც გამორჩეული იყო თავისი იუმორით, დახვეწილობით, სიყვარულისა და ეროტულობის დღესასწაულით; იგი ექსპერიმენტებს ატარებდა სასვენი ნიშნებით და ფურცლებზე ლექსის ვიზუალური სახით გადმოცემით. იგი იყო მხატვარი და მან ამერიკელ პოეტთა შორის პირველმა აღიარა, რომ პოეზია გადაიქცა უპირველესად ვიზუალურ და არა ორალურ ხელოვნებად; მის ლექსებში გამოყენებულია უამრავი უჩვეულო ინტერვალები და აბზაცები; ამავე დროს იგი საერთოდ არ იყენებს დიდ ასოებს წინადადების დასაწყისში ან საკუთარ სახელებთან.

ულიამსის მსგავსად, კამინგსიც კოლოქვიალურ მეტყველებას გამოიყენებდა; ხმარობდა თვალშისაცემ ხატებს და სიტყვებს ხალხური კულტურიდან. ულიამსის მსგავსად, იგი მხატვრულად, მაგრამ თავისუფლად იყენებდა ლექსის ვიზუალურ ფორმას. ლექსში „თითქმის" (1920) იგი მკითხველს ეპატიჟება შეავსოს გამოტოვებული იდეები:

თითქმის –

განაფხულზე როდესაც
  ქვეყანა ტალახიან –
გატკბილებულია პატარა
კოჭლი ბუშტების გამყიდველი
  კაცი
უსტვენს შორს და სუსტად

და წყლის მორევი
  მოსუსხუსებს
მარმარილოზე და
მეკობრეობს და
განაფხულია...



ლენგსტონ ჰიუზი

## ჰარტ კრეინი (1899-1932)

ჰარტ კრეინი ახალგაზრდა, ნაწვალები პოეტი იყო, რომელმაც ზღვაში თავი დაიხრჩო ოცდაცამეტი წლის ასაკში. მან შთამბეჭდავი ლექსები დატოვა, მათ შორის ეპიკურიც – „ხიდი" (1930), რომელიც ახლად აშენებული ბრუკლინის ხიდის შთაგონებითაა შექმნილი; მასში მწერალი მაღალფარდოვნად ცდილობს ამერიკული კულტურული გამოცდილება მითოსისა და ასლებური ტერმინებით განმარტოს. მისი გადატვირთული, მხურვალე სტილი განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება მის მოკლე ლექსებში – მაგალითად „ვოიაჟები" (1923; 1926) და „მელვილის საფლავთან" (1926), რომლის დასასრული თვით კრეინის შესაფერის ეპიტაფიად გამოდგება.

მოთქმა-ტირილი ვერ
  გააღვიძებს მეზღვაურს
მის ზღაპრულ აჩრდილს
  მხოლოდ ზღვა შეინახავს.

## მერიენ მური (1887-1972)

მერიენ მურმა ერთხელ დაწერა, რომ ლექსები „წარმოსახვითი ბაღნარია მასში ნამდვილი გომბეშოებით". მისი ლექსები სასაუბროა, თუმცა კარგად დამუშავებული და ნაზი სილაბური ვერსიფიკაციით გაჯერებული, რაც გადმოცემულია ზედმიწევნით დახვეწილი აღწერით და ისტორიულ ან მეცნიერულ ფაქტზეა აგებული. „პოეტის პოეტმა" მერიენ მურმა გავლენა მოახდინა მის ახალგაზრდა მეგობარ პოეტ ქალზე ელიზაბეთ ბიშოპზე.

## ლენგსტონ ჰიუზი (1902-1967)

1920-იანი წლების ჰარლემის რენესანსის ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტი – ჯეიმზ უელდონ ჯონსონთან, კლოდ მაკკეისთან,

ქაუნტი ქალენთან და სხვებთან ერთად, – იყო ლენგსტონ ჰიუზი. მან შეისისხლხორცა აფრო-ამერიკული ჯაზის რიტმები და ერთ-ერთი პირველი შავკანიანი მწერალი იყო, რომელმაც სცადა სარფიანი კარიერა გაეკეთებინა თავისი მწერლობით. საკუთარ პოეზიაში ჰიუზი აერთიანებდა ბლიუზს, სპირიჩუელსს, კოლოქვიალურ მეტყველებას და ხალხურ ადათ-წესებს.

ჰიუზი ძალზე გავლენიანი კულტურული ორგანიზატორი გახლდათ. მან გამოაქვეყნა მრავალი ანთოლოგია შავკანიანთა ნაწარმოებებისა, შექმნა შავკანიანთა თეატრალური ჯგუფები ლოს ანჯელესსა და ჩიკაგოში, აგრეთვე ნიუ-იორკ სიტიშიც. იგი წარმატებული ჟურნალისტიც გახლდათ; მან შექმნა საგაზეთო ფსევდონიმი ჯეს ბ. სიმპლისა (უბრალო), რომლის სახელითაც გამოსატავდა თავის სოციალურ კომენტარებს. ერთ-ერთი მისი უსაყვარლესი ლექსი „ზანგი მდინარეებს უმღერის" (1921, 1925) მოიცავს მის აფრიკულ და უნივერსალურ მემკვიდრეობას უზარმაზარი ეპიკური ფორმით. ლექსი ამკვიდრებს აზრს, რომ ისევე როგორც მსოფლიოს უდიდესი მდინარეები, აფრიკული კულტურაც გაძლებს და გაღრმავდება.

მე ვიცნობ მდინარეებს
მე ვიცნობ მდინარეებს
    უძველესს, როგორც
    სამყარო და უფრო ძველს, ვიდრე
    კაცის სისხლი მოედინება მის ვენებში.

ჩემი სული ისევე ღრმაა, როგორც
მდინარე

მე ვიბანავე ევფრატში, როდესაც
    ალიონი ჯერ ნორჩი იყო.
მე ავაშენე ჩემი ქოხი კონგოს მახლობლად
    და მიმღეროდა იავნანას მე იგი.
მე გადავხედე ნილოსს და
    მის ნაპირზე პირამიდა ავაგე.
მე გავიგონე მისისიპის
    სიმღერა, როდესაც ეიბ
    ლინკოლნი
    ახალ ორლეანში ჩადიოდა,
    და მე ვიხილე მისი
    ტალახიანი ფსკერი როგორ
    მოოქროვდა შებინდებისას.

მე ვიცნობ მდინარეებს
უძველესს, დაბინდულ მდინარეებს.

ჩემი სული ისევე ღრმაა, როგორც მდინარე.

## პროზა, 1914-1945: ამერიკული რეალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ომებს შორის ამერიკული პროზა ექსპერიმენტებს ატარებდა, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის თვალსაზრისითაც, მთლიანობაში იგი რეალისტური იყო უფრო მეტად, ვიდრე ევროპული. რომანისტი ერნესტ ჰემინგუეი წერდა ომზე, ნადირობაზე და სხვა მამაკაცურ საქმიანობაზე ლაღი, უბრალო სტილით; უილიამ ფოლკნერი თავისი ძლიერი სამხრეთული რომანების მიმდინარეობას თაობებზე და კულტურებზე განავრცობდა მისისიპის სიცხისა და მტვრის ფონზე, ხოლო სინკლერ ლუისი – ბურჟუაზიულ ცხოვრებას ირონიული სიცხადით აღწერდა.

რეალურობასთან პირისპირ დადგომა 1920-1930-იანი წლების დომინირებულ თემად იქცა. მწერლები, როგორიც ფ. სკოტ ფიცჯერალდი და დრამატურგი იუჯინ ო'ნილი, გამუდმებით სატავდნენ ტრაგედიას, რომელიც ელოდა იმათ, ვინც მყიფე ოცნებებით ცხოვრობდა.

### ფ. სკოტ ფიცჯერალდი
(1896-1940)

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ცხოვრება ზღაპარს წააგავს. პირველი მსოფლიო ომის დროს ფიცჯერალდი ამერიკულ არმიაში ჩაეწერა და შეუყვარდა მდიდარი და ლამაზი გოგონა – ზელდა სეირი, რომელიც ალაბამის შტატის ქალაქ მონტგომერის ახლოს ცხოვრობდა, სადაც ფიცჯერალდი მსახურობდა. ზელდამ მას ქორწინებაზე უარი უთხრა, რადგან ფიცჯერალდი შედარებით ღარიბი იყო. ომის დამთავრებისას იგი ნიუ-იორკ სიტიში გაემართა ლიტერატურული ბედის საძიებლად, რათა გამდიდრებულიყო და ზელდა ცოლად მოეყვანა.

მისი პირველი რომანი „სამოთხის ეს მხარე" (1920) ბესტსელერად იქცა და ისინი დაქორწინდნენ 24 წლისანი. არც ერთ მათგანს არ შეეძლო წარმატებისა და დიდების ცთუნების გაძლება და ფული გაფლანგეს. ეკონომიის მიზნით საფრანგეთში გაემგზავრნენ 1924 წელს და შის შვიდი წლის შემდეგ დაბრუნდ-

ნენ. ზელდა სულიერად დაავადდა და მეთვალყურეობას საჭიროებდა. ფიცჯერალდი უკვე კინოსცენარისტი იყო, მაგრამ გალოთდა და ახალგაზრდა დაიღუპა.

ფიცჯერალდმა სათანადო ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ ლიტერატურაში ძირითადად თავისი რომანის „დიდი გეთსბის" (1925) გამო; ეს არის შესანიშნავად დაწერილი რაციონალური სტრუქტურით აწყობილი ამბავი თვითნასწავლი კაცის ამერიკული ოცნების ასდევნისა. პროტაგონისტი ჯეი გეთსბი აღმოაჩენს წარმატების დამანგრეველ ფასს, პირადი სურვილების დაკმაყოფილებასა და სიყვარულში. ფიცჯერალდის სხვა მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „ნაზია ღამე" (1934), რომელშიც აღწერილია ახალგაზრდა ფსიქიატრის თავგადასავალი, რომლის ცხოვრებაც გაუბედურდა გაუწონასწორებელ ქალთან ქორწინების გამო; აგრეთვე მოთხრობები კრებულიდან „სატკაცუნოები და ფილოსოფოსები" (1920), „ჯაზის საუკუნის ამბები" (1922), „ყველა მოწყენილი ახალგაზრდა კაცი" (1926). ფიცჯერალდმა ყველა სხვა მწერალზე უკეთესად მოახერხა 1920-იანი წლების ბრწყინვალე, მაგრამ სასოწარკვეთილი ცხოვრების გადმოცემა. „სამოთხის ეს მხარე" აღიარებული იქნა, როგორც თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდების ამოძახილი. მისი მეორე რომანი „მშვენიერი და დაწყევლილი" (1922) განავრცობდა თავისი დროის თვითდამანგრეველი და ასირებული სიგიჟის ძიებას.

ფიცჯერალდის განსაკუთრებული თვისებები შეიცავენ მის თვალისმომჭრელ სტილს, რომელიც შესანიშნავად ეხამება მისი თემების მაცთუნებელ ჯადოს.



ფ.სკოტ ფიცჯერალდი

„დიდი გეთსბის" ცნობილი სცენა ოსტატურად აჯამებს დროის მონაკვეთის ხანგრძლივობას. „ჩემი მეზობლის სახლიდან მუსიკა მოისმოდა ზაფხულის ღამეებში. მის ცისფერ ბაღში მამაკაცები და ქალიშვილები შემოფარფატებდნენ და გაფრინდებოდნენ ვითარცა ღამის პეპლები, და ჩურჩულებდნენ და შამპანური და ვარსკვლავები".

## ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961)

ცოტა მწერალს თუ უცხოვრია ისე სისხლსავსედ, როგორც ერნესტ ჰემინგუეის. მისი ცხოვრება მისივე სათავგადასავლო რომანად გამოდგებოდა. ისევე როგორც ფიცჯერალდი, დრაიზერი და მეოცე საუკუნის სხვა მრავალი ცნობილი რომანისტი, ჰემინგუეიც წარმოშობით ამერიკის შუა დასავლეთიდან იყო. ილინოისში დაბადებული ჰემინგუეი ბავშვობისას არდადეგებს მიჩიგანში ატარებდა ნადირობასა და თევზაობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი მოხალისედ წავიდა სანიტარულ ნაწილში საფრანგეთში, მაგრამ დაიჭრა და ექვსი თვე ჰოსპიტალში დაჰყო. ომის შემდეგ, როგორც პარიზში მყოფი სამხედრო კორესპონდენტი, იგი ხვდება ამერიკიდან ემიგრირებულ შერვუდ ანდერსონს, ეზრა პაუნდს, ფ.სკოტ ფიცჯერალდს და გერტრუდ სტაინს. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული გავლენა იქონია მის ლაკონურ სტილზე.

მისი რომანის „და აღმოსდგება მზე" (1926) შემდეგ, რომელმაც მას დიდება მოუტანა, ჰემინგუეი წერდა ესპანეთის სამოქალაქო ომზე, მეორე მსოფლიო ომზე და 1940-იან წლებში ჩინეთში მიმდინარე ბრძოლებზე. აფრიკის საფარიში იგი მძიმედ დაიჭრა, როდესაც მისმა პატარა თვითმფრინავ-

მა კატასტროფა განიცადა; მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც სიამოვნებით ნადირობდა, თევზაობდა და ისეთ საქმიანობას ეწეოდა, რომელმაც მას ზოგიერთი საუკეთესო ნაწარმოები შთააგონა. მოკლე პოეტურმა რომანმა „მოხუცი და ზღვა" (1952) მას პულიცერის პრემია მოუტანა 1953 წელს. ნაწარმოებში აღწერილია საწყალი, მოხუცი მეთევზის თავგადასავალი; იგი ვაჟკაცურად იჭერს უზარმაზარ თევზს, რომელსაც ზვიგენები შეუჭამენ. მომდევნო წელს ამავე ნაწარმოებში ჰემინგუეის ნობელის პრემია მიანიჭეს. მძიმე ოჯახური მემკვიდრეობის შიშით დათრგუნულმა, ავადმყოფობით შეწუხებულმა და იმ აზრით შეპყრობილმა, რომ წერის უნარს კარგავდა, ჰემინგუეიმ თავი მოიკლა 1961 წელს.

ჰემინგუეი, ზოგიერთის მოსაზრებით, ამ საუკუნის ყველაზე პოპულარული ამერიკელი რომანისტია. იგი აპოლიტიკური, და ადამიანური თანაგრძნობითაა გამსჭვალული და მაშასადამე, ამ თვალსაზრისით უნივერსალურია. უბრალო სტილი მის რომანებს ადვილად აღსაქმელს ქმნის და მათი მოქმედება ხშირად ეგზოტიკურ გარემოში მიმდინარეობს. ჰემინგუეი „გამოცდილების მიღების კულტის" მიმდევარი იყო; ამიტომაც მისი გმირები ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სახიფათო სიტუაციაში, რათა თავისი შინაგანი ბუნება გამოეაშკარავებინათ; გვიანდელ ნაწარმოებებში იგი ხიფათს წარმოგვიდგენს, როგორც მამაკაცური თვითდამტკიცების გამოვლინების ნიმუშს.



ერნესტ ჰემინგუეი

ფიცჯერალდის მსგავსად, ჰემინგუეიც თავისი თაობის მაცნედ გვევლინება. მაგრამ ფიცჯერალდისგან განსხვავებით, რომელსაც პირველ მსოფლიო ომში არ უბრძოლია და რომელიც თავისი თაობის ფატალურ მოჯადოებულობას ხატავდა, ჰემინგუეი აღწერდა ომს, სიკვდილს და „დაკარგულ თაობას" ომგადახდილთა ცინიზმით. მისი გმირები მეოცნებენი კი არ არიან, არამედ ძარღვიანი ტორეადორები, მეომრები და ათლეტები; თუ ისინი ინტელექტუალურობას ამჟღავნებენ, მაშინ ცხოვრებისაგან დაღდასმულები და იმედგაცრუებულები არიან.

ჰემინგუეის დამახასიათებელი ნიშანია ზედმეტი სიტყვებისგან თავისუფალი, სადა სტილი. ხშირად იგი ბოლომდე არ ამბობს სათქმელს. რომანის „მშვიდობით იარაღო" გმირი ქალი, რომელიც მშობიარობას გადაყვება, ამბობს: „სულაც არ მეშინია. რაღაცა თვალთმაქცობაა". ჰემინგუეიმ თავისი ნაწერი ერთხელ აისბერგს შეადარა, „რომლის შვიდი მერვედი წყლის ქვეშაა და მხოლოდ ერთი მერვედია ზევით".

ჰემინგუეის არაჩვეულებრივი უნარი დიალოგების წარმართვისა და ზუსტი აღწერისა ჩანს მის შესანიშნავ მოთხრობებში: „კილიმანჯაროს თოვლიანი მთები" და „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება". კრიტიკა მწერლის მოთხრობებს ხშირად მისი რომანების ტოლფასად ან უფრო მაღლადაც კი აფასებს. მისი საუკეთესო რომანებია „და ამოდის მზე", რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ემიგრირებული ამერიკელების დემორალიზებულ ცხოვრებას აღწერს; „მშვიდობით იარაღო", სადაც მოცემულია ამერიკელი ჯარისკაცის ტრაგიკული სიყვარული ინგლისელი ექთნისადმი; „ვის უხმობს ზარი" (1940) — ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ და „მოხუცი და ზღვა".

## უილიამ ფოლკნერი (1897-1962)

უილიამ ჰარისონ ფოლკნერი მისისიპის შტატში, ოქსფორდში, ძველ სამხრეთულ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა; აქვე გაიარა მან თავისი ცხოვრების უმეტესი გზა. ფოლკნერმა შექმნა წარმოსახვითი მხარე იოკნაპატოფას საგრაფო, რომელიც მის მრავალ რომანშია გამოყვანილი; ამასთან ერთად ფოლკნერმა გამოიგონა მთელი ოჯახები, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული რამდენიმე თაობის განმავლობაში. იოკნაპატოფას საგრაფო თავისი დედაქალაქით – ჯეფერსონით ბევრით წააგავს მისისიპის შტატის ოქსფორდს და მის შემოგარენს. ფოლკნერი ქმნის ამ მხარის და სხვადასხვა რასის ბინადართა ისტორიას; ესენი არიან ინდიელები, აფრო-ამერიკელები, ევრო-ამერიკელები და შერეული წარმოშობის ადამიანები. ფოლკნერი ბრწყინვალე ექსპერიმენტებს ატარებდა თხრობის ქრონოლოგიურობაზე, სხვადასხვა თვალსაზრისსა და მოქმედ პირზე (ზოგჯერ ესენი წარმოადგენენ საზოგადოებიდან მოკვეთილ პიროვნებებს, ბავშვებს და უსწავლელ ადამიანებსაც კი); მწერალმა შექმნა მდიდარი და მომთხოვნი ბაროკის სტილი, რომელიც აგებული იყო ძალზე გრძელ წინადადებებზე და რთულ დაქვემდებარებულ ნაწილებზე.

ფოლკნერის საუკეთესო რომანებია: „ხმაური და მძვინვარება" (1929) და „სული რომ ამომდიოდა" (1930); ესენია მოდერნისტული ნაწარმოებები, სადაც მოქმედი პირის და თვალსაზრისის ექსპერიმენტი ტარდებოდა, რათა აღწერონ სამხრეთული ცხოვრების ყოფა ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული სტრესის პირობებში; „აგვისტოს ნათელი" (1932) გადმოგვცემს თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი მამაკაცის რთული და დაძაბული ურთიერთობის ამბავს; „აბესალომ, აბესალომ!" (1936) შესაძლოა მისი საუკეთესო ნაწარმოებია; იგი მოგვითხრობს თვითაღზევებული პლანტატორის ცხოვრებას და მის დაცემას რასობრივი ცრურწმენის და უღირსი სიყვარულის გამო.



უილიამ ფოლკნერი

ამ რომანების უმეტესობაში გამოყვანილი მოქმედი პირები ამბის ცალკეულ ნაწილებს გადმოგვცემენ; ამის საშუალებით ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ თავსდება შინაარსი თხრობის მანერაში. ერთი თემის სხვადასხვა თვალსაზრისით გადმოცემით ფოლკნერი უფრო მეტად მიმართავს საკუთარ თავს და უბრუნდება გამოსახატავ ობიექტს, ვიდრე ჰემინგუეი ან ფიცჯერალდი; ყველა რომანი ისეა აგებული, რომ უღრმავდება თავის თავს და თანაც, იმავდროულად, უნივერსალური ინტერესის აღმძვრელია. ფოლკნერის თემებია სამხრეთული ტრაგედია, ოჯახი, საზოგადოება, ქვეყანა, წარსულის ისტორია, რასობრივი საკითხი და სიყვარულისა და პატივმოყვარეობის ვნებანი. ფოლკნერმა აგრეთვე შექმნა რომანები, რომლებშიც გადმოცემულია სნოუპსების ოჯახის კლანის აღმასვლისა და დეგრადაციის ამბავი. ეს რომანებია: „სოფელი" (1940), „ქალაქი" (1957) და „სახლი" (1959).

## სოციალური შეგნების რომანები

1890-იანი წლებიდან ამერიკულ ლიტერატურაში სოციალური პროტესტის ქვედინებამ გაიკვალა გზა, რის შედეგადაც ამოხეთქა სტივენ ქრეინის და თეოდორ დრაიზერის ნატურალიზმმა და „ნაგვის მქექელ" რომანისტთა

მკაფიო მოწოდებებმა. მოგვიანებით სოციალური ინტერესების მქონე რომანისტები გაჩნდნენ: სინკლერ ლუისი, ჯონ სტეინბეკი, ჯონ დოს პასოსი, რიჩარდ რაითი და დრამატურგი კლიფორდ ოდეტსი. ისინი დაკავშირებული იყვნენ 1930-იანებთან უბრალო მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვით და ყურადღებას ამახვილებდნენ ადამიანების ჯგუფებზე – პროფესიებზე; ასეა სინკლერ ლუისის ორიგინალურ რომანებში „ეროუსმითი" (ექიმი) ან „ბებიტი" (ბიზნესმენი); სტეინბეკის რომანში „მრისხანების მტევნები" გამოყვანილია ოჯახები, ხოლო დოს პასოსი კი ხატავს ქალაქის მასებს თავისი თერთმეტი ძირითადი მოქმედი პირის სახით, რომან ტრილოგიაში „აშშ".

## სინკლერ ლუისი (1885-1951)

ჰარი სინკლერ ლუისი მინესოტას შტატში, სოკ სენტრში დაიბადა და განათლება იელის უნივერსიტეტში მიიღო. იგი სკოლიდან დაეთხოვებოდა ხოლმე, რათა ემუშავა სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელსაც ერქვა – ჰელიკონ ჰოუმ კოლონი; ამ საზოგადოებას „ნაგვისმქექველი" რომანისტი ეპტონ სინკლერი აფინანსებდა. ლუისის ნაწარმოები „მთავარი ქუჩა" (1920) სატირულად გადმოგვცემდა მინესოტას შტატის პატარა ქალაქის გოფერ პრეირის მონოტონურ და ფარისევლურ გარემოს. ამერიკული ცხოვრების, ამერიკული ანგარებიანობის ვიწრო ინტერესების და პირმოთნეობის მწვავე გადმოცემის გამო სინკლერ ლუისმა ეროვნული და საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. 1926 წელს მან უარი თქვა პულიცერის პრემიაზე, რომანისთვის „ეროუსმითი" (1925); ამ რომანის მთავარი გმირი, ექიმი ცდილობს შეინარჩუნოს სამედიცინო ეთიკის ნორმები გარშემო გაბატონებული სიხარბისა და კორუფციის ფონზე. 1930 წელს იგი გახდა პირველი ამერიკელი, ვინც მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურაში.



სინკლერ ლუისი

ლუისის სხვა ცნობილი რომანია „ბებიტი" (1922). ჯორჯ ბებიტი ერთი რიგითი ბიზნესმენია, რომელიც ერთ უბრალო ამერიკულ ქალაქ ზენითში ცხოვრობს და საქმიანობს. ბებიტი მორალური და საქმიანი კაცია; მას სჯერა, რომ ბიზნესი თანამედროვე ცხოვრებისადმი ახალი, მეცნიერული მიდგომის საშუალებაა. იგი მოუსვენარი კაცია, თვითგამოხატვას ცდილობს, მაგრამ ბოჰემური ტიპის ქალთან ურთიერთობა მარში ჩალაგამოვლებული რჩება; საბოლოოდ ცოლს უბრუნდება და ბედს ურიგდება. ამ რომანის შემდეგ ამერიკულ ენას ახალი სიტყვა – „ბებიტრი" დაემატა: იგი ნიშნავს სწორხაზოვან, თვითკმაყოფილ, ბურჟუაზიულ მიდგომას. რომანი „ელმერ გენტრი" (1927) ხატავს რევაივალისტურ რელიგიას შეერთებულ შტატებში, ხოლო „ქეს თიმბერლეინი" (1945) გადმოგვცემს უსიამოვნებებს, რომლებიც ვითარდება მოხუცი მოსამართლისა და მისი ახალგაზრდა ცოლის ოჯახში.

## ჯონ დოს პასოსი (1896-1970)

სინკლერ ლუისის მსგავსად ჯონ დოს პასოსმაც მემარცხენე რადიკალიზმით დაიწყო, მაგრამ მარჯვნივ გადაინაცვლა ასაკთან ერთად. დოს პასოსი, სოციალისტური რეალიზმის წესების შესაბამისად, რეალისტურად წერდა. მისი საუკეთესო ნაწარმოები მეცნიერულ ობიექტურობასა და თითქმის დოკუმენტალურ ეფექტს აღწევს. თავისი საუკეთესო ქმნილებისათვის „ა.შ.შ.", დოს პასოსმა საუნივერსიტეტო ექსპერიმენ-

ტის ტექნიკა შექმნა; ნაწარმოები შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „42-ე პარალელი" (1930), „1919" (1932) და „დიდი ფული" (1936). ეს გაწელილი კრებული შეერთებული შტატების სოციალურ ისტორიას აღწერს 1900-დან 1930 წლამდე; იგი აშიშვლებს მატერიალისტური ამერიკული საზოგადოების მორალურ დაცემას მასში მოქმედი გმირების ცხოვრების მაგალითზე.

დოს პასოსის ახალი ტექნიკა შეიცავდა თანამედროვე საგაზეთო სათაურებიდან აღებული ქრონიკის ფორმას, პოპულარული სიმღერების, რეკლამების ელემენტებს, აგრეთვე მოკლე „ბიოგრაფიებს", რომლებიც იმდროინდელი ცნობილი ამერიკელების ცხოვრებას გადმოგვცემდნენ; ესენი იყვნენ გამომგონებელი თომას ედისონი, მუშათა ორგანიზატორი იუჯინ დებსი, კინომსახიობი რუდოლფ ვალენტინო, ფინანსისტი ჯ.პ. მორგანი და სოციოლოგი ტორსტეინ ვებლენი. ქრონიკისა და ბიოგრაფიების სერიამ დოს პასოსის რომანებს დოკუმენტური იერი შესძინეს; მესამე ტიპის ტექნიკური ხერხი „ფოტო თვალი", არის ქვეცნობიერების ნაკადის პროზაული ლექსები, რომლებიც წიგნებში აღწერილი ამბების სუბიექტურ აღქმას წარმოადგენენ.



ჯონ სტეინბეკი



## ჯონ სტეინბეკი (1902-1968)

სინკლერ ლიუისის მსგავსად, ჯონ სტეინბეკიც დღეს უფრო ცნობილია საზღვარგარეთ, ვიდრე შეერთებულ შტატებში; ეს ბევრადაა განპირობებული იმით, რომ მან 1963 წელს ნობელის პრემია მიიღო და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ორივე შემთხვევაში ნობელის პრემიის კომიტეტმა აირჩია ლიბერალური ამერიკელი მწერალი, რომელიც გამორჩეული იყო სოციალური კრიტიკის პოზიციის გამო.

სტეინბეკი კალიფორნიელი იყო და ბევრი მისი ნაწარმოების მოქმედება სანფრანცისკოს მახლობლად, სალინას ველში მიმდინარეობს. მისი ყველაზე ცნობილი რომანია „მრისხანების მტევნები" (1939), რომელმაც მას პულიცერის პრემია მოუტანა. ნაწარმოებში მოთხრობილია გაღარიბებული ოკლაჰომელი ოჯახის მძიმე ხვედრზე, რომელმაც დაკარგა თავისი ფერმა დიდი დეპრესიის დროს და რომელიც მიემგზავრება კალიფორნიაში სამუშაოს საძიებლად. ოჯახის წევრები ძლიერ მიწათმფლობელებისგან ფეოდალურ ჩაგვრას განიცდიან. კალიფორნიაში მიმდინარე სხვა რომანებია „კუს ბინა" (1935), „თაგვებსა და ადამიანებზე" (1937), „რიგი საკონსერვეში" (1945) და „ედემის აღმოსავლეთით" (1952).

სტეინბეკი რეალიზმს უხამებს პრიმიტიულ რომანტიზმს, რომელიც ხედავს მიწის მუშა ღარიბ ფერმერებთან ზნეებს. მისი პროზა ნატრავს ისეთ ადამიანებს, რომელთა დახატვა ადვილია, რომლებიც შეიძლება ამოიცნონ გვერდის შემდეგ; რომლებიც უმალ იზარალებიან პოლიტიკური არეულობისა ან ეკონომიკური დეპრესიის გამო.

## ჰარლემის რენესანსი

ბობოქარი 1920-იანი წლების დროს, ნიუ-იორკ სიტის აპთაუნის შავკანიანთა უბანი – ჰარლემი, კაშკაშებდა გრძნობებითა და შემოქმედებით. შავკანიან ამერიკელთა ჯაზის ჰანგებმა წალეკეს შეერთებული შტატები, ხოლო კომპოზიტორები, მსგავსად დიუკ ელინგტონისა, ამერიკაშიც და საზღვარგარეთაც ვარსკვლავებად იქცნენ. ბესი სმითი და ბლუზის სხვა მომღერლები მღეროდნენ ალალ, გულშიჩამწვდომ და

თავისებურ სიტყვებს, რომლებიც გულწრფელი ემოციებით იყო გაჯერებული. შავკანიანთა სპირიჩუელსები ყველას აღფრთოვანებდა, როგორც რელიგიური მუსიკის უნიკალური ნიმუში. ჯულ პოტერის, შავკანიანი მხატვრის ქალი, ტრიუმფით გამოდიოდა სცენაზე, ხოლო შავკანიანთა ცეკვა და სიმღერები, მუსიკასა და დრამასთან ერთად, აყვავდა.

ჰარლემის ტალანტის ნაირფეროვან გარემოში სხვადასხვა თვალსაზრისები თანაარსებობდნენ. 1926 წელს დაწერილ კარლ ვან ვექტენის სენსაციურ რომანში მოცემულია ჰარლემის შავკანიანი ამერიკის რთული და ტკბილ-მწარე ცხოვრების სურათი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის ფონზე.

ქაუნტი კალენი (1903-1946), ჰარლემური წარმოშობის პოეტი, რომელიც მოკლე ხნით უ.ე.ბ. დიუ ბუას ქალიშვილზე იყო დაქორწინებული, წერდა შესანიშნავ, ტრადიციული ფორმის გარითმულ ლექსებს, რომლებიც თეთრკანიანებსაც ძალიან მოსწონდათ. მას სწამდა, რომ რასობრივმა წარმოშობამ არ უნდა უკარნახოს პოეტს ლექსის თემა და სტილი. სპექტრის მეორე მხარეს იდგნენ ის აფრო-ამერიკელები, რომლებიც უარყოფდნენ შეერთებულ შტატებს და მიჰყვებოდნენ მარკუს გარვის მოძრაობას „შინ აფრიკისკენ". ამ ორ მიმართულებას შორის ძევს ჯინ თუმერის ნაწარმოებები.

## ჯინ თუმერი (1894-1967)

ქულენის მსგავსად, აფრო-ამერიკელი პროზაიკოსი და პოეტი ჯინ თუმერი სცდავდა ამერიკულ წარმოშობას, რომელიც რასობრივზე მაღლა იდგებოდა. შესაძლოა ამ მიზეზებით იყო განპირობებული, რომ იგი შესანიშნავად გამოიყენებდა რითმას და მეტრს და არ ქმნიდა შავკანიანთა ფორმას თავისი პოეზიისათვის. მისი საუკეთესო ნაწარმოები „ლერწამი" (1923) წარმოადგენს მოდერნისტულ და ნოვატორულ ნაწარმოებს; ულიამსის „პატერსონის" მსგავსად „ლერწამი" შეიცავს ლექსებს, პროზაულ კინიეტებს, თხრობას და ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს. მასში მოცემულია აფრო-ამერიკელი ბრძოლა თვითგამოხატვისათვის შავკანიანთა თემის წიაღშიც და მის გარეთაც. მისი გმირები არიან ჯორჯიის შტატის სოფლის, ქალაქ ვაშინგტონის, ჩიკაგოს, ილინოისის შტატის ბინადარნი. აგრეთვე შავკანიანი მასწავლებელი შეერთებული შტატების სამხრეთიდან.



ჯინ თუმერი

თუმერის „ლერწამში" ჯორჯიის შტატის შავკანიანთა წარმომადგენლები ბუნებრივად არტისტულები არიან.

მათი ხმა იწვევს... ფიჭვის ნემსები
  გიტარებია
ყლარუნობენ; ფიჭვის წიწვები
  ცვივა წვიმის წვეთებივით...
მათი ხმა იწვევს... და ლერწმის
  ქორო
აღავლენს მწუხარების ლოცვას ვარსკვლავებისთვის...
(I, 21-24)

„ლერწამი" კონტრასტულად წარმოაჩენს აფრო-ამერიკული ცხოვრების ფესვს სხვას ვაშინგტონში, ამერიკის დედაქალაქში:

ფული ჯიბეს გიწვავს, ჯიბე
  გტკენს
ბუტლეგერები აბრეშუმის
  პერანგებში,
საბურავებით, იწელებიან
  კადილაკები
მისისინებენ, მისისინებენ
  ავტოსტრადებზე. (II, 1-4)

## რიჩარდ რაითი (1908-1960)

რიჩარდ რაითი დაიბადა მისისიპის შტატში ღარიბი მოიჯარის ოჯახში, რომელიც მამამ მიატოვა, როდესაც ბიჭი ხუთი წლისა იყო. რაითი პირველი აფრო-ამერიკელი მწერალი იყო, რომელმაც ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო, თუმცა მას სულ ცხრა კლასი ჰქონდა დამთავრებული. თავისი მწარე ბავშვობა მას აღწერილი აქვს ერთ-ერთ საუკეთესო ავტობიოგრაფიულ წიგნში „შავკანიანი ბიჭი" (1945). მოგვიანებით იგი ამბობდა: „რასიზმით გამოწვეული ჩაგვრის შეგრძნება ისეთი ძლიერი მქონდა, რომ მხოლოდ წიგნების კითხვით ვასუსტებდი მის ნაკლიასო".

შერვუდ ანდერსონის, თეოდორ დრაიზერის და სინკლერ ლუისის სოციალური კრიტიკა და რეალიზმი რაითის შთაგონებას მატებდა. 1930-იანებში იგი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა; 1940-იანებში იგი საფრანგეთში გადასახლდა, სადაც გერტრუდ სტაინს და ჟან პოლ სარტრს ხვდებოდა; აქ იგი ანტიკომუნისტი გახდა. მისმა არაჩვეულებრივმა ნაწერებმა გზა გაუკვალეს მომდევნო პერიოდის აფრო-ამერიკელ რომანისტებს.

მისი ნაწერები შეიცავენ მოთხრობების კრებულს „ბიძია თომას შვილები" (1938); აგრეთვე ძლიერ და სასტიკ რომანს „ღვიძლი ვაჟიშვილი" (1940); მასში მთავარი გმირი, გაუნათლებელი შავკანიანი ახალგაზრდა შეცდომით კლავს თავისი თეთრკანიანი უფროსის ქალიშვილს და წვავს მის გვამს; შემდეგ კლავს თავის მეგობარს – შავკანიან გოგონასაც, – ვინცობა არ გამცესო. ზოგიერთმა აფრო-ამერიკელმა გააკრიტიკა რაითი, რადგან მან შავკანიანი პერსონაჟი მკვლელად გამოიყვანა; მაგრამ რაითის რომანი იყო აუცილებელი და დაგვიანებული გამოხატულებაც კი იმ რასობრივი უთანასწორობისა, რომელიც შეერთებულ შტატებში მრავალი დებატის საგანი ხდებოდა.



რიჩარდ რაითი

## ზორა ნილ ჰარსტონი (1903-1960)

ზორა ნილ ჰარსტონი ფლორიდის შტატის პატარა ქალაქ იტონვილში დაიბადა და ჰარლემური რენესანსის ერთ-ერთი მანათობლად არის აღიარებული. იგი ნიუ-იორკ სიტიში პირველად 16 წლისა ჩამოვიდა – მოხეტიალე თეატრალური დასის მსახიობად. იგი ამბების არაჩვეულებრივად კარგი მთხრობელი იყო და მსმენელთა ყურადღებას უმალ იპყრობდა; იგი ბარნარდ კოლეჯში სწავლობდა, სადაც ანთროპოლოგისტ ფრანც ბოასის ლექციებს ისმენდა და მეცნიერული თვალსაზრისით შეისწავლა ეთნიკური პრობლემები; ბოასმა ურჩია თავისი მშობლიური ფლორიდის ფოლკლორული მასალა შეეგროვებინა და ჰარსტონმაც დაუჯერა. გამოჩენილმა ფოლკლორისტმა ალენ ლომაქსმა მის წიგნს „ჯორები და ადამიანები" (1935) ფოლკლორის სფეროში ყველაზე უფრო თავშესაქცევი, ალალი და ოსტატურად დაწერილი წიგნი უწოდა.

ჰარსტონმა გარკვეული დრო ჰაიტიზე დაჰყო, სადაც სწავლობდა ვუდუს (უესტინდიელ შავკანიანთა ცრურწმენა და შელოცვა-ჯადოები) და აგროვებდა კარიბიის ფოლკლორს, რომელიც გამოსცა ანთოლოგიაში „ჩემს ცხენს უთხარი" (1938). მწერლის კარგი სალაპარაკო ინგლისურის ცოდნა, მას მარკ ტვენის დიდი ტრადიციის გამგრძელებლად აქცევს. მის ნაწერებ-

ში აფრო-ამერიკული სპირიჩუელების ტრადიციიდან აღებული და შესანიშნავი ენით დაწერილი კომიკური ან ტრაგიკული ამბები არაჩვეულებრივი ხუმრობით ელვარებს.

ჰარსტონი ძალზე შთამბეჭდავი რომანისტი იყო. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „მათი თვალები ღმერთისკენ იყო მიმყრობილი" (1937); ეს არის ხალისიანად მგრძნობიარე და ცოცხალი აღწერა ლამაზი მულატი ქალის თავგადასავლისა, რომელიც თანდათან იზრდება და ბედნიერებას აღწევს სამი ქორწინების შედეგად. რომანი ფოლკლორის ცხადად აღწერს სამხრეთის სოფელში მცხოვრები აფრო-ამერიკელების ცხოვრებას. ქალთა მოძრაობის მაუწყებელი ჰარსტონი თავისი ავტობიოგრაფიული რომანით „მტვრის ნაკვალევი გზაზე" (1942) შთააგონებს და გავლენას ახდენს ახალ თანამედროვე მწერლებზე, როგორიცაა ელის უოკერი და ტონი მორისონი.



ზორა ნილ ჰარსტონი

## ლიტერატურული დინებანი: „გაქცეულები" და „ახალი კრიტიკა"

შეერთებულ შტატებს სამოქალაქო ომიდან მეორე საუკუნეში გამოჰყვა ის მოსაზრება, რომ სამხრეთის შტატები რჩებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭაობად, რომელსაც რასიზმი და ცრუმორწმუნეობა მართავდა; მაგრამ ამავე დროს ეს იყო დალოცვილი მხარე – მდიდარი ხალხური ადათ-წესებით, სიამაყის გრძნობითა და ტრადიციით. მას ჰქონდა მიჩნეული უსამართლო სახელი კულტურული უდაბნოსი, პროვინციალიზმისა და უმეცრებისა.

ირონიაა, რომ მეორე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონალური ლიტერატურული მიმდინარეობა იყო ე.წ. „გაქცეულების" მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ პოეტი და კრიტიკოსი – თეორეტიკოსი ჯონ ქრო რენსომი, პოეტი ალენ ტეიტი და რომანისტი, პოეტი და ესეისტი რობერტ პენ უორენი. ამ სამხრეთელმა ლიტერატურულმა ჯგუფმა უარყო ჩრდილოეთის ურბანისტული და კომერციული ფასეულობანი, რომლებმაც, მათი აზრით, წალეკეს ამერიკა. „გაქცეულები" მოუწოდებდნენ მიწისკენ და იმ ამერიკული ტრადიციებისკენ დაბრუნებას, რაც სამხრეთში მოიპოვებოდა. ეს მოძრაობა დასაბამს იღებდა ლიტერატურული ჟურნალიდან „ფუგიტივ", რომელიც გამოდიოდა 1922-დან 1925 წლამდე ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილში, ვანდერბილტის უნივერსიტეტში და რომელთანაც რენსომი, ტეიტი და უორენი იყვნენ დაკავშირებული.

ეს სამი ცნობილი „გაქცეული" მწერალი ასევე იყო დაკავშირებული ახალ კრიტიკასთან; ეს იყო ლიტერატურის გაგების მიდგომა, ე.წ. „ქლოუზ რიდინგის" „ახლოდან წაკითხვის" მეშვეობით; იგი ყურადღებას ამახვილებდა ფორმალურ მხარეზე (სახეობრიობა, მეტაფორები, მეტრიკა, ფერადობა და სიმბოლოები) და მის მიერ შემოთავაზებულ მნიშვნელობებზე. რენსომმა, სამხრეთული რენესანსის წამყვანმა თეორეტიკოსმა, გამოსცა წიგნი – „ახალი კრიტიკა", – ამ მეთოდის შესახებ. სწორედ მასში იყო შემოთავაზებული ალტერნატიული კრიტიკა, ისტორიაზე და ბიოგრაფიაზე აგებული ძველი ლიტერატურული კრიტიკის მეთოდების სანაცვლოდ. იგი 1940-იან და 1950-იან წლებში დომინირებულ მეთოდად იქცა. ეს ახალი მიდგომა კარგად ესადა-

გებოდა ისეთ მოდერნისტულ მწერალს, როგორიც იყო ელიოტი; აგრეთვე კარგად ითავსებდა ფროიდისტულ თეორიასაც (განსაკუთრებით მის სტრუქტურულ კატეგორიებს, როგორიცაა სიამოვნება-ტკივილის, ეგოს და სუპერეგოს პრინციპები), აგრეთვე მითოლოგიურ მოდელებზე აგებულ მიდგომასაც.

## მეოცე საუკუნის ამერიკული დრამა

ამერიკული დრამა ბაძავდა ინგლისურ და ევროპულ თეატრს მეოცე საუკუნის განმავლობაში. ხშირად ინგლისური ან ევროპული ენებიდან თარგმნილი პიესები თეატრალური სეზონის წამყვან სანახაობად იქცეოდნენ ხოლმე. არასწორი საავტორო უფლებების კანონი, რომელიც ვერ იცავდა და ხელს ვერ უწყობდა ამერიკელ დრამატურგებს, ფაქტიურად ადგილობრივი დრამის წინააღმდეგ მოქმედებდა. ასევე ხდებოდა „ვარსკვლავთა სისტემის" გამოც; მის მიხედვით მსახიობს უფრო მეტი წარმატება ერგებოდა ხოლმე, ვიდრე პიესას. ამერიკელები ჯგროდ დადიოდნენ თეატრებში რომელიმე ევროპელი მსახიობის გასტროლებზე; ამასთან ერთად იმპორტულ დრამატულ ნაწარმოებს ყოველთვის მეტი სტატუსი ენიჭებოდა, ვიდრე ადგილობრივს.

მეცხრამეტე საუკუნეში ძალზე პოპულარული იყო გამორჩეულად დემოკრატიული მოქმედი პირებით დატვირთული მელოდრამები, რომლებშიც მკაფიოდ იყო დაპირისპირებული კეთილი და ბოროტი; ასევე ხალხმრავალ აუდიტორიას იზიდავდნენ პიესები ისეთი სოციალური პრობლემის შესახებ, როგორიც იყო მონათმფლობელობა. ზოგჯერ ეს პიესები წარმოადგენდნენ ადაპ-



იუჯინ ო'ნილი

ტაციას ისეთი რომანისა, როგორიც იყო „ბიძია თომას ქოხი". მეოცე საუკუნემდე სერიოზული პიესები ესთეტიკური სიახლის შემოტანას ვერ ბედავდნენ. თუმცაღა პოპულარული კულტურა თავის სიცოცხლისუნარიანობას მაინც ამჟღავნებდა, განსაკუთრებით ვოდევილებში (ეს იყო პოპულარული ვარიეტეს თეატრი, რომელიც ხალხმრავლობას, კლოუნადას, მუსიკას და ა.შ. გულისხმობდა). „მინესტრელ შოუ" – შავკანიანთა გრიმით თეთრკანიანთა მიერ შესრულებული აფრო-ამერიკული მუსიკა და ხალხური ცეკვა-სიმღერა ასევე ორიგინალურად და ძალზე მიმზიდველად ვითარდებოდა.

### იუჯინ ო'ნილი (1888-1953)

იუჯინ ო'ნილი ამერიკული თეატრის დიდი ფიგურაა. მისი მრავალრიცხოვანი პიესები წარმოადგენენ უზარმაზარი ტექნიკური ორიგინალობის, ხედვის სიცხადისა და ემოციონალური სიღრმის კომბინაციას. ო'ნილის ადრინდელი ნაწარმოებები შეეხებოდა მუშათა კლასსა და ღარიბებს; გვიანდელი ქმნილებები კი იკვლევენ კონკრეტულ სამყაროს, აკვიატებას, სექსს; ისინი ხაზს უსვამენ ავტორის მიერ ფროიდით გატაცებას და მტკივნეულ ცდას თავის გარდაცვლილ დედასთან, მამასთან და ძმასთან სულიერი კავშირის დამყარებისა. მისი პიესა „სიყვარული თელებს ქვეშ" გამოხატავს ერთი ოჯახის წიაღში განვითარებულ ვნებათაღელვას. „დიდი ღმერთი ბრაუნი" (1926) მდიდარი ბიზნესმენის ქვეცნობიერ სამყაროს წარმოაჩენს, ხოლო „უცნაური ინტერლუდია" (1928), რომელმაც პულიცერის პრემია მოიპოვა, ერთი ქალის სასიყვარულო თავგადასავლის გადასხვაფერებულ ამბავს

აღწერს. ეს მძლავრი პიესები სხვადასხვა პერსონაჟებს გვიხატავენ, ზოგჯერ შებრუნებულებს პრიმიტიული ემოციებისკენ, ზოგჯერ კი მძაფრი სტრესებით თავგზააბნეულებს.

თავისი პიესების ტრილოგიაში „გლოვა ელექტრად გადაიქცევა“ (1931) ო'ნილი განავრცობს ოჯახურ ურთიერთობაში სიყვარულის დომინირებული გრძნობის ფროიდისტულ კვლევას; ეს ნაწარმოებები სოფოკლეს კლასიკურ ტრილოგიას „ოიდიპოსს“ ემყარებოდა. მისი გვიანდელი პიესებია: აღიარებული შედევრი „ყინულის გამყიდველი მობრძანდება“ (1946), რომელიც წარმოადგენს საწყის ნაწარმოებს სიკვდილის თემაზე; აგრეთვე „გრძელი დღის მოგზაურობა ღამეში“, – ძალუმი პიესა, რომელიც დრამატული ფორმით გადმოგვცემს მწერლის ავტობიოგრაფიას; იგი ფოკუსირდება საკუთარ ოჯახზე, მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაკნინებაზე, რომლის მომსწრენიც ერთი ღამის განმავლობაში ვხდებით. ეს ნაწარმოები იყო ერთ-ერთი პიესათაგანი იმ ციკლიდან, რომელზედაც ო'ნილი მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

ო'ნილმა ახლებურად გადააკეთა თეატრი, იმით, რომ უგულებელყო ტრადიციული დაყოფა მოქმედებებად და სურათებად („უცნაური ინტერლუდია“ ცხრა მოქმედებისაგან შედგება, ხოლო „გლოვა გადაიქცევა ელექტრად“ ცხრა საათის განმავლობაში მიმდინარეობს); ო'ნილი მიმართავდა ძველ აზიურ და ბერძნულ თეატრებში გამოყენებულ ნიღბებს; მან შემოიტანა შექსპირული მონოლოგები და ბერძნული ქორო; იგი გამოიყენებდა საგანგებო აკუსტიკურ და განათების ეფექტებს. იგი, საზოგადოდ, აღიარებულია ამერიკის უპირველეს დრამატურგად. 1936 წელს მან ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურაში; იგი პირველი ამერიკელი დრამატურგი იყო ასერიგ აღიარებული.

## თორნთონ უაილდერი (1897-1975)

თორნთონ უაილდერი ცნობილია თავისი პიესებით „ჩვენი ქალაქი“ (1938) და „დაღუპვის პირას“ (1942); აგრეთვე რომანით „სან ლუის რეის ხიდი“ (1927).

„ჩვენი ქალაქი“ გამოამზეურებს პოზიტიურ ამერიკულ ფასეულობებს. მას გააჩნია სენტიმენტალურობისა და ნოსტალგიურობის ყველა ელემენტი – ტიპური, ტრადიციული, პატარა ქალაქი, კეთილი მშობლები, კუდრაჭა ბავშვები, ახალგაზრდა შეყვარებულები. მაგრამ მაინც ნოვატორული ელემენტები – აჩრდილები, ხმები მაყურებლებიდან და დროთა თამამი გადანაცვლება პიესას ხანახანობრივად მიმზიდველს ხდის. სინამდვილეში ეს არის პიესა სიცოცხლესა და სიკვდილზე, სადაც გარდაცვლილები ხელახლა ცოცხლდებიან, თუნდაც დროებით.

## კლიფორდ ოდეტსი (1906-1963)

კლიფორდ ოდეტსი, – სოციალური დრამის ოსტატი, – წარმოშობით აღმოსავლეთ ევროპის ებრაელი ემიგრანტების ოჯახიდან იყო. იგი ნიუ-იორკ სიტიში აღიზარდა და „გრუპ თიეტას“ დასის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. ამ თეატრის რეჟისორები იყვნენ ჰაროლდ კლარმენი, ლი სტრასბერგი და შერილ კროუფორდი და იგი მხოლოდ ორიგინალურ ამერიკულ პიესებს დგამდა.

ოდეტსის ყველაზე ცნობილი პიესაა „ცაციას მოლოდინში“ (1935) ექსპერიმენტული ერთმოქმედებიანი პიესა, რომელიც მხურვალედ ქადაგებდა მშრომელთა ტრედიუნიონისტულ გაერთიანებას. მისი ნაწარმოები „გაიღვიძე და იმღერე!“ – ნოსტალგიური საოჯახო დრამა – ასევე ძალზე წარმატებული გახლდათ; „ოქროს ბიჭი“ – მოგვითხრობს იტალიელ ემიგრანტ ყმაწვილზე, რომელიც ღუპავს თავის მუსიკალურ ნიჭს (იგი ვიოლინოზე უკრავდა); მას ფულით შეაცდინეს, რათა მოკრივე გახდეს და ხელებს იფუჭებს. ფიცჯერალდის „დიდი გეთსბის“ და დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიის“ მსგავსად, ეს პიესა გაფრთხილებაა მოჭარბებული პატივმოყვარეობისა და ანგარებიანობის მიმართ.

# თავი 7

## ამერიკული პოეზია 1945 წლის შემდეგ ანტიტრადიცია

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის თანამედროვე ლიტერატურაში, მათ შორის შეერთებულ შტატებშიც, დამკვიდრდა აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ მხოლოდ ტრადიციული ფორმები, იდეები და ისტორია აძლევს მნიშვნელობას და წარმართავს ადამიანის ცხოვრებას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ისტორიის მსვლელობის შეწყვეტის შეგრძნება შექმნეს: ყველა მოქმედება, ემოცია და მომენტი დანაწილულია, როგორც ერთადერთი და უნიკალური. სტილი და ფორმა გახდა დროებითი და წარმავალი, – მწერლის თვითშეგნებისა და შემოქმედებითი პროცესის გამოხატულება. გამოხატვის ნაცნობი კატეგორიები საეჭვო გახდა, ორიგინალურობა ახალ ტრადიციად ყალიბდება.

ძნელი არ არის მოიძიო ამ კავშირგაწყვეტილი შეგრძნების ისტორიული მიზეზები შეერთებულ შტატებში. ეს არის უშუალოდ მეორე მსოფლიო ომი, უსაფრთხოების და მომხმარებლის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება ურბანისტულ საზოგადოებაში, 1960-იანი წლების საპროტესტო მოძრაობანი, ათწლეულზე გაჭიმული ვიეტნამის კონფლიქტი, ცივი ომი, გარემოს დაბინძურების საშიშროებანი – ამერიკულ კულტურაზე გავლენების მქონე მოვლენების ნუსხა გრძელია და ნაირფეროვანი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამერიკული საზოგადოების ცვლილებაში ყველაზე დიდი როლი მიუძღვის მასმედიის და მასობრივი კულტურის აღმავლობას. ჯერ რადიომ, მერე კინომ, ახლა კი მძლეთამძლე და ყველგან მყოფმა ტელევიზიამ ამერიკელთა ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. პიროვნული, განათლებული, წიგნზე, თვალზე და კითხვაზე დაფუძნებული ელიტარული კულტურა შეერთებულ შტატებში გადაიქცა მასის კულტურად, რომელიც მიყურადებულია რადიოზე, კომპაქტ დისკისა და კასეტის მუსიკაზე, ფილმზე და ტელევიზორის ეკრანიდან წამოსული პერსონაჟების იმიჯზე.

ამერიკულ პოეზიაზე პირდაპირი გავლენა მოახდინა მასმედიამ და ელექტრონულმა ტექნოლოგიამ. პოეზიის კითხვის და პოეტებთან ინტერვიუების შესახებ ფილმები, ვიდეოკასეტები და აუდიო ჩანაწერები ძალზე ხელმისაწვდომი შეიქმნა; წიგნის ბეჭდვის მეთოდები გაიაფდა; ამან უბიძგა ახალგაზრდა პოეტებს საკუთარი სახსრებით გამოეცათ ნაწარმოებები, ხოლო ახალგაზრდა გამომცემლებს დაეწყოთ ლიტერატურული ჟურნალების ბეჭდვა; – დღეს 2000-ზე მეტი ასეთი ჟურნალი გამოდის. 1950-იანი წლებიდან დღემდე, ამერიკელები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ტექნოლოგია, თავისთავად საჭიროა, მაგრამ მასში ძევს სხვადასხვა სახის ხიფათიც; ამერიკელებისთვის, რომლებიც ალტერნატივას ეძიებენ, პოეზია ახლა უფრო მისაღებია, ვიდრე ადრე იყო; იგი ხალხს აძლევს საშუალებას გამოხატოს სუბიექტური ცხოვრება და ჩამოაყალიბოს აზრი პიროვნებაზე ტექნოლოგიისა და მასობრივი კულტურის გავლენის შესახებ.

უამრავი სტილი – ზოგიერთი რეგიონალური, სხვა, – დაკავშირებული პოეტთა ცნობილ სკოლებთან, – ერთმანეთს ეჯიბრება, რათა ყურადღება მიიპყროს; თანამედროვე ამერიკული პოეზია დეცენტრალიზებულია და მდიდრულად ნაირფეროვანი, ხოლო მისი ერთი კრიტერიუმით შეფასება შეუძლებელია. მაგრამ დისკუსიის წესით, შეიძლება ერთ სპექტრში დალაგება; აქ სამი ერთმანეთზე გადაბმული ბანაკი წარმოჩინდება: ერთ ბოლოში ტრადიციონალური, შუაში იდიოსინკრეზული, ხოლო მეორე ბოლოში ექსპერიმენტალური. ტრადიციონალური პოეტები ინარჩუნებენ და აცოცხლებენ პოეტურ ტრადიციებს. იდიოსინკრეზული პოეტები ერთდროულად ორივეს იყენებენ – ტრადიციონალურსა და ნოვატორულ ტექნიკასაც, რათა შექმნან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ჟღერადობა. ექსპერიმენტალური პოეტები ახალ კულტურულ სტილს ეზმანებიან.

### ტრადიციონალიზმი

ტრადიციონალურ მწერლებს წარმოადგენენ ტრადიციული ფორმისა და მანერის აღიარებული ოსტატები, რომლებიც უკვე დამკვიდრებული ხელოვნებით წერენ და მაღიმალ გამოი-

ყენებენ რითმას და მკვიდრ მეტრიკულ მოდელს. ხშირად ისინი შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროდან ან სამხრეთიდან არიან და კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში ასწავლიან. რიჩარდ ებერჰარტი და რიჩარდ უილბური; ძველი „გაქცევის" მიმდინარეობის პოეტები ჯონ ქროუ რენსომი, ალენ თეითი და რობერტ პენ უორენი; უკვე დამკვიდრებული უფრო ახალგაზრდა პოეტები ჯონ ჰოლანდერი და რიჩარდ ჰოუარდი; აგრეთვე ადრინდელი რობერტ ლოუელი ასეთ მწერლებს წარმოადგენენ. ისინი აღიარებული არიან და მათი ნაწარმოებები ხშირად ანთოლოგიებშია ჩართული.

წინა თავში აღწერილია „გაქცევის" პოეტების რაფინირებულობა, ბუნების თაყვანისცემა, გამოკვეთილად კონსერვატიული ფასეულობანი. ასეთი თვისებები ამკობდა ტრადიციული ორიენტაციის მქონე უმეტეს პოეზიას. ტრადიციონალური პოეტები უმეტესწილად ძალზე ზუსტი, რეალისტური და მახვილგონიერები არიან. რიჩარდ უილბურის (1921) მსგავსად ხშირად მათზე გავლენას ახდენს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნის ბრიტანული მეტაფიზიკური პოეზია, რომლისკენაც ინტერესი ტ.ს. ელიოტმა აღძრა. უილბურის ყველაზე ცნობილი ლექსის – „სამყარო საგნების გარეშე გრძნობადი სიცარიელეა" (1950) სათაური მოდის მეტაფიზიკოსი პოეტის ტომას ტრაჰერნისაგან. მისი ცოცხალი დასაწყისი გვიჩვენებს სიცადეს, რომელსაც ზოგიერთი პოეტი რითმაში და ფორმალურ წესრიგში ჰპოვებს.

სულის მაღალი აქლემები
გზას მიიკვლევენ უდაბნოებში,
უკანასკნელ კორომს გაუვლიან და
ხმას გამოსცემენ
როგორც სერნის ღრჭიალი კუტკალიის
შემოსევისას, თაფლში
გამომხმარ
მზეზე. ზანტი არიან, ამაყები...

ტრადიციონალური პოეტები გამოიყენებდნენ ხმამაღალ პოეტურ სტრიქონებს; ამით ისინი არ ჰგავდნენ ექსპერიმენტალისტებს, რომლებსაც არ სჯეროდათ „ძალზე პოეტური" მეტყველებისა. რობერტ პენ უორენი (1905-1989) ერთ-ერთ ლექსს ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „ქვეყნიერება ისე ძალიან გიყვარდეს, რომ ეიწამოთ, ბოლოს და ბოლოს, ღმერთი".

ალენ თეითი (1899-1979) ასეთი სიტყვებით აბოლოებს თავის ერთ-ერთ ლექსს: „გუშაგი საფლავისა, ვინც ყველა ჩვენგანს ითვლის". ტრადიციონალური პოეტები დროდადრო გამოიყენებდნენ რიტორიკულ დიქციას ან ყაველგასულ და უცნაურ სიტყვებს, მრავალ ზედსართავს და ინვერსიებს, რომლის დროსაც ბუნებრივი ან სალაპარაკო ინგლისურის სიტყვათა თანმიმდევრობა არაბუნებრივად იცვლება. ზოგჯერ შედეგი დიდებულია, როგორც ეს უორენის სტრიქონშია, სხვა დროს პოეზია მაღალფარდოვანია და რეალურ ემოციებს მოკლებული, როგორც თეითის სტრიქონში: „უაზროდ შეეხო მღვდელთმსახურის კაბის კალთას".

დროდადრო, როგორც ეს გვხვდება ჰოლანდერთან, ჰოუარდთან ან ჯეიმზ მერილთან (1926-), მოკრძალებული მანერა შეეხამება მახვილგონიერებას, სიტყვათა თამაშს და ლიტერატურულ ალუზიებს. მერილი, რომელიც ნოვატორია თავისი ურბანისტული თემებით, გამოიყენებს გაურითმავ სტრიქონებს, პიროვნულ საკითხებს და მსუბუქ სასაუბრო ტონალობას; იგი ტრადიციონალისტებისთვის დამახასიათებელ მახვილგონიერულ ხერხებს იყენებს თავის ლექსში „გატეხილი გული" (1966) და ისე წერს ქორწინების შესახებ, თითქოს ეს კოქტეილი იყოს.

ყოველთვის, ძველი ერთი და იგივე ამბავი –
მამაა ღრო და დედაა მიწა,
ქორწინება ყინულით.

ზოგიერთი პოეტის, მაგალითად, მერილის და ჯონ აშბერის გამოკვეთილად მწყობრი სტილი და სიტყვიერი პიროტექნიკა, მათ შემოქმედებას, ტრადიციული გაგებით, წარმატებულად აქცევს; თუმცაღა მათი შემოქმედება რადიკალურად ნოვატორული სახით განსაზღვრავს პოეზიას. სტილისტური დახვეწილობა, ზოგიერთ პოეტს, უფრო ტრადიციონალურად აქცევს, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან. მაგალითად რენდოლ ჯერელი (1914-1965) და ა.რ. ამონსი (1926). ეს უკანასკნელი ქმნის ინტენსიურ დიალოგს ადამიანსა და ბუნებას შორის; ჯერელი უმოვართა დატყვევებულ შეგნებაში შეაღწევს; ესენი არიან ქალები, ბავშვები თუ განწირული ჯარისკაცები. როგორც ეს არის ლექსში „მეტყვიამფრქვეველის სიკვდილი" (1945).

დედამიწის ძირიდან სამშობლოში ჩავეარდი,
და მის შუცელში მოკუნტული ვიმყოფებოდი
სანამ სველი კანი გამეყინებოდა.
დედამიწიდან ექვსი მილის სიმაღლეზე, მისი
ცხოვრების სიზმარიდან თავისუფალი
მე შავად გამაღვიძეს საზენიტო დანადგარებმა და კოშმარულმა გამანადგურებლებმა.
როდესაც მოვკვდი ჯიხურიდან ჩამომრეცხეს შლანგით.

თუმცა ბევრი ტრადიციონალური პოეტი რითმას იყენებს, ყველა გარითმული პოეზია არ არის ტრადიციონალური არც თემატიკით და არც ტონალობით. პოეტი ქალი გვენდოლენ ბრუკსი (1917-) აღწერს ცხოვრების (და არა მარტო წერის) სიძნელეებს ქალაქის ჯურღმულებში. ლექსში „პატარა სამზარეულოს შენობა“ (1945) იგი სვამს კითხვას:

შეიძლება, რომ ოცნება სანვის სურნელში
ატყორცნილი
თეთრი და იისფერი, ებრძოდეს შემწვარ
კარტოფილს
და გუშინდელ ნაგავს, რომელიც მწიფდება
ჰოლში…

ბევრი პოეტი, ბრუკსის, ედრიენ რიჩის, რიჩარდ უილბურის, რობერტ ლოუელის და რობერტ პენ უორენის ჩათვლით, იწყებდა ტრადიციონალურად რითმისა და მეტრის გამოყენებით, მაგრამ 1960-იანებიდან მიატოვეს ეს ყოველივე საზოგადოებრივი მოვლენების გავლენით და ახალი მიმდინარეობების თანდათანობითი შემობრუნებით ღია ფორმებისაკენ.

## რობერტ ლოუელი (1917-1977)

დღევანდელობის ყველაზე გავლენიანმა პოეტმა რობერტ ლოუელმა ტრადიციონალური ლექსების წერით დაიწყო, მაგრამ ექსპერიმენტალისტური დინებების ზემოქმედება განიცადა. ლოუელის ცხოვრება და შემოქმედება მიმდინარეობდა ადრინდელი მოდერნისტული ოსტატების, მაგალითად, ეზრა პაუნდის, და თანამედროვე პოეტების მოღვაწეობას შორის; ამიტომაც მისი საქმიანობა გვიანდელ ექსპერიმენტალისტებს უფრო ფართო კონტექსტში წარმოაჩენს.

ლოუელი ტიპური აკადემიური მწერალი იყო: თეთრკანიანიკაცი, დაბადებიდან პროტესტანტული რელიგიისა, საუკეთესოდ განათლებული; პოლიტიკურ და სოციალურ წრეებთან დაახლოვებული. იგი იყო შთამომავალი პატივცემულ „ბოსტონელ ბრამინთა“ ოჯახისა; მის სანათესაოში იყო მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი პოეტი ჯეიმზ რასელ ლოუელი, ხოლო დღეს კი ჰარვარდის უნივერსიტეტის ამჟამინდელი პრეზიდენტი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რობერტ ლოუელმა საკუთარი თავი ელიტარული გარემოს გარეშე იპოვა. იგი სასწავლებლად ჰარვარდში კი არა, არამედ ოჰაიოს შტატში კენიონ კოლეჯში შევიდა; აქ მან უარყო თავისი პურიტანული რწმენა და კათოლიციზმი მიიღო. ერთ წელიწადი ლოუელი ციხეში იჯდა, როგორც მეორე მსოფლიო ომის მოწინააღმდეგე, რელიგიურ-ეთიკური პრინციპებით. მოგვიანებით იგი საჯაროდ გმობდა ვიეტნამის კონფლიქტს.

ლოუელის ადრინდელმა წიგნებმა „ურწმუნოების მიწა“ (1944) და „ლორდ უიერის სასახლე“ (1946), რომელმაც პულიცერის პრემია მოუპოვა, გამოამჟღავნეს, რომ პოეტი ტრადიციულ ფორმებსა და სტილს ღრმად ფლობს; რომ მას გააჩნია ძლიერი გრძნობა და ინტენსიური პიროვნული და ამავდროულად ისტორიული ხედვა. ძალადობა და სპეციფიკურობა მოჭარბებულად ჩანს მის ადრინდელ ლექსებში, როგორიცაა „სინათლის შვილები“ (1946); ეს არის მკაცრი გაკიცხვა პურიტანებისა, რომლებიც ხოცავდნენ ინდიელებს, და ვისი შთამომავლებიც ნამეტ ხორბალს წვავდნენ იმის მაგივრად, რომ მშიერი ხალხისთვის გაეგზავნათ. ლოუელი წერს: „ჩვენი მამები თავის პურს საქონლისა და ქვებისგან გამოწველიდნენ და თავის ბაღების ყორეებს წითელკანიანთა ძვლებისგან აგებდნენ“.

ლოუელის შემდეგი კრებული „კავანავის წისქვილები“ (1951) სულის შემძვრელ დრამატულ მონოლოგებს შეიცავს. მათში მისი ოჯახის წევრები თავის სინაზეს და შეცდომებს ამჟღავნებენ. როგორც ყოველთვის, მისი სტილი ჩვეულებრივი ადამიანურისა და ამაღლებულის შერწყმას წარმოადგენს. იგი ხშირად გამოიყენებს ტრადიციულ რითმას, თუმცა მისი კალოქვიალიზმები ამას ფარავენ და ყოველივე სცენის მიღმა მელოდიად აღიქმება. თუმცა ლოუელის მხატვრული ინდივიდუალობის

გამომსახველობამ განსაკუთრებით მას ექსპერიმენტალურ პოეზიაში გაიელვა.

1950-იანების შუა პერიოდში პოეზიის კითხვის ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ლოუელმა პირველად მოისმინა ექსპერიმენტული პოეზიის ნიმუშები. ალენ გინზბერგის „ყმუილი" და გერი სნაიდერის „მითები და ტექსტები" ჯერაც გამოუქვეყნებელი იყო, როდესაც მათ ხმამაღლა კითხულობდნენ, ზოგჯერ ჯაზის აკომპანიმენტით, სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი უბნის, ნორთ ბიჩის ყავახანებში. ლოუელმა იგრძნო, რომ მისი დაწერილი ლექსები ძალზე მაღალფარდოვანი იყო, რიტორიკული და პირობითობით სავსე; როდესაც იგი მათ ხმამაღლა კითხულობდა, ცდილობდა ერთდროულად შეესწორებინა და მათში მეტი კოლოქიალური ელემენტები შეეტანა. „ჩემი ლექსები პრეისტორიულ ურჩხულებს ჰგავდნენ, რომლებსაც ჭაობში მიათრევდა და ძირავდა მძიმე და მოუქნელი აბჯარი და აღჭურვილობა", – წერდა პოეტი მოგვიანებით. „მე იმას ვკითხულობდი, რასაც უკვე აღარ ვგრძნობდი".

ამ ხნიდან მოყოლებული, ლოუელმა, როგორც მას შემდეგ ბევრმა სხვა პოეტმა, მიიღო ახალი გამოწვევა, რათა ესწავლა მოქიშპე ტრადიციისაგან: – ეს იყო უილიამ კარლოს უილიამსის სკოლა. „თითქოს არავის უნახავს ნამდვილი ამერიკა ან გაეგონოს მისი ენა უილიამსის გარდა", – წერდა ლოუელი 1962 წელს. აქედან მოყოლებული, ლოუელი რადიკალურად ცვლის თავისი წერის სტილს და გამოიყენებს სწრაფ ცვალებადობას ტონალობისა, ატმოსფეროსა და სინქარისა, რასაც იგი ყველაზე მეტად აფასებდა უილიამსში.


რობერტ ლოუელი

ლოუელმა მოიშორა ბევრი ბუნდოვანი ალუზია. მისი რითმები ლექსში არსებული აზრის შემადგენელი ნაწილი გახდა, იმის მაგივრად, რომ მასზე ზემოდან ყოფილიყო დაწებებული. სტანსის სტრუქტურაც მოიშალა და ახალი იმპროვიზირებული ფორმები აღმოცენდა. კრებულში „ცხოვრების გაკვეთილები" (1959) მან წინ წამოწია აღსარებითი პოეზია – ახალი ფორმა, რომელშიც მან გააშიშვლა თავისი ყველაზე მწვავე პიროვნული პრობლემები დიდი გულწრფელობითა და სიმძაფრით. საბოლოო ჯამში, ლოუელმა არა მხოლოდ აღმოაჩინა თავისი ჭეშმარიტი ინდივიდუალობა, არამედ მოახერხა მისი გადაქცევა ურთულესისა და პირადულის გამხელის დღესასწაულად. მან მოახერხა თანამედროვედ ტრანსფორმირება საკუთარ თავთან, ცალკეულ ფრაგმენტთან და ფორმასთან, როგორც პროცესთან, მიმართებაში.

ლოუელის ტრანსფორმაცია წყალგამყოფი ჯებირია ომის შემდგომი ამერიკული პოეზიისათვის; ამან გზა გაუხსნა ბევრ ახალგაზრდა მწერალს. კრებულებში „მკვდარი კავშირებისთვის" (1964), „რვეული, 1967-69" (1969) და გვიანდელ წიგნებშიც იგი აგრძელებს ავტობიოგრაფიულ ძიებებს და ტექნიკურ ნოვაციებს; მათში იგი ფსიქოანალიზში საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა.

ლოუელის აღსარებითი პოეზია განსაკუთრებით გავლენიანი აღმოჩნდა. ჯონ ბერიმენი, ენ სექსტონი და სილვია პლათი (ბოლო ორი მისი სტუდენტი იყო), მხოლოდ მცირე ნაწილია მათი, ვისი წარმოდგენაც შეუძლებელია ლოუელის გარეშე.

## ᲘᲓᲘᲝᲡᲘᲜᲙᲠᲔᲖᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ

პოეტები, რომლებმაც განავითარეს საკუთარი სტილი ტრადიციაზე დაყრდნობით, მაგრამ ახალ სფეროში, ძალზე მკაფიო თანამედროვე ელფერით, პლათის და სექსტონის გარდა, იყვნენ ჯონ ბერიმენი, თეოდორ რეტკე, რიჩარდ ჰიუგო, ფილიპ ლევაინი, ჯეიმზ დიკი, ელიზაბეთ ბიშოპი და ედრიენ რიჩი.

### ᲡᲘᲚᲕᲘᲐ ᲞᲚᲐᲗᲘ (1932-1963)

გარეგნულად სილვია პლათს სამაგალითო ცხოვრება ჰქონდა. სმით კოლეჯში სწავლობდა სტიპენდიით; ჯგუფში ყველაზე წარჩინებით დაამთავრა და მოიპოვა ფულბრაიტის გრანტი ინგლისში, კემბრიჯის უნივერსიტეტში სასწავლებლად. აქ იგი შეხვდა თავის მომავალ ქარიზმატულ ქმარს, პოეტს ტედ ჰიუზს; მასთან ორი შვილი გაუჩნდა და ინგლისში სოფლად დასახლდნენ. ზღაპარივით წარმატებული ცხოვრების მიღმა მას აწუხებდა მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც ჩანს მის პოპულარულ რომანში „ქოთნის ზარი“ (1963). ზოგიერთი ამ პრობლემათაგან პირადული იყო, სხვები მომდინარეობდა 1950-იან წლებში საზოგადოებაში ქალებისადმი დამოკიდებულების რეპრესიული განწყობიდან. ეს იყო ღრმად გამჯდარი რწმენა, რომ ქალი არ უნდა გაღიზიანებულიყო და არც კარიერის გაკეთებით პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაზე უნდა ეზრუნა; სამაგიეროდ, მას უნდა გამოეხატა საკუთარი თავი მეუღლისა და შვილების მოვლით. ასეთ აზრს, უმეტესი ქალებისა, თვითონ იზიარებდნენ. ისეთი წარმატებული ქალები, როგორიც პლათი იყო, ამის საწინააღმდეგოს ცდილობდნენ.

პლათის ცხოვრების ზღაპარი დაინგრა, როდესაც ის და ტედ ჰიუზი გაიყარნენ და მას მარტოდმარტო მოუხდა პატარა შვილების პატრონობა ლონდონის ბინაში განსაკუთრებით ცივ ზამთარში. ავადმყოფი, მარტოდმარტო, სასოწარკვეთილი პლათი დროს ებრძოდა და შექმნა მთელი სერია შთამბეჭდავი ლექსებისა, სანამ გაზით თავს მოიწამლავდა სამზარეულოში. ეს ლექსები გამოიცა კრებულში „არიელი“ (1965). მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ. რობერტ ლოუელმა ამ წიგნს წინასიტყვაობა წაუმძღვარა; იგი აღნიშნავდა, თუ როგორ გაიზარდა პლათის პოეზია მას შემდეგ, რაც იგი და ენ სექსტონი მის პოეტურ შეცადინეობებს ესწრებოდნენ 1958 წელს. პლათის ადრინდელი ლექსები კარგი ოსტატობით შექმნილი ტრადიციული პოეზიაა, მაგრამ მისი გვიანდელი ლექსები აშიშვლებენ სასოწარკვეთილ გამოწვევას და პროტოფემინისტული ტკივილის გამოძახილს. ლექსში „პრეტენდენტი“ (1966) პლათი გამოხატავს თანამედროვე ცოლის როლის სიცარიელეს (თვით ცოლი პოეტს გამოჰყავს ნაცვალსახელით „იგი“).

ცოცხალი თოჯინა, სადაც კი გაიხედავ
მას კერვა შეუძლია, იგი სადილსაც
  აკეთებს,
შეუძლია ლაპარაკიც, ლაპარაკი, ლაპარა-
  კი.

იგი მუშაობს, მერე რა უშავს.
შენ გაგეხა, ეს ცხელსაფენია.
შენ თვალი გაქვს, ეს იმიჯია,
ჩემო ბიჭო, ეს შენი ბოლო თავშესაფარია.
მას ცოლად შეირთავ, შეირთავ, შეირთავ.

პლათი თამამად ხმარობს საბავშვო ლექსების ენას უხეში პირდაპირობით. მას აქვს უნარი გამოიყენოს თამამი სახეები პოპულარული კულტურიდან. ბავშვის შესახებ იგი წერს: „სიყვარულით დადიხარ როგორც მსუქანი ოქროს საათი“. სოლო ლექსში „მამიკო“ იგი მამას წარმოადგენს როგორც დრაკულას: „სქელ და შავ გულში პალო გაქვს და სოფლელებს არასდროს უყვარდი“.

### ᲔᲜ ᲡᲔᲥᲡᲢᲝᲜᲘ (1928-1974)

პლათის მსგავსად, ენ სექსტონიც მგრძნობიარე ქალი იყო; მან სცადა ყოფილიყო ცოლი, დედა და პოეტი შეერთებულ შტატებში ქალთა მოძრაობის გარიჟრაჟზე. პლათის მსგავსად, მასაც სულიერი ავადმყოფობა აწუხებდა და საბოლოოდ მანაც თავი მოიკლა. სექსტონის ალსარებითი პოეზია უფრო ავტობიოგრაფიულია, ვიდრე პლათისა, მაგრამ მას აკლია პლათისეული ადრეული ლექსების ოსტატობა. თუმცა სექსტონის ლექსები მძლავრ ემოციებს აღძრავს. ისინი გამოკვეთენ ისეთ ტაბუდადებულ საკითხებს, როგორიც იყო სექსი, დანაშაული, თვითმკვლელობა და მათ უფრო ახლოდან განიხილავენ. ზოგჯერ მისი ლექსები ძალზე თამამ ქალურ თემებს წამოჭრიან, როგორიცაა მშობიარობა, ქალის სხეული ან

ქალის თვალსაზრისით დანახული ქორწინება.

ლექსში „მისნაირი" (1960) იგი საკუთარ თავს აიგივებს კუდიანთან, რომელიც ბოძთან დაწვეს.

მე შენი ურმით გამატარეს
  მეურმევ
ჩემს შიშველ ხელებს ვუქნევდი
  სოფლებს რომ გავივლიდით
უკანასკნელი მხიარული
  თავყრილობა გავიცანი.
  შენ გადარჩი
როდესაც შენი ალები ჯერაც
  კბენენ ჩემს თეძოებს
და ჩემი ნეკნები იმსხვრევა
  სადაც შენი ბორბლები
  გადაივლიან.
ასეთნაირ ქალს არ რცხვენია
  სიკვდილის
მეც მისნაირი ვარ.

მისი წიგნების სათაურები მიუთითებენ მის ინტერესზე სიგიჟისა და სიკვდილის მიმართ: „საგიჟეთისკენ და უკან" (1960), „სიცოცხლე თუ სიკვდილი" (1966) ან მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსული კრებული „ნიჩბების გააფთრებული მოსმა ღმერთისკენ" (1975).

## ჯონ ბერიმენი (1914-1972)

გარკვეულწილად ჯონ ბერიმენის ცხოვრება რობერტ ლოუელისას იმეორებს. იგი ოკლაჰომაში დაიბადა, განათლება კი ჩრდილო-აღმოსავლეთში მიიღო: დაამთავრა საშუალო სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, მოგვიანებით კი მუშაობდა პრინსტონის უნივერსიტეტში. იგი ტრადიციულ ფორმებსა და მეტრებში იყო განსწავლული; მას აღაფრთოვანებდა ადრეული ამერიკის ისტორია; მან დაწერა თვითკრიტიკული, აღსარებითი ლექსები კრებულში „ოცნების სიმღერები" (1969); მასში პოეტმა დახატა გროტესკული ავტობიოგრაფიული პერსონაჟი – ჰენრი და გამოხატა საკუთარი პედაგოგიური რუტინა, ქრონიკული ალკოჰოლიზმი და პატივმოყვარეობა.


სილვია პლათი

ფოტო © UPI ბეტმანის არქივი

მისი თანამედროვე თეოდორ რეტკეს მსგავსად, ბერიმენმა გამოიმუშავა მოქნილი, მხიარული, მაგრამ ღრმა სტილი გაცოცხლებული ფრაზებით ფოლკლორიდან, საბავშვო ლექსებით, კლიშეებით და სლენგით. ბერიმენი წერდა თავისი გმირის ჰენრის შესახებ. „იგი ნანგრევს მოაშტერდა, ნანგრევი კი მას მოაშტერდა". სხვაგან მხიარულად წერს:

„ოჰო, ვაგლახ, ვაგლახ
როცა გულგრილობა მოვა,
მე ვიმაქნარებ და ვბოდავ".

## თეოდორ რეტკე (1908-1963)

თეოდორ რეტკეს მამას სათბური ჰქონდა; პოეტმა გამოიმუშავა საგანგებო ენა, რომელიც „სათბურის სამყაროს" – პატარა მწერების და თვალით უხილავ ფესვებს აცოცხლებდა. „ქიაყელავ იყავ ჩემთან, ძალიან მიჭირს". მისი სასიყვარულო ლექსები კრებულში „სიტყვები ქარისთვის" (1958) წარმოადგენენ სილამაზისა და უმანკო ვნების სურვილის დღესასწაულს. ერთ-ერთი ლექსი ამ სტრიქონებით იწყება: „ვიცნობდი ერთ ქალს ლამაზი ძვლებით, როდესაც პატარა ჩიტებს მოენატრებოდათ, მასაც მოენატრებოდა ისინი". დროდადრო მისი ლექსები სტენოგრაფიას ან ხალხურ გამოცანას წააგავს: „ვინ დააყრუა ჭიქჭიკით ხმაური, ჩრჩილის კოსტიუმი, იმან იცის".

## რიჩარდ ჰიუგო (1923-1982)

რიჩარდ ჰიუგო ვაშინგტონის შტატიდან, სიეტლიდან იყო. იგი თეოდორ რეტკეს მოსწავლე გახლდათ. აღიზარდა ღარიბ და პირქუშ ურბანისტულ გარემოში.

სახელი გაითქვა შეერთებული შტატების ჩამორჩენილი ჩრდილო დასავლეთის მშრომელთა იმედების, შიშის და იმედის გაცრუების გამოხატვით. ჰიუგო წერდა ნოსტალგიურ, აღსარებით ლექსებს თამამი იამბიკური საზომით, გასუნებული და დავიწყებული ქალაქების შესახებ; იგი წერდა სირცხვილზე, მარცხზე და ადამიანური ურთიერთობების იშვიათ წარმატებებზე. იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა წუთიერ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალზე, რათა უფრო მნიშვნელოვანი დაკვირვებები მოეხდინა. ლექსი „რაიცა გიყვარს ყველაზედ მეტად, ამერიკაა" (1975), მთავრდება იმით, რომ პოეტი იხსენებს ძველ მშობლიურ ქალაქს და თითქოს გემოს ატანს მოგონებებში, როგორც საჭმელში.

თუ გაირიყე სადმე უცნაურ
ცარიელ ქალაქში
და გინდა მშიერი შეყვარებულები, რათა
მათთან იმეგობრო,
და გჭირდება გრძნობა
მობრძანდით ქუჩის კლუბში
მათ რომ შექმნეს.

## ფილიპ ლევაინი (1928)

ფილიპ ლევაინი დეტროიტში დაიბადა, მიჩიგანის შტატში. იგი მახვილი თვალით, მკაცრი და მტკივნეული ირონიით აღწერს მშრომელთა ეკონომიურ გაჭირვებას. ჰიუგოს მსგავსად, ისიც ღარიბი, ქალაქელი ოჯახის შვილი იყო. მისი ხმა იყო გამოძახილი განმარტოებული ინდივიდისა, რომელიც ინდუსტრიულ ამერიკაში ცხოვრობს. მისი პოეზიის მეტი წილი პირქუშია და ასახავს ანარქისტულ ტენდენციას, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენს მოუთმენს სახელმწიფო სისტემა.

ერთ-ერთ ლექსში ლევაინი თავის თავს ადარებს მელას, რომელიც გადაურჩება მონადირეებს თავისი გამბედაობისა და ეშმაკობის წყალობით. რიტმიკული წყობის თვალსაზრისით, შეინიშნება მისი გადანაცვლება ადრინდელი პერიოდის ტრადიციული საზომებიდან გვიანდელი პოეზიის უფრო თავისუფალი, ღია სტრიქონისკენ; ამავდროულად იგი გამოხატავს პიროვნულ პროტესტს თანამედროვე სამყაროს ბოროტების მიმართ.

## ჯეიმზ დიკი (1923)

რომანისტი, ესეისტი და პოეტი ჯეიმზ დიკი წარმოშობით ჯორჯიიდან აა. საკუთარი დაკვირვებით მას სწამს, რომ მისი ძირითადი თემაა კავშირი პიროვნებასა და სამყაროს შორის, რომელიც არსებობს ან უნდა არსებობდეს. ბევრი მისი ნაწერი ბუნებიდან იღებს საზრდოს – მდინარეები და მთები, ამინდის სახეცვლილება და ნიავათი, რომელიც ყოველივეს თან სდევს.

გვიან, 1960-იანებში, დიკიმ დაიწყო მუშაობა რომანზე „შვება"; იგი მამაკაცის პასუხისმგებლობის მუქ მხარეებს აღწერს. როდესაც ეს რომანი დაიბეჭდა და მოგვიანებით მის მიხედვით ფილმიც გადაიღეს, დიკის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა. მისი ლექსების გვიანდელი კრებულები სხვადასხვა თემას ეხება, მათ შორის სამხრეთის ბუნებასაც („ჯერიკო: დანახული სამხრეთი". 1974); აგრეთვე ბიბლიის გავლენას მის ცხოვრებაზე („ღმერთის სახება", 1977). დიკი ხშირად უსვამს ხაზს მოქმედების აუცილებლობას. „გადაილახოს აუცილებლად, გადაილახოს რაც საჭიროა".

## ელიზაბეთ ბიშოპი (1911-1979) და ედრიენ რიჩი (1929)

იდიოსინკრეზული ჯგუფის ქალ პოეტთა შორის უკანასკნელ პერიოდში ყველაზე მეტი სახელი მოიპოვეს ელიზაბეთ ბიშოპმა და ედრიენ რიჩმა. ბიშოპის კრისტალურმა გონებამ და შორეული ლანდშაფტებისა და მგზავრობის მეტაფორებისადმი ინტერესმა მკითხველებს მისდამი სიყვარული აღუძრა. მათ ხიბლავდათ მისი სიზუსტე და სიფაქიზე. მისი მასწავლებლის მერიენ მურის მსგავსად, გაუთხოვარი ბიშოპი ლექსებს უაღრესად მაღალოსტატურად წერდა; მას გააჩნდა შეჯერებული აღმწერლობითი სტილი, რომელიც შეიცავს დამალულ ფილოსოფიურ სიღრმეებს. გაყინული ჩრდილო ატლანტიკის აღწერა ლექსში „მეთევზეთა სახლებში", შეიძლება თვით ბიშოპის პოეზიას მიესადაგოს. „ის ისეთია, როგორადაც წარმოგვიდგენთ, რომ იყოს ცოდნა: მუქი, მარილიანი, მკაფიო, მოძრავი, სრულიად თავისუფალი".

მურთან ერთად, ბიშოპი შეიძლება იყოს მოთავსებული „შეჯერებულ" ქალ პოეტთა ტრადიციაში, რომელიც ემილი დიკინსონთან გვაბრუნებს. ეს კი უპირისპირდება პლათის,

სექსტონისა და ედრიენ რიჩის „მსურვალე" ლექსებს. რიჩმა ტრადიციული ფორმისა და მეტრის ლექსებით დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი მებრძოლი ფემინისტი გახდა 1960-იანებში, მისი ნაწარმოებები მწვავე ემოციებს გამოხატავდნენ. მისი განსაკუთრებული უნარი მეტაფორულობაა. ეს ყველაზე კარგად ჩანს მის არაჩვეულებრივ ნაწარმოებში „ჩამსხვრეულებში ჩაყვინთვა" (1973); მასში გამოკვეთილია ქალის ძიება საკუთარი მესი და ეს გემის ჩამსხვრევებისკენ ჩაყვინთვის მეტაფორითაა გადმოცემული. ავტორის აზრით, გემის ჩამსხვრევები ქალის მორთვნების ჩამსხვრევებია; ქალმა უნდა იპოვოს თავისი გზა მამაკაცებით დომინირებულ სამყაროში. რიჩის ლექსი „სახურავზე მოარული" (1961), რომელიც პოეტ დენის ლევერტოვს ეძღვნება, ქალ პოეტთა საქმიანობას სახიფათო ხელოვნებად მიიჩნევს. სახლის სახურავის მშენებელ მამაკაცთა მსგავსად, იგი თავს წარმოიდგენს „დიდ გამოფენილ სიცოცხლეზე უფრო მეტად და შესაძლოა კისერიც მოიტეხოს".

## ექსპერიმენტული პოეზია

ლოუელის მოწიფული ხანის მიღწევების და თანამედროვე პოეზიის ძალა ძევს იმ ექსპერიმენტებში, რომელიც დაიწყო 1950-იან წლებში რამდენიმე პოეტმა. ეს შეიძლება დაიყოს ხუთ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სკოლად, როგორც განსაზღვრა დონალდ ალენმა თავის გამოკვლევაში „ახალი ამერიკული პოეზია" (1960); ეს იყო პირველი ანთოლოგია, რომელმაც წარმოადგინა იმ პოეტთა ნაწარმოებები, ვინც კრიტიკამ და აკადემიურმა საზოგადოებრიობამ თავიდან უარყო.



ელიზაბეთ ბიშოპი

ფოტო © [illegible]

ჯაზითა და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმით შთაგონებული უმეტესი ექსპერიმენტალისტი პოეტი ლოუელზე მეტი თაობით ახალგაზრდა იყო. ისინი ბოჰემურად ცხოვრობდნენ და კულტურის მოწინააღმდეგე ინტელექტუალები იყვნენ; თავის თავს უნივერსიტეტებს არ უკავშირებდნენ და ხმამაღლა აკრიტიკებდნენ „ბურჟუაზიული" ამერიკის საზოგადოებას. მათი პოეზია არის თამამი, ორიგინალური და ზოგჯერ შოკის მომგვრელიც კი. ისინი ახალ ფასეულობებს ეძებდნენ; ამერიკელი ინდიელების მსგავს ტრადიციულ საზოგადოებასთან, მითის, ლეგენდის არქაულ სამყაროსთან საზიაროს იჩემებდნენ; გამოიყენებდნენ თავისუფალ, უფრო სინტაქსურ და ორგანულ ფორმებს; მათი იმპულსი ლექსის შექმნისას სათქმელი თემიდან და პოეტის გრძნობიდან მომდინარეობდა; აგრეთვე სალაპარაკო ენის ბუნებრივი პაუზებიდანაც. როგორც ალენ გინზბერგი აღნიშნავდა „იმპროვიზირებულ პოეტიკაში", „პირველი აზრი საუკეთესო აზრია".

### ბლექმაუნთინის სკოლა

ეს სკოლა ჩამოყალიბდა ბლექმაუნთინ კოლეჯში. ეს იყო ექსპერიმენტალურ-ჰუმანიტარული კოლეჯი ეშვილში, ჩრდილო კაროლინის შტატში. ადრეულ 1950-იანებში აქ ასწავლიდნენ ჩარლზ ოლსონი, რობერტ დანკანი და რობერტ ქრილი; ედ დორნი, ჯოელ ოპენჰეიმერი და ჯონათან უილიამსი იქ სწავლობდნენ, ხოლო პოლ ბლეკბერნი, ლარი ეიგნერი და დენიზ ლევერტოვი თავის ნაწერებს ამ სკოლის ჟურნალებში – „ორიჯინ" და „ბლექმაუნთინ რევიუ" აქვეყნებდნენ. ეს სკოლა დაკავშირებულია ჩარლზ ოლსონის თეორიასთან

„გამოტყორცნილი ლექსი"; იგი ქადაგებდა ღია ფორმას, რომელიც მეტყველებისას ამოსუნთქვის პაუზის სპონტანურობაზე იყო დაფუძნებული, ხოლო წერისას საბეჭდი მანქანის სტრიქონზე.

რობერტ ქრილი (1926) წერს შეკუმშული, მინიმალისტური სტილით; იგი ბლექმაუნთინის სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი პოეტი იყო. ლექსში „გაფრთხილება" (1955) ქრილი გვიხატავს მძაფრ სასიყვარულო წარმოდგენას.

სიყვარულისთვის – მე შენ
თავს გაგიყოფ შუაზე და ჩაგიდგამ
სანთელს
თვალებს შორის.

ჩვენს შორის სიყვარული მკვდარია
თუ გვავიწყდება
თილისმის სიკეთე
და უეცარი სასწაული.

## სან-ფრანცისკოს სკოლა

სან-ფრანცისკოს სკოლა მოიცავს თითქმის მთელი დასავლეთის სანაპიროს პოეტებს; ეს სკოლა ბევრად იყო დავალებული აღმოსავლურ ფილოსოფიასა და პოეზიაზე, ისევე როგორც იაპონურ და ჩინურ პოეზიაზე. ეს არაა გასაკვირი, რადგან აღმოსავლური გავლენები შეერთებულ შტატებში ყოველთვის ძლიერი იყო. სან-ფრანცისკოს შემოგარენი, სიერა ნევადას მთები, დატყესილი სანაპირო ზოლი არაჩვეულებრივად მომხიბლავი და დიდებულია, ამიტომაც ამ მიდამოებიდან გამოსულ პოეტებს ბუნებისადმი განსაკუთრებულად ღრმა გრძნობა გააჩნიათ. მრავალი მათი ლექსი მთებს უმღერის ან მოგზაურობაზეა დაწერილი. მათი პოეზია შთაგონების წყაროს ბუნებისგან და ლიტერატურული ტრადიციებიდან იღებს.

სანფრანცისკოელი პოეტები არიან ჯეკ სპაისერი, ლორენს ფერლინგეტი, რობერტ დანკანი, ფილ უოლენი, ლიუ უელჩი, გერი სნაიდერი, კენეთ რექსროთი, ჯოან კაიგერი და დაიან დიპრიმა. ბევრი ამ პოეტთაგანი მუშათა წარმომადგენელია. მათი პოეზია ხშირად უბრალოა, ადვილად ასათვისებელი და ოპტიმისტური.

თავის საუკეთესო ნიმუშებში, როგორც ეს გერი სნაიდერის (1930) შემთხვევაშია, სანფრანცისკოს პოეზია იძლევა მოზომილ ბალანსს ინდივიდუალურსა და კოსმიურს შორის. სნაიდერის ლექსში „პეიტის ველის ზემოთ" (1955) აღწერილია მკვლევართა რაზმის მუშაობა მთებში, სადაც პოულობენ გამქრალი ინდიელი ტომების ნაქონ ობსიდიანის ისრის წვეტების რიგს.

მთებზე, რომლებზეც ნაფსულის გარდა
  მუდამ თოვლია,
მსუქანი ნაფსულის ირმის მიწაზე
დაბანაკდნენ. თავის
ნაკვალევზე. მე ჩემს ნაკვალევს
მივდევდი აქ. ავიღე ბურღი,
წერაქვი, ხოლი და ტომარა
დინამიტით სავსე.
ათი ათასი წელი.

## ბითის („ბითნიკი") პოეტები

სან-ფრანცისკოს სკოლა გადადის სხვა, ე.წ. ბითის (ბითნიკი) პოეტების დაჯგუფებაში; ისინიც 1950-იანებში ჩამოყალიბდნენ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტები სან-ფრანცისკოში აღმოსავლეთის სანაპიროდან ჩავიდნენ და აღიარება კალიფორნიაში მოიპოვეს. უდიდესი „ბითნიკი" პოეტები იყვნენ ალენ გინზბერგი, გრეგორი კორსო, ჯეკ კერუაკი და უილიამ ბაროუზი. „ბითნიკების" პოეზია ორალურია, გამეორებებით შესრულებული და წაკითხვისას ეფექტური. ეს ყოველივე გამოწვეული იყო იმით, რომ იგი განვითარდა „სარდაფის" კლუბებში პოეტური კითხვების შედეგად. ზოგიერთმა, საკსებით მართებულად, ეს პოეზია შეიძლება აღიქვას 1990-იანებში ასე ფართოდ გავრცელებული რეპის წინაპარად.

ბითის პოეზია შეერთებული შტატების ლიტერატურაში ყველაზე მეტად ანტი-ისტაბლიშმენტურია; მაგრამ გამაოგნებელი სიტყვების მიღმა ქვეყნის სიყვარული ძევს. მათი პოეზია არის ტკივილის და მრისხანების შეძახილი, რადგან ისინი ხედავენ, თუ როგორ კარგავს ამერიკა თავის უბიწობას, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებს.

ალენ გინზბერგის ლექსი „ყმუილი" (1956) ტრადიციული პოეზიის მიმართ რევოლუცია იყო:

მე დავინახე ჩემი თაობის
 საუკეთესო გონებანი
 ნადგურდებიან
 სიგიჟით, შიმშილობენ
 ისტერიული
 სიშიშვლით.
მიათრევენ საკუთარ თავს
 ზანგური ქუჩით ალიონზე
 ეძებენ ბრაზიან „წამალს".
ანგელოზისთავიანი ჰიპი
 იწვის უძველესი სამოთხის
 დამოკიდებულებით ვარსკვ-
 ლავებით
 მოქმედი
 დინამოსთან
 ღამის მანქანებში.

## ნიუ-იორკის სკოლა

„ბიტის" და სან-ფრანცისკოს პოეტებისგან განსხვავებით, ნიუ-იორკის სკოლის პოეტებს არ აინტერესებთ ზოგადი მორალური პრობლემები; ძირითადად ისინი პოლიტიკური საკითხებიდანაც შორს დგანან; სხვა ჯგუფებთან შედარებით ისინი ყველაზე განათლებულები არიან.

ამ ჯგუფის უმნიშვნელოვანესი ფიგურები ჯონ აშბერი, ფრენკ ოჰარა და კენეთ კოხი, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ, როდესაც ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ისინი სისხლით ხორცამდე ურბანისტული, ცივი, არარელიგიური, ენაკვიმატი და განსწავლულად მახვილგონიერნი არიან. მათი ლექსები დინამიკურია, ურბანისტული დეტალებით და შეუსაბამობებით სავსე; მათში თითქმის აშკარად ჩანს განელებული რწმენის გრძნობა.

ნიუ-იორკ სიტი ამერიკის ნატიფი ხელოვნების ცენტრია და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სამშობლო; ეს ყოველივე კი ამ პოეზიის შთაგონების ძირითადი წყარო იყო. ამ ჯგუფის პოეტთა უმეტესობა ხელოვნებათმცოდნე იყო ან მუზეუმის თანამშრომელი,



ალენ გინზბერგი

ფოტო © ჰალტონის არქივი

ან მხატვრებთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. აბსტრაქტული ხელოვნება კონკრეტული ფორმისა და მკაფიო შინაარსის წინააღმდეგია, ხოლო ნიუ-იორკის სკოლის პოეტები აბსტრაქტულ ხელოვნებას ქადაგებდნენ; შეიძლება ამიტომაცაა, რომ მათი ნაწარმოებები ხშირად ძნელი აღსაქმელია. ასეთია, მაგალითად, ჯონ აშბერის (1927) პოეზია; ის კი დღეს, ალბათ, ამერიკის ყველაზე გავლენიანი პოეტია.

აშბერის გამჭვირვალე პოეზია აზრებისა და ემოციების ჩანაწერია; ისინი ისე სწრაფად გაედინება გონებაში, რომ მათი მორდამორი გადმოცემა ძნელია. მისმა ცნობილმა პოემამ „ავტოპორტრეტი ამობურცულ სარკეში" (1975) სამი დიდი პრემია მოიპოვა; ივი აზრიდან აზრზე გადასრიალდება და ხშირად საკუთარ თავს უბრუნდება.

 გემი,
უცნობი ფერებით მფრინავი
 ნავსაყუდელში შევიდა.
შენ ნებასა რთავ უცხო ამბებს
რომ შენი დღე დაანაწევრონ...

## სიურეალიზმი და ეგზისტენციალიზმი

თავის ანთოლოგიაში დონალდ ალენი მეხუთე ჯგუფსაც მოიხსენიებს, მაგრამ ამ ჯგუფს სახელს ვერ უძებნის, რადგან ზუსტი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ვერ მოურგო. ეს გაურკვეველი ჯგუფი თანამედროვე მოძრაობებსა და ექსპერიმენტებს მოიცავს. მასში წამყვანია სიურეალიზმი, რომელიც გამოხატავს ქვეცნობიერს, ცოცხალი, სიზმრისეული სახეობრიობით; ამავე დროს, უკანასკნელ ხანს, ასევე მომრავლებულია პოეტ ქალთა და ეთნიკურ უმცირესობათა მიერ შექმნილი ნაწარმოებები. სიური-

ალისტების, ფემინისტების და ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედება გარეგნულად განსხვავებულია, მაგრამ ისინი ერთნაირად უპირისპირდებიან თეთრკანიან მამაკაცთა ლიტერატურის ძირითად ნაკადს.

ტ.ს. ელიოტმა, უოლეს სტივენსმა და ეზრა პაუნდმა 1920-იანი წლების ამერიკულ პოეზიაში სიმბოლისტური ტექნიკა შემოიტანეს; მაგრამ სიურეალიზმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგაც ევროპული პოეზიის და პროზის წამყვან ძალას წარმოადგენდა, ამერიკაში წარმოშობილი ფენომენი არ იყო. სიურეალიზმი (ისევე როგორც ეგზისტენციალიზმი) ამერიკაში მხოლოდ 1960-იანების შემდეგ დამკვიდრდა, – ვიეტნამის კონფლიქტის სტრესების შედეგად.

1960-იანებში, ბევრი ამერიკელი მწერალი, მათ შორის უ.ს. მერვინი, რობერტ ბლაი, ჩარლზ სიმიკი, ჩარლზ რაიტი და მარკ სტრენდი, მიუბრუნდნენ ფრანგ და განსაკუთრებით კი ესპანურ სიურეალიზმს; მათ იზიდავდათ აწკარა ემოციები, არქეტიპური საწყობრიობა და მისი ანტი-რაციონალური, ეგზისტენციალური შფოთის მოდელები.

სიურეალისტი მერვინი ეპიგრამებით წერდა: „ღმერთები არიან ისინი, რაც ჩვენგან არ გამოვიდა, თუ ნახე, რომ მეტი აღარ გწამს, – ტაძარი განაერცე.

ბლაის პოლიტიკური სიურეალიზმი მკაცრად აკრიტიკებდა ვიეტნამის პერიოდის ამერიკის ფასეულობებსა და საგარეო პოლიტიკას; ამის მაგალითია ლექსი „ბილების დედა გაშიშვლებულა ბოლოს და ბოლოს".



ჯონ ეშბერი

„რადგანაც ჩვენ გვაქვს ახალი
    შეფუთვა შებოლილი
    სამანწკებისთვის
ამიტომაც ორმოები ბომბებისგან წიდება მოუკრეფავ
    ბრინჯის ყანებში.

უფრო გავრცელებული სიურეალისტური გავლენა იყო მეტად წყნარი და მჭერეტელობითი. ასეთია, მაგალითად, ჩარლზ რაიტის „ახალი ლექსი" (1973).

არ დაესწრება ჩვენს მწუხარე-
    ბას
არ უთანაგრძნობს ჩვენს
    შვილებს
არ შეეძლება შეგვეწიოს.

მარკ სტრენდის სიურეალიზმი, მერვინის მსგავსად, ხშირად პირქუშია: იგი განსაკუთრებულ განცდებზე მეტყველებს. ასლა, როდესაც ტრადიციებმა, ფასეულობებმა და რწმენამ უღალატეს პოეტს, მას აღარაფერი დარჩა გარდა იმისა, რომ მიმართოს საკუთარ, გამოქვაბულივით სულს.

მე მაქვს გასაღები
ასე რომ, ვაღებ კარებს და
    შევდივარ.
ბნელა და შევდივარ
კიდევ უფრო ბნელა და
    შევდივარ.

## ქალები და მრავალეთნიკური პოეტები

ქალთა ლიტერატურამ, მსგავსად ეთნიკურ უმცირესობათა და სიურეალიზმის ლიტერატურისა, პირველად შეიგრძნო თავი ამერიკული ცხოვრების წამყვან ძალად გვიან 1960-იანებში. იგი აყვავდა ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ ფემინისტურ მოძრაობასთან ერთად.

ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურა, ისევე

როგორც უმეტეს სხვა ქვეყნებში, დიდხანს დაფუძნებული იყო მამაკაცური სტანდარტების მიხედვით; ის კი ხშირად ქედმაღლურად დასცქეროდა ქალთა წვლილს. ამავე დროს, ამერიკულ მწერლობაში მრავალი დიდებული პოეტი ქალია. ყველა მათგანი ფემინისტი არ არის და მათი თემაც აუცილებლად ქალურ პრობლემებს არ გულისხმობს. უფრო ხშირ შემთხვევაში ისინი ჰუმანისტები არიან;

ამავე დროს რეგიონალურმა, პოლიტიკურმა და რასობრივმა განსხვავებულობამ ჩამოაყალიბა მათი პოეზია და მათი საფიქრალს საზრდო მისცა. გამორჩეული ქალი პოეტები არიან ემი ქლემპიტი, რიტა დოუვი, ლუიზ გლუკი, ჯორი გრეჰემი, ქეროლინ კაიზერი, მექსინ კუმინი, დენიზ ლევერტოვი, ოდრი ლორდი, გერტრუდ შნაკენბერგი, მეი სვენსონი და მონა ვან დუინი.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი მულტიეთნიკური ლიტერატურის რენესანსის მოწმე გახდა. 1960-იანებიდან მოყოლებული, როდესაც აფრიკულ-ამერიკელთა შემოქმედება გამოიკვეთა, სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ამერიკული ლიტერატურა მკითხველთა ყურადღებას განსაზღვრავდა. 1970-იან წლებში ეთნიკური სწავლების პროგრამები, 1980-იანებში ეთნიკური ჯგუფებისადმი მიძღვნილი მრავალი აკადემიური ჟურნალი, პროფესიული ორგანიზაცია და ლიტერატურული ალმანახი შეიქმნა. 1990-იანებისათვის ჩატარდა კონფერენციები, რომლებიც დაეთმო სწორედ ეთნიკური ლიტერატურის შესწავლას; გაფართოვდა „კლასიკურის" ცნება და ანთოლოგიებსა და ლიტერატურის შესწავლის კურსებში შევიდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემოქმედებაც. მნიშვნელოვანი თემა გახდა რასის დამორჩილება ეთნიკურობისადმი, ევროცენტრიზმის დამორჩილება პოლიცენტრიზმისადმი, მონოლინგვალიზმის დამორჩილება ბილინგვალიზმისადმი და ერთმანეთთან მორგების დამორჩილება გამიჯვნისადმი. დეკონსტრუქციულობა მიუსადაგა როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ ტექსტსაც და სტატუს ქვო მარადიულ საკითხად აქცია.

ეთნიკურ უმცირესობათა პოეზია ასახავს ნაირფეროვნებას და ზოგჯერ ქალთა პოეზიის რისხვასაც კი. იგი განსაკუთრებით აყვავდა ესპანელ ამერიკელებში, როგორიც არიან: გერი სოტო, ალბერტო რიოს და ლორნა დი სერვანტესი; მკვიდრ ამერიკელებში: ლესლი მარმონ სილკო, საიმონ ორტიზი და ლუიზ ერდრიხი; აფრიკელ ამერიკელებში: ამირი ბარაკა (ლეროი ჯონსი), მაიკლ ჰარპერი, რიტა დოუვი, მაია ანჯელოუ და ნიკი ჯოვანი; აგრეთვე აზიელ ამერიკელებში ქეთი სონგი, ლოუსონ ინადა და ჯენის მირიკიტანი.



ემი კლემპიტი

ფოტო © [illegible]

## ჩიკანოს (ესპანურენოვანი) ლათინელების პოეზია

ესპანურის გავლენით შექმნილი პოეზია შეიცავს სხვადასხვანაირ ჯგუფებს. მათ შორის არიან მექსიკელი ამერიკელები, რომლებსაც 1950-იანი წლებიდან ჩიკანოს ეძახიან; ისინი, რამდენიმე თაობა ამერიკის სამხრეთ დასავლეთის შტატებში ცხოვრობენ: ეს ის ტერიტორიებია, რომლებიც ამერიკელებმა მექსიკა-ამერიკის 1848 წელს დამთავრებული ომის შედეგად დაიპყრეს. ესპანური წარმოშობის კარიბიელ მოსახლეობაში კუბელ ამერიკელებსა და პუერტორიკოელებს ცოცხა-

ლი და გამორჩეული ლიტერატურული ტრადიცია გააჩნიათ. ასე მაგალითად, კუბურ-ამერიკული კომედიური ხელოვნება განსხვავდება ჩიკანოს ელეგიური ლირიკულობისაგან, როგორც ეს რუდოლფო ანაიასთან გვხვდება. ახლახან ემიგრირებული მოსახლეობა მექსიკიდან, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკიდან, აგრეთვე ესპანეთიდანაც, მუდმივად ავსებს და ზრდის ამ ლიტერატურულ სფეროს.

ჩიკანოს ან მექსიკურ-ამერიკულ პოეზიას გააჩნია მდიდარი ზეპირსიტყვიერების ტრადიცია; ეს არის კორიდოს ან ბალადის ფორმა; ბოლო დროის გამოკვლევებში ხაზგასმულია მექსიკური თემის სიძლიერე და დისკრიმინაციაც, რომელსაც იგი განიცდის თეთრებისგან. ზოგჯერ ეს პოეტები ესპანურ და ინგლისურ სიტყვებს ერთმანეთში პოეტურად აჯვარებენ; ასე მაგალითად ალურისტა და გლორია ანზალდუების პოეზიაში. მათ შემოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენს ზეპირსიტყვიერების ტრადიცია; იგი საოცრად მძლავრია, როდესაც ხმამაღლა კითხულობენ.

ზოგიერთი პოეტი უპირატესად ესპანურად წერს; ისინი ეყრდნობიან თანამედროვე ამერიკის ყველაზე პირველ ეპიკურ ნაწარმოებს – გასპარ პერეზ დე ვილაგრას „ახალი მექსიკის ისტორია“-ს; მასში ნახსენებია 1598 წლის ბრძოლა ესპანელ დამპყრობლებსა და პუებლოს ტომის ინდიელებს შორის აკომაში, ნიუ მექსიკოს შტატში. თანამედროვე ჩიკანო პოეტის როდოლფო გონზალესის (1928) ლექსის „მე ვარ ხოაკინი“ (1972) ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ელეგიას ჩიკანოთა მძიმე ხვედრზე.



ნიკი ჯიოვანი

გაურკვევლობის სამყაროში
  დაკარგული
ჩათრეული გრინგოთა
  საზოგადოების
  ორომტრიალში.
დაბნეული წესებისაგან,
დამცირებული
  დამოკიდებულებით,
მანიპულაციებით
  დათრგუნული
და განადგურებული
  თანამედროვე
  საზოგადოებისაგან.

მიუხედავად ყოველივესი, ჩიკანო მწერლები სასიცოცხლო საზრდოს თავის ძველ მექსიკურ ფესვებში პოულობენ. მექსიკის დიდებულ წარსულზე ფიქრებითაა გამსჭვალული ლორნა დი სერვანტესის (1954) სტრიქონები, როდესაც იგი წერს, რომ „კორიდის ქალი“ მოსჩქეფს მის ვენებში; ხოლო ლუის ომარ სალინასი (1937) თავს „აცტეკ ანგელოზად“ წარმოადგენს. მეტი წილი ჩიკანოს პოეზია უაღრესად პიროვნულია: ოჯახის, თემის წევრთა გრძნობებს შეეხება. გერი სოტო (1952) გარდაცვლილ წინაპართა საპატივსაცემო უძველეს ტრადიციაზე წერს; მაგრამ 1981 წელს ნათქვამი ეს სიტყვები მთელი დღევანდელი ამერიკის მულტიკულტურული სიტუაციის აღწერას წარმოადგენს:

ერთი სანთელი ანთია
  გარდაცვლილთათვის
ორი სამყაროთი უფრო ადრე,
  ჩვენამდე.

ამჟამად ჩიკანოთა პოეზია ახალ მიღწევებს ზეიმობს; სერვანტესის, სოტოს და ალბერტო რიოს ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება ანთოლოგიებში.

# მკვიდრ ამერიკელთა პოეზია

მკვიდრი ამერიკელები შესანიშნავ პოეზიას ქმნიდნენ; ალბათ იმიტომაც, რომ შამანთა სიმღერის ტრადიცია მათ კულტურულ მემკვიდრეობაში სასიცოცხლო როლს თამაშობდა. მათი ნაწარმოებები გამორჩეულია ბუნებრივი სამყაროს ნათელი და ცხოველმყოფელი გაცოცხლებით; ხოლო ეს სამყარო, ზოგჯერ თითქმის მისტიკური ხდება. ინდიელი პოეტები აგრეთვე გამოთქვამენ სამუდამოდ დაგროვილი საკუთარი უძლურების მემკვიდრეობის ტრაგიკულ ხვედრს.

საიმონ ორტისი (1941) აკომა პუებლოს ტომის ინდიელია. მისი შთამბეჭდავი ლექსებიდან ბევრი ისტორიზმზეა აგებული. იგი აღწერს იმ წინააღმდეგობებს, რომლითაც დღევანდელ შეერთებულ შტატებში მკვიდრი ამერიკელი აწყდება. მისი პოეზია გამოწვევაა ინგლისელ კოლონიზატორთათვის, რადგან ხშირად ასხენებს მათ იმ უსამართლობასა და სისასტიკეს, რომელიც მკვიდრმა ამერიკელებმა განიცადეს ერთ დროს. მისი პოეზია ქვეყნის რასობრივ ჰარმონიას, რომელიც ღრმა ურთიერთგაგებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

თავის ერთ-ერთ ლექსში – „ვარსკვლავებიანი საბანი", ონეიდას ტომის ინდიელი რობერტა ჰილ უაიტმენი (1947) მულტიკულტურულ მომავალს წარმოიდგენს „ვარსკვლავებიან მოსასხამად, რომელიც ალიონის შუქით არის შეკერილი". ლესლი მერმონ სილკო (1948) ნახევრად ლაგუნა პუებლოს ტომის წარმომადგენელი, გამოიყენებს კოლოქვიალურ ენას და ტრადიციულ ამბებს, რათა მიმზიდველი, ლირიკული ლექსები შეკაზმოს. ლექსში „ცივი ქარიშხლის შუქი" (1981) სილკო, ლაგუნ ტომის რეზიდენციას აღწერს:



ამირი ბარაკა

ფოტო © [illegible]

> ბლანტი გაყინული ცილან
> ხშირად მორბის
> ეცემა
> ხის კენწეროების თავზე
> მორევში
> ცხენ ირემი გამოდის,
> მოძრაობს, მოძრაობს
> თეთრი სიმღერა
> ქარიშხალი ტოტებში.

ლუის ერდრიხი (1954) სილკოს მსგავსად, რომანისტია; იგი ქმნის მძლავრ ტრაგიკულ მონოლოგებს, რომლებიც შეკუმშული დრამის შთაბეჭდილებას ახდენენ. მათში შეუბრალებლადაა დახატული ოჯახები ჩიპევას რეზერვაციაში, რომლებიც სიღარიბეში, უმუშევრობაში და ალკოჰოლიზმის ტყვეობაში არსებობენ.

ლექსში „ოჯახში დაბრუნება" (1984) ლოთი და უხეში ბიძა ბრუნდება შინ ქალაქიდან, სადაც მან მრავალი წელი დაჰყო. მას გული აწუხებს და ამას ფარავს მისი ძმისშვილი გოგონა, რომელიც ამბავს ჰყვება და რომელიც ბიძის უხეშობის მსხვერპლია, ასხენებს, თუ როგორ მოუგდო ბიძამ მოშინდლილი კუ დიდი ხნის წინათ. ლექსის დასასრულში ბიძია რეის უკავშირებს კუს, რომელიც მისივე მსხვერპლი გახდა.

> როგორღაც შინისაკენ გზას
> დაადექით;
> ბიძა რეი
> ძველ სიმღერას უმღერის
> თავის სხეულს,
> რომელიც მას ექაჩება
> შინისაკენ. მისი ხელები
> გადაიქცა
> ნაცრისფერ ფარფლად
> და ძვლები ჩაიხრაშნა
> (მანქანის) ფრთაზე. მის სახეს
> აქვს უცნაური, უწყინარი
> სიმშვიდე

ბავშვისა, რომელიც, როგორც
  წესი,
ჭრილობებს არაფრად აგდებს
  ან
არსებისა, რომელიც დღესაც
ცხოვრობდა წყალქვეშ. და
  ანგელოზები მიდიან
დაბლა უშვებენ თავის
    მერიდულისა და ხალისს.

## აფრიკულ-ამერიკული პოეზია

თანამედროვე შავკანიანმა ამერიკელებმა შექმნეს მრავალი ულამაზესი პოეტური ნიმუში, რომელიც თემათა და ტონალობის დიდ მრავალფეროვნებას იძლევა. ეს არის უნიკური მწერლობის ყველაზე განვითარებული და უაღრესად მრავალფეროვანი განშტოება. ამირი ბარაკა (1934), ყველაზე ცნობილი აფრიკელი ამერიკელი პოეტი, წერს პიესებსაც და აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკაშიც. მაია ანჯელოუს (1928) ნაწარმოებები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრებს მოიცავენ; ეს არის დრამატურგია, ცნობილი მემუარები, „ვიცი რატომ გალობს გალიაში გამომწყვდეული ჩიტი" (1970) და პოეზიის კრებულიც „ერთი ცივი წყალი მომაწოდე სანამ მოვკვდებოდე" (1971). ანჯელოუ აირჩიეს, რათა მას დაეწერა ლექსი პრეზიდენტ ბილ კლინტონის ინაუგურაციისათვის 1993 წელს.

სხვა, ახლახან აღიარებული აფრიკელი ამერიკელი პოეტია რიტა დოუვი (1952); იგი 1993 წელს შეერთებული შტატების პოეტ ლაურეატად იქნა აღიარებული. დოუვი პროზას და დრამასაც ქმნის; 1987 წელს მან დაიმსახურა პულიცერის პრემია კრებულისთვის „თომასი და ბიულა"; ეს არის ბებიისა და ბაბუისადმი მიძღვნილი ლირიკული ლექსების ციკლი, სადაც იგი მათ ხოტბას



მაია ანჯელოუ

ფოტო © [illegible]

ასხამს. მან თქვა, რომ ამ ლექსებს იგი უბრალო ხალხის მდიდარი სულიერი ცხოვრების გამოსამზეურებლად ქმნიდა.

მის მსგავსად, მაიკლ ჰარპერი (1938-) წერს ლექსებს, რათა დასახოს აფრიკელ-ამერიკელთა რთული ცხოვრება, რომელიც დისკრიმინაციასა და სისასტიკეს ეფინება. მისი შეკუმშული, ალუზიებით სავსე ლექსები ხშირად შეეხება თავის ან ხალხმრავალი ქალაქის ცხოვრების დრამატულ სცენებს. მასში გამოყენებული ქირურგიული სიზუსტე მკურნალობის მიზნით. მისი კრებული „კლასის შეხვედრა. დაბადებანი და კრები: სახლის სიმღერა" (1971) მზრუნველობას ქირურგიის ამსგავსებს („ჩიროვის მოვლა სხვის მეშვეობით"). იგი ასე იწყება: „ჩვენ აღვადგენთ ხიდისებურ ინტენსიური ზრუნვის განყოფილებაში, ერთმანეთის მიკერება ბუჟეტში". ლექსი მთავრდება სურათით, სადაც ერთმანეთის შეხვედრა საავადმყოფო, რასაც – ადრინდელი ამერიკული ფილმიდან „ერის დაბადება", კუკლუქს კლანი, ფილმის მისტიკა და რენტგენის ტექნოლოგია:

ჩვენი ტვინი ნეგატივივით,
  როგორც
 კინოამარატი,
ყური ზედმეტად დახსნილი
რენტგენით
ორმაგი კარით გადაკეტილი
მუქის მოციქული: რასა და
  სქესი
ეხვევა კოჭს და რეკავს
  გახარებით;
ვიღებთ ჩვენ შეკვრას და
  მიკერებით
 შინისაკენ.

ისტორია, ჯაზი და ხალხური კულტურა მრავალი აფრიკელი ამერიკელის აღმაფრენის წყარო

განდა; მათ რიცხვში არიან კოლეჯის პროფესორი ჰარპერიც და აგრეთვე დასავლეთ სანაპიროს გამომცემელი და პოეტი იშმაელ რიდიც (1938); ეს უკანასკნელი ცნობილია იმით, რომ მულტიკულტურულ ნაშრომებს პოპულარიზაციას უწევდა ორგანიზაციის „კოლუმბამდე ფაუნდეიშენის" მეშვეობით. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისი ჟურნალებიც „იარბერდი", „ქილტი" და „კონჩი". ბევრი აფრიკელ-ამერიკელი პოეტი და მათ შორის ოდრი ლორდე (1934-1991) აფროცენტრიზმით საზრდოობს. მისი აზრით, უძველესი დროიდან მოყოლებული, აფრიკა ცივილიზაციის ცენტრია. ემოციურ ლექსში „ქალბატონები ხმლებით ცეკვავენ, რათა აღნიშნონ ის დრო, როცა მეომრები იყვნენ", იგი უძველესი დაჰომეის მეომარ ქალებზე წერს: „ვათბობ რასაც შევეხები" და „ვანადგურებ მხოლოდ იმას, რაც უკვე მკვდარია".

## აზიურ-ამერიკული პოეზია

ჩიკანოსა და ესპანურენოვანი მწერლების მსგავსად, აზიურ-ამერიკული პოეზიაც არაჩვეულებრივად ნაირფეროვანია. იაპონური, ჩინური ან ფილიპინური წარმოშობის ამერიკელები შეერთებულ შტატებში, შესაძლოა, უკვე შვიდ თაობაზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ; რაც შეეხება კორეული, ტაილანდური და ვიეტნამური წარმოშობის ამერიკელებს, ისინი შედარებით უფრო ახლო წარსულის ემიგრანტები არიან. ყოველი ეს ჯგუფი აღმოცენდება ძალზე გამოკვეთილი ლინგვისტური, ისტორიული და კულტურული ტრადიციისაგან. აზიურ-ამერიკულ ლიტერატურაში ამჟამად მიმდინარე პროცესები ძირითად აქცენტს წყნარი ოკეანის სანაპიროსა და ქალ მწერალთა წარმომადგენლების შემოქმედების შესწავლაზე აკეთებენ. აზიურ-ამერიკელი მწერლები, როგორც წესი, თავს იკავებენ იმისგან, რათა რასობრივი სტერეოტიპი აზიურს დაუახლოვონ და დაუმკვიდრონ „ეგზოტიკური" ან „კეთილი" უმცირესობის ხატი. ესთეტიკოსები იწყებენ აზიური და დასავლური ლიტერატურული ტრადიციების შედარებას; მაგალითად, ადარებენ ერთმანეთს „ტაოს" და „ლოგოს" კონცეფციებს.

აზიურ-ამერიკული ლიტერატურა მრავალი წყაროდან საზრდოობს; ჩინური ოპერიდან დაწყებული ძენ ბუდიზმით დამთავრებული; აზიური ლიტერატურული ტრადიციები, განსაკუთრებით კი ძენ ბუდიზმი, მრავალი აზიელი პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. ამის დასტურია 1991 წელს გამოცემული ანთოლოგია: „ერთი მთვარის ქვეშ: ბუდიზმი თანამედროვე ამერიკულ პოეზიაში". აზიურ-ამერიკელი პოეტები მოიცავენ სპექტრს ხატთმებრძოლის პოზიციიდან, ტრადიციის მადლიერ გამოყენებამდე. პირველის მაგალითის წარმოადგენს ფრენკ ჩინი, რომელიც ადრეული აზიურ-ამერიკული ლიტერატურის ანთოლოგიის „აიი!" თანაგამომცემელია; ხოლო მეორე პოზიციას გამოხატავს რომანისტი მაქსინ ჰონგ კინგსტონი (1940). მწერალი ჯენის მირიკიტანი მესამე თაობის იაპონელ-ამერიკელია, ე.წ. სანსეი; იგი იაპონურ-ამერიკული ისტორიის ფურცლებს აცოცხლებს და რამდენიმე ანთოლოგია გამოსცა. „მესამე სამყაროს ქალი" და „აიუმი: იაპონელთა ოთხი თაობა ამერიკაში".

ჩინელი-ამერიკელი ქეთი სონგი (1955) თავის ლირიკაში „სურათის პატარძალი" (1983) დრამატულად აღწერს თავისი ოჯახის ცხოვრებას. ბევრი აზიელ-ამერიკელი პოეტი კულტურულ განსხვავებულობას აღწერს. სონგის „ბოსტნეულის ჰაერი" ხატავს ერთ გაუბედურებულ სოფელს, სადაც მთავარ მოედანზე საძოვრად გამოსული ძროხები, ჩინური რესტორანი და კოკა კოლას მობრეცილად ჩამოკიდებული რეკლამა წარმოადგენს თანამედროვე, ფესვებგარეშე არსებული მულტიკულტურული ცხოვრების ემბლემას. ამ ყოველივეს გასაძლისს ხდის ხელოვნება – ამ შემთხვევაში მაგნიტოფონის კასეტაზე ჩაწერილი ოპერა:

შემდეგ ნაცნობი არია,
რომელიც მთვარესავით ამოცურდება.
საკუთარი თავიდან ამოგაფრენს
სხვა სამყაროში გადაგიყვანს
სადაც, წამიერად, მსუბუქად მოგზაურობ.

## ახალი მიმართულებანი

თანამედროვე მიმართულებანი ამერიკულ პოეზიაში მოიცავენ „ენის პოეტებს", რომლებიც, მეტნაკლებად, დაკავშირებული იყვნენ ჟურნალთან „ტემბლორი". მათ შორის იყვნენ ბრიუს ენდრიუსი, ლინ ჰეჯინიანი, დაგლას მესერლი [(ანთოლოგია: „ენის" პოეზია, 1987) გამომცემელი], ბობ პერელმანი და ბარეტ უოტენი –

ესეების კრებულის „ტოტალური სინტაქსი" (1985) ავტორი. ისინი აიძულებენ ენას ქაოსის პირობებში გამოამჟღავნოს თავისი პოტენციალი ორაზროვნების, ფრაგმენტირების და საკუთარი უფლებების დასაცავად. ისინი ირონიულნი და პოსტმოდერნისტულნი არიან; უარყოფენ „მეტაენას" – იდეოლოგიას, დოგმას, პირობითობას და ეჭვს გამოთქვამენ ტრანსცენდენტური რეალობის არსებობის თაობაზე. მაიკლ პალმერი წერს:

ეს სამოთხეა, ობმოკიდებული
წიგნი
სახლში დიდხანს დატოვებული.

ბობ პერელმანი ასე იწყებს თავის ლექსს – „ქრონიკის მნიშვნელობანი".

ერთი ფაქტი მატერიაა
ხუთ სიტყვას მხოლოდ თქმა
შეუძლია.
შავი ზეცა ღამით, მისაღებია.
მე ვარ ირაციონალური
ნალექი...

**თანამედროვე მიმართულებანი ამერიკულ პოეზიაში მოიცავენ „ენის პოეტებს", რომლებიც მეტნაკლებად დაკავშირებული იყვნენ ჟურნალთან „ტემბლორი"... ისინი აიძულებენ ენას ქაოსის პირობებში გამოამჟღავნოს თავისი პოტენციალი ორაზროვნების, ფრაგმენტირების და საკუთარი უფლებების დასაცავად. ისინი ირონიულნი და პოსტმოდერნისტულნი არიან, უარყოფენ „მეტაენას", იდეოლოგიას, დოგმას, პირობითობას — და ეჭვს გამოთქვამენ ტრანსცენდენტური რეალობის არსებობის თაობაზე.**

ისინი ხელოვნებასა და ლიტერატურას თანდაყოლილად იდეოლოგიზირებულად აღიქვამენ და ამიტომაც უარყოფენ მოდერნიზმის დახშულ ფორმებს, იერარქიას, ეპიფანიის და ტრანსცენდენტურობის იდეებს, უაზრო და კანონიკურ ტექსტებს [აღიარებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს]. სამაგიეროდ, ისინი ქადაგებენ ღია ფორმებს და მრავალკულტურულ ტექსტს. ისინი ითვისებენ ხატებს ხალხური კულტურიდან, მედიიდან, აკეთებენ და გადააკეთებენ ხოლმე ყოველივეს. როგორც ესტრადიდან წარმოდგენილი პოეზია, „ენის" ლექსები არ იგუებენ ინტერპრეტაციას და მასში მონაწილეობას გვთავაზობენ.

ესტრადიდან წაკითხვაზე ორიენტირებული პოეზია (რაც ასოცირებულია ისეთ კომპოზიტორთან, როგორიცაა ჯონ ქეიჯი), ჯაზის იმპროვიზაციები, მედიის ნიმუშებთან აღრევა და ევროპული სიურეალიზმი ამერიკის მრავალ პოეტზე ახდენს გავლენას. მათ შორის გამორჩეულია ლორი ანდერსონი, რომელიც არის საერთაშორისოდ აღიარებული პიესის (პოპულარული ნაწარმოების) „შეერთებული შტატები" (1984) ავტორი. იგი გამოიყენებს ფილმს, ვიდეოს, აკუსტიკას და მუსიკას, ქორეოგრაფიას და კომპიუტერის ხანის ტექნოლოგიას. ჟღერად პოეზიას, რომელიც ხაზს უსვამს ხმას და ინსტრუმენტებს, გამოიყენებს პოეტი დევიდ ენტინი (რომელიც საკუთარ წარმოდგენებს იმპროვიზაციაზე აწყობს); აგრეთვე ნიუიორკელები ჯორჯ ქუაშა (სტეიშნ ჰილ პრესის გამომცემელი), არმანდ შვერნერი და ჯექსონ მაკლოუ. ეს უკანასკნელი, ასევე, წარმოადგენს ვიზუალურ და კონკრეტულ პოეზიასაც – ეს არის ვიზუალური წი-

ნადადება განლაგებული ტიპოგრაფიულად. ეთნიკური პოეზიის წარმოდგენები რეპის მუსიკის საერთო ნაკადს შეუერთდნენ; მთელს შეერთებულ შტატებში იმართება „პოეტური სლემი" – ღია პოეტური კითხვა-შეჯიბრი, რომელიც მიმდინარეობს სამხატვრო გალერეებში და წიგნის მაღაზიებში; ეს გადაიქცა ხელმისაწვდომ, მაღალი რანგის გასართობში მონაწილეობის საშუალებად.

ამ თეორიული სპექტრის საწინააღმდეგო მხარეს თავი მოიყარეს „ახალმა ფორმალისტებმა", რომლებიც ქადაგებენ ფორმასთან, რითმასთან და მეტრთან დაბრუნებას. ეს ჯგუფები ეპასუხებიან ერთსა და იმავე პრობლემას – ჩამოყალიბებული სტატუს კვოის თვითკმაყოფილებას, ფრთხილ და უღირსად შელამაზებულ ჟღერადობას, რომელიც ხშირად პოეტური სახელოსნოს პირმშოა, პირადული ლირიკით გატაცებას, რაც მოქალაქეობრივ პოზიციას ეწინააღმდეგება. ფორმალური სკოლა დაკავშირებულია სტორი ლაინ პრესთან, დანა ჯიოიასთან (პოეტი ბიზნესმენი); აგრეთვე ფილიპ დეისისთან და დევიდ ჯოუსთან, რომლებიც არიან კრებულის „მკაცრი ზომები: ტრადიციული ფორმის თანამედროვე ამერიკული პოეზია" (1986) ავტორები და რედაქტორები; მათ გარდა ბრედ ლეითჰაუზერთან და გიერტრუდ შნაკენბურგთან. რობერტ რიჩმანის წიგნი „პოეზიის მიმართულება: 1977 წლიდან რითმით და მეტრით ინგლისურად შექმნილი ლექსი" – არის ბოლოდროინდელი ანთოლოგია. თუმცა ამ პოეტებს აბრალებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის თემებთან უკან დაიხიეთო, ისინი ხშირად აპყრობენ თავის ყურადღებას თანამედროვე საკითხებსა და სატოეანებას; თანაც გამოიყენებენ მუსიკალურ ენას და ტრადიციულ, შეკრულ ფორმებს.

# თავი 8

## ამერიკული პროზა 1945 წლიდან რეალიზმი და ექსპერიმენტები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პროზა განზოგადებას არ ექვემდებარება: იგი ძალზე ნაირფეროვანი და მრავალსახოვანია. მას აცოცხლებდა ისეთი საერთაშორისო მიმდინარეობანი, როგორიცაა ევროპული ეგზისტენციალიზმი და ლათინური ამერიკის ჯადოსნური რეალიზმი; ამავე დროს ელექტრონულმა ერამ მას ახალი სამყარო შეუქმნა. ტელევიზიის შესაძლებლობებმა ზეპირსიტყვიერებას ახალი სიცოცხლე შთაბერეს. ორალურმა ჟანრებმა, მასმედიამ და ხალხურმა კულტურამ დიდი გავლენა იქონიეს პროზაზე.

წარსულში ხალხურ კულტურას განაპირობებდა ელიტარული კულტურა თავისი სტატუსითა და თვალსაჩინოებით. დღეს შეერთებულ შტატებში საწინააღმდეგო ხდება. სერიოზული ავტორები, როგორიცაა თომას პინჩონი, ჯოის კეროლ ოუტსი, კურტ ვონეგუტ უმცროსი, ელის უოკერი და ე.ლ. დოქტოროუ ხშირად ესესხებიან ფორმას და გამოიყენებენ თავის ნაწერებში კომიქსებს, ფილმებს, მოდებს, სიმღერებს და ზეპირსიტყვიერებას.

ამის თქმა თანამედროვე ლიტერატურის გაუფასურებას არ გულისხმობს. ამერიკელი მწერლები სერიოზულ საკითხებს წამოჭრიან, ბევრი მათგანი მეტაფიზიკური ბუნებისაა. მწერლები უამრავ სიახლეს გვთავაზობენ; ძალზე პასუხისმგებელნი და თანამგრძნობნი გახდნენ. ხშირად მათ ტრადიციული ფორმები არასაკმარისად მიაჩნიათ და ხალხურ მასალას მიმართავენ მეტი სიცოცხლის ძიებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: უკანასკნელი დეკადების ამერიკელმა მწერლებმა განავითარეს პოსტ-მოდერნული გრძნობადობა; მათ თვალსაზრისს მოდერნისტული რესტრუქტურიზაცია უკვე აღარ აკმაყოფილებს, მათ ურჩევნიათ ახლებურად წარმოაჩინონ დანახულის შინაარსი.

## რეალისტური მემკვიდრეობა და გვიანი ორმოციანები

ისევე როგორც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, მეორე ნახევარშიც პროზა ცალკეული დეკადის თავისებურებას აირეკლავს. გვიანმა ორმოციანებმა ასახეს მეორე მსოფლიო ომის შედეგები და ცივი ომის დასაწყისი.

მეორე მსოფლიო ომმა საუკეთესო მასალა შესთავაზა მწერლებს. ნორმან მეილერმა („გაშიშვლებული და მკვდარი", 1948) და ჯეიმზ ჯონსმა („აქედან მარადიულობამდე", 1951) ეს ყველაზე კარგად გამოიყენეს. ორივე მათგანმა მოიმარჯვა რეალიზმი, რომელიც დაუნდობელ ნატურალიზმს უახლოვდება; ორივე მათგანი ბევრს ეცადა, რომ ომი არ ედიდებინათ. იგივე ითქმის ირვინ შოუს ნაწარმოებზე „ახალგაზრდა ლომები", 1948. ჰერმან ვუკი „კეინის ჯანყში" 1951, გვიჩვენებს, რომ ადამიანური სისუსტეები ისევე თვალსაჩინოა ომის დროს, როგორც მშვიდობიანობის ჟამს. მოგვიანებით, ჯოზეფ ჰელერმა მეორე მსოფლიო ომი სატირული და აბსურდული სახით დახატა (ქეჩ – 22, 1961); იგი აზრს გამოთქვამს, რომ ომი სიგიჟით იმართება. თომას პინჩონმა მოგვცა ჩახლართული, მაგრამ ბრწყინვალე პაროდია, სადაც რეალობის სხვადასხვა ვერსიების ადგილმონაცვლეობა გამოიყენა („მიზიდულობის ცისარტყელა", 1973); კურტ ვონეგუტ უმცროსი კონტრკულტურის ერთ-ერთი ნათელ გაელვებას წარმოადგენდა ადრეულ სამოცდაათიანებში; მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა „მეხუთე სასაკლაო, ანუ ბავშვთა ლაშქრობა", 1969; ეს იყო ომის საწინააღმდეგო რომანი. მოკავშირეთა მიერ გერმანიის ქალაქ დრეზდენის დაბომბვის შესახებ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს (ამ ამბის თვითმხილველი იგი თვითონ იყო, როგორც სამხედრო ტყვე გერმანიაში).



რობერტ პენ უორენი

ფოტო © ნენსი კრემპტონი

1940-იანებმა ასევე მწერალთა ახალი თაობის აღმოცენება: ესენი იყვნენ პოეტი-რომანისტ-ესეისტი რობერტ პენ უორენი, დრამატურგები არტურ მილერი და ტენესი უილიამსი; ნოველისტები ქეთრინ ენ პორტერი და იუდორა უელთი. ყველანი, მილერის გარდა, სამხრეთიდან იყვნენ. ყველა მათგანი განიხილავდა პიროვნების ბედს ოჯახის ან საზოგადოების გარემოცვაში; ისინი ძირითად ყურადღებას პიროვნების ნდომასა და საზოგადოების ჯგუფურ პასუხისმგებლობას შორის არსებულ ბალანსზე აქცევდნენ.

### რობერტ პენ უორენი (1905-1989)

რობერტ პენ უორენი ერთ-ერთი ე.წ. სამხრეთელი „გაქცეულთაგანი" იყო. მისი წარმატებული კარიერა თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. იგი ისტორიულ კონტექსტში არსებულ დემოკრატიული ფასეულობებით დაინტერესებას ამჟღავნებდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მისი ყველაზე გამძლე რომანი გამოდგა „მთელი სამეფოს კარისკაცობა", 1946; მასში ამერიკული ლიდერების მუქი მხარეებია გამომზეურებული. ესაა გაიდეალებული და ბოროტი სამხრეთელი სენატორის, ჰიუი ლონგის კარიერის თხელი სუდარით მოცული ანარეკლი.

### არტურ მილერი (1915)

დრამატურგი, ესეისტი, რომანისტი და ბიოგრაფიების ავტორი არტურ მილერი ნიუ-იორკში დაიბადა. მან თავისი შემოქმედების მწვერვალს 1949 წელს მიაღწია, როდესაც გამოსცა ნაწარმოები

„გამყიდველის სიკვდილი". ეს გახლავთ ადამიანის ცნობიერების ფენისა და ხსოვნის ძალა და მისი რეალიზაცია, რასაც უცილობლად გამოჰყავს წარუმატებლობა. ლომანების ოჯახში მიმდინარე ამბავი მამასა და შვილებს შორის არსებულ დაძაბულ დამოკიდებულებას და ასევე ცოლქმრულ ურთიერთობას გადმოგვცემს. ეს არის 1940-იანი წლების ლიტერატურული გმირების ანარეკლი – რეალიზმთან ოდნავ შესისხლხორცებული ნატურალიზმის კომბინაცია; მასში დახვეწილად და სრულად არის დახატული პერსონაჟები; ხაზგასმულია პიროვნულ ფასეულობათა აუცილებლობა წარუმატებლობისა და შეცდომების მიუხედავად. „გამყიდველის სიკვდილი" წარმოადგენს უბრალო კაცისადმი მიმართულ შთამბეჭდავ სადღეგრძელოს, რომელსაც უილი ლომანის ქვრივი სიტყვას ასხამს და ამბობს, რომ „მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს". ნაწარმოები მწარეა და პირქუშიც, იგი ოცნებების თავგადასავალსაც წარმოადგენს. როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი ირონიულად წარმოთქვამს, „გამყიდველმა უნდა იოცნებოს, ჩემო კარგო, მისი საქმიანობიდან გამომდინარე".

„გამყიდველის სიკვდილი" თვალსაჩინო ქმნილებაა, მაგრამ იგი მილერის მიერ რამდენიმე დეკადის განმავლობაში დაწერილ დრამათა შორის მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს; ხოლო ამ ნაწარმოებთა რიცხვს კი ეკუთვნის „ყველა ჩემი ვაჟიშვილი" (1947) და „მძიმე გამოცდა" (1953). ორივე მათგანი პოლიტიკური ნაწარმოებია: ერთი თანამედროვე, ხოლო მეორე კი კოლონიალური პერიოდის ამბავს აღწერს. პირველი მათგანი შეეხება მწარმოებელს, რომელმაც იცის, რომ მისი ქარხანა დეფექტურ ნაწილებს ამზადებს, მაგრამ მაინც უგზავნის თვითმფრინავის მწარმოებელ კომპანიებს მეორე მსოფლიო ომის დროს; ამის შედეგად იღუპება მისი ვაჟიშვილი და სხვა მფრინავებიც.

„მძიმე გამოცდა" აღწერს მე-17 საუკუნის სასამართლო პროცესს სეილემში (მასაჩუსეტსის შტატი), როდესაც ჯადოქრობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს პურიტანელი ახალმოსახლეები. ამ ნაწარმოების მიზანი მიმართული იყო „კუდიანებთან ბრძოლის" დევიზით უდანაშაულო ხალხის დევნის წინააღმდეგ, რაც დემოკრატიული სისტემების უბედურება იყო. ავტორის ეს მისია შეესაბამებოდა იმ ეპოქას, როდესაც ეს პიესა იდგმებოდა, ადრეულ 1950-იანებში. ამ დროს აშშ-ს სენატორმა ჯოზეფ მაკკარტიმ და სხვებმა წამოიწყეს ჯვაროსნული ლაშქრობა ანტი-კომუნიზმის დევიზით და მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს.



ტენესი უილიამსი

ფოტო © [illegible]

## ტენესი უილიამსი (1911-1983)

ტენესი უილიამსი წარმოშობით მისისიპიდან იყო. იგი მეოცე საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი ყველაზე რთულ პიროვნებას წარმოადგენდა ამერიკის ლიტერატურაში. მისი ნაწარმოებები გამოხატავენ ამაღელვებელ ემოციებს და განუხორციელებელ სექსუალურობას ძირითადად სამხრეთული ოჯახების ფარგლებში. იგი ცნობილი იყო თავისი ჯადოსნური გამეორებებით, სამხრეთული პოეტური დიქციით, იდუმალი გოთიკური გარემოცვის გადმოცემით და სექსუალური სურვილების ფრეიდისტული ძიებებით. იგი იყო ერთ-ერთი პირვე-

ლი ამერიკელი მწერალი, რომელიც არ მალავდა თავის ჰომოსექსუალიზმს. იგი ხსნიდა, რომ მისი ტანჯული პერსონაჟების სექსუალურობა მათი სიმარტოვის გამომხატველია. მისი გმირები ცხოვრებისაგან განაწამები ადამიანები არიან.

უილიამსმა ოცზე მეტი სრულტანიანი დრამატურგიული ნაწარმოები შექმნა. ბევრი მათგანი ავტობიოგრაფიული იყო. მან თავისი მოღვაწეობის მწვერვალს შედარებით ასალგაზრდამ მიაღწია 1940-იანებში; ეს იყო მისი პიესები „შუშის სამხეცე" (1944) და „სურვილის ტრამვაი" (1947). ამის შემდგომ, მის ნაწარმოებთაგან არც ერთს არ მიუღწევია ასეთი სისავსისა და წარმატებისათვის.

ქეთრინ ენ პორთერი (1890-1980)

ქეთრინ ენ პორთერის სანგრძლივმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ მრავალი ერა მოიცვა. მისი პირველი წარმატებული მოთხრობა „აყვავებული იუდა" (1929) რევოლუციისდროინდელ მექსიკაში მიმდინარეობს. ლამაზად აწყობილი მოთხრობები, რომლებმაც მას სახელი მოუხვეჭეს, ფაქიზად აღწერდნენ პიროვნულ თავგადასავლებს. ასე მაგალითად, „გრენი უეზეროლის სასიყვარულო თამაშობანი" უსაზღვრო ემოციებს დიდი დახვეწილობით გადმოგვცემენ. ავტორი ხშირად ამზეურებს ქალის შინაგან გამოცდილებას და მამაკაცზე მის დამოკიდებულებას.

პორთერი ბევრად იყო დავალებული ახალზელანდიური წარმოშობის მწერალი ქალის ქეთრინ მენსფილდის მოთხრობებისგან. პორტერის მოთხრობების კრებულებია: „აყვავებული იუდა" (1929), „შუადღის ღვინო" (1937), „ფერმკრთალი ცხენი, ფერმკრთალი მხედარი" (1939), „გადმოხრილი კოშკი" (1944) და „მოთხრობათა კრებული" (1965). 1960-იანების დასაწყისში მან დაწერა გრძელი ალეგორიული რომანი მარადიულ თემაზე – ადამიანების პასუხისმგებლობაზე ერთმანეთის მიმართ. მას ეწოდებოდა „სულელთა გემი" (1962). მისი მოქმედება მიმდინარეობს გვიან 1930-იანებში გემზე, სადაც მოგზაურობენ ნაცისტური ქვეყნიდან გამოქცეული ლტოლვილებიცა და მაღალი კლასის წარმომადგენლებიც.

პორთერი ბევრს არ წერდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან გავლენა მოახდინა მწერალთა მთელს თაობებზე; მათ შორის არიან მისი სამხრეთელი კოლეგები იუდორა უელთი და ფლანერი ო'კონორი.



ეუდორა ველთი

იუდორა უელთი (1909)

იუდორა უელთი მისისიპის შტატში დაიბადა, შეძლებულ ოჯახში, რომელიც ადრე ჩრდილოეთიდან გადმოსახლდა. მის შემოქმედებას რობერტ პენ უორენი და ქეთრინ ენ პორთერი მფარველობდნენ. ამ უკანასკნელმა იუდორა უელთის მოთხრობების პირველ კრებულს „მწვანე ფარდა" (1941) წინასიტყვაობა უძღვნა. უელთი თავისი ნაწარმოებების მაგალითად პორთერს იყენებდა, მაგრამ მას უფრო კომიკური და გროტესკული სახეები აინტერესებდა. ადრე გარდაცვლილი ფლანერი ო'კონორის მსგავსად, იგი თავისი პერსონაჟების დასახატად ხშირად ნორმალურიდან გადახვეულ, ექსცენტრიულ და განსხვავებულ ტიპაჟებს ირჩევს.

მიუხედავად გარკვეული სიმძაფრისა, უელთის მასწავლებლობაც ძირითადად ჰუმანური და პოზიტიურია; ასეთია, მაგალითად, მისი ხშირად ანთოლოგიზი-

რებული მოთხრობა „რატომ ვმუშაობ ფოსტაში“. მასში ჯიუტი და დამოუკიდებელი ქალიშვილი სახლიდან მიდის ერთ ციცქნა საფოსტო განყოფილებაში საცხოვრებლად. უელთის მოთხრობათა კრებულებია: „ფართე ბადე“ (1943), „ოქროსფერი ვაშლები“ (1949), „ინისფოლენის საპატარძლო“ (1955) და „მთვარის ტბა“ (1980). უელთს დაწერილი აქვს, აგრეთვე, რომანებიც. „დელტას ქორწილი“ (1946), რომელიც დღევანდელი პლანტატორის ოჯახის თავგადასავალს აღწერს და „ოპტიმისტი ქალიშვილი“ (1972).

## უხვი, მაგრამ გაუცხოებული 1950-იანები

1950-იანმა წლებმა იხილეს მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიის დაგვიანებული შედეგები ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც 1920-იანების, დიდი დეპრესიის წინა პერიოდის ნარჩენი პროცესი იყო. მეორე მსოფლიო ომმა ამერიკის შეერთებული შტატები დეპრესიიდან გამოიყვანა, ხოლო 1950-იანებმა უმეტეს ამერიკელს მისცა საშუალება სიამოვნება მიეღო დიდი ხნის ნანატრი მატერიალური კეთილდღეობის შედეგებით. ბიზნესმა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ-კორპორირებულ სამყაროში, ადამიანებს შეუქმნა უდარდელი ცხოვრების პირობა (როგორც წესი, გარეუბნებში) მისი რეალური და სიმბოლური ნიშნებით: სახლით, მანქანით, ტელევიზორითა და სხვადასხვა საოჯახო ტექნიკით.

მაგრამ მაინც დომინირებული თემა სიმარტოვე იყო. საზოგადოების უსახური წარმომადგენელი კაცი გადაიქცა კულტურულ სტერეოტიპად, როგორც ეს გვიჩვენა სლოუნ უილსონმა თავის ბესტსელერ რომანში „კაცი ნაცრისფერი ფლანელის კოსტიუმში“ (1955). განზოგადებული ამერიკელის გაუცხოება მიმდინარეობდა სოციოლოგის დევიდ რეისმანის „ეული ბრბო“-ს დაკვირვებული მზერის ფონზე. ამას მოჰყვა სხვა, მეტ-ნაკლებად მეცნიერული გამოკვლევები; ეს იყო ვენს პაკარდის „ფარული დამარწმუნებლები“ (1957) და „სტატუსის მაძიებლები“ (1959); უილიამ უიტის „ორგანიზაციის კაცი“ (1956) და ს.რაით მილზის უფრო ინტელექტუალური ფორმულირება – „თეთრი საყელო“ (1951) და „ძალისმიერი ელიტა“ (1956); ხოლო მეცნიერმა ეკონომისტმა ჯონ კენეთ გოლბრაითმა ამ საკითხს უძღვნა წიგნი „უხვი საზოგადოება“ (1958). ამ ნაშრომთა უმეტესობა ამტკიცებდა 1950-იანებში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ყველა ამერიკელი ერთნაირი ცხოვრების სტილს მისდევდა. ეს გამოკვლევები ზოგადი ტერმინოლოგიით სარგებლობდნენ. ისინი აკრიტიკებდნენ მოქალაქეებს, რადგან მათ დაკარგეს ადრინდელი ინდივიდუალურობა და ძალიან კონფორმისტულები გახდნენ (რეისმანის და მილზის მოსაზრებები); ზოგჯერ ისინი ურჩევდნენ ხალხს „ახალი კლასის“ წევრები გამხდარიყვნენ. ეს კლასი ახალმა ტექნოლოგიამ და მოცალეობის კარგმა ცხოვრებამ შექმნა (ეს გოლბრაითის შრომებშია).

1950-იანები, არსებითად, გადაიქცა მსუბუქი, მაგრამ ყველგან გამჯდარი სტრესის დეკადად. ჯონ ო'ჰარას, ჯონ ჩივერის და ჯონ აპდაიკის რომანები მოჩვენებითი კმაყოფილების ჩრდილში მიმალულ სტრესებს იკვლევდნენ. ზოგიერთ საუკეთესო ნაწარმოებში დახატულია პიროვნება, რომელიც წარმატებისთვის ბრძოლაში მარცხდება; ასეა მაგალითად არტურ მილერის „გამყიდველის სიკვდილში“ და სოლ ბელოუს ნოველაში „დაიჭირე დღე“ (1956). ზოგიერთმა მწერალმა კიდევ უფრო ღრმად შეტოპა – იგი გაყვა იმას, ვინც „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. ასე მოიქცა ჯ.დ.სელინჯერი რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“ (1951), რალფ ელისონი „უჩინარ კაცში“ (1952) და ჯეკ კერუაკი ნაწარმოებში „გზაზე“ (1957). ხოლო ამ დეკადის მიწურულს სამწერლო ასპარეზზე გამოდის ფილიპ როთი თავისი მოთხრობებით, რომლებშიც იგი აღწერს გაუცხოების პრობლემებს საკუთარ ებრაულ წარმოშობასთან მიმართებაში („ნახვამდის, კოლამბუს“, 1959). მისი ფსიქოლოგიური აზრები პროზისთვის კარგ საკვებ მასალას იძლეოდნენ, რაც საბოლოოდ ავტობიოგრაფიაშიც აისახა 1990-იანებში.

ამერიკელი ებრაელების პროზა ამერიკული ლიტერატურის ღირსეულ ნაწილს წარმოადგენს. ესენი არიან სოლ ბელოუ, ბერნარდ მალამუდი, ისააკ ბაშევი ზინგერი და 1950 წლების და შემდგომი წლების სხვა ცნობილი ავტორები. ამ სამი ავტორის ნაწარმოებები განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი იუმორით, ეთიკური ინტერესებით და ახალ და ძველ ქვეყნებში ებრაული საზოგადოების ყოფის აღწერით.

## ჯონ ო'ჰარა (1905-1970)

ჯონ ო'ჰარას ჟურნალისტური განათლება ჰქონდა. იგი იყო მრავალი პიესის, მოთხრობისა და რომანის ავტორი. იგი ცნობილია, როგორც დაკვირვებული, დეტალური აღწერის დიდოსტატი; მან თავი დაგვამახსოვრა ძირითადად 1950-იანებში შექმნილი რამდენიმე რეალისტური რომანით; მათში მოცემულია ძალზე წარმატებული ადამიანების თავგადასავლები; ისინი შინაგანი სირცხვილის და დაუკმაყოფილებლობის გამო სისუსტეებს ამჟღავნებენ. ეს რომანებია „შეხვედრა სამარაში" (1934), „ნორთ ფრედერიკის ათი" (1955) და „ტერასიდან" (1958).

## ჯეიმს ბოლდუინი (1924-1987)

ჯეიმს ბოლდუინი და რალფ ელისონი 1950-იანებიდან მოყოლებული სარკესავით აირეკლავენ აფრიკულ-ამერიკულ გამოცდილებას. მათი გმირები უფრო მეტად საკუთარი თავის ძიებით იტანჯებიან, ვიდრე ზედმეტი პატივმოყვარეობით. ბოლდუინი ჰარლემში, ნიუ-იორკში დაიბადა; ცხრაშვილიანი ოჯახის უფროსი პირმშო მღვდელთან იზრდებოდა, როგორც შვილობილი. ახალგაზრდობისას ბოლდუინი ხანდახან ეკლესიაში ქადაგებდა. ეს გამოცდილება დაეხმარა მას ჩამოეყალიბებინა მიმზიდველი, ორატორული თვისებები, რომლებიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მის შესანიშნავ ესეებში. ასეთია „წერილი ჩემი გონების რეგიონიდან", კრებულიდან „ცეცხლი სხვა დროს" (1963). მასში იგი დამაჯერებლად დავობს რასებს შორის დაყოფის დასასრულის თაობაზე.

ბოლდუინის პირველი რომანი იყო ავტობიოგრაფიული: „გასწი, იქადაგე მთასა ზედა" (1953). ეს ალბათ მისი საუკეთესო ნაწარმოებია. ეს არის თოთხმეტი წლის ჭაბუკის თავგადასავალი, რომელიც თვითგანათლებასა და რელიგიურ რწმენას ეძებს, როდესაც ებრძვის ქრისტიანული მოქცევის საეკლესიო მეთოდებს. ბოლდუინის ასევე მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: რომანი „სხვა ქვეყანა" (1962), რომელიც რასობრივ საკითხსა და ჰომოსექსუალურობას განიხილავს, და ძალზე მხურვალე პიროვნული ესეების კრებული „არავინ იცის ჩემი სახელი" (1961), სადაც მსჯელობაა რასიზმზე, ხელოვანის როლზე და ლიტერატურაზე.



ჯეიმს ბოლდუინი

## რალფ უოლდო ელისონი (1914-1994)

რალფ ელისონი შუადასავლეთის შტატიდან, ოკლაჰომადან იყო და შეერთებული შტატების სამხრეთში, ტასკეგის ინსტიტუტში მიიღო განათლება. მას ძალზე უცნაური ბიოგრაფია სვლა წალად – მხოლოდ ერთი საყოველთაოდ აღიარებული წიგნი დაწერა – „უჩინარი კაცი" (1952) და მეტი არაფერი. ეს არის რომანი ერთ შავკანიან კაცზე. იგი ფარულად ცხოვრობს ჯურღმულში, რომელიც გაკაშკაშებულია კომუნალური მომსახურების კომპანიიდან მოპარული ელექტროშუქით. წიგნში გროტესკულად მოთხრობილია გმირის იმედგაცრუებაზე; როდესაც იგი შავკანიანთა კოლეჯში სასწავლო სტიპენდიას მოიპოვებს, მას თეთრკანიანები დასცინიან; როდესაც კოლეჯში სწავლას იწყებს, ნახავს, თუ როგორი ამრეზით ეპყრობა კოლეჯის შავკანიანი პრეზიდენტი შავკანიანი ამერიკელების პრობლემებს. ცხოვრება კოლეჯის მიღმაც კორუმპირებულია. ასე მაგალითად, რელიგიაც არაა შვების მომტანი: მღვდელი დამნაშავე აღმოჩნდება. რომანი

ბრალს სდებს საზოგადოებას, რომელიც ვერ ახერხებს შეუქმნას თავის მოქალაქეებს, – განურჩევლად კანის ფერისა, გინდ შავსა და გინდაც თეთრკანიანს – სიცოცხლისუნარიანი იდეალები და ინსტიტუტები, – საკუთარი თავის რეალიზაციისათვის. ნაწარმოების მძლავრი თემა რასობრივ პრობლემებს ეხება. „უჩინარი კაცი" თავისთავად კი არ არის უჩინარი, არამედ იმიტომ, რომ სხვები, ცრუმორწმუნეობით დაბრმავებულნი, ვერ ახერხებენ შენიშნონ, თუ ვინ არის იგი.

ფლენერი ო'კონორი (1925-1964)

ჯორჯიაში დაბადებული ფლენერი ო'კონორი უკურნებელი სისხლის დაავადებით გარდაიცვალა ძალზე ნაადრევად, მაგრამ იგი არ იყო სენტიმენტალური, როგორც ამას მოწმობს მისი უაღრესად იუმორისტული, თუმცა მკაცრი და უკომპრომისო მოთხრობები. პორთერის, უელთისა და პარსტონისგან განსხვავებით, ო'კონორს თავისი გმირები ისე ჰყავდა მოხელთებული, რომ ააშკარავებდა მათ შეუსაბამობებსა და სიბრიყვეებს. მისი რომანების სამხრეთელი გაუნათლებელი პერსონაჟები ხშირად ძალმომრეობენ ცრურწმენებისა თუ რელიგიის გამო; ასეა, მაგალითად,მის რომანში „ბრძენი სისხლი" (1952), სადაც იგი აღწერს რელიგიურ ფანატიკოსს, რომელიც საკუთარ ეკლესიას აყალიბებს.

ზოგჯერ ძალადობა ცრუმორწმუნეობისაგან მომდინარეობს. ასეა ნაწარმოებში „გადაადგილებული პირი", რომელშიაც ემიგრანტს კლავენ ბნელი სოფლელები იმის მიზეზით, რომ იგი ძალზე კარგად შრომობს და უცნაურად იქცევა. ხშირად ბოროტება უბრალოდ ხდება, როგორც ეს „კეთილ სოფლელებშია"; აქ გოგოს შეაცდენს კაცი, რომელიც მას ფეხის პროტეზს მოპარავს.


რალფ ელისონი

ო'კონორის შავი იუმორი მას ნათანიელ უესტთან და ჯოზეფ ჰელერთან აკავშირებს. მისი ნაწერები მოიცავენ მოთხრობათა კრებულებს: „კეთილი კაცი ძნელი მოსაძებნია" (1955), „ყველაფერმა, რაც იზრდება, თავი ერთად უნდა მოიყაროს" (1965); აგრეთვე რომანს – „ხახტაყი მიდის" (1960) და წერილებს „ყოფნის ჩვევა" (1979). მისი „ყველა მოთხრობა" 1971 წელს გამოიცა.

სოლ ბელოუ (1915)

სოლ ბელოუ კანადაში დაიბადა და ამერიკაში აღიზარდა. იგი რუსულ-ებრაული წარმოშობისაა. კოლეჯში მან ანთროპოლოგია და სოციოლოგია ისწავლა, რაც დღესაც კი დიდ გავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე. მწერალი აღიარებს თეოდორ დრაიზერისადმი მნიშვნელოვან ვალს. მისი ფართო ცნობიერებისეული გამოცდილებისა და მასთან ემოციური დამოკიდებულების გამო. ბელოუმ დიდი ღირსებით მიიღო 1976 წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში.

მისი აღრინდელი ნაწარმოებები შეიცავენ პირქუშ ეგზისტენციალისტურ რომანებს, „ჰაერში გამოკიდებული კაცი" (1944), კაფკასებური ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია კაცის მოლოდინი, რომელიც ჯარში უნდა გაიწვიონ და „მსხვერპლი" (1947), სადაც ნაჩვენებია დამოკიდებულება ებრაელებსა და სხვა ერების წარმომადგენელთა შორის. 1950-იანებში მის ხელვაში კომიკურობის ელემენტი იჩენს თავს. ნაწარმოებში „ოგი მარჩის თავგადასავალი" (1953), იგი პირველ პირში აღწერს ენერგიულ და

ფათერაკიან ამბებს; ეს არის ჰეკლბერი ფინის მსგავსი პერსონაჟი, რომელიც ევროპაში შავი ბაზრის საქმოსანი ხდება; რომანი „წვიმის მეფე ჰენდერსონი" (1959) წარმოადგენს ბრწყინვალე და მდიდრულ ნაწარმოებს, რომელშიც აღწერილია შუა ხნის მილიონერის ცხოვრება, რომლის დაუკმაყოფილებელმა პატივმოყვარეობამ იგი აფრიკაში ჩაიყვანა. მისი გამოჩენილი ნაწარმოებებია: „ჰერზოგი" (1964), სადაც დახატულია რომანტიზმის სპეციალისტი ნევროტიკული ინგლისელი პროფესორის დაძაბული ცხოვრება; აგრეთვე „მისტერ სამლერის პლანეტა" (1970); „ჰუმბოლდტის საჩუქარი" (1975) და ავტობიოგრაფიული „დეკანის დეკემბერი" (1982).

ბელოუს არაჩვეულებრივი ნოველა „დაიპყარ დღე!" (1956), ხშირადაა ჩართული სკოლის მაღალი კლასების ან კოლეჯის პროგრამებში, როგორც შესანიშნავი და თამამი პროზის ნიმუში. მასში დახატულია წარუმატებელი ბიზნესმენი – ტომი უილჰელმი, რომელიც ცდილობს თავისი ნაკლი სანდომიანი სახის ნიღბით დამალოს. ნოველის დასაწყისშივე ირონიულია. „როდესაც საქმე ნაკლის დამალვაზე მიდგებოდა, ტომი უილჰელმი სხვაზე უნიჭო როდი იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ასე ფიქრობდა..." ასეთი ენერგიის ხარჯვას ნაწარმოების გმირი, ბედის ირონიის წყალობით, საბოლოო დაცემისკენ მიჰყავს. უილჰელმი ისეა შეპყრობილი ფიქრით თავის არაადექვატურობის შესახებ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი ხელიდან ეცლება: – ქალები, საქმეები, მანქანები, ვაჭრობა – ყველგან ხელი მოეცარა. იგი წარმოადგენს ებრაული ფოლკლორის პერსონაჟის schlemiel-ის ნიმუშს – ეს ის პიროვნებაა, რომელსაც ყველაფერი თავზე ენგრევა და არაფერი გამოუდის. „დაიპყარ დღე!" აჯამებს წარუმატებლობის იმ შიშს, რომელიც თან სდევს მრავალ ამერიკელს.

## ბერნარდ მალამუდი (1914-1986)

ბერნარდ მალამუდი ნიუ-იორკ სიტიში დაიბადა რუსულ-ებრაული წარმოშობის ემიგრანტების ოჯახში. თავის მეორე რომანში „ასისტენტი" (1957) მალამუდმა მოძებნა თავისი თემა; ეს არის ადამიანის ბრძოლა უთანასწორობის წინააღმდეგ და ახალი ებრაული ემიგრაციის ეთიკური მხარდაჭერის პრობლემა.

მალამუდის პირველი გამოქვეყნებული რომანი იყო „ბუნებრივი" (1952), რეალიზმისა და ფანტაზიის კომბინაცია, რომელიც პროფესიული ბეისბოლის ზღაპრულ სამყაროში მიმდინარეობს. მისი სხვა რომანებია, „ახალი ცხოვრება" (1961), „ხელოსანი" (1966), „ფიდელმანის სურათები" (1969), „მდგმურები" (1971). ამას გარდა, მალამუდი მოკლე პროზაული ნაწარმოებების ძალზე უხვმოსავლიანი ავტორი იყო. თავის მოთხრობებში „ჯადოსნური კასრი" (1958), „იდიოტები პირველად" (1963) და „რემბრანდტის ქუდი" (1973) იგი აღწერს ყველა სხვა, ამერიკაში დაბადებულ ავტორზე უკეთესად – ებრაელთა აწმყოსა და წარსულის, რეალურისა და სიურეალურის, ფაქტისა და ლეგენდის შეგრძნებას.

მალამუდის მონუმენტალური ნაშრომი იყო „ხელოსანი"; ამ წიგნში მას პულიცერის და ეროვნული წიგნის პრემიები მიანიჭეს. ნაწარმოები მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსეთში მიმდინარეობს; ეს არის ნამდვილი ამბავი სისხლიანი ცილისწამებისა; მენდელ ბეილისის ავად ცნობილი 1913 წლის სასამართლო პროცესის ფაქიზად გადმოცემული ანარეკლი; ეს იყო თანამედროვე ისტორიის ანტი-სემიტური გამოვლენის სამარცხვინო ლაქა. როგორც თავის სხვა მრავალ ნაწარმოებში, მალამუდი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მისი გმირის, იაკობ ბოკის განცდებს და მის ბრძოლას უსამართლობის გადატანისას.

## ისააკ ბაშევის ზინგერი (1904-1991)

ნობელის პრემიის ლაურეატი, რომანისტი და მოთხრობების დიდოსტატი ისააკ ბაშევის ზინგერი პოლონეთში დაიბადა და შეერთებულ შტატებში 1935 წელს გადმოსახლდა. იგი იყო ვარშავის რაბინთა სასამართლოს ცნობილი თავმჯდომარის ვაჟიშვილი. იგი ებრაულისა და გერმანულის ნარევ ებრაულზე წერდა; ეს ის ენა იყო, რომელზედაც ევროპული ებრაელობა მეტყველებდა უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ზინგერი მითოლოგიური და რეალისტური ფორმით წერდა ებრაელთა ორი თავისებური ჯგუფის შესახებ: ერთი იყო ძველი სამყაროს (ევროპის) სოფლის ბინადარნი (შტეტლები) და მეორე კი მეოცე საუკუნის ემიგრაციის ტალღა – მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგ პერიოდისა.

ევროპაში ნაცისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ ებრაელთა მასობრივი ჟლეტის დროს ზინგერის თხზულებანი ებრაელობის გულს უმაგრებდა. რომანებში „ადგილ-მამული" (1967) და „მამული" (1969) მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში მიმდინარეობდა, ხოლო რომანში „ოჯახი" (1950) ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პოლონელ ებრაელთა ოჯახზე ორ მსოფლიო ომს შორის. ყველა ეს ნაწარმოები აღწერდა იმ ევროპელ ებრაელობას, რომელიც უკვე აღარ არსებობს. მეორეს მხრივ, თავის ნაწარმოებებში, რომლებიც ომის შემდეგ ქვეყნდებოდა, მას გმირებად გამოჰყავს ებრაელთა გენოციდს გადარჩენილი პერსონაჟები, რომლებიც ცდილობენ ახალი ცხოვრება შექმნან. ასეთი ნაწარმოებია „მტრები, სიყვარულის ამბავი" (1972).

## ვლადიმირ ნაბოკოვი (1889-1977)

ზინგერის მსგავსად, ნაბოკოვიც აღმოსავლეთ ევროპელი ემიგრანტია. იგი ცარისტული რუსეთის მდიდარი ოჯახის შვილი იყო. შეერთებულ შტატებში 1940 წელს ჩამოვიდა და იქაური მოქალაქეობა ხუთი წლის შემდეგ მიიღო. 1948 წლიდან 1959 წლამდე ნიუ-იორკის შტატის კორნელის უნივერსიტეტში კითხულობდა ლიტერატურის კურსს. 1960 წლიდან სამუდამოდ გადასახლდა შვეიცარიაში. ნაბოკოვმა სახელი გაითქვა თავისი რომანებით. მათ შორისაა ავტობიოგრაფიული „პნინი" (1957), გაუბედურებული რუსი ემიგრანტი პროფესორის თავგადასავალი და „ლოლიტა" (ამერიკაში გამოიცა 1958 წ.), რომელიც მოგვითხრობს განათლებული, შუა ხნის ევროპელზე, რომელსაც ჭკუის დაკარგვამდე შეუყვარდება თორმეტი წლის გამოუცდელი ამერიკელი გოგონა. ნაბოკოვის სტილიზირებული რომანი „ფერმკრთალი ცეცხლი" (1958) ასევე წარმატებული ნაწარმოები გამოდგა; მასში გამოყვანილია გამოგონილი გარდაცვლილი პოეტის ვრცელი პოემა და კომენტარი ამ პოემაზე ვინმე კრიტიკოსისა, ვისი კრიტიკაც უმეტესად პოემასაც კი სჯობნის და მოულოდნელად დამოუკიდებელ ჟღერადობას იძენს.


ბერნარდ მალამუდი

ნაბოკოვი მნიშვნელოვანი მწერალია, თავისი სტილისტური დახვეწილობით, ოსტატური სატირით და ორიგინალური ფორმალური ხერხებით. მისმა ამ თვისებებმა გავლენა იქონიეს რომანისტებზე, სახელდობრ ჯონ ბართზე. ნაბოკოვს კარგად ესმოდა, რომ იგი იყო შუამავალი რუსულ და ამერიკულ ლიტერატურებს შორის. მან გამოსცა წიგნი გოგოლზე და თარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინი". მისი თამამი, ცოტა ექსჰიბიციონისტური თემები (როგორიც, მაგალითად, ძალზე უცნაური სიყვარულია „ლოლიტაში") ხელს უწყობდნენ XX საუკუნის ევროპული ლიტერატურის ექსპერიმენტული მიმდინარეობების შემოტანას ძირითადად რეალისტური ტრადიციის ამერიკულ პროზაში. მისმა ინტონაციამ, ნაწილობრივ სატირულმა, მაგრამ ნაწილობრივ ნოსტალგიურმა, შექმნა ახალი, სერიოზულ-კომიკური ემოციონალური ჟღერადობა-რეგისტრი; ეს კი გამოიყენეს სხვა ავტორებმა, სახელდობრ პინჩონმა, რომელიც ორი ტონალობის, – მახვილგონიერებისა და შიშის კომბინაციას ქმნის.

## ჯონ ჩივერი (1912-1982)

ჯონ ჩივერს ხშირად უწოდებენ „კარგი მანერების რომანისტს“. იგი ცნობილია თავისი ელეგანტური და მიმზიდველი მოთხრობებით; მათში განხილულია ნიუ-იორკის ბინების სამყარო, იმ გავლენებიდან გამომდინარე, რომელსაც იგი ახდენს ბიზნესმენებზე, მათ ცოლებზე, ბავშვებსა და მეგობრებზე. მძაფრი ვნებათაღელვის ურთიერთგამომრიცხავი, მელანქოლიური, დაუკმაყოფილებელი, თითქოსდა უიმედო სურვილი თუ მეტაფიზიკური სიცხადე ჩამალულია ჩივერის დახვეწილად, ჩეხოვისეული სტილით დახატული მოთხრობების ჩრდილებში, რომლებიც თავმოყრილია მის კრებულებში: „ისე ცხოვრობს ზოგიერთი“ (1943), „შეიდი ჰილის ყაჩაღი“ (1958), „ზოგი ადამიანი, ადგილი და ნივთი, რომელიც ჩემს მომავალ რომანში არ გამოჩნდება“ (1961), „ბრიგადირი და გოლფის ქვრივი“ (1964) და „ვაშლების სამყარო“ (1973). ჩივერის ნაწარმოებების სათაურები ადასტურებენ მის აგდებულ დამოკიდებულებას, ირონიულობას, უპატივცემულობას და მინიშნებებს იმ საკითხისადმი, რომელზედაც იგი წერდა. ჩივერმა რამდენიმე რომანიც შექმნა. ესენია: „უოპშოტის სკანდალი“ (1964), „ტყვიების საწყობი“ (1969) და „შევარდენის მწვრთნელი“ (1977). ეს უკანასკნელი თითქმის ავტობიოგრაფიულია.

## ჯონ აპდაიკი (1932)

ჯონ აპდაიკიც, ჩივერის მსგავსად, კარგი მანერების მწერლად არის მიჩნეული. მისი ნაწარმოებები ვითარდება გარეუბნების ფონზე; ასახავს შინაურ თემებს – მობეზრებას და მოწყენილობას; მიმდინარეობს ერთ გამოგონილ ადგილას: მასაჩუსეტსის და პენსილვანიის შტატების სანაპიროზე. აპდაიკი განსაკუთრებითაა ცნობილი თავისი ოთხი წიგნით „რებიტზე“ (ბაჭია). ეს არის ერთი გმირის – ჰარი „რებიტ“ ანგსტრომის ცხოვრების თავგადასავალი; მისი ყოფის მიქცევა-მოქცევის ამბავი მოთხრობილია ამერიკის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის ოთხი დეკადის განმავლობაში. „გაიქეცი, ბაჭიავ“ (1960) წარმოადგენს 1950-იანების ხარკს; მასში ანგსტრომი უმიზნო, უკმაყოფილო ქმარია. „ბაჭიას დაბრუნება“ (1971) 1960-იანების კონტრკულტურას აღწერს. ანგსტრომი აქაც უმიზნოდაა და არ გააჩნია რაიმე ცოცხალი გეზი იმ ყოფისგან თავის დაღწევისა. რომანში „ბაჭია მდიდრდება“ (1981) ჰარიმ მემკვიდრეობა მიიღო და გამდიდრებულია 1970-იანების ფონზე, როდესაც ვიეტნამის ერა მთავრდება. ამ ციკლის დამაგვირგვინებელი წიგნი „ბაჭია ისვენებს“ (1990) ხატავს ანგსტრომის შერიგებას ცხოვრებასთან და მის შემთხვევით სიკვდილს მიმდინარე 1980-იანების ფონზე.



ჯონ ჩივერი

აპდაიკის სხვა რომანებია „კენტავრი“ (1963), „წყვილები“ (1968) და „წიგნი“ (1970). დღევანდელ მწერალთა შორის მას ყველაზე საუკეთესო სტილი გააჩნია. მისი მოთხრობები წარმოადგენენ მისი მასშტაბურობისა და ფანტაზიის დამადასტურებელ კაშკაშა ნიმუშებს. მისი კრებულებია: „იგივე კარები“ (1959), „მუსიკალური სკოლა“ (1966), „მუზეუმები და ქალები“ (1972), „შორი სასიარულოა“ (1979) და „პრობლემები“ (1979). მან გამოსცა აგრეთვე პოეზიის და ესეების რამდენიმე კრებული.

## ჯ.დ. სელინჯერი (1919)

ჯ.დ. სელინჯერი 1960-იანებში მოსაწყენი ამბების წინასწარმეტყველი გახლდა. მან სცადა საზოგადოებიდან გარიყულიყო. იგი ნიუ-იორკ სიტიში დაიბადა და წარმატების მიღწევა თავისი რომანით „თამაში ჭვავის ყანაში" (1951); ამ ნაწარმოებში აღწერილია 16 წლის მგრძნობიარე ქაბუკის ჰოლდენ კოლფილდის თავგადასავალი. იგი გარბის ელიტარული სკოლა-პანსიონატიდან, რათა გარე სამყარო და უფროსების ცხოვრება იკვლიოს; მაგრამ იმედგაცრუებული რჩება ცხოვრების მატერიალიზმისა და სიყალბის გამო.

როდესაც კოლფილდს ეკითხებიან, რა გინდა, პასუხობს: „თამაში ჭვავის ყანაში". იგი აქ რობერტ ბერნსის ერთ-ერთი ლექსის მცდარ ციტირებას ახდენს. მისი წარმოდგენით იგი არის თეთრი რაინდის თანამედროვე ვარიანტი; უმანკოების ერთადერთი გადარჩენილი დამცველი. იგი წარმოიდგენს მაღალი ჭვავის უზარმაზარ მინდორს, სადაც პატარა ბავშვები ერთმანეთს ვერ ხედავენ, როდესაც შიგ თამაშობენ. იგი კი აქ ერთადერთი დიდი პიროვნებაა. „მე კი ვდგავარ ერთი უზარმაზარი კლდის პირას. რა უნდა ვაკეთო, უნდა დავიჭირო ყველა, ვისაც კი კლდიდან გადაჩეხვა დაემუქრება". კლდიდან გადაჩეხვა ბავშვობის (და განსაკუთრებით კი სექსუალური) უმანკოების დაკარგვას გულისხმობს. ეს იყო იმ ეპოქის ძალზე გავრცელებული თემა. ამ განდეგილი და თავისუფალი მწერლის სხვა თხზულებებია: „ცხრა მოთხრობა" (1953), „ფრენი და ზუი" (1961) და „ნივნივები აწიეთ, ხუროებო" (1963), რომელიც წარმოადგენს ჟურნალ „ნიუ იორკერში" გამოქვეყნებული მოთხრობების კრებულს. 1965 წლის გამოცემული მოთხრობის შემდეგ სელინჯერი ამერიკულ ლიტერატურულ სცენას ჩამოსცილდა. ამჟამად იგი ნიუ ჰემპშირის შტატში ცხოვრობს.



ჯონ აპდაიკი

ფოტო © [illegible]

## ჯეკ კერუაკი (1922-1969)

ჯეკ კერუაკი გაღარიბებული ფრანგი კანადელის ოჯახიდან იყო; მასაც საშუალო კლასის ცხოვრების ფასეულობანი აინტერესებდა. ნიუ-იორკ სიტის კოლამბიის უნივერსიტეტში სტუდენტობისას იგი „ბიტის" „თაობაში" ლიტერატურის წარმომადგენლებს შეხვდა. მის პროზას აშკარად ატყვია სამხრეთელი რომანისტის თომას ვულფის თავისუფალი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებების კვალი.

კერუაკის ყველაზე ცნობილი რომანია „გზაზე" (1957). მასში აღწერილია „ბიტნიკების" თავგადასავალი, რომლებიც დაეხეტებიან ამერიკაში, რათა განახორციელონ კონვენციური ცხოვრებისა და ხელოვნების იდეალისტური ოცნება. ნაწარმოები „დარმა ბამზი" (1958) დაწერილია პერმანენტული კონტრკულტურის წარმომადგენელ ინტელექტუალებზე და მათ გატაცებაზე ძენ ბუდიზმით. კერუაკმა გამოსცა პოეტური კრებულიც „მეხიკო სიტის ბლუზები" (1959) და აგრეთვე რამდენიმე წიგნი თავისი ცხოვრების შესახებ ბიტნიკებთან – ექსპერიმენტალისტ რომანისტ უილიამ ბაროუზთან და პოეტ ალენ გინზბერგთან.

## ბობოქარი, მაგრამ შემოქმედებითი 1960-იანები

გაუცხოება და სტრესი, რომელიც 1950-იანებში იყო დამახასიათებელი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, 1960-იანებშიც

იჩენდა თავს. იგი განსაკუთრებით გამოიკვეთა სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობაში, ფემინიზმში, ომის საწინააღმდეგო პროტესტში, უმცირესობათა აქტიურობაში და კონტრკულტურის დამკვიდრებაში, რისი შედეგებიც დღესაც მოქმედებენ ამერიკულ საზოგადოებაში. ამ ეპოქის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ქმნილებები შეიცავენ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ლიდერის მარტინ ლუთერ კინგ უმცროსის გამოსვლებს, ფემინისტთა წინამძღოლის ბეტი ფრიდენის ადრეულ ნაწერებს („ფემინისტური მისტიკა", 1963) და ნორმან მეილერის „ღამის არმიებს" (1968), რომელიც 1967 წელს ჩატარებული ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართულ მარშს ეხება.

1960-იანები ნიშანდობლივია იმით, რომ ამ პერიოდში მოიშალა გამყოფი ხაზი მხატვრულ პროზას, ფაქტს, რომანსა და რეპორტაჟს შორის; და ეს დღესაც გრძელდება. რომანისტმა ტრუმენ კაპოტმა, რომელიც თვალს სჭრიდა მკითხველებს გვიან 1940-იან და 1950-იანებში, როგორც „enfant terrible" – რომანით „საუზმე ტიფანისთან" (1958), შეაძრწუნა საზოგადოება ნაწარმოებით „ცივი სისხლით" (1966). ეს იყო გულის შემძვრელი ანალიზი მასობრივი მკვლელობისა ამერიკის შუაგულში, დაწერილი როგორც დეტექტივი. ამავე დროს შეიქმნა „ახალი ჟურნალიზმი", მას მოჰყვა კრებულები არამხატვრული პროზისა, რომელიც ჟურნალიზმისა და პროზის ტექნიკის კომბინაციას ან ხშირად ფაქტების თამაშს წარმოადგენდა. ამ ფაქტებს ფორმას უცვლიდა და დრამას უმატებდა ან სასწრაფოდ გადასაცემ ახალ ამბად აქცევდა. ტომ ვულფმა თავის წიგნში „ელექტრო დამშმარი მჟავას ტესტი" (1968) რომანისტ კენ კეისის კონტრკულტურის შესაბამისი, მოგზაურობებისადმი მიდრეკილების „ცელქობანი" შეაქო; ვულფი თავის სხვა წიგნში „რადიკალური შნოიანობა და მიაუ-მიაუ სანე-ნიტო ჭურვების დამჭერთ" (1970) დასცინის მემარცხენე აქტიურობის მრავალ ასპექტს. ვულფმა მოგვიანებით დაწერა მძლავრი და ღრმა ისტორია შეერთებული შტატების კოსმიური პროგრამის პირველი ნაბიჯებისა – „ნაღდი საქმე" (1979) და რომანი „ამაოების კოცონი" (1987), რომელშიც 1980-იანების ამერიკული საზოგადოების პანორამული სურათია მოცემული.

1960-იანების მშფოთვარე წინსვლასთან ერთად ლიტერატურაც ვითარდებოდა. დამკვიდრდა ირონიული და კომიკური ხედვა, რომელიც ზოგიერთი მწერლის იგავურ სტილს ამზეურებდა. ასეთის მიეკუთვნება, მაგალითად, კენ კეისის პირქუშად კომიკური „გუგულის ბუდიდან გადმოფრენილი" (1962), რომელშიც აღწერილია სულით ავადმყოფთა საავადმყოფო, სადაც ზედამხედველნი უფრო დაავადებულნი არიან, ვიდრე პაციენტები. ამდაგვარივეა რიჩარდ ბროთიგანის ექსცენტრიული და ფანტასტიკური „კალმახის ჭერა ამერიკაში" (1967). კომიკურმა და ფანტასტიკამ ახალი – ნახევრად კომიკური და ნახევრად მეტაფიზიკური ძალა შემოიტანეს. ასეთ იყო თომას პინჩონის ბრწყინვალე „V" (1963) და „49-ე ნაწილის ტირილი" (1966); ჯონ ბართის „თხა ჯაილსი" (1966); აგრეთვე დონალდ ბართელმის გროტესკული მოთხრობები, რომლის პირველი კრებული „დაბრუნდი დოქტორო კალიგარი", 1964 წელს დაიბეჭდა.

სხვა მიმართულებით, დრამატურგიაში ედვარდ ოლბიმ არატრადიციული ფსიქოლოგიური ნაწარმოებების სერია შექმნა. „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის" (1962), „მყიფე ბალანსი" (1966) და „ზღვის ნაპირი" (1975); ეს პიესები გამოხატავდნენ ავტორის საკუთარი სულის სიღრმეების ძიებას და ამ საკითხისადმი პაროდიულ მიდგომას.

ამავე დროს ამ დეკადამ იხილა უკვე ორმოცს გადაცილებული ნიჭიერი კაცის დაგვიანებული ლიტერატურული დებიუტი. ეს გახლდათ უოკერ პერსი, განათლებით ექიმი და სამხრეთული დახვეწილობის ნიმუში. რომანთა სერიაში პერსიმ გამოიყენა თავისი რეგიონი, როგორც ფარდაგი, რომელშიც ჩააქსოვა ფსიქოლოგიური დრამის ინტრიგები. მის საუკეთესოდ აღიარებულ წიგნებად მიჩნეულია „კინოს მოყვარული" (1961) და „უკანასკნელი ჯენტლმენი" (1966).

## თომას პინჩონი (1937)

თომას პინჩონი, იდუმალებით მოცული, დიდებასმორიდებული ავტორი, ნიუ-იორკის შტატში დაიბადა და კორნელის უნივერსიტეტი დაამთავრა 1958 წელს; შესაძლოა, რომ იქ იგი ვლადიმერ ნაბოკოვის გავლენაში მოჰყვა. მართლაც, მისი ახლის ძიებისკენ მიმართული ფანტაზია გამოიყენებს გამოცანის, თამაშის და კოდის თემებს, რაც შესაძლოა ნაბოკოვისგან მომდინარეობს. პინჩონის მოქნილმა ინტო-

ნაციამ შეიძლება პარანოია მიუზიამდე აიყვანოს.

პინჩონის მთელი პროზა ასეთნაირად არის სტრუქტურულად აწყობილი: ინტრიგა ბოლომდე არ არის ცნობილი ნაწარმოების პერსონაჟთაგან თუნდაც ერთისათვის მაინც. მისი ამოცანა კი არის ის, რომ არსებულ ქაოსში წესრიგი დაამყაროს და სამყარო გაშიფროს. ეს ჩანაფიქრი, რაც ტრადიციულად ხელოვანის ამოცანაა, გადადის მკითხველზე, რომელიც სიუჟეტს მიჰყვება და ცდილობს გამოიცნოს გამოცანები და მათი მნიშვნელობა. ეს პარანოიდული ხედვა კონტინენტებზე და დროშია გაჭიმული, რადგან პინჩონი გამოიყენებს ენტროპიის მეტაფორას, სამყაროს თანდათანობითი ქაოსის გაწყვეტას. პოპულარული კულტურის ოსტატური გამოყენება, – განსაკუთრებით სამეცნიერო ფანტასტიკისა და დეტექტიური ჟანრისა, თვალნათლივ ჩანს მის შემოქმედებაში.

პინჩონის ნაწარმოების „V" მოქმედება ეხება ორ პერსონაჟს: ერთია ბენი პროფეინი – წარუმატებელი კაცი, რომელიც უაზრო ბოდიალსა და სხვადასხვა უცნაურ საქმიანობას მისდევს; სოლო მეორეა მისი საპირისპირო, განათლებული კაცი ჰერბერტ სტენსილი, რომელიც საიდუმლოებით მოცულ, მისტიურ ჯაშუშ ქალს ეძებს, რომლის სახელი იწყება ასო „V"-ზე. (ვენუსი, ვირჯინი, ვოიდი) (Venus, Virgin, Void) „49-ე ნაწილის ტირილი" მოკლეტანიანი ნაწარმოებია. იგი შეეხება საიდუმლო სისტემას, რომელიც დაკავშირებულია შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურთან. „მიზიდულობის ცისარტყელა" მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარეობს ლონდონში, როდესაც ქალაქს ბომბები ეცემოდა. ნაწარმოები ეხება ნაცისტებისა და სხვა გადაცმული პირების ფარსულ და მაინც სიმბოლურ ძებნას. ძალადობით, კომედიურობით და სიახლისადმი მისწრაფებით, მისი ნაწარმოებები, პინჩონს უცილობლად 1960-იანებთან აკავშირებენ.

> **გაუცხოება და სტრესი, რომელიც 1950-იანებში იყო დამახასიათებელი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, 1960-იანებშიც იჩენდა თავს. იგი განსაკუთრებით გამოიკვეთა სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობაში, ფემინიზმში, ომის საწინააღმდეგო პროტესტში, უმცირესობათა აქტიურობაში და კონტრკულტურის დამკვიდრებაში, რისი შედეგებიც დღესაც მოქმედებენ ამერიკულ საზოგადოებაში.**

## ჯონ ბართი (1930)

ჯონ ბართი წარმოშობით მერილენდიდან იყო. მას თვით ამბავზე მეტად ის უფრო აინტერესებს, თუ როგორაა ეს ამბავი გადმოცემული. მაგრამ თუ პინჩონი ატყუებს მკითხველს ყალბი კვალით და შესაძლო გამოცნობით თავის დეტექტიურ რომანებში, ბართი თავის მკითხველს ცდუნების წინაშე აყენებს; ეს არის კარნავალის სიცილის ოთახი, დაბრეცილი სარკეებით, რომლებიც ზოგ ნაკვთს ადიდებენ და ზოგს კი ამცირებენ. ბართისთვის რეალიზმი მკვდარია. ასეა მის კრებულში „სიცილის ოთახში დაკარგული" (1968). აქ მოთავსებულია 14 მოთხრობა, რომლებიც ერთთავად წერისა და კითხვის პროცესს შეეხება. ბართის მიზანია მკითხველი ფხიზლად იყოს კითხვისა და წერის ხელოვნური ბუნებიდან გამომდინარე; ამავე დროს იგი ცდილობს არ მისცეს საშუალება მკითხველს ჩათრეული იქნეს ამბავში, თითქოს იქ მიმდინარე მოვლენები რეალობაა. ბართი გამოიყენებს სხვადასხვა ლაპლაპა საშუალებათა აბჯარს, რათა შეახსენოს თავის აუდიტორიას, რომ ისინი კითხულობენ.

ბართის ადრეული ნაწარმოებები, ისეთივე კითხვებით სავსე და ეგზისტენციალისტური იყო, როგორც სოლ ბელოუსი. მათში მოცემულია 1950-იანების გაქცევის და ხეტიალის თემები. რომანში „მოტივტივე ოპერა" (1956) მთავარი გმირი თავის მოკვლაზე

ფიქრობს. „გზის დასასრული" (1958) რთულ სასიყვარულო თავგადასავალს აღწერს. მისი 1960-იანების თხზულებანი უფრო კომიკური და ნაკლებ რეალისტური ხდება. „ლოთი აყლაყუდას ფაქტორი" (1960) მეთვრამეტე საუკუნის პიკარესკული რომანის პაროდიას წარმოადგენს; ხოლო „თხა ჯაილზი" (1966) პაროდიულად ხატავს სამყაროს, დანახულს როგორც უნივერსიტეტს. „ქიმერა" (1972) ბერძნული მითოლოგიის ამბებს აღწერს. „წერილები" (1979) ბართის ნაწარმოების გმირად წარმოაჩენს, ისევე როგორც ნორმან მეილერის რომანში „ღამის არმიები". ნაწარმოებში „დასვენება: რომანი" (1982) ბართი გამოიყენებს პოპულარულ ჯაშუშომანიის თემას. ეს არის თავგადასავალი კოლეჯის პედაგოგი ქალისა და მისი ქმრისა, რომელიც გადამდგარი საიდუმლო აგენტია და მწერლობა დაუწყია.

## ნორმან მეილერი (1923)

ნორმან მეილერი, საზოგადოდ, მიჩნეულია უახლესი დეკადების წარმომადგენელ ავტორად, ვისაც ძალუძს მრავალჯერ შეიცვალოს თავისი სტილი და თემა. თავისი მადით სხვადასხვა გამოცდილებისადმი, ძლიერი სტილით და საკუთრივ დრამატული პიროვნებით, ნორმან მეილერი ერნესტ ჰემინგუეის ტრადიციას მიჰყვება. მას გააჩნია თამამი და ახლებური იდეები. იგი ბართის საპირისპირო მხარეს დგას, ვისთვისაც შინაარსი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ფორმა. უჩინარი პინჩონისგან განსხვავებით, მეილერი მუდამ საზოგადოებაშია და ყურადღებას ითხოვს. რომანისტი, ესეისტი, ერთხანს პოლიტიკოსი, ლიტერატურული აქტივისტი და ცოტა



ნორმან მეილერი

მსახიობი – მეილერი მუდამ სცენაზეა. ნაწარმოებში „მაიამი და ჩიკაგოს ალყა" (1968) გაანალიზებულია 1968 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნების შეკრებები, ხოლო „ჯალათის სიმღერაში" (1979) მოცემულია შთამბეჭდავი გამოკვლევა ერთ-ერთი მკვლელის სიკვდილით დასჯისა. ეს ორივე ნაწარმოები „ახალი ჟურნალიზმის" მეთოდითაა შექმნილი. ამის შემდეგ მწერალი ქმნის ძალზე პატივმოყვარულ, მძიმეწონიან რომანებს „უძველესი საღამოები" (1983), რომელიც ძველ ეგვიპტეში მიმდინარეობს და „ჰარლოტის აჩრდილი" (1992), რომლის მოქმედება აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის გარშემოა გაშლილი.

## 1970-იანები და 1980-იანები. „ახალი მიმართულებანი“

1970-იანების შუა ხანიდან დაიწყო კონსოლიდაციის ერა. ვიეტნამის კონფლიქტი დამთავრდა; ამას მოჰყვა ამერიკის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა, ხოლო 1976 წელს გაიმართა ამერიკის არსებობის ორასი წლისთავის დღესასწაული. მალე დადგა 1980-იანები – „მე-ს დეკადა", როდესაც პიროვნებები ძირითად ფოკუსს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე ახდენდნენ, ვიდრე მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე.

ლიტერატურაში ძველი დინებები რჩებოდა, მაგრამ წმინდა ექსპერიმენტულის უკან არსებული ძალები ამოიწურა. გამოჩნდნენ ახალი რომანისტები ჯონ გარდნერი, ჯონ ირვინგი („სამყარო გარპის მიხედვით“, 1978), პოლ თერო („კოღოებიანი სანაპირო“, 1982), უილიამ კენედი („ძლიერი სარეველა“, 1983) და ელის უოკერი („მეწამული ფერი",

1982), რომლებმაც შექმნეს სტილისტურად ბრწყინვალე რომანები, სადაც სულის შემძვრელი ადამიანური დრამები თამაშდება. მოქმედების ადგილის, პერსონაჟის და თემის შერჩევა დაუკავშირდა რეალიზმისკენ შემობრუნებას. რეალიზმი, რომელიც 1960-იანი წლების ექსპერიმენტატორებმა განდევნეს, უკან შემოიპარა, ხშირად თამამ და ორიგინალურ ელემენტებთან ერთად; ასეა, მაგალითად, ჯონ გარდნერის „ოქტომბრის ნათელში“ (1976), სადაც მკაფიო სტრუქტურაა გამოკვეთილი – ე.წ. რომანი რომანში, ხოლო ელის უოკერის „მეწამულ ფერში“ კი გამოყენებულია შავკანიანი ამერიკელების დიალექტი. აყვავდა უმცირესობათა ლიტერატურა. დრამამ გადაინაცვლა რეალიზმისგან კინემატოგრაფიული და კინეტიკური ტექნიკისკენ. ამავე დროს „მე-ს დეკადა“ აისახა ისეთ საფუძვლიან ტალანტებში, როგორიცაა ჯეი მაკინერნი („კაშკაშა სინათლე, დიდი ქალაქი“, 1984), ბრეტ ისტონ ელისი („ნულზე ნაკლები“, 1985) და თამა ჯანოვიცი („ნიუ-იორკის მონები“, 1986).

## ჯონ გარდნერი (1933-1982)

ნიუ-იორკის შტატის ფერმერების ოჯახიდან გამოსული ჯონ გარდნერი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკე იყო ეთიკურ ფასეულობათა შესახებ ლიტერატურაში, მოტოციკლეტით კატასტროფაში დაღუპვამდე. იგი იყო შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი, პროფესორი. მისი ყველაზე პოპულარული რომანი „გრენდელი“ (1971) გადმოგვცემს ძველ ინგლოსაქსურ ეპიკურ პოემას ბეოვულფს, მისი გმირის ურჩხულის, ეგზისტენციონალური თვალსაზრისით. მოკლე, ცოცხალი და ხშირად კომიკური რომანი წარმოგვიდგენს დახვეწილ არგუმენტს მიმართულს ეგზისტენციალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ავსებს მის პროტაგონისტს თვითდამანგრეველი სასოწარკვეთითა და ცინიკურობით.

უხვმოსავლიანი და პოპულარული რომანისტი, გარდნერი, რეალისტურ მიდგომას ეყრდნობოდა, მაგრამ გამოიყენებდა ნოვატორულ ტექნიკას. ადამიანური მდგომარეობის შესახებ სიმართლის დაწერისათვის იგი ხმარობდა კადრის უკან დაბრუნების – რეტროსპექციის ტექნიკას, მოთხრობას მოთხრობაში, მითოლოგიურ წიაღსვლას და ამბების კონტრასტულად დაპირისპირებას. მისი განსაკუთრებული ხიბლიერე მჟღავნდებოდა მისი პერსონაჟების დახასიათებაში (ეს იყო უბრალო ხალხის სიმპათიური პორტრეტები). მისი უმთავრესი ნაწარმოებებია „აღდგომა“ (1966), „დიალოგები მზის შუქზე“ (1972), „ნიკელის მთა“ (1973), „ოქტომბრის ნათელი“ (1976) და „მიკელსონის აჩრდილები“ (1982).

გარდნერის მხატვრული ნაწარმოებები მეგობრობის, ვალდებულებების და ოჯახური პასუხისმგებლობის მკურნალ ძალას ქადაგებდნენ. ასეთი გაგებით გარდნერი გამოკვეთილად ტრადიციული და კონსერვატიული ავტორი იყო. იგი ცდილობდა დაედასტურებინა, რომ ზოგიერთ ფასეულობას და მოქმედებას მივყავართ ცხოვრების განხორციელებისადმი. თავის წიგნში „მორალური პროზის შესახებ“ (1978) იგი მიესალმება რომანებს, რომლებიც უფრო ეთიკურ ფასეულობებზეა აგებული, ვიდრე თვალისმომჭრელ და ფუჭ ტექნიკურ ნოვაციებზე. ამ წიგნმა ფურორი მოახდინა, რადგან გარდნერი დაუფარავად აკრიტიკებდა მნიშვნელოვან ცოცხალ ავტორებს, რომლებიც ვერ გამოხატავდნენ ეთიკურ პასუხისმგებლობას.

## ტონი მორისონი (1931)

აფრიკელი ამერიკელი რომანისტი ქალი ტონი მორისონი ოჰაიოს შტატში დაიბადა მაღალი სულიერი ინტერესების მქონე ოჯახში. იგი ვაშინგტონში ჰოვარდის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ მუშაობდა უფროს რედაქტორად ვაშინგტონის ერთ-ერთ დიდ გამომცემლობაში; იყო სახელგანთქმული ლექტორი სხვადასხვა უნივერსიტეტში.

მორისონის მდიდრულად მოქარგულმა მხატვრულმა პროზამ მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. მის მიმზიდველ, სულში ჩამწვდომ რომანებში ნაჩვენებია შავკანიანთა რთული პიროვნულობა უნივერსალური გააზრებით. მის ადრეულ ნაწარმოებში „ულურჯესი თვალი“ (1970) გამოყვანილია მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა შავკანიანი გოგონა, რომელიც ყვება პეკოლა ბრიდლავის თავგადასავალს, ვინც მჩაგვრელ მამას გადაურჩება. ნაწარმოების გმირი პეკოლა იჯერებს, რომ მისი შავი თვალები ჯადოსნურად ლურჯად გადაიქცა და ისინი მას სიყვარულის საგნად აქცევენ. მორისონი ამბობდა, რომ ამ რომანის

მეშვეობით იგი ქმნიდა თავისა, როგორც მწერლის, თვითდამკვიდრების შეგრძნებას. „მე თვითონ ვიყავი მეკვლე, კლასიკოსი, ყოველი მათგანი".

„სულა" (1973) ორი ქალის დიდ მეგობრობაზე მოგვითხრობს. მორისონი გვიხატავს აფრიკელ-ამერიკელ ქალს, როგორც უნიკალურ, მთლიანად ინდივიდუალური თვისებების მქონე სახეთად და არა სტერეოტიპად. მორისონის „სოლომონის სიმღერამ" (1977) რამდენიმე პრემია მოიპოვა. მასში ნაჩვენებია შავკანიანი კაცის მილკმენ დედის რთული დამოკიდებულება საკუთარ ოჯახთან და საზოგადოებასთან. რომანი „კუპრის ბავშვი" (1981) შეეხება ურთიერთობას შავ და თეთრკანიანთა შორის. „საყვარელი არსება" (1987) წარმოადგენს მწარე თავგადასავალს ქალისა, რომელიც არჩევს დახოცოს თავისი შვილები, ვიდრე ისინი მონებად დარჩნენ. მასში გამოყენებულია ჯადოსნური რეალიზმის სიღრმის ტექნიკა, როდესაც აღწერილია იდუმალი ფიგურა „საყვარელი არსებისა", რომელიც ბრუნდება დედასთან, ვინც მას ყელი გამოჭრა.

მორისონი ამბობს, რომ მართალია მისი რომანები ხელოვნების დასრულებული ნიმუშებია, მაგრამ ისინი პოლიტიკურ მნიშვნელობასაც შეიცავენ. „არ მაინტერესებს გავერთო ჩემი კერძო ფანტაზიით... დიახ, ნაწერი პოლიტიკური უნდა იყოს". 1993 წელს მორისონს ნობელის პრემია მიანიჭეს ლიტერატურის დარგში.



ტონი მორისონი

ფოტო. © ნენსი კრემპტონი

## ელის უოკერი (1944)

ელის უოკერი ჯორჯიის შტატის აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის მოიჯარის ოჯახიდანაა; მან სარა ლოურენსის კოლეჯი დაამთავრა, სადაც მისი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო პოლიტიკურად ორიენტირებული პოეტი ქალი მიურიელ რუკეისერი. მის ნაწარმოებებზე სხვებიც ახდენდნენ გავლენას; სახელდობრ, ფლანერი ო'კონორი და ზორა ნილ ჰარსტონი.

უოკერი თავის თავს „ქალთა" მწერალს უძახის; იგი დიდი ხანია დაკავშირებულია ფემინიზმის მოძრაობასთან; უოკერი წარმოაჩენს შავკანიანი ყოფის ქალის პერსპექტივას. ტონი მორისონის, ჯამაიკა კინქეიდის, ტონი ქეიდ ბამბარას და სხვა ჩამოყალიბებულ თანამედროვე შავკანიან რომანისტთა მსგავსად, უოკერი გამოიყენებს ამაღლებულ ლირიკულ რეალიზმს, რათა გაამახვილოს ყურადღება გულისხმიერი და სანდომიანი ხალხის ოცნებებსა და წარუმატებლობებზე. მისი ნაწერები ხაზს უსვამს ადამიანური ცხოვრების ღირსებებისადმი ლტოლვას. იგი შესანიშნავი სტილისტია; ეს განსაკუთრებით ჩანს მის ეპისტოლარული ჟანრის დიალექტზე აგებულ რომანში „მეწამული ფერი"; მისი ნაწერი ცდილობს გაანათლოს მკითხველი. ამ თვალსაზრისით იგი მოგვაგონებს შავკანიან ამერიკელ რომანისტს იშმაელ რიდს, ვისი სატირაც ააშკარავებს სოციალურ და რასობრივ საკითხებს.

უოკერის „მეწამული ფერი" გვიხატავს ორი ღარიბი დის ურთიერთსიყვარულს, რომელიც ხანგრძლივ განშორებას უძლებს. ეს თემა გადაჯაჭვულია მეორესთან, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ აცნობიერებს მორცხვი, უშნო და გაუნათლებელი და ადამიანის საკუთარი შინაგანი ძალა მეგობრის დახმარებით. ქალების ურთიერთდახმარების თემა გვაგონებს მაია ანჯელოუს ავტობიოგრაფიას „ვიცი რატომ

გალობს გალიაში გამომწყვდეული ჩიტი“ (1970), რომელშიც ამღერებულია დედისა და ქალიშვილის ურთიერთობის თემა; ასევე გვაგონებს ეს ნაწარმოები თეთრკანიანი ფემინისტი ქალის ედრიენ რიჩის ნაწერებსაც. „მეწამული ფერი“ ხატავს მამაკაცებს, რომლებსაც, არსებითად, არ ესმით ქალების მისწრაფებისა თუ რეალობისა.

1980-იანების მიწურულმა და 1990-იანების დასაწყისმა გვიჩვენა, რომ უმცირესობათა შემოქმედება ამერიკის ლიტერატურული ლანდშაფტის ძირითად ნაწილად იქცა. ეს მართალია, როგორც დრამის, ასევე პროზასთან მიმართებაში. ოგასტ უილსონი არის დრამატურგი, ვინც წერს პიესების ციკლს მეოცე საუკუნის შავკანიანთა გამოცდილებაზე და ისინი განუწყვეტლივ იდგმება სცენაზე (მათ შორისაა პულიცერის პრემიით დაჯილდოებული „ღობეები“, 1986 და „ფორტეპიანოს გაკვეთილები“, 1989). იგი დგას რომანისტების ელის უოკერის, ჯონ ედგარ უაიდმენის და ტონი მორისონის გვერდით.

სცენაზე თავის ადგილს იკავებენ აზიელი ამერიკელებიც. მაქსინ ჰონგ კინგსტონმა („მეომარი ქალი“, 1976) გზა გაუკვალა თავის მეგობარ აზიელ ამერიკელებს; მათ შორისაა ემი ტენი, რომელიც თავის ნათელ რომანებში მკითხველების გულისყურს იპყრობს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკაში გადასახლებული ჩინელების ცხოვრების ამბებით („მხიარული იღბლის კლუბი“, 1989 და „სამზარეულოს ღმერთის ცოლი“, 1991). დეივიდ ჰენრი ჰუანგმა, კალიფორნიაში დაბადებულმა ჩინელი ემიგრანტების შვილმა, თავისი სიტყვა თქვა დრამატურგიაში ისეთი პიესებით, როგორიცაა „ფ.ო.ბ.“ (1981) და „მ.ბატერფლაი“ (1986).

ლიტერატურულ ჰორიზონტზე შედარებით ახალი ჯგუფია ესპანური წარმოშობის ამერიკელებისა; მათ შორისაა პულიცერის პრემიის ლაურეატი, კუბური წარმოშობის რომანისტი ოსკარ ჰიჯუელოსი, თავისი ნაწარმოებით „მამბოს მეფენი სიყვარულის სიმღერებს უკრავენ“ (1989); მოთხრობების ავტორი სანდრა კისნეროსი („ქალები ყურეს ახმიანებენ და სხვა მოთხრობები“, 1991) და აგრეთვე რუდოლფო ანაია, რომლის ნაწარმოების „დამლოცე, ულტიმა“ (1972) 300 000 ეგზემპლიარი ძირითადად შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში გაიყიდა.

## ახალი რეგიონალიზმი

ამერიკულ ლიტერატურაში რეგიონალური ტრადიციის შესახებ არაფერია ახალი. იგი ისევე ძველია, როგორც მკვიდრი ამერიკელების ლეგენდები; ისევე გასახსენებელი, როგორც ჯეიმზ ფენიმორ კუპერის და ბრეტ ჰარტის ნაწარმოებები და ისევე ჟღერს, როგორც უილიამ ფოლკნერის რომანები და ტენესი უილიამსის პიესები. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეს ტრადიცია ჩრდილში მოექცა; მაგრამ აქ ერთი პირობაა გასათვალისწინებელი, რომ ქალაქური პროზაც რეგიონალიზმის გარკვეული ფორმაა. ასე კი, ყველაფრის მიუხედავად, უკანასკნელი დეკადის, თუ ცოტა მეტის განმავლობაში, რეგიონალიზმი ტრიუმფალურად დაბრუნდა ამერიკულ ლიტერატურაში; იგი აძლევს საშუალებას მკითხველს იგრძნოს ადგილის სურნელი, ისევე, როგორც დროისა და მოქმედი პირებისა. ამან კი მოიცვა როგორც პოპულარული პროზა — მაგალითად, დეტექტივი, ასევე ლიტერატურის კლასიკური ჟანრები — რომანი, მოთხრობა, დრამატურგია.

ამ მოვლენის დამკვიდრებისათვის რამდენიმე შესაძლებელი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი ის არის, რომ ამერიკაში, უკანასკნელი თაობის მანძილზე მოხდა მთელი ხელოვნების დეცენტრალიზაცია. თეატრი, მუსიკა, ბალეტი შესაძლოა ისევე აყვავდეს ამერიკის სამხრეთის, სამხრეთ ან ჩრდილო-დასავლეთის რომელიმე ქალაქში, როგორც, ვთქვათ, ნიუ-იორკში ან ჩიკაგოში. კინოკომპანიები იღებენ ფილმებს ამერიკის ნებისმიერ კუთხეში. ასევე ხდება ლიტერატურაშიც. პატარ-პატარა გამომცემლობები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურას ბეჭდავენ, ჰყვავიან ნიუ-იორკ სიტის „საგამომცემლო ქუჩის“ გარეთ. სამწერლო „სახელოსნო“ და კონფერენციები დიდ პატივშია; ასევე პოპულარულია მთელი ქვეყნის მასშტაბით ლიტერატურის კურსები კოლეჯებში. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ნიჭიერების კოკორი ყველგან შეიძლება გაიფურჩქნოს. ერთადერთი, რაცაა საჭირო, არის — კალამი, ქაღალდი და ფანტაზია.

თანამედროვე რეგიონალიზმის ყველაზე გამაცოცხლებელი ასპექტებია მისი სხვადასხვა მიმართულებით განვითარება და განსხვავებულობა. იგი საშუალებას აძლევს ამერიკის

ყველა კუთხეს საკუთარი ხმა აიმაღლოს. ტრანსკონტინენტალური ლიტერატურული მოგზაურობა შეიძლება ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთით ნიუ-იორკის შტატში, მის დედაქალაქ ოლბანიში დაიწყოს; აქ იკვეთება მისი მკვიდრის, ერთ დროს ჟურნალისტის, უილიამ კენედის სახელი; ოლბანის შესახებ მისი რომანები „ძლიერი სარეველა" (1983) და „ძალიან ძველი ძვლები" (1992) მწერას გწყვეტს ელეგიური და ხშირად ხრინწიანი პორტრეტებით, ნიუ-იორკის შტატის დედაქალაქის ქუჩებისა და დუქნების ბინადართა აღწერისას.

უხვმოსავლიანი რომანისტი, მოთხრობების ავტორი, პოეტი და ესეისტი ჯოის ქეროლ ოუტსი ასევე ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთიდან გვესმიანება. მას ძალზე შთამბეჭდავი ნაწარმოებები აქვს; მათში გამოყვანილი პერსონაჟები შეპყრობილნი არიან გროტესკულ გარემოცვაში თვითგამოხატვის სურვილით, რასაც მათი განადგურება მოჰყვება ხოლმე. მისი მშვენიერი მოთხრობები მოთავსებულია კრებულებში „სიყვარულის ბორბალი" (1970) და „სად მიდიხარ, სად იყავი?" (1974). სტივენ კინგი, – საშინელებათა პროზის ჟანრის პოპულარული ავტორი, როგორც წესი, თავისი სულის შემკუმშველი წიგნების მოქმედების ადგილად მენის შტატს ირჩევს, – იგივე ჩრდილო აღმოსავლეთის რეგიონს.

ამავე სანაპიროს ჩამოყოლებაზე ბალტიმორის გარეუბნებში (მერილენდის შტატი) ენ ტაილერი მოკრძალებული, მშვიდი ენით წარმოგვიდგენს შთამბეჭდავი პერსონაჟების არაჩვეულებრივ ცხოვრებას. რომანებმა „სახლის მონატრების რესტორანში სადილობა" (1982), „შემთხვევითი ტურისტი" (1985), „სუნთქვის გაკვეთილები" (1988), „წმინდა, შესაძლოა" (1991) მას მაღალი რეპუტაცია შეუქმნეს, როგორც ლიტერატურულ წრეებში, ასევე ფართო აუდიტორიაშიც.

ბალტიმორიდან საკმაოდ ახლოს მდებარეობს ამერიკის დედაქალაქი ვაშინგტონი თავისი ლიტერატურული ტრადიციით, რომელიც რაღაც საბურველშია მოქცეული ამ ქალაქში, სადაც მთავარი საქმიანობა პოლიტიკაა. მთავრობისა და ძალაუფლების გასაყარზე არსებული ცხოვრების და პერსონაჟების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო პორტრეტისტია რომანისტი უარდ ჯასტი; იგი ყოფილი საერთაშორისო კორესპონდენტი იყო და მან თავისი მეორე კარიერა იმ საკითხებზე წერით შექმნა, რომელიც ყველაზე კარგად იცოდა – ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და სამხედროების სამყარო. მისი რომანი „ყველაფერი ნიკოლსონის შესახებ" (1975) წარმოადგენს ვაშინგტონელი ჟურნალისტის თავგადასავალს ჯონ ფ. კენედის პრეზიდენტობისას და მას შემდეგ, 1960-იანების პირველ ნახევარში; „მიმის ქალაქი" (1982) ასახავს ვიეტნამის ხანის ვაშინგტონის ხედს; ხოლო რომანი „ჯეკ გენსი" (1989) არის ჩიკაგოელი პოლიტიკოსის აღმასვლის და მისი სენატში მოხვედრის თანმიმდევრული მოთხრობა. ესენი მის საუკეთესო ნაწარმოებებს წარმოადგენენ. სიუზენ რიჩარდს შრივი, თავის რომანში „ხელისუფლების შვილები" აღწერს მთავრობის ოფიციალურ პირთა შვილების ცხოვრებას; პოპულარული რომანისტი, მერილენდის შტატიდან ტომ ქლენსი გამოიყენებს ვაშინგტონის პოლიტიკურ და სამხედრო ლანდშაფტს, რათა თავისი დაძაბულ სიუჟეტიანი ეპიკური სერიალები შექმნას.

კიდევ უფრო სამხრეთით გადაადგილებისას მივადგებით რეინოლდს პრაისს და ჯილ მაკკორკლს. პრაისი, ენ ტაილერის მასწავლებელი იყო. 1970-იანებში მასზე ერთ-ერთი კრიტიკოსი წერდა, რომ იგი იმყოფებოდა მოძველებული „სამხრეთელი მწერლის" თანამდებობაზე. მის მიმართ პირველად ინტერესი აღიძრა, როდესაც მან გამოსცა რომანი „ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება" (1962); მასში აღწერილია ჩრდილო კაროლინის შტატის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ადამიანების ამბავი; რომანში მოცემულია ამ რეგიონის ბინადარი ახალგაზრდა ქალის როზაქოუკ მასტიენის თავგადასავალი. ერთხანს ავტორი აგრძელებდა ამავე პერსონაჟის შესახებ მოთხრობების წერას; შემდეგ სხვა თემებზე გადაინაცვლა, მაგრამ მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა ქალ-პერსონაჟს აღიარებულ ნაწარმოებში „კეით ვეიდენი" (1986). ეს პირველ პირში დაწერილი მისი ერთადერთი რომანია. პრაისის უკანასკნელი ნაწარმოები „ლურჯი ქელპოუნი" (1992) გადმოგვცემს ათწლეულობით ოჯახური ცხოვრების შემდეგ ვნებიანი, მაგრამ განწირული სასიყვარულო გატაცების ამბავს.

მაკკორკლი 1958 წელსაა დაბადებული და მაშასადამე, ახალ თაობას წარმოადგენს; მისი

რომანები და მოთხრობები ჩრდილო კაროლინის შტატის პატარა ქალაქებში მიმდინარეობს; მისი ნაწარმოებები მიძღვნილია ასალგაზრდების იდუმალებით სავსე ცხოვრებისადმი („საამაყო ლიდერი", 1984), თაობათა ურთიერთობისადმი („ვირჯინიისკენ მიმავალი", 1987) და თანამედროვე სამხრეთელი ქალის განსაკუთრებული მგრძნობიარობისადმი („ქრეშის დიეტა", 1992). ამავე რეგიონში ცხოვრობს პეტ ქონროი. მისი მიმზიდველი ავტობიოგრაფიული რომანები აღწერენ მის ბავშვობას სამხრეთ კაროლინაში, აქ და ტირანულ მამას („დიდი სანტინი", 1976; „დინებების უფლისწული", 1986); ისინი დამუხტულია სამხრეთ კაროლინის დაბლობის ბუნების სილამაზის სურათებით. მწერალი შელბი ფუტი წარმოშობით მისისიპის შტატიდანაა; იგი წლების მანძილზე ტენესის შტატში, მემფისში ცხოვრობდა. დიდი ხანია, რაც სამხრეთის ისტორიის მემატიანეა. მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ამერიკის სამოქალაქო ომის შესახებ პოპულარულ სატელევიზიო სერიებს.

ამერიკის შუაგული მდიდარია ნიჭიერი მწერლებით. მათ შორის არის ჯეინ სმაილი, რომელიც აიოვას უნივერსიტეტში მწერლობის კურსს კითხულობს. სმაილსმა 1992 წელს მოიპოვა კულტურის პრემია პრიზაში, ნაწარმოებისათვის „ათასი აკრი" (1991). ეს არის შექსპირის „მეფე ლირის" გადანერგვა ამერიკის ცენტრალური დასავლეთის ფერმაში; მასში აღწერილია აღვირაწყვეტილი მწვავე ოჯახური მტრობა, რომელიც გამომჟღავნდება, როდესაც მოხუცი ფერმერი გადაწყვეტს, რომ თავისი მიწები სამ ქალიშვილს გაუნაწილოს.

ტეხასელი მემატიანე ლარი მაკმარტრი მგრძნობიარედ აღწერს თავისი შტატის ისტორიას დაწყებულს მეცხრამეტე საუკუნეში გამქრალი დასავლეთიდან („ეული მტრედი", 1985; „ყველაფერი ბილისათვის", 1988), დამთავრებულს დღეს გაქრობის პირას მისული პატარა ქალაქებით („სურათების უკანასკნელი შოუ", 1966).

ქორმაკ მაკკარტი ამერიკული სამხრეთ დასავლეთის უდაბნოებს ხატავს რომანებში „სისხლის მერიდიანი" (1985), „ყველა ლამაზი ცხენი" (1992) და „გადაკვეთა" (1994); იგი არის განდეგილი, უსაზღვრო ფანტაზიის მქონე მწერალი, რომელიც ეს-ეს არის იმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს ამერიკის ლიტერატურულ სცენაზე. ძირითადად მას სამხრეთული გოთიკის ტრადიციის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევენ; მას იზიდავს როგორც ველური ბუნება, ასევე ადამიანური ველურობა და წინასწარგანუჭვრეტელობა.

ნიუ მექსიკის შტატიდან გამოსული მკვიდრი ამერიკელის, ლესლი მერმონ სილკოს კრიტიკულად შეფასებულმა რომანმა „ცერემონია" (1977), მას ფართო აუდიტორია მოუპოვა. ეს არის „სასიმღერო რომანი", რომელიც მკვიდრი ამერიკელების აუდმყოფობის შელოცვას, რიტუალის სტრუქტურას წარმოადგენს; ამ თვისებით იგი წააგავს ნ.სკოტ მომადეის პოეტურ ნაწარმოებს „გზა წვიმიანი მთისკენ" (1969). სილკოს სხვა რომანი „მკვდრის ალმანახი" (1991) იძლევა სამხრეთ დასავლეთის პანორამას – უძველესი ტომობრივი მიგრაციიდან დაწყებული, დამთავრებული დღევანდელი ნარკოტიკების გამსაღებლებით, და კორუმპირებული უძრავი ქონების გამყიდველებით, რომლებიც მოგებებს სვეტავენ მიწის არადანიშნულებისამებრ გამოყენებით. ბესტსელერი დეტექტივების ავტორი ტონი ჰილერმანი, რომელიც ნიუ მექსიკის შტატში, სანტა ფეში ცხოვრობს, ასევე ხატავს ამერიკის სამხრეთ დასავლეთ მხარეს; მას თავის პროტაგონისტებად გამოჰყავს ორი მოყრძალებული და კარგი მუშაკი, ნავაჰოს ტომის წარმომადგენელი პოლისმენი.

უფრო ჩრდილოეთით, მონტანას შტატში, პოეტი ჯეიმზ უელჩი ასახავს მკვიდრი ამერიკელების ბრძოლას, რათა შეხძინონ რაიმე აზრი რეზერვაციებში თავის მძიმე ხვედრს, რომელიც მოცულია სიღარიბითა და ალკოჰოლიზმით; ასეა მის ნატიფ, თითქმის უმოძრაო რომანებში: „ზამთარი სისხლში (1974), „ჯიმ ლოუნის სიკვდილი" (1979), „ბრიყვები ჩხავიან" (1986) და „ინდიელი ქალი" (1990).

სხვა მონტანელია თომას მაკგუეინი, რომელიც ჭეშმარიტად ვაჟკაცურ რომანებში – „ოთხმოცდათორმეტი ჩრდილში" (1973) და „ხურდა დაიტოვე" (1989) ოცნებობს საკუთარ ფესვებზე ამ ფესვებდაკარგულ სამყაროში.

ლუიზ ერდრიჩი, რომელიც სანახევროდ ჩიპევა ინდიელია, თავისი რომანების მოქმედების ადგილად მეზობელ ჩრდილოეთ დაკოტის შტატს არჩევს. რომანში „სიყვარულის წამალში" (1984) იგი აღწერს რეზერვაციებში არ-

სებული უფუნქციო ოჯახების არეულ-დარეულ ცხოვრებას, მწარე სტოიციზმისა და იუმორის ერთმანეთში შეჯერებით.

შორეული დასავლეთის ერთ ხანს ორი მწერალი წარმოადგენდა. ერთ-ერთი მათგანია ახლახან გარდაცვლილი უოლეს სტეგნერი, რომელიც შუადასავლეთში დაიბადა 1909 წელს და საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა 1993 წელს. სტეგნერმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი დასავლეთის სხვადასხვა ადგილას გაატარა და გამოიმუშავა რეგიონალური მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ეს მოდური გახდებოდა. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო „დიდი როქ ქენდი მთა“ (1943); მასში ასახულია ამერიკული ოცნების განხორციელების მოლოდინში დასავლეთში მცხოვრები ოჯახის თავგადასავალი. რომანი მიმდინარეობს მთელს ამერიკაში – მინესოტის შტატიდან ვაშინგტონის შტატამდე და იგი, თვით სტეგნერის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეხება: „არაჩვეულებრივად ლამაზ ადგილებს, რომლებმაც მთელი ხალხი დასავლეთისკენ დაძრა“. მისმა რომანმა „შესვენების ანგელოზი“ 1971 წელს პულიცერის პრემია მოიპოვა; ისიც დატვირთულია ადგილის სულისკვეთებით და ხატავს ძველი დასავლეთის ილუსტრატორი და მწერალი ქალბატონს. მართლაც, სტეგნერის ძალა, როგორც მწერლისა, ძევს მისი დახასიათების უნარში და დასავლური უხეში ცხოვრების გახსენებაში.

ჯოან დიდიონი ჟურნალისტიც არის და რომანისტიც. მას გონების თვალით უამრავი უმოგზაურია უკანასკნელ წლებში. მან შეძლო, რომ კალიფორნია წარმოეჩინა რუკაზე თავისი 1968 წლის არამხატვრული პროზის კრებულში „ბეთლემისკენ ბაჯბაჯით“; და აგრეთვე მის მწარე და გახმაურებულ რომანში ჰოლივუდის ცხოვრების უაზრობათა შესახებ – „ისე ითამაშე, როგორც არის“ (1970).

წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო დასავლეთი, ხელოვნების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი რეგიონია 1990-იანებში. მან, სხვებთან ერთად, მოგვცა რეიმონდ ქარვერი, მოკლე მოთხრობების მშვენიერი მწერალი. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1988 წელს ორმოცდაათი წლის ასაკში, სულ მალე მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ლიტერატურულ არენაზე. კრებულებში „რას ვლაპარაკობთ, როდესაც სიყვარულზე ვლაპარაკობთ“, 1974), „საიდან ვრეკავ“ (1986) იგი აირეკლავს თავისი რეგიონის მშრომელთა კლასების ინტერესების მიმართულებას. იგი გარემომცველი სცენის უკან, ჯერ კიდევ გაურკვეველ სამყაროში ათავსებს მათ.

რეგიონალური თეატრალური მოძრაობის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული არამომგებიან ინსტიტუტებზე, რომლებიც ამერიკის მრავალ ქალაქში თანამედროვე კულტურის ნაწილად იქცა; 1960-იანებიდან მოყოლებული ეს იყო ახალგაზრდა დრამატურგთა აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება. მათგან ზოგი თეატრალური სცენარისთვის ბრწყინვალე სახეებს ქმნიდა. კაცმა შეიძლება იკითხოს, რა იქნება ამერიკული თეატრი და ლიტერატურა დანაწევრებული ბრწყინვალე საზოგადოების და მძაფრი ურთიერთობის გარეშე, რაც ჩანს სემ შეპარდის ნაწარმოებებში „დამარხული ბავშვი“, 1979, „გონების სიცრუე“, 1985. ან ჩიკაგოელი დევიდ მემეტის ამორალური პერსონაჟების თავზარდამცემ სტაკატო დიალოგებში („ამერიკული კამეჩი“, 1976, „გლენგარი გლენ როსი“, 1982); ან შუა დასავლეთის ცხოვრებასა და ინტერესებში შექრილი ტრადიციული ფასეულობები, რომლებიც ასახულია ლენფორდ უილსონის ნაწარმოებებში („5 ივლისი“, 1978, „თოლის სისულელე“, 1979) და ბეთ ჰენლის სამხრეთულ ექსცენტრიულობაში („გულის დანაშაულებანი“, 1979).

ამერიკულმა ლიტერატურამ დალაშქრა ხანგრძლივი, დაკლაკნილი გზა წინა კოლონიალური დღეებიდან დღევანდლამდე მოყოლებული. საზოგადოებას, ისტორიასა და ტექნოლოგიას შესამჩნევი გავლენა ჰქონდა მასზე. თუმცა, საბოლოოდ, მას გააჩნდა ერთი მუდმივი (კონსტანტა) ადამიანურობა, – მიუხედავად მისი ბრწყინვალებისა თუ ღვარძლიანობისა, ტრადიციისა თუ იმედებისა.

# ლექსიკონი

**აბოლიციონიზმი** – 1860-იანებში, ამერიკის სამოქალაქო ომის წინა პერიოდში შეერთებული შტატების ჩრდილოეთში გავრცელებული მოძრაობა, რომელიც მონათმფლობელობის გაუქმებას მოითხოვდა.

**ალუზია** – რაიმე ტექსტის ნაგულისხმევი ან არაპირდაპირი მინიშნება მხატვრულ ტექსტში.

**ბიტნიკი** – 1950-იანებისა და ადრეულ 1960-იანებში გავრცელებული საზოგადოების წინააღმდეგ ჯანყის მოძრაობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. დაკავშირებულია ჯეკ კერუაკის, ალენ გინზბერგის და სხვათა სახელებთან. „ბიტი" მომდინარეობს **beatification** – ნეტარყოფილი და **beaten down** – დაჩაგრული, ნაცემი.

**ბოსტონელი ბრაჰმინები** – მეცხრამეტე საუკუნის ნიუ ინგლენდის გავლენიანი და პატივცემული მწერლები, რომლებიც აღიარებდნენ „კეთილშობილურ ტრადიციას" – მაღალი კლასების ფასეულობებს.

